მაია ბერიძე

მზეზე მონადირე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია ბერიძე

მზეზე მონადირე

E 417-055

„ლომისი“
თბილისი
1999

ეროვნული ბიბლიოთეკა

821.353.1 - 31

84 гр -44
89463!-32
ბ 570

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია ბერიძის რომანი პირველია ჩვენში, აფხაზეთის ტრაგედიას რომ ეხება. ყველასათვის ცხადია, აფხაზეთის და სამაჩაბლოს გარეშე საქართველო როგორც ნორმალური და თავისუფალი ქვეყანა ვერ იარსებებს. ამიტომ ქართველი ხალხის მთელი ძალისხმევა, მისი სულიერი და ფიზიკური ენერგია სამშობლოს გამთლიანებას უნდა ემსახურებოდეს. უეჭველია, ამ თემაზე კიდევ დაიწერება ნაწარმოებები, სადაც ვრცლად და ამომწურავად იქნება გაანალიზებული ჩვენი მარცხის მიზეზები. ასეთი წიგნები ალბათ იწერება კიდეც. ლიტერატურა პრესა არ არის, რომ ყოველგვარ საჭირბოროტო საკითხს უმალვე გამოეხმაუროს. კარგი ლიტერატურის შექმნას დრო სჭირდება. მე მივესალმები მაია ბერიძის ამ მეტად საინტერესო, ცოცხლად და გულწრფელად დაწერილი წიგნის გამოსვლას. ნაწარმოების ღირსებას წარმოადგენს მისი გმირების მხატვრული სახეების მკვეთრად გამოხატვა, სინამდვილის მოვლენებთან დაკავშირება და სიუჟეტების დამაჯერებელი გადმოცემა. მიხარია, რომ ნიჭიერმა ახალგაზრდა მწერალმა ქალმა თავისი ყურადღება ჩვენი ქვეყნის ყველაზე მწვავე, ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას მიაპყრო და კიდევ ერთხელ შეახსენა ქართველ მკითხველს, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო დასაბრუნებელი გვაქვს.

გურამ გეგეშიძე

F 117-022

რედაქტორი ზაალ სამადაშვილი
მხატვარი მანანა ჩიტიაშვილი

ISBN 99928-15-24-8

© ლომისი, 1999

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი 1

წითელნისკარტა თოლიამ გადაუფრინა თემურს და სანაპიროზე დაჯდა.

ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე. დარბოდნენ ქვებზე და უცნაურად ყიოდნენ.

– ამინდი აირევა! – თქვა ასისთავმა და იქვე მჯდომ ორ ადგილობრივ სვანს გადახედა.

ერთ-ერთმა მხრები აიჩეჩა.

– ნახევარ საათში ვიწყებთ შეტევას! – გააგრძელა უფროსმა.

– მეტყვიამფრქვევეები წავლენ და ფეხოსნებიც მიჰყვებიან.

შემდეგ ქაღალდზე ნიშნებს დახედა, რუკის მაგივრობას რომ უწევდათ და სვანებს მოუხმო.

თიო ამ დროს ზღვასთან ახლოს, ქვებზე იჯდა და იარაღს წმენდდა. ავტომატი გვერდზე გადადო და ქამარზე დაკიდებული ხანჯალი შეისწორა. ძველთაძველ, ვერცხლით მოჭედილ ხანჯალს ტარზე ფირუზის პატარა ჯვარი ჰქონდა გამოსახული.

– რუკაც მე შევადგინე, – გაიფიქრა მან, – არადა, სულ ადგილობრივი ხალხია. პოზიციაც საშინელია. „на море“ – როგორც რაზეელებმა შეარქვეს. ხელისგულზე ვართ გადაშლილი ტყეში ჩამჯდარი მოწინააღმდეგისთვის.

თიომ ზღვას მიუგდო ყური. პატარ-პატარა ტალღები თითქოს ბრაზობდნენ შემოდგომის მზეზე, დამალობანას რომ ეთამაშებოდა ღრუბლებს.

– „სერიოჟა“ – გასძახა მან წითელარმიელის ფორმიან ბიჭს, – როდესაც შევუტევთ, თუ გაგიჭირდა, დამიძახე, თემური მქვია.

ბიჭმა გაიღიმა. ჩამტვრეული წინა კბილები გამოაჩინა და თვალი ხანჯლისკენ გაექცა.

– ეს საიდან? – ჰკითხა და ხანჯალზე მიუთითა.

– თილისმაა–აუხსნა თემურმა და უეცრად მიხვდა, რომ ბიჭი არ მოსწონდა.

შეტევა ნაშუადღევს დაიწყო. მეტყვიამფრქვეველებმა ცეცხლი გახსნეს. ფეხოსნები გაიშალნენ და აღმასვლა იწყეს. თან ბუჩქებსა და ხეებს ეფარებოდნენ.

თიო ელვის სისწრაფით გაწვა მიწაზე და ძირს ჩაგორდა, რადგან სრულიად ახლოს, ბუჩქებიდან, სადაც „სერიოჟა" ეგულებოდა, კაკანით წამოვიდა ტყვია. თემურმა შეიგინა და ბუჩქების მხარეს გაისროლა. მერე რა მოხდა და როგორ მოხდა, შემდგომში ველარ გაიხსენა. ახსოვს, აფეთქების ხმა გაიგო და ჰაერის ტალღამ უკან გადააგდო. კიდევ ახსოვს იასამნების სუნი ეცა ცხვირში. ყურებში სისველე იგრძნო და ჩამობნელდა. რამდენ ხანს დაჰყო ასე, არ იცის. იცის მხოლოდ, რომ გრძელ გვირაბში მიდიოდა და თან ფლოქვების ხმა მიჰყვებოდა. მერე, თითქოს თვალები გაახილა და ზღვის ნაპირი დაინახა: თორმეტი წლის ბიჭი ცხენს მიაჭენებდა ნაპირ-ნაპირ.

— ვოუ, თიო, ვოუუ, მოგწონს ცხენი? — მოესმა პავლე ბაბუას ხმა და მიხვდა, ის ბიჭი თვითონ იყო.

პავლე ბაბუას თეთრი ჩოხა ემოსა და თავიც თეთრი ყაბალახით ჰქონდა წაკრული. ვერცხლით მოჭედილი, ძვირფასი ხანჯალი ეკიდა ქამარზე. თიომ იორღა მოატრიალა და მოხუცისკენ წაიყვანა ჩორთით. მოხუცმა ხანჯალი მოიხსნა და ჩამოქვეითებულ მხედარს შეაბა წელზე.

— ვაჟკაცი ხარ უკვე, — თქვა მან, — შენს კაცობას გაუფრთხილდი. ამაზე ძვირფას საჩუქარს ვერავინ მოგცემს. იცოდე, ეს ხანჯალი ჩვენი გვარის ნამუსია და შეუბღალავად გადადიოდა თაობიდან თაობაში.

თემურმა ქამარი შეისწორა და თვალები დახუჭა. როდესაც ისევ გაახილა თვალი, პავლე ბაბუა გამქრალიყო. მის ნაცვლად სამი შეიარაღებული კაცი ადგა თავზე. ერთ-ერთმა ჩექმის წვერი წაჰკრა ნიკაპზე და მეორეს გასძახა, ცოცხალია ძაღლისშვილიო.

— აეთრიე! — უყვირეს ტყვეს და იარაღი მიუშვირეს. თემური გაჭირვებით წამოდგა. თავი ტყვიასავით დამძიმებოდა და ბუნდოვნად, თითქოს ბურუსში ხედავდა დამატყვევებლებს. მაინც გაარჩია, რომ ერთი კაზაკი იყო და ორიც — ჩრდილოკავკასიელი. ხშირწარბება, უხეში სახის ჩრდილოკავკასიელმა ხანჯალზე მიუთითა, მოიხსენიო.

— არა! — მიუგო თიომ, — ეს თილისმაა.

ხშირწარბებიანის ამხანაგი ჯიქურ ეცა ტყვეს და ხანჯალი ჩამოჰგლიჯა.

— მაჩვენეთ! — დინჯად ითხოვა კაზაკმა, მცირე ხანს ხანჯალი ხელში ატრიალა და ქამარზე დაიკიდა. კავკასიელებს საწინააღმდეგო

არაფერი ჰქონდათ. დატყვევებულს კეფაზე ავტომატის ლულა მიადეს და წინ წასვლა უბრძანეს. თემური ძლივძლივობით მილასლასებდა. ფეხქვეშ თითქოს მიწა ერყეოდა და ირგვლივ ხეები ტრიალებდნენ. ტყე-ტყე იარეს და ბოლოს დაბლობზე დაეშვნენ. რომელიღაც სოფელში შევიდნენ, სადაც უამრავი იარაღიანი ხალხი ირეოდა. ძროხების სადგომში შეაგდეს ტყვე და კარებთან მცველი დაუყენეს. თიო გასავათებული მიეგდო თივაზე და უცნაურ, სიზმრისეულ მდგომარეობაში გადავიდა. დროის სწორად აღქმის უნარი დაკარგა. წარსულისა და აწმყოს სურათები წარმოსახვაში ერთმანეთს ცვლიდნენ. ჯერ, თითქოს მზეს დაეძებდა და შიშველი ხელებით ცდილობდა მის დაჭერას.

— დაიწვები! — ჩასძახოდა შორეული ხმა.

თიომ იცოდა, რომ დაიწვებოდა, მაგრამ სხვაგვარად არ შეეძლო. ის ხომ მზეზე მონადირე იყო ბუნებით. ხანაც ქალაქს აშენებდა უდაბნოში. ეს ქალაქი განსხვავდებოდა ყველა სხვა ქალაქისგან, რადგან ვერც მიწისძვრა დაანგრევდა, ვერც წყალი წალეკავდა და ვერც ცეცხლი დაწვავდა.

ხან ისევ ცირასთან იყო. პირველად რომ შეხვდა და შეიყვარა, — იმ ცირასთან.

მზე ისეთი მწველი იყო მაშინ, როგორც არასდროს. ზღვა არ იძვროდა. ღია კაფეში, სადაც თემური მეგობრებთან ერთად იჯდა მაგიდასთან, ხალხი ცოტა იყო. ალბათ იმიტომ, რომ მაგიდებს ქოლგები არ ჰქონდათ და ცოტა თუ უძლებდა უმოწყალო მზეს. კუთხეში ხანში შესული მამაკაცი უკრავდა ვიოლინოს. ძირს ჭილის ქუდი ედო ფულის შესაგროვებლად. სწორედ ამ დროს გამოვიდა თეთრი კაბით შემოსილი ცირა მაგნოლიების ჩრდილიდან. მევიოლინესკენ ვაემართა და ქუდში ფული ჩაუგდო. შემდეგ მოტრიალდა. ხელი შუბლთან მიიტანა მოსაჩრდილებლად და ვიღაცას დაუწყო ძებნა. უნებურად თიომაც იქით გაიხედა და სასტუმროს კედელზე წაწერილს წააწყდა თვალებით.

„გარდაქმნა“ — ეწერა უზარმაზარი წითელი ასოებით.

იქვე ხანში შესული წყვილი სეირნობდა. კაცს ორდენები და მედლები ეკიდა მკერდზე.

— ამათ მაინც რაღა გარდაქმნის?! — გაიფიქრა თემურმა და ისევ ცირასკენ მიაბრუნა პირი.

— ნუთუ ჩემთან მოდის? — გაუკვირდა ბიჭს.

გოგო მიუახლოვდა მათ. წუთით თითქოს შეყოყმანდა და შემდეგ თემურის მეგობარს მიმართა თამამად:

— თუ შეამჩნიეთ, ჩვენ ერთ სასტუმროში ვცხოვრობთ. თქვენზე მითხრეს, ექიმიაო. შემთხვევით დასაძინებელი წამალი ხომ არ გექნებათ?

— დაბრძანდით! — მორიდებულად უთხრა თემურმა და სკამი შესთავაზა.

ცირა სკამის კიდეზე ჩამოჯდა. ჯერ თიოს შეხედა და მერე ექიმს.

— ღამღამობით არ მძინავს, — თქვა ქალმა, — ერთსა და იმავეზე ვფიქრობ გაუთავებლად. ასე მგონია, შუშის სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც ყველაფერი შუშისაა, — ხალხიც, ხეებიც, სახლებიც. მათ შორის დავდივარ და მეშინია, რომ თავადაც შუშის ვარ და ოდესმე მათთან ერთად დავიმსხვრევი უთვალავ ბრჭყვიალა ნატეხად.

— ეგ სულ თქვენი ფანტაზიებია. ალბათ, გადაიღალეთ, — დაამშვიდა ექიმმა და წამლის მიცემას შეჰპირდა.

თიო იასამნისფერ თვალებში შესცქეროდა ცირას და თითქოს არც ესმოდა, რაზე საუბრობდნენ. როდესაც ქალი წავიდა, მაგიდასთან იასამნის სურნელი დატოვა.

— დავიჯერო შეშლილია? — გაიხუმრა თიოს მეგობარმა.

— რას ლაპარაკობ! — გაბრაზდა თემური, — განა შეიძლება ასეთი იასამანივით ქალი შეშლილი იყოს?! იმ ლოზუნგს შეხედე. არ გეჩვენება, რომ შუშისაა? გოგო მართალს ამბობს. სათვალეებით ვუყურებთ სამყაროს. ბოლოს დაიმსხვრევა სათვალე და ჩვენც დავიმსხვრევით ჩვენს მიერვე შექმნილ, მოჩვენებით სიმართლესთან ერთად.

თიომ ორდენოსანი წყვილისკენ გააქნია თავი.

— აი, ისინი ისე შეეზარდნენ ამ სათვალეს, ვერც ვერასოდეს მოიხსნიან თვალებიდან.

— მაგათ რა უჭირთ, ილუზიები მაინც შერჩათ, — დაეთანხმა ამხანაგი, — ჩვენზეა ნათქვამი, — არც აქეთ და არც იქითო. მოკლედ, დაკარგული თაობა ვართ.

— ვნახოთ, დრო გამოაჩენს. შესაძლოა ასეც არის, — უპასუხა თემურმა.

მეორედ თეატრში ნახა თიომ ცირა. შავი კაბა ეცვა და თეთრი საყურეები ეკეთა.

— არ უხდება თეთრი საყურე, - გაიფიქრა ბიჭმა და გადაწყვიტა ფირუზის საყურეები ეჩუქებია მისთვის.

ქალთან არც მისულა, თუმცა შინაგანად დარწმუნებული იყო, რომ მათი გზები ერთმანეთს გადაკვეთდნენ. მას შემდეგ ძალიან დიდხანს არ უნახავს ცირა. თუმცა სულ ახსოვდა. ახსოვდა კი არა, ყველგან თან დასდევდა იასამნის სურნელი.

იმ საბედისწერო აპრილის ღამესაც იასამნებმა აპოვნინეს ცირა. გაზის, კვამლისა და სისხლის სუნში შერეულმა იასამნის სუნმა, შველას რომ ითხოვდა და დაბნეული და გაოგნებული ტრიალებდა ჰაერში. ამ სურნელის გადარჩენას ცდილობდა თიო, როდესაც დარბეულ და დაჩეხილ ბრბოში, სასოწარკვეთილი მიიკვლევდა გზას.

უცნაურად ყვითელი მთვარე ანათებდა სასაკლაოს. ამაფორიაქებელი სიყვითლე მიწიერ ჩრდილებს აღიზიანებდა და საბრძოლველად აქეზებდა. სიყვითლე ალაგ-ალაგ სიშავეში გადადიოდა და მნათობის ზედაპირს არამიწიერი ლანდებივით ფარავდა. შავის, ვერცხლისფერის და ყვითელის საბედისწერო შეხამება მთვარის მრისხანებაზე მეტყველებდა.

— ცირა! — ღრიალებდა თემური.

ძლივს მიაგნო კიბესთან უმწეოდ დაგდებულსა და გონებადაბინდულ ქალს. მკლავში ხელი წაავლო, წამოაყენა და ქაშუეთის მხარეს, ჩასახვევისკენ წაათრია. ცირას ჭყლეტვაში ფეხსაცმელები დაჰკარგვოდა და წინდების ამარა მირბოდა ქვაფენილზე. გამაბრუებელი სუნი ასდიოდა და მთელი სიმძიმით მკლავზე ეკიდებოდა ვაჟს. ძნელაძის ქუჩამდე ძლივძლივობით მიაღწიეს. თემურმა ქალი სადარბაზოში შეათრია და მესამე სართულზე თითქმის ხელით აიყვანა.

— კოკა! — იყვირა თიომ და წიხლი დაუშინა კარებს. კოკამ კარები გამოაღო და მეგობრის შეშლილი სახის დანახვაზე, რა მოხდაო, ამოიხრიალა.

ქვედა საცვლის ამარა იდგა და გაშტერებული შესცქეროდა ცირას.

— ერთი საათია, რაც იქიდან წამოვედი. ჩვენი ბიჭები ისევ იქ არიან. რას წარმოვიდგენდი, ხალხის ხოცვას თუ დაიწყებდნენ, — ძლივს ამოღერღა და ცოცხალ-მკვდარი ქალ-ვაჟი ოთახში შეიყვანა.

— გული მერევა, — დაიჩურჩულა ცირამ და ბარბაცით გაემართა სააბაზანოსკენ.

სახე თეთრი ჰქონდა და თვალის უპეები ჩაშავებოდა.

— გაზის სუნი ასდის. მგონი მოწამლულია, — ჩაულაპარაკა თემურს მეგობარმა.

— გასაღები მომეცი! — უთხრა თიომ, — ვნახავ, რა ხდება გარეთ, შენ გოგოს მიხედე.

თემურმა კარი გაიჯახუნა და ქუჩაში გავარდა. აღმართზე ასვლისას ისევ იმ აუტანელმა შეგრძნებამ მოიცვა, მოშიმშილეებთან ახლოს, კიბესთან, ცირას დანახვაზე რომ დაეუფლა. პირველად მაშინ მიხვდა, როგორ დამძიმებულიყო ჰაერი და მეტისმეტი დაძაბულობისგან როგორ ირყეოდა ქუჩა.

— ცირა! — უნდოდა ეყვირა თემურს, მაგრამ პირზევე შეაშრა სიტყვები.

ხალხიდან წამოსული, ზვავივით აგორებული შინაგანი მუხტი გადაედო და დაადუმა. მრავალი ნაცნობი თუ უცნობი სახე ერთმანეთს შეერია და თემური იმ ერთ, დიდ კაცად იქცა, რომელიც ყვიროდა, დროშას აფრიალებდა, შეძახილსა და შეძახილს შორის მღეროდა და ცეკვავდა. ბოლოს დაჩოქილიყო და ხმამაღლა ლოცულობდა.

დრო უჩვეულოდ გამრუდდა და სწორხაზოვანი ფორმა დაკარგა. თითქოს, ყოველივე მომხდარი თავიდან დაიწყო, დაიკარგა და ისევ განმეორდა. წამიერი ტანჯვა გამრუდებული დროის ხლართებში ჩაიძირა და უეცრად გამორკვეულმა ვაჟმა, მოედანზე დაყრილი დახოცილები დაინახა. დარბეულ ხალხს ჯარისკაცები დასდევდნენ სასანგრე ნიჩბებით.

ვინ საით გარბოდა, შეუძლებელი იყო გარჩევა. წაქცეულებს ფეხებით თელავდნენ. უმწეო ღრიალი იღვრებოდა შედედებულ ჰაერში.

შორიახლოს შუახნის ქალს მოჰკრა თვალი. სირბილისგან გულამომჯდარი ქოშინით მილასლასებდა. თიომ ქალს ჩაავლო ხელი და იქვე მდგარი სახლის სადარბაზოში შეიყვანა. პირველ სართულზე მოხუც კაცს კარები გამოეღო და იქ შერბოდნენ ზოგიერთები. ქალიც იქ შევარდა. თიო ისევ ძნელაძის ქუჩაზე დაბრუნდა. კიბეებზე აირბინა და კარი გააღო. უცნაური სიჩუმე შემოეგება. ოთახში შესულმა საწოლზე ჩამომჯდარი კოკა დაინახა. კალთაში ცირას თავი ედო. ცირა ირიბად იწვა საწოლზე და თვალის გუგები შიშისგან გაფართოებოდა. მისი ჩამოშლილი თმები კოკას მუხლებზე ეფინა. კოკა თმებზე ეფერებოდა ქალს. თემური კინაღამ გადაირია. შეშლილივით მივარდა მეგობარს და უხეშად უღრიალა.

— ადექი! გადი ოთახიდან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რამ გაგაცოფა? – გაუკვირდა კოკას და წარბებს ქვემოდან ახედა.

–გაეთრიე-მეთქი! – ისევ უყვირა ამხანაგმა. ისეთი სახე ჰქონდა, რომ კოკა სასწრაფოდ წამოხტა და მეორე ოთახში გავარდა.

ცირა ისევ საწოლზე იწვა. თითქოს არც ესმოდა, რა ხდებოდა ირგ-ვლივ. თიო გვერდით მიუჯდა და ეჭვიანად მიეფერა თმაზე. არავის ჰქონდა უფლება, ასე მოჰფერებოდა ცირას. არც კოკას და არც სხვა ვინმეს.

ქალი წამოჯდა, გაფითრებული სახე თემურისკენ მიატრიალა და დაიჩურჩულა:

– მეშინია, ხელები მომხვიე.

ხელისგულები ცივი და ოფლიანი ჰქონდა. თვალები ამღვრეოდა. თიოს შეეშინდა.

– წყალს მოგიტან! – თქვა და წამოდგომა დააპირა.

– არა! – თითქმის იკივლა ცირამ და საყელოში ჩაეჭიდა ვაჟს. მერე ისე მოხდა, რომ ცირა გაშმაგებული კოცნიდა თემურს ღაწვებსა და ტუჩებში. ზორციელ სურვილში ჩაინთქა რისხვა და აღშფოთება. გაზაფხულის ავბედითი ღამის სისასტიკე. თავადაც „გაზით" გაბრუ-ებული თემური ქალის სხეულიდან ისრუტავდა იასამნის მიმქრალ სურნელს.

– ღმერთო ჩემო, ნუთუ შენთვის პირველი ვარ?! – დაიბნა ვაჟი. ფანჯრიდან შემოჭრილი სავსე მთვარე კუთხეში მდგარ დიდ სარკეში ირეკლავდა ჩახვეული ქალისა და მამაკაცის აჩრდილებს.

უღიმღამოდ გათენდა. გამოფხიზლებულ ვაჟს წინა ღამის სასაკ-ლაო გაახსენდა და სიცოცხლის ხალისი გაუქრა. ქვეცნობიერიდან რაღაცის გამოტანას შეეცადა და უეცრად მიხვდა, ცირასთვის სულერ-თი იყო, ვისთან იქნებოდა იმ ღამით. ეს მხოლოდ ავადმყოფური სურვი-ლი იყო ნახევრად შეშლილი ქალისა, მარტოობისა და შიშისგან თავ-დასაღწევად.

საბაზანოში გასულ თემურს კოკა შეეფეთა. მეგობარმა თვალი არ გაუსწორა, ისე უთხრა:

– გარეთ ვიყავი, ქალაქი ტანკებითაა გატენილი. ისევ გავალ. ვნახავ, რა ხდება. ვინ იცის, რამდენია დაღუპული.

ცირა სახლში წავიყვანოთ და მეც გამოგყვები, – თქვა თიომ.

კოკას თავი არ აუწევია, ისე ჩაილაპარაკა:

– სჯობს საავადმყოფოში მივიყვანოთ, ნამდვილად მოწამლულია.

— თვალს მარიდებს, — გაიფიქრა თემურმა.

ნუთუ ისეთი არამზადა ვგონივარ, მოწამლულ და გონდაკარგულ ქალს რომ დაეტაკება?

თავის მართლებას აზრი არა აქვს. ერთს ვეტყვი მხოლოდ, რომ შეხვედრის პირველ დღიდანვე მიყვარდა ცირა.

კარი გაიღო და საწოლი ოთახიდან ცირა გამოვიდა. დაჭმუჭნული კაბა ეცვა და ფეხშიშველს, გახეული წინდები ეჭირა ხელში.

— დაიმსხვრა შუშის ქალაქი! — თქვა და საბაზანოში შეავიდა. თემურს თითქოს ბურთი გაეჩხირა ყელში და დაახრჩო.

კოკა კარს ეცა, გარეთ გაიჭრა და ხმაურით დაეშვა კიბეებზე. თიო დაბნეული იდგა დერეფანში და აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა. ერჩივნა, მიწა გასკდომოდა და შიგ ჩაეტანა.

ღამეულმა ხოცვა-ჟლეტამ უხეშად ჩაწიხლა მისი სიყვარული. ხორციელ ორგიად აქცია. იასამნისფერი ქალიშვილი ჟინით სავსე, ავ-ხორც ქალად იქცა. ცირა იმ ღამით დაიმსხვრა და თემურიც ნამს-ხვრევებში ჩაიყოლა.

ფეხშიშველი ცირა უხმოდ გამოვიდა საბაზანოდან.

— აჰა, ესენი ჩაიცვი, — შესთავაზა თიომ და კოკას ნახმარი, ძველი „კედები“ გაუწოდა.

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. უხმოდვე გავიდნენ გარეთ. ორივეს ახველებდა.

სასტუმრო „ივერიასთან“ სროლის ხმა მოესმათ.

— უნივერსიტეტთან ისვრიან, — უხსნიდა ვიღაც კაცი ქუჩაში გამოსულ მეზობლებს.

სანაპიროსკენ რომ ჩაუხვიეს, თიო ნაცნობებმა შენიშნეს და მანქანა გაუჩერეს. მანქანაში ორნი ისხდნენ. გლოვის ნიშნად შავი ზონრებით წაეკრათ თავი.

— საავადმყოფოში მიგვიყვანეთ, — სთხოვა თიომ და ბიჭებმაც რესპუბლიკურ საავადმყოფოსკენ გააქანეს მანქანა. ქალაქი დაღუპუ-ლებს გლოვობდა. სახლების აივნებსა და ფანჯრებზე შავი ნაჭრები იყო გამოფენილი. თავწაკრული ახალგაზრდები გაბმული საყვირით დააქროლებდნენ მანქანებს და ეს იყო დარბეული ქალაქის დაუმორჩი-ლებლობის გამოხატულება. ცირა საავადმყოფოში მიიყვანეს და სხვა მოწამლულებთან ერთად პალატაში მოათავსეს. თემური დაემშვიდობა. ქალს ხმა არ გაუცია. არც კი შეხედა, პალატიდან რომ გადიოდა.

ორი კვირის შემდეგ, ცირას სანახავად მისულ თემურს კიბეზე კოკა შემოხვდა. თიოს როგორღაც არ ესიამოვნა ეს ამბავი, თუმცა არაფერი უთქვამს მეგობრისთვის.

პალატაში შესულს, ცირა საწოლზე წამომჯდარი დახვდა. მის გარდა, კიდევ ორი გოგო იწვა ოთახში. თიოს დანახვისას ცირა შეცბა და იასამნისფერი თვალები გაეყინა.

– როგორ ხარ? – მორიდებულად იკითხა ბიჭმა.

ქალმა პასუხი არ გასცა. საწოლზე დაემხო და ტირილი აუვარდა. მისი შემყურენი, სხვებიც ცუდად გახდნენ.

ცირას მეზობელი, ავადმყოფური სახის, გამხდარი გოგო, რკალივით გადაიზნიქა საწოლში, თავი უკან გადააგდო და თვალები გადაატრიალა. გვერდით პალატაშიც კრუნჩხვები დაეწყო ვიღაცას. ოთახში ექიმები და ექთანები შემოცვივდნენ. ექიმმა ხელკავი გაუკეთა თემურს და დერეფანში გაიყვანა.

– ჯაჭვური რეაქციის მსგავსი რაღაცაა, – თქვა მან, – ერთი რომ ცუდად გახდება, ყველას გადაედება ხოლმე ისტერია. თქვენმა ნახვამ ცუდად იმოქმედა ავადმყოფზე. ცოტა ხანს ნუ დაენახვებით.

თემური გულდამძიმებული გამობრუნდა საავადმყოფოდან. მას შემდეგ, რამდენიმე თვე, სულ არ უნახავს ცირა...

– ცირა! – იყვირა თიომ და წამოჯდომა სცადა. მერე თითქოს მიხვდა, სადაც იყო და ღონემისდილი მიეგდო თივაზე.

– რა გაღრიალებს, – ჩასძახა ჩასკენილმა, შავგვრემანმა ბიჭმა, – ვერა ხედავ, ჯერ არა გვკლავენ?!

– რა ქელი ხარ? – გაუკვირდა თემურს.

– სამი დღეა ხელით გაჭმევ და ვეღარა მცნობ?! გოდერძი მქვია. ყვარლიდანა ვარ.

ახლაღა გაახსენდა გაბრუებელ თემურს,ხელჩაკიდებული რომ დაჰყავდა ვიღაცას საპირფარეშოში.

ბოსლის კარები გაიღო და კიდევ ორი ტყვე შემოაგდეს შიგ.

– ესენი ხომ ჩვენები არიან, ჩემი რაზმელები, – გაუელვა თიოს გონებაში.

– რა ამბავია, ბიჭებო, გარეთ? – იკითხა და სვანებს დააშტერდა.

– რაღა რა ამბავია, დალოცვილო, გაგრა დაიკარგა! – ჩაილაპარაკა ლურჯთვალება სვანმა და სახე მოეღრიცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი 2

დამარცხებული ქართული ჯარი ქალაქს ტოვებდა. მოსახლეობა შეშფოთებამ მოიცვა. ვერც მეომრებს და ვერც მოსახლეებს ვერ გაეგოთ, რა მოხდა სინამდვილეში. შეტევამდე თორმეტი საათით ადრე ქართველთა მხარემ საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა მოწინააღმდეგეს, ბზიფის და ალახაძის მიმართულებით. დილის ხუთ საათზე მებრძოლებმა სასიგნალო შაშხანები მოამზადეს, რათა შეტევის წინ შვეულმფრენებს დაებომბათ მტრული პოზიციები. აღმოჩნდა, გასაფრენად გამზადებულ შვეულმფრენებს საწვავი არ ჰქონდათ. სანამ საწვავს იშოვიდნენ, შვეულმფრენები შეყოვნდნენ, დაიგვიანეს და ცარიელ ალაგს დაარტყეს. აფხაზთა შეტევის დროც ცნობილი იყო და ქალაქის მისადგომებიც — დანაღმული.

მაგრამ ჯერ იყო და მოწინააღმდეგემ საქონელი გამოუშვა ამ მხარეს. მერე, ნაღმების ნაწილი საერთოდ არ აფეთქებულა. ქალაქში შეპარულმა ჩრდილოკავკასიელებმა ეზოებიდან და სახლებიდან ნაღმტყორცნები აამოქმედეს. ქართული ჯარის ყველაზე ორგანიზებულმა შენაერთებმა, „ორბისა“ და „თეთრი არწივის“ ბიჭებმა, ბრძოლით დაიხიეს უკან და ტყეებს შეერივნენ. იქიდან პარტიზანულად განაგრძეს ბრძოლა. ქალაქში შეჭრილმა გამძვინვარებულმა რაზმებმა მოსახლეობა გაძარცვეს და დაარბიეს.

გაოგნებულ მცხოვრებლებს სახლებში უვარდებოდნენ და წინააღმდეგობის გამწევთ ადგილზევე ხვრეტდნენ. ვინც გასაქცევად ემზადებოდა და ვერ მოასწრო, ეზოებიდან გამოყარეს, სტადიონისაკენ გარეკეს და იქ დახოცეს. მრავალი ქართველი აფხაზთა ოჯახებმა გადამალეს და დაიფარეს იმ გადამთიელებისგან, რომელნიც სისხლის ღვრასა და კაცისკვლაში ფულსა და გამორჩენას ეძებდნენ.

ქალაქის აღებიდან რამდენიმე კვირის შემდგომ, ომარ ჩარგაზია სომეხ მეზობელთან ერთად შევიდა ძველ გაგრაში მდებარე პატარა სასადილოში. მეზობლები მაგიდას მიუსხდნენ, ბოთლი არაყი და საუზმე შეუკვეთეს. მზარეული, რომელმაც სასადილო შეისყიდა და მისი მეპატრონე გახდა, ომარის კარგი ნაცნობი იყო. ომარს გაქცევა არც უფიქრია. აქაურები იცნობდნენ და ფიქრიც არ ჰქონდა, რომ რაიმე ცუდი შეემთხვეოდა. ჩვეულებისამებრ ყავარჯნებს ეყრდნობოდა და მკერდზე სამამულო ომში მიღებული ორდენები და მედლები ეკეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის იყო თითო ჭიქა უნდა გადაეკრათ, რომ სასადილოსთან სამხედრო „ვილისი“ გაჩერდა და იქიდან რამდენიმე ჯარისკაცი გადმოვიდა. ჯარისკაცები სასადილოში შევიდნენ და ცარიელ მაგიდას შემოუსხდნენ. ომარმა მათ შორის თანასოფლელი რუდიკ ფილია შენიშნა და შორიდან მიესალმა. რუდიკა, ეტყობოდა, მაგარი ნასვამი იყო. ჯერ უაზრო თვალებით შეხედა მეზობელს და იცნო რა, აფხაზურად შეაგინა.

— შენი ძმისშვილი ჩვენს წინააღმდეგ იბრძვის, შენი დედაც! — დაიყვირა და ომარისკენ გაემართა.

ომარი დაიბნა. მზარეული დახლიდან წამოიწია, თითქოს დახმარება სურდა, მაგრამ რუდიკამ მუქარით აუქნია ხელი და ცოფიანივით მიიჭრა მეზობლის მაგიდასთან.

— მოღალატე ხარ და პარაზიტი! განა არ მახსოვს, როგორ მცემე ბავშვობაში, თევზსაჭერი ბადე რომ მოგპარე? — იღრიალა და სახეში გაარტყა ხეიბარს.

ომარი სკამიდან გადავარდა. სცადა მაგიდის ფეხს ჩასჭიდებოდა და როგორმე ყავარჯენს მისწვდომოდა, მაგრამ ბრტყელსახიანმა ჩრდილოკავკასიელმა, ღაწვზე რომ დიდი ხალი აჯდა, ავტომატის წვერი წაჰკრა ჯოხს და მოშორებით გააცურა. ჯარისკაცებს სიცილი აუტყდათ. მოხუცი იატაკზე დაფოფხავდა და ყავარჯნებთან მიღწევას ცდილობდა. როგორც კი მიუახლოვდებოდა საყრდენს, ხალიანი ფეხს წაკრავდა და გვერდზე გააცურებდა.

სომეხს ოფლმა დაასხა. ადგომაც სცადა, მაგრამ გააკავეს და თითქმის ბოთლი არაყი ჩაასხეს ხახაში.

გაბრუებულს თავი მაგიდაზე დაუვარდა და ბურანში მოესმა, როგორ ხორხოცებდნენ ხეიბრის წვალების შემყურე ჯარისკაცები. როდესაც გასართობი მობეზრდათ, ბრტყელსახიანმა იარაღი ამოიღო, მოხუცს თავზე დაადო და უთხრა:

— გესროლო თუ არ გესროლო? მაკოცე ჩექმაზე!

ომარმა მხოლოდ ერთი წამით გაუშტერა თვალი, თავი ღახარა და ბრტყელსახიანს ჩექმაზე დააფურთხა. იარაღი გავარდა და ჩარგაზია უსულოდ დაეცა იატაკზე. დახლთან მდგარ მზარეულს თვალები ჩაუწითლდა და ხელები აუკანკალდა. რუდიკამ პირი დააღო. ისიც კი არ ელოდა ამგვარ დასასრულს.

— წავიდეთ! — ზიზღნარევი ხმით ბრძანა ხალიანმა და გასასვლელისკენ გაეშურა.

მკვლელები სასადილოდან გავიდნენ. მზარეულმა მკვდარი სარდაფში ჩაათრია და არყით გამობრუჟულ სომეხს მოსულიერება დაუწყო. ძლივს მოიყვანა გონზე და სთხოვა, სასწრაფოდ დაბრუნებულიყო სოფელში.

— მკვდარი მაინც ნახოს მისმა ცოლმა, — ამბობდა მზარეული, — თუ არადა, ძაღლივით ჩააგდებენ სადმე, საერთო ორმოში.

ომარის გვამი სარდაფში დაასვენეს და ზედ ძველი ტომრები გადააფარეს.

.... ბიცოლა პიტოს მეუღლე ხშირად დადიოდა ნაცნობებსა და მეზობლებში. შინ მუდამ გვიან ბრუნდებოდა. ამიტომ ისე მოხდა, რომ ცოლმა ყველაზე გვიან შეიტყო ქმრის დაღუპვის ამბავი. პიტო მძიმე ნაბიჯით დადიოდა ეზოში და მსუქანი სახიდან ოფლს იწმენდდა. უზარმაზარი წიფლის ქვეშ, ხის სკამზე, მეზობლის ქვრივი იჯდა და მოთქმით წყევლიდა ფილიების გვარს. ქვრივი ხმელი, მაღალი ქალი იყო. შავებით შემოსილი და ბოხი, მამაკაცური ხმის პატრონი.

— გეყოფა! — გააწყვეტინა პიტომ მოთქმა, — როგორმე მანქანა უნდა ვიშოვო და ჩემი მკვდარი წამოვიღო. ეზოში უნდა დავფლა ომარი. წიფლის ქვეშ უნდა დავიმარხოო! — ასე ამბობდა თვითონაც. ნეტავ ბეჟანს მაინც გაეგო მამამისის ამბავი. უმისოდ უნდა დავიტიროთ მოკლული.

— ვია, ვაი! — თავში ხელი შემოირტყა ქვრივმა. სკამიდან წამოვარდა, კოჭებზე შემდგარ ერთსართულიან ხის სახლში შევარდა. კედლიდან პავლე ბაბუას სურათი ჩამოხსნა, გულზე მიიკრა და ისევ ფილიების წყევლას მოჰყვა, ბოხი, ვაჟკაცური ხმით.

იმ საღამოს, ბიცოლა პიტომ სედანიანი „მოსკვიჩი" იშოვა მეზობლებში და ქმრის მეგობარ სომეხთან ერთად ქალაქისკენ გაეშურა. სედანში ბრეზენტი იყო ჩაფენილი და ზედ მანდარინები ეწყო. შეიარაღებულმა პირებმა რამდენჯერმე შეაჩერეს მანქანა და სედანი გაჩხრიკეს.

საგუშაგოებზე კაზაკები იდგნენ.

ჭირისუფლებმა მშვიდობიანად მიაღწიეს ქალაქს და სასადილოს ეზოში დააყენეს მანქანა. ალიონზე ომარის გვამი სარდაფიდან ამოიტანეს, ბრეზენტი გადააფარეს და ზედ ისევ მანდარინები დააწყვეს.

უკანა გზაზე, საგუშაგოზე „მოსკვიჩი" ისევ შეაჩერეს. ჯარისკაცების ნაწილი შეეცვალათ. ერთმა მათგანმა, რომელიც ღამითაც იქ იყო, იცნო მანქანა და გაუკვირდა, ისევ მანდარინები რომ დაინახა სედანზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყობილი. ბრეზენტს ხელი წამოავლო და მანდარინებიანად გადმოათრია ძირს.

– მეც არა ვთქვი, რა სუნია-მეთქი აქა? – ჩაილაპარაკა მეორემ. ისედაც წითური პიტო მთლად გაჭარხლდა და წარმოუდგენელი სისწრაფით გადაეფარა გვამს.

– ამას მაინც ნუ წამართმევთ. თუ არა და მეც აქვე მომკალით! – ყვიროდა ცრემლებმომდგარი.

ხმაურზე საგუშაგოს უფროსი მიუახლოვდათ.

– რაშია საქმე, ვინ არის ეს ქალი? – იკითხა მან.

– მკვდარი ჩემი ქმარია, – იყვირა პიტომ, – სამამულო ომის ინვალიდი, უფეხო. აი, მაგის ორდენები და მედლები. სულ მკერდზე ეკიდა საცოდავს.

ქალი მიცვალებულს მივარდა და ორმოცდაათი წლის სიძველის ორდენები და მედლები ააგლიჯა მაისურიდან.

– აი, შეხედეთ! საბჭოთა სამშობლოს იცავდა. თქვენ კი მოკალით და მკვდარსაც აბუჩად იგდებთ?!

– გაუშვით ეს ქალი! – ბრძანა საგუშაგოს უფროსმა. – Мой отец тоже фронтовик, стыдно. Пусть увозят своего.

პიტომ ქმრის გვამს ბრეზენტი გადააფარა და ნელი ნაბიჯით გასცილდა კაზაკს.

სოფელს რომ მიუახლოვდნენ, მზის გავარვარებული წითელი ბურთი ჰორიზონტზე ოდნავ მაღლა იდგა. კრიალა, უძრავი წყალი სარკესავით ირეკლავდა მზის სხივებს. სახლებს უკან მანდარინის ბაღები მოჩანდა. ეზოებში, ჯერაც მოუმწიფებელი, ჯუჯა ლეღვის ხეები ჩაცუცქულიყვნენ. ფაცხებიდან წამოსული კვამლის სუნი ტრიალებდა ჰაერში. პიტო მანქანიდან გადმოვიდა და სანაპიროზე გაიარა. ფეხსაცმელები გაიხადა და ფეხშიშველი გადავიდა ქვებზე. ხელი შუბლთან მიიტანა და ჰორიზონტს გახედა.

– ოჰ, როგორ გიყვარდა ამომავალი მზის ცქერა, ომარ, – დაიჩურჩულა ქალმა და ცივ წყალში შედგა დასივებული ფეხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი 3

გომურში ხუთნი იყვნენ დატყვევებულნი. თივაზე მიგდებულ თემურს გოდერძი ეჯდა გვერდით. იქვე სვანები ეწეოდნენ ქაღალდში გახვეულ თამბაქოს და დაბალი ხმით ერთმანეთში არჩევდნენ რაღაცას.

— ეს რაღას აკეთებს? — გაუკვირდა თემურს და კუთხეში, მუხლებზე მდგარი მოხუცისკენ გააქნია თავი.

— ლოცულობს, — აუხსნა გოდერძიმ, — ზაქარია ჰქვია. ბრძოლის დროს ჩვენთან ერთად იყო. დაჭრილები რომ გაჰყავდათ, მაშინ დაატყვევეს აფხაზებმა. დაჭრილები დახოცეს და ეგ კიდევ აქ წამოიყვანეს.

ზაქარიას ყავისფერი, თვინიერი თვალები და საოცრად მშვიდი სახე ჰქონდა. ლოცვას რომ მორჩა, ისიც ბიჭებთან ჩამოჯდა.

— რაღა დროს შენი ბრძოლაა, მოხუცო? — ღიმილით შეეკითხა თემური.

— ბრძოლა მე ვიცი, თორემ თქვენ ჯერ კიდევ ბავშვები ხართ, — ნაწყენი ხმით უპასუხა ზაქარიამ, — მთელი სამამულო ომი მაქვს გამოვლილი. ოცდაერთი წლის ბიჭი მოხალისედ წავედი და პოლონეთში დავასრულე ომი. მაშინ სხვა რწმენით ვიბრძოდით. ჩვენს უზარმაზარ კომუნისტურ სამშობლოს ვიცავდით.

— ლოცვაც კომუნისტებმა გასწავლეს? — გაეხუმრა გოდერძი.

— ეგ სულ სხვა ამბავია, — თქვა მოხუცმა, — თუ გინდათ, მოგიყვებით როგორ ვისწავლე ლოცვა.

ტყვეებს სხვა საქმე რა ჰქონდათ და მოხუცის ირგვლივ შეეყუჩდნენ მოსასმენად.

— ეს ამბავი 1944 წლის გაზაფხულზე მოხდა, — დაიწყო თხრობა ზაქარიამ. — ჩვენი ასეული დასავლეთ ბელორუსიაში, ტყეში იდგა, დაახლოებით ოცდაათი კილომეტრის დაშორებით დაბა როკიტნოდან.

მახსოვს ასეულის უფროსმა დაბაში გამგზავნა. დამავალა, სანნაწილში შემევლო და ბიჭებისთვის წამლები წამომეღო. იქვე იყო საველე ჰოსპიტალიც, სადაც რამდენიმე დაჭრილი უნდა მომენახულებინა. მე და ჩემი ამხანაგი მოტოციკლეტით წამოვედით. ბილიკები კარგად ვიცოდით და გზის გაკვლევა არ გვიჭირდა. გზაში მოტოციკლეტი გაგვიფუჭდა. ამხანაგი იქვე დარჩა, იფიქრა, მოტოციკლეტს

შევაკეთებო. მე კიდევ გზის გაგრძელება გადავწყვიტე. თუ ჯარისკაცი დაზიანებულ ნაწილს შეაკეთებდა, დამეწეოდა და ერთად განვაგრძობდით გზას. შუადღეს რომ გადასცილდა, დაბაში ჩავაღწიე, ბიჭებიც მოვინახულე და წამლებიც ავიღე სანნაწილში. უკან დაბრუნებას რომ ვაპირებდი, ექთანმა გამაჩერა. ახალგაზრდა ქალს ნინა პულმანი ერქვა. მირჩია, ფეხით წასვლა არ ღირს. ღამით მოგიწევს ტყეში სიარული. სადგურთან ახლოს ჩემი ახლობლები ცხოვრობენ. მათთან მიგიყვან. ღამეს გაათევ და დილით წახვალ შენს ნაწილშიო.

წავედით იმ ოჯახში. რკინიგზის ხიდს რომ მივუახლოვდით, საზენიტო ბატარეები დავინახე. სამხედრო ფორმაში ჩაცმული ქალებიც იქვე ტრიალებდნენ.

– ქალების ასეული დგას „ზენიტკებთან", – ამაყად განმიცხადა ნინამ. სულ ახალგაზრდა გოგოები იყვნენ. ვისაც მოვასწარი და დავაკვირდი, ოცდახუთ წელზე მეტის არც ერთი არ იქნებოდა. როგორც იქნა, მივედით ნინას ახლობლებთან. ერთსართულიანი კოხტა სახლი ჰქონდათ პატარა ეზოთი. ცოლ-ქმარი და ორი პატარა ბიჭი შეადგენდა ოჯახს. სასტუმრო ოთახში, დიდ, აგურის ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა და სასიამოვნო სიმყუდროვეს ქმნიდა. ბუხრის პირდაპირ, კედელზე, ფანჯრიდან ხელმარჯვნივ, ყაზანის ღვთისმშობლის ძველთაძველი ხატი ეკიდა. ოთახში რომ შევედი, პირველად რატომღაც ხატი დავინახე. გარდაუვალი განსაცდელის წინათგრძნობამ მომიცვა და ძლივს მოვწყვიტე თვალი. ცოლ-ქმარმა შესანიშნავად მიგვიღო. სუფრაც გაგვიშალეს. მეც ჩანთიდან ორცხობილები და კონსერვები ამოვაწყვე. ოჯახის თავმა არაყი გამოიტანა და თითოც გადავკარით. ნინა მალე წამოდგა. სანნაწილში უნდა დავბრუნდეო, აიჩემა. მადლობა ვთქვი, ნინა ცოტა მანძილზე გავაცილე და უკან დავბრუნდი. მასპინძლებმა სასტუმრო ოთახის გვერდით, პატარა საძინებელში გამიშალეს ლოგინი. ხეირიანი ჩაძინებულიც არ ვიყავი, როდესაც ოთახში სახლის პატრონის ბიჭი შემოვარდა და გაღვიძება დამიწყო.

– ამხანაგო ჯარისკაცო, გაიღვიძეთ, ცაში გუგუნია, – რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მანჯღრევდა ბავშვი.

საწოლზე წამოვჯექი და ყური მივუგდე ხმაურს. არაფერი ისმოდა.

ვიფიქრე ალბათ, მოეჩვენა-მეთქი რაღაც. რატომ უნდა დაინტერესებულიყვნენ გერმანელები ისეთი უმნიშვნელო ადგილით, როგორიც

F 117.022
3
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

როკიტნო იყო. ვითომ რკინიგზის ხიდის გამო? აქაც საზენიტო არტილერია იდგა.

მაშინ არ ვიცოდი, რომ ამ რაიონში, ასოცი კილომეტრის ზოლზე ყველა ობიექტი უნდა დაბომბილიყო.

ბიჭი დავამშვიდე და ისევ ძილს მივეცი თავი. შუაღამისას გუგუნის ხმამ გამომაღვიძა. საწოლიდან წამოვვარდი და ფანჯარასთან მივიჭერი. თვითმფრინავებს „პარაშუტებით" მაშხალები გადმოეკიდათ და დღესავით განათებულიყო არემარე.

„Немцы фонары повесили!" – ყვიროდა სახლის პატრონი.

დაბომბვა დაიწყო. ქვემოდან ქალთა საზენიტო არტილერია ამოქმედდა. ირგვლივ ყუმბარები სკდებოდნენ და სილიან ნიადაგში უზარმაზარ ღრმულებს აჩენდნენ. მთელი ოჯახი ბუხართან შეგროვდა. ოჯახის უფროსს ბავშვებისთვის მოეხვია ხელი და გაფითრებული ტუჩებით რაღაცას ჩურჩულებდა.

„Боже матка, помоги грешникам" – მუხლებზე დაეცა დიასახლისი და კედელზე დაკიდებულ ღვთისმშობლის ხატს თავი მოუდრიკა.

გამწარებული ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავით. გარეთ გასვლა საშიში იყო. რადგან ყუმბარები სკდებოდნენ და იშლებოდნენ. არც სახლში დარჩენა შეიძლებოდა. უეცრად სახლს ცეცხლოვანი ყუმბარა დაეცა და აშიშინდა. სახლის პატრონმა ელვის სისწრაფით ჩამომგლიჯა ნაბადი მხრებიდან და ყუმბარას გადააფარა. იმ წუთას ფიქრიც ვეღარ შევძელი. გონება სრულიად გადამეკეტა. სასოწარკვეთილმა ხატს შევხედე და გულში ვიყვირე:

– ვიწამებ, ოღონდ ახლა გადამარჩინე!

სახლის გვერდით მსკდომარე ყუმბარა დავარდა და უზარმაზარი ღრმული შექმნა ფხვიერ ნიადაგში. გამახსენდა, ერთსა და იმავე ადგილას ყუმბარა იშვიათად ეცემა ორჯერ. გაუცნობიერებლად ვეცი კედელს. ხატი ჩამოვგლიჯე და გულზე მივიკარი.

– მომყევით, – ვუყვირე დანარჩენებს.

ბავშვები წინ გავიგდე და ფანჯრისკენ გავიქეცით. პირველად ბავშვები ჩახტნენ ღრმულში. მეც მათ მივყევი და ზედ გადავეფარე. უკან სახლის პატრონის ცოლი და მასპინძელი გადმომყვნენ. ორმოში ვიწექი და „ღმერთო მიშველეს" ვიმეორებდი გაუთავებლად. თითქოს

უსასრულო ხანი გავიდა. ღვთისმშობლის ხატი კვლავ მკერდზე მქონდა მიკრული.

როდესაც დაბომბვა შეწყდა, ღრმულიდან ამოვედით. ცეცხლი და ნანგრევები იყო ირგვლივ. სახლის წინა ნაწილი მთლიანად დანგრეულიყო. მხოლოდ სასტუმრო ოთახი და ის კედელი გადარჩა, სადაც ყაზანის ღვთისმშობლის ძველთაძველი ხატი ეკიდა. ოჯახი შინ შებრუნდა და პატრონმა ნანგრევებისგან გასუფთავებას მიჰყო ხელი. ხატი კედელზე დავაბრუნე და სანნაწილში გავიქეცი.

ნინა ცოცხალი დამხვდა. თავი მაგიდაზე ედო და ქვითინებდა.

— ქალების ასეული განადგურდა, ხიდიც მოსპობილია, — ამოიზლუქუნა და სასოწარკვეთილი თვალებით შემომხედა.

— სანიტრები და საკაცე მომეცი, — ვუთხარი და შევანჯღრიე. რამდენიმე კაცი გამაყოლა თან. იქით გავიქეცით, სადაც ადრე ხიდი გვეგულებოდა. საზენიტო ასეულის განლაგების ადგილას ყუმბარებს ორმოები ამოეთხარათ. შენს მტერს, რაც იქ დაგვხვდა. გვამებიც აღარ არსებობდა, მხოლოდ ნაფლეთები.

— სულ ახალგაზრდა გოგონები იყვნენ, — ჩაილაპარაკა სანიტარმა და ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი მოიწმინდა.

მოულოდნელად ჩვენს თავზე თვითმფრინავი გამოჩნდა. სწრაფად დაეშვა და ცხვირთან ტყვიამფრქვევი აკაკანა. მიწაზე გავწექით. საშინელმა ხმაურმა ყურები წამართვა. ისევ ღმერთს ვუხმე საშველად და აცახცახებული ხელები თავზე გადავიფარე. უცნაურად ჟღერს, მაგრამ იმ ხმაურში კვნესა მომესმა და ჩემგან ხელმარცხნივ, ძალზე ახლოს, გულაღმა დაგდებული ქალი დავინახე. არ ვიცი რამ გამაბედვინა, რაც მაშინ ჩავიდინე. არის სიცოცხლეში ისეთი წუთები, როდესაც შეუძლებელს აკეთებ და შემდეგ თავადაც გიკვირს.

სანამ გერმანელთა გამანადგურებელი ჰაერში ახალ წრეს შეკრავდა, წამოვვარდი, დაჭრილისკენ გავიქეცი და ზედ გადავეფარე. ხელები თავზე მქონდა გადაჭდობილი და სახე-ქალის სახეზე მიდებული. ტყვიამფრქვევის კაკანმა გააყრუა არემარე და ზეცაში დაიკარგა. როგორც იქნა, თვითმფრინავი მოგვშორდა. წამოვდექი და სანიტრებს დავუწყე ძებნა. ორივე სანიტარი მკვდარი ეგდო. ქალი ჯერ კიდევ სუნთქავდა. მუცელში იყო დაჭრილი. ხელში ავიყვანე და ჰოსპიტალში წავლასლასდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– წყალი! – ქართულად დაიჩურჩულა ქალმა.

– რაო? – გავშტერდი და სახეში ჩავაცქვერდი მომაკვდავს.

– წყალი! – გაიმეორა დაჭრილმა.

– რა გქვია? – ვკითხე და დამშვიდება დავუწყე, – ახლავე მივალთ წყალთან. ყველაფერი კარგად იქნება. შენ მხოლოდ ყოჩაღად იყავი.

– ზინაიდა მქვია, – დაიჩურჩულა ქალმა, – ზინაიდა გაბისკირია.

დაჭრილი ჰოსპიტალში მივიყვანე და იქ დავტოვე. მითხრეს, სასწრაფო ოპერაცია დასჭირდებაო. იქიდან მობრუნებულმა ისევ ნინას ახლობლებს მივაკითხე. ვთხოვე, სადმე წამოვწვები და ცოტას წავუძინებ-მეთქი. მკვდარივით მივეგდე საწოლზე და თურმე მთელი დღე და ღამე მეძინა. ალიონზე ხმაურმა გამომაღვიძა. ქვაფენილზე, სახლთან ახლოს, დროგში შებმულმა ცხენმა ჩაიარა. დროგის ხმაზე კანკალი ამივარდა. ამ ხმამ ვიოლინოს ჯოხივით გადაიარა ჩემს დაჭიმულ ნერვებზე და სიმებივით ამათამაშა. ციებიანივით ვხტოდი საწოლზე. ძლივს დავწყნარდი. საწოლიდან წამოვდექი, ხატთან მივედი და ღმერთს მადლობა შევწირე.

– ის გოგო თუ გადარჩა? – იკითხა გოდერძიმ.

– ის ერთადერთი იყო, ვინც გადარჩა განადგურებული საზენიტო ასეულიდან. მინსკში ყოფნისას დიდ ჰოსპიტალში ვინახულე. იქ გადაეყვანათ. თავს კარგად გრძნობდა და გასაწერად ემზადებოდა. ომის შემდეგ დიდხანს ვეძებდი, მაგრამ ვერ ვიპოვე.

– ცოლ-შვილი სადა გყავს, ბაბუა? – შეეკითხა თიო მოხუცს. თან დაძაბული იხსენებდა, სად ჰქონდა გაგონილი ზინაიდა გაბისკირიას სახელი.

– ცოლ-შვილი არა მყავს და არც მყოლია არასოდეს. სწორედ ჩემისთანამ უნდა იბრძოლოს, – უპასუხა ზაქარიამ.

– ზინა ბებო! – ძლივს გაიხსენა თიომ, – გიგის ბებია. გიგი ორ წლამდე ბელორუსიაში იზრდებოდა. მშობლები ავტოკატასტროფაში დაეღუპა და ბებიამ ჩამოიყვანა საქართველოში.

– ჩემი მეგობრის ბებიას ჰქვია ეს სახელი, თქვენ რომ ახსენეთ, – წამოსცდა თემურს.

მოხუცს სახე დაეძაბა. შემდეგ ხელი ჩაიქნია.

– რამდენს აქვს ერთნაირი სახელი და გვარი. თავადაც რამდენი მოვძებნე იმ გოგოს სეხნია. ანდა რა მნიშვნელობა აქვს ამას ახლა.

– ნეტავი ყვარელში დამსვა! – ინატრა გოდერძიმ, – ტბასთან

წამოვწვებოდი, ხეების ჩრდილქვეშ. ღვინოს ჩამოვისხამდი და მშობლიური ველ-მინდვრების სადღეგრძელოს ვიტყოდი. დაღუპული ბიჭების შესანდობარს შევსვამდი.

— მერე, მერე რას იზამდი? — ჰკითხა თიომ.

— მერე ისევ აქეთ გამოვბრუნდებოდი, ერთიანი საქართველოს დასაცავად.

ტყვეები ჩაჩუმდნენ. შუადღის ხვატმა გომურშიც შემოაღწია და ბიჭები მოთენთა. ის იყო თემურს ჩათვლიმა, რომ კარები ჭრიალით გაიღო და გომურში სამი კაცი შემოვიდა. ბიჭმა, წითელარმიელის ქამარი რომ ეკეთა წელზე, ჩამტვრეული წინა კბილები გამოაჩინა და კუთხეში ჩამჯდარი სვანებისკენ გაიშვირა თითი.

— ესენი მზვერავები არიან, ერთ რაზმში ვიყავით, — თქვა მან.

— მოღალატე! — უყვირა თემურმა და ჩამტვრეულკბილებიანი არამზადისკენ გაიწია. თემურს კაზაკები მივარდნენ და ძლივძლივობით გააკავეს. სვანები გარეთ გაიყვანეს.

ორივე დაბალი იყო, ქერა და ლურჯთვალება. მგლის თვალებით უცქერდნენ მტერს და სვანურად აგინებდნენ. ისინი სოფლის განაპირას გაიყვანეს და ორმო გაათხრევინეს. იქვე მიახვრიტეს და თავისსავე გათხრილ ორმოში ჩაყარეს.

მოხუცი ზაქარია მუხლებზე იდგა და სასიკვდილოდ გაყვანილ-თათვის ლოცულობდა. სროლის ხმაზე წამოხტა და ჩაილაპარაკა: „უთხრა სატანამ ადამს და ევას: მიიღეთ ეს ვაშლი და გახდებით, რო-გორც ღმერთი, კეთილისა და ბოროტის მცნობელი“.

თავი 4

დეიდა პიტომ ეზოში, დიდი ცაცხვის ძირას დამარხა ქმარი. ხეი-რიანად დატირებაც ვერ შეძლო. ცრემლები გამშრალი ჰქონდა. ადრინ-დელთან შედარებით უფრო მძიმედ და დინჯად დადიოდა ეზოში და უამრავ საქმეს აკეთებდა. სისუფთავის მიმართ ავადმყოფურად მგრძნობიარე გახდა. დღეში ათასჯერ წმენდდა მტვერს და გაუთა-ვებლად აპრიალებდა ფანჯრებს. ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. თითქოს ვერ ამჩნევდა, როგორ ხვრეტდნენ ხალხს; როგორ წვავდნენ და აცამტვერებდნენ სახლებს; როგორ დათესეს სიძულვილი და სიკვდილი.

ვინ? – ვინ და ომის კანონმა, რომელიც ათავისუფლებს ადამიანებს სინდისისგან. უსინდისოდ დარჩენილი ადამიანი ცხოველზე უარესი ხდება. ცხოველთა სამყაროც თავის კანონებს ემორჩილება. სინდისდაცლილი ადამიანი კი მხოლოდ ნგრევას და განადგურებას, რადგან არც ღვთის და არც ადამის კანონი აღარა აქვს.

პიტომ სროლის ხმას ყური შეაჩვია. შიშიც აღარაფრისა ჰქონდა.

– რად უნდა დავიმალო და სად უნდა გავიქცე, – ხმამაღლა ამბობდა მეზობლებში, – აქ დავიბადე და გავიზარდე. აქვე მოვკვდები. ჩემმა სულმაც აქ უნდა იტრიალოს, ომართან ახლოს.

... თორმეტი წლის გოგო იყო პიტო, პირველად რომ შეამჩნია ომარი. ზღვაზე საბანაოდ გასულს უთვალთვალებდა ხოლმე. გაფართოებული თვალებით უცქერდა ახალგაზრდის ფართო მხრებსა და მაღალ, დაკუნთულ ფეხებს. მეორე მსოფლიო ომის დროს ომარი ფრონტზე გაიწვიეს. სამი წლის შემდეგ ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული, მაგრამ უფეხო დაბრუნდა. ხეიბრად ქცეულს ბევრი ჯილდო და ერთი მაგარი და ჯანმრთელი ფეხი შერჩა. ერთხელაც სიმინდებში შეამჩნია ომარმა წითური და მწიფე ატამივით სასურველი პიტო. ყავარჯენს დაეყრდნო და ქალს მიუახლოვდა. ქალმაც ხელები გაშალა და გულისსწორს წელზე მოეხვია. ერთ თვეში პიტო ცოლად გაჰყვა ვაჟს.

– რა გინდა მაგ ცალფეხასთან, ვინმე უკეთესი ვერ გამონახე? – ეჩიჩინებოდნენ მეგობრები.

– რაც საჭიროა ყველაფერი რიგზე აქვს, – პასუხობდა გოგო და იცინოდა. ოცდაათს გადაცილებული იყო პიტო, ბეჟანი რომ ეყოლა. ომარის უმცროს ძმასაც ბიჭი შეეძინა. თბილისში ჩასიძებულმა შვილს თემური დაარქვა. ზაფხულობით თემური სოფელში ისვენებდა პავლე ბაბუასთან და ბიცოლა პიტოსთან. ის და ბეჟანი ზღვის პირას თამაშობდნენ, მეზობლის ბავშვებთან ერთად; ქვების და ქვიშისგან გვირაბებსა და სახლებს აშენებდნენ. პავლე ბაბუა ცხენოსნობას ასწავლიდა ბიჭებს. ბევრი მეგობარი ჰყავდა თემურს იქაურებში. განსაკუთრებით ვალერიკა ფილია უყვარდა. იმ რუდიკას ძმა, რომლის გამოც დაიღუპა ბიძია ომარი. სწორედ ვალერიკა ფილია დაინახა პიტომ ცაცხვის ხესთან მდგარი, როდესაც ჭიშკრის ხმაურზე აივნიდან გამოიხედა. შავი თავსაფარი წაიკრა თავზე და მძიმე ნაბიჯით გაეშურა ცაცხვისკენ. წითური სახე მთლად გაუჭარხლდა, როგორც აღელვე-

ბისას ემართებოდა ხოლმე. ბიცოლა პიტო დაუპატიჟებელი სტუმრის შორიახლოს გაჩერდა და სახიდან ოფლი მოიწმინდა.

– შენ აქ არ უნდა მოდიოდე! – თქვა მან. – აქ ჩემი ქმრის საფლავია!

ვალერიკას წარბიც არ შეუხრია.

– თემური დაატყვევეს და მინდა დავეხმარო, – უპასუხა ხმადაბლა და ზურგით ხეს მიეყრდნო.

– შენ აქ არ უნდა მოდიოდე! – დამარცვლით გაუმეორა პიტომ.

– ყარაულების მოქრთამვაა საჭირო. ხალხიც დაგვჭირდება და მოტორიანი ნავიც. მარტო ჩვენ ვერაფერს ვწყვეტთ, – აუღელვებლად განაგრძო კაცმა.

პიტომ თვალებში ჩახედა ბიჭს და სახლისკენ გატრიალდა. ფილია არ განძრეულა. ბიცოლა პიტომ ნიჩაბი გამოიტანა ფარდულიდან და ჭის კიდესთან მიწა გათხარა. ცოტა ხანში თიხის ქოთანი გამოთხარა, ხელში აიღო და ცაცხვის ხესთან დაბრუნდა.

– ეს ოქროს ჯაჭვი პავლეს მამის ნაქონია. აგერ კიდევ ჩემი და ომარის საქორწინო ბეჭდები. წაიღე ყველაფერი და თემური იხსენი! – თქვა ქალმა და ისევ თვალებში შეხედა ფილიას.

ვალერიკამ ქოთანი გამოართვა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა ეზოდან.

იმ დროს, როდესაც ვალერი ფილია ბიცოლა პიტოს ეზოდან გადიოდა, თემური თივაზე იყო მიწოლილი და გოდერძის უამბობდა უიღბლო სიყვარულის ამბავს.

– გოგო მიყვარდა, გოდერძი, თვალები იასამნისფერი ჰქონდა. სადაც ჩაივლიდა, იასამნის სურნელს ტოვებდა. ქარმა მომიტანა თავის მათრობელა სუნთან ერთად და ქარმავე წამართვა.

აპრილის ამბების შემდგომ ორი თვე არ მინახავს ცირა. ივლისი დაწყებული იყო, წყნეთში რომ მოვკარი თვალი. ნასვამი ვიყავი და პირდაპირ სახლში მივადექი. ლამაზი ხის სახლი ცირას მამას ეკუთვნოდა. ჭიშკარი ღია დამხვდა. ეზოში, აუზის პირას გოგონები იწვნენ და მზის აბაზანას იღებდნენ. ჩემს დანახვაზე ჩურჩული დაიწყეს. ღონე მოვიკრიბე. კიბეზე ავირბინე და დავაკაკუნე. კარები გადაჭრილ „ჯინსებში“ გამოწყობილმა, მაღალმა გოგომ გამიღო. ვერანდიდან ჟრიამულის ხმა გამოდიოდა. მგონი სტუმრები ჰყავდათ.

– ცირას ნახვა მინდოდა, რამდენიმე წუთის საქმე მაქვს, – ვუთხარი მორიდებულად. გოგო შებრუნდა და ცირა გამომიგზავნა. პირი მიშრებოდა. სულ გადამავიწყდა, რისი თქმაც მინდოდა.

— გამარჯობა, — მითხრა ცირამ და გაიღიმა.

ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს მხოლოდ გუშინ დავცილდით ერთმანეთს. ვფიქრობდი, ცირაც იგივეს განიცდიდა და ყველანაირი უფლება მქონდა მასზე. ალბათ, ყველაფერი სასმელის ბრალი იყო.

— ქუჩაში დაგელოდები, ჩემთან წავიდეთ! — ვთქვი და თავადაც გამიკვირდა, როგორ გავბედე ამდენი.

— შეუძლებელია, — მიხსნიდა ცირა, — სტუმრები გვყავს, ეგებ შემოგვიერთდე.

— ქუჩაში დაგელოდები! — გავუმეორე და კიბისკენ გავტრიალდი. თითქმის საათი ვიდექი გარეთ. სახლი ნაძვნარში იდგა და წიწვის სურნელით გაჟღენთილიყო ჰაერი. მგონი მთელი კოლოფი სიგარეტი დავცალე. მერე მანქანა ავიყვანე და თბილისში დავბრუნდი. სახლში მარტო ვიყავი. კარადიდან არაყი გამოვიღე და პატარა ჭიქით გადავკარი. ტახტზე წამოვწექი და თითქოს ჩავთვლიმე კიდეც. ზარის ხმამ გამომაღვიძა. საათს დავხედე. თორმეტი ხდებოდა. გამიკვირდა, რადგან არავის ველოდი. ქვედა საცვლის ამარა წამოვდექი და კარი გამოვაღე. ზღურბლზე ცირა იდგა. იმ წუთას ნებისმიერს ველოდი, ცირას გარდა. ისე გავშტერდი, შემოპატიჟებაც ვერ მოვახერხე.

— ისინი ისევ ქეიფობენ, — მითხრა ქალმა და უხერხულად შეიშმუშნა, — სუფრიდან გამოვიპარე. ძლივს ვიშოვე თბილისში მომავალი მანქანა. მძღოლი მოვატყუე, დედა გამიხდა-მეთქი ცუდად.

დამუნჯებული ვერაფერს ვპასუხობდი. ცირა ისევ კარებში იდგა და უცნაურად შემომცქეროდა. მთელი დღის დაძაბულობა უეცრად მომეხსნა სხეულიდან. ხელები გავშალე და ქალს მოვეხვიე. სავსე მთვარე ანათებდა ისე, როგორც იმ პირველ ღამეს და თვითონაც მთვარეულივით ვიყავი. ფანჯარა გამოვაღე და ცირასთან ერთად დედიშობილა გავეხვიე მათრობელა ვერცხლისფერ შუქში. ცაზე ვარსკვლავები დატრიალდნენ და მეც მათთან ერთად დავტრიალდი უკიდეგანო სივრცეში.

— სიყვარულით დგას სამყარო! — ჩურჩულებდა ზეცა და ეს ჩურჩული ჩამესმოდა გაუთავებლად.

— მიყვარხარ! — მეუბნებოდა ქალი და თავდავიწყებით ვიძირებოდი მის ჯადოსნურ, იასამნისფერ თვალებში.

ზღვის მორევის მსგავსი თვალები ჰქონდა ცირას. მორევივით ჩამითრია სიყვარულშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ნეტავ სადმე კუნძულზე დამსვა შენთან ერთად, – ვეუბნებოდი გამთენიისას, – ოკეანის ნაპირას სახლს ავაშენებდი, დიდი ვერანდით. ვერანდაზე თეთრ როიალს დავდგამდი. დამკვრელებს მოვიყვანდი და ძველებურ ვალსებს დავაკვრევინებდი მზის ჩასვლის დროს. თეთრ კაბაში გამოწყობილს ფირუზისფერ საყურეებს გაგიკეთებდი და შენთან ერთად ვიცეკვებდი მუსიკის ჰანგებზე.

– როგორ გეტყობა, რომ მხატვარი ხარ, – ეღიმებოდა ცირას, – თუ გაქვს დახატული შენი კუნძული და თეთრი როიალი?

უსაზღვროდ ბედნიერები ვიჯექით საწოლზე და ძველი ყუთიდან ამოღებულ ჩემს ნაცოდვილარ ტილოებს ვათვალიერებდით.

– ბავშვები თუ გიყვარს, ცირა? – ვკითხე მაშინ. – სოფელი დავხატე ავადმყოფი და უპატრონო ბავშვებისთვის. მოუვლიდი ასეთებს?

ცირა მომეხვია და კოცნით მიპასუხა. ჩემი ოცნება იყო ამ ბავშვებისთვის სოფლის აშენება, რათა ოდნავ იმაზე უკეთესი გამხდარიყო ქვეყანა, ვიდრე დღეს არის. მხატვრებმა კარგად იციან, ფუნჯის იოლი მოსმა ან ფერის ოდნავი მიმატებაც ცვლის თითქოსდა დასრულებულ ნახატს. აუმჯობესებს ან აუარესებს მას. ასევეა სამყაროშიც.

ბედნიერებისთვის, ზოგჯერ ერთი სწორად დადებული აგურიც საკმარისია. ჩემი ოცნებები ცირას ოცნებებად იქცნენ. მახსოვს, როგორი შეშფოთებული თვალები ჰქონდა, პირველად რომ წავიყვანე ბავშვთა სახლში. იქ მეგობარი მყავდა, პატარა ოთარი. ოთარს ყველაფერი ესმოდა, მაგრამ არ ლაპარაკობდა. მას შემდეგ დამუნჯდა, რაც დედამისი სახლში შემოვარდნილმა ყაჩაღებმა ცხელი უთოთი აწვალეს. ყაჩაღებს აზრადაც არ მოსვლიათ ფარდის გადაწევა, სადაც ფანჯრის რაფაზე ბავშვი იდგა და შიშისგან ცახცახებდა. დედა დაიღუპა. ბიჭმა ადამიანების ნდობა დაკარგა. ძალიან რთული იყო ამ ნდობის დაბრუნება. ოთარი მენდო, რადგან ძალიან უყვარდა ხატვა. ქალაქგარეთ მიმყავდა ხოლმე მანქანით. ლამაზ ადგილს ამოვირჩევდით, მოლბერტებს გავშლიდით და ვხატავდით. ის თავისთვის, მე ჩემთვის და უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის. მერე ცირაც შემოგვიერთდა და სამნი გავხდით. მე, ოთარი და ცირა. ბედნიერებას გვანიჭებდა ცირას ხმა, სიცილი, იასამნისფერი თვალები და საერთოდ ყველაფერი. ყოველი დღე საკვესე იყო ჩვენთვის, რადგან ნამდვილი სიყვარული იყო ჩვენთან. ფირუზის საყურე ვაჩუქე და რას წარმოვიდგენდი, ეს დაწყევლილი

საყურე თუ გახდებოდა ჩვენი განხეთქილების მიზეზი. მაშინ ხომ ერთ-მანეთისთვის ვარსებობდით ხალხშიც და ხალხის გარეშეც.

აგვისტოში ცირა აფხაზეთში წავიდა დასასვენებლად. მის მეგობარს სახლი ჰქონდა ლიძავაში და იქით გაეშურნენ ორივენი. უმისოდ კვირაც ვერ გავძელი და მეც იქითკენ გავემართე. ბიცოლა პიტოსთან ჩავედი სოფელში. მე და ბეჟანმა ვალერიკა მოვინახულეთ, ჩვენი ბავშვობის მეგობარი. მითხრა, შენს გოგოს ისეთი პატივი უნდა ვცეთ, სიბერეშიც ახსოვდესო. თეთრი „ვოლგით" ჩავედით ლიძავაში. ცირა და მისი ამხანაგი ფაცხაში დავპატიჟეთ. შებოლილ ხორცს და შამფურზე შემწვარ კალმახებს მივირთმევდით. ზედ შამპანურს ვაყოლებდით. საკმაოდ ნასვამები ვიყავით, ბიჭვინთაში რომ გადავწყვიტეთ წასვლა. ხეივანში მანქანით შევსრიალდით და სწორედ იმ შენობას მივადექით, სადაც ბარი „ოქროს საწმისი" გვეგულებოდა. იქვე ლავრიკა გველოდებოდა, ჩვენი ახლობელი. ბარში წამოგყვა და საუკეთესო მაგიდა შეგვირჩია, ვერანდასთან ახლოს. ბარი გერმანელებით იყო სავსე. მაგნიტოფონი ჩაერთოთ და მაგიდებს შორის წყვილები ტრიალებდნენ. ლავრიკამ შოკოლადები და კონიაკი მოგვართვა. გოგოები ფორთოხლის წვენს და ნამცხვარს მიირთმევდნენ. ისე ვიჯექი, რომ შემოსასვლელ კარებს ვხედავდი. შემოსულებს შორის კოკა შევნიშნე და ადგილიდან წამოვხტი.

— როდის ჩამოხვედი? — გახარებული მივეგებე მეგობარს.

— კვირა სრულდება, რაც აქ ვარ. ბიჭებს გამოვყევი, — მითხრა და ჩვენს მაგიდას მიუჯდა. შეხვედრის სადღეგრძელო დავლიეთ და ერთმანეთი მოვიკითხეთ. კოკამ კონიაკიანი ჭიქა ასწია და ცირას სადღეგრძელო შესვა.

— ნებას მომცემ, შენს ქალბატონთან ვიცეკვო? — მკითხა სხვათაშორის.

თავი დავუქნიე. ცირა წამოდგა და ორივენი საცეკვაოდ გაემართნენ. ისეთი ლამაზი იყო ცირა, როგორიც არასდროს. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები და შავი, ზურგზე მოღებული კაბა ეცვა. წაბლისფერი თმა ჩამოშლილი ეფინა მხრებზე. ძლივს მოვწყვიტე თვალი და ბეჟანს შევხედე. ჩასხმული და წითური უხერხულად დაბაჯბაჯებდა. ქერათმიან, მაღალ გერმანელს ეცეკვებოდა.

— დათვი პარკეტზე! — ჩაეცინა ლავრიკას. ცირას მეგობარს მოჰკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხელი და აივანზე გაიყვანა. მე და ვალერიკა შევრჩით ერთმანეთს და სასმელიანი ჭიქები მივაჭახუნეთ.

— ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს, — მითხრა ძმაკაცმა, — სიყვარული კარგია, მაგრამ კაცებს შორის მეგობრობა უფრო მაღლა დგას. რაც არ უნდა მოხდეს, იცოდე ყოველთვის შენს გვერდზე ვიქნები.

მერე ბარმენთან მივიდა და რაღაც ჩაულაპარაკა. ბარმენმა ფირფიტა გამოცვალა.

— შენი საყვარელი სიმღერა დავადებინე, — მითხრა მაგიდასთან დაბრუნებულმა.

თვალებით ცირას ვეძებდი და ვერ ვპოულობდი. ვერც კოკა დავინახე. გული უცნაურად შემეკუმშა.

— ერთი წუთით გავალ! — სიტყვა მივუგდე ვალერიკას და გასასვლელისკენ გავექანე. ერთი სართულით ქვემოთ, საპირფარეშო მეგულებოდა. შიგ შევვარდი. ვიღაც ქალები სარკესთან თმას ისწორებდნენ. ჩემს დანახვაზე სიცილი აუტყდათ. ალბათ, მაგარი მთვრალი ვეგონე. ლიფტი გამოვიძახე და ქვემოთ ჩავედი. შენობასთან აბლოს ნაცნობი არავინ იდგა.

— ბრიყვის როლში ვარ, — გავიფიქრე და ისევ ლიფტს ვეცი. ლიფტიდან რომ გამოვედი, კიბის თავთან ცირა დავინახე. სახე შეშუპებოდა, საღებავიც გადასცლოდა თვალებიდან. პირთან ცხვირსახოცი ჰქონდა მიფარებული. კოკაც იქვე იდგა.

— ცირა ცუდად გახდა. საპირფარეშომდე მივაცილე, — ამიხსნა მან. ფეხები გამიცივდა. ქალს მივუახლოვდი და ცხვირსახოცი ავაგლიჯე პირიდან. თვალში მეცა, რომ ცირას მხოლოდ ცალი საყურე ეკეთა.

— სად არის მეორე საყურე? — ვთქვი და თავადაც არ მომეწონა ჩემი ჩახლეჩილი ხმა. გოგომ სასწრაფოდ ყურზე იტაცა ხელი.

— არ ვიცი სად გაქრა, — მითხრა დაბნეულმა, - ალბათ საპირფარეშოში მომძვრა.

— მოძებნე! — ცივი ხმით ვუბრძანე და კოკას ზურგი შევაქციე. ცირა საპირფარეშოში შევიდა. ცოტა ხანს ძირს იფათურა და გამობრუნებულმა შეშინებული თვალებით შემომხედა. აღარაფერი მითქვამს. ვიგრძენი, თითქოს გულში ჩამწყდა რაღაც. მოვტრიალდი და კიბეები ისე ავიარე, კოკასკენ არც გამიხედავს. დახლთან ვალერიკა იდგა და ჭიქაში კონიაკს ისხამდა. მაგნიტოფონი მთელი ძალით ღრიალებდა. ბურუსში ვხედავდი მოცეკვავე წყვილებს. მეგობარს მანქანის გასაღები

გამოვართვი და სასწრაფოდ დავბრუნდი გასასვლელთან. ცირა კიბეზე შემეფეთა. ხელკავი გავუკეთე და ლიფტში შევიყვანე. კოკა გამქრალიყო. ქვემოთ რომ ჩავედით, მანქანის კარი გამოვაღე და ცირა გვერდით მოვისვი. შეშლილივით მოვწყდი ადგილიდან. ლიძავაში გავაქანე მანქანა.

— სად გაქრა საყურე? — გაუთავებლად ვეკითხებოდი გზაში, — ჩემთვის მხოლოდ ქალი არ ყოფილხარ, ცირა. არც საყურე იყო მხოლოდ საყურე. ის ფირუზი ჩვენი სიყვარულის თილისმა იყო. დაუფიქრებლად გენდობოდი ყველაფერში. შენ კი რწმენა დამაკარგვინე.

ცირამ მკლავზე მომიჭირა ხელი.

— მაპატიე, ვეცდები ყველაფერი აგიხსნა, — დამიწყო ხვეწნა. ლიძავის სანაპიროსთან შევჩერდი და ქალს მანქანიდან გადასვლა ვუბრძანე.

— რაღა უნდა ამიხსნა. გადადი მანქანიდან! — ვუღრიალე უხეშად. ცირა ქვიშაზე გადავიდა. თვალები ცრემლით ავსებოდა.

— ჭომისმინე მაინც, — მომაძახა და მანქანის კარებს ჩაეჭიდა. მანქანა დავძარი. თმებჩამოშლილი და ნამტირალევი მარტოდმარტო დავტოვე ზღვის ნაპირას. საკმაოდ გვიანი იყო.

უკაცრიელი სანაპირო მოწყენილი ხვდებოდა ტალღებს. მოკრიალებულ ცაზე ცელივით მთვარე ანათებდა. გზაზე გიჟივით მივქროდი. ჩემი ოცნების ქალი უხარისხოდ დამზადებულ თოჯინასავით ჩამატყდა ხელებში.

სხვა ვინმე მაინც ენახა. რაღა ჩემს ბავშვობის მეგობარს მიადგა და ისიც ჩემს თვალწინ, - ვფიქრობდი გამწარებული.

ბიჭები ბარში დამხვდნენ. ცირას ამხანაგიც მათთან იყო. ის და ლავრიკა მშვენივრად შეწყობილიყვნენ. ლავრიკას ხელი გადაეხვია ქალისთვის და წამდაუწუმ ყურში ეჩურჩულებოდა რაღაცას.

— დამისხით! — მოვითხოვე და კონიაკი გადავკარი. ზიზღით შევხედე ცირას მეგობრის წითლად შეღებილ ტუჩებს და მიბნედილ შავ თვალებს.

— ყველა ერთი ჩამოსხმა ხართ! — წამომცდა ჩემდაუნებურად.

— სასმელი ბევრი მოგივიდა! — მითხრა ლავრიკამ და მხარზე დამადო ხელი.

ბარიდან რომ გამოვდიოდით, ზღვასთან შეგროვილ ახალგაზრდებს მოვკარი თვალი. ხმელი ტოტები მოეგროვებინათ და კოცონი დაენთოთ.

ვიღაც ბიჭი გიტარას უკრავდა. ორი გოგო ფეხშიშველი ცეკვავდა ქვებზე. დანარჩენები კოცონს ირგვლივ შემომსხდარიყვნენ და პირ-დაპირ ბოთლიდან სვამდნენ არაყს, რომელსაც წრეზე დაატარებდნენ.

კოკა ქვებზე იწვა და სიგარეტს ეწეოდა. გინებით გავემართე მისკენ. წამოჯდომაც არ ვაცალე, ისე მივვარდი და ცემა დავუწყე.

— რისთვის? — იყვირა და სცადა ხელიდან გამსხლტომოდა.

— ღალატისთვის! — ვუღრიალე და სახეში მუშტი დავარტყი. ჭიდაობით დავგორდით ზღვისკენ. ისედაც დალილავებულს საყელოში ვწვდი და წყალში ჩავაყოფინე თავი.

— რას შვრები კაცო, ახრჩობ? — მეცა ბეჟანი და ნაცემი მეგობარი ხელიდან გამომგლიჯა.

კოკას სახე დალურჯებოდა და ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა. ძლივს ითქვამდა სულს. მუშტებს ვიქნევდი და მთელს მაგათ თავყრილობას უშვერად ვაგინებდი. უმოწყალოდ მთვრალი მიმიყვანეს ბიცოლაჩემთან. ასე დამთავრდა ჩვენი სიყვარულის ისტორია, — მწარედ ჩაიცინა თემურმა და გოდერძის გადახედა.

გოდერძი დუმდა და თანაგრძნობით შეჰყურებდა ამხანაგს.

— ეჰ, ნეტავი მეც მყვარებოდა ვინმე, — ჩაილაპარაკა სინანულით, — როდესმე გავაღწევთ კი აქედან?

— უნდა გავიქცეთ! — წამოსცდა თემურს.

გოდერძიმ თვალები გააშტერა და გომურის ჭერს ახედა. ჭერი შელახული იყო. წვიმის წყალი ტყვეებთან ჩადიოდა და თივას ალპობდა. გომურში მცველი შემოვიდა და ტყვეებისთვის საჭმელი შემოიტანა. თან სამხედრო ფორმაში ჩაცმული უცნობი შემოჰყვა. თიოს ეცნო მისი სილუეტი, თუმცა ბინდბუნდში სახე ვერ გაარჩია. უცნობმა საწვიმარი შეისწორა და მცველს ჩაულაპარაკა:

— არა, ის ღორი აქ არ არის! როცა იქნება, ვიპოვი და ჩავაძაღლებ! — შემდეგ სიგარეტს მოუკიდა და თემურს სხვათაშორის გაჰხედა.

— ლავრიკ! — კინაღამ იყვირა თიომ, მაგრამ დროულად მოიკვნიტა ენა.

— გარეთ დაგელოდები! — გასძახა ლავრიკამ ზედამხედველს და კარებისკენ გაემართა.

ახალმოკიდებული სიგარეტი კედელზე ჩააქრო და კუთხეში მოისროლა. როდესაც მცველიც გარეთ გავიდა, თემური კუთხეში დაგდებულ ნამწვს მივარდა. თამბაქო ამოყარა და ქაღალდი გაშალა.

— დილისთვის მზად იყავი. საპირფარეშოში ფიცარია გადახერხილი, — ძლივს ამოიკითხა წვრილი ასოებით დაჯღაბნილი.

თიოს მთელი ღამე არ უძინია. განთიადზე ცოტა წათვლიმა და უცნაური სიზმარი ნახა. თითქოს, ბიცოლა პიტოს სახლში კაზაკი ესტუმრა. წითელი, ქუსლიანი ჩექმები ეცვა და თეთრი ხიფთანი ემოსა. კაზაკი პავლე ბაბუას ოთახში შევიდა და კედელზე დაკიდებული ხანჯალი ჩამოხსნა.

— ხელი არ ახლო! ეგ ხანჯალი ჩემია! — იყვირა თემურმა და საკუთარმა ყვირილმა გამოაღვიძა. ალიონი იყო. საკმაოდ გრილოდა ნაწვიმარზე.

— გოდერძი! — შეანჯღრია თიომ მეგობარი, — გაიღვიძე, საქმე მაქვს შენთან! — გოდერძი ძლივს გამოფხიზლდა.

— საპირფარეშოში ფიცრებია გადახერხილი. ნიშანს ველოდები გასაქცევად.

გოდერძიმ გაოგნებულმა შეხედა თემურს. ის იყო ხმის ამოღებას აპირებდა, რომ თიოს ნაცნობმა კაზაკმა ახალი ტყვე შემოიყვანა. ახლად მოყვანილი მთლად ბავშვი იყო. თექვსმეტი წლისა ძლივს იქნებოდა. თემურს კაზაკის დანახვაზე გონება დაებინდა. წამოხტა, ქამარში სწვდა მტერს და ძირს დაანარცხა.

— სად არის ჩემი ხანჯალი, ქურდო?! — ყვიროდა გაავებული. ხმაურზე მცველები შემოცვივდნენ. აჯანყებული ფეხქვეშ გაიდეს და წიხლებით სცემეს. სასტიკად ნაცემი კუთხეში მიაგდეს და გინებით გაიკრიფნენ. ჩალურჯებული ტყვე გოდერძიმ და ზაქარიამ თივაზე დააწვინეს. მოხუცმა პერანგი დახია და ფერდები შეუკრა ნაცემს.

— ნეკნები დამტვრეული აქვს, — ჩუმად გადაულაპარაკა გოდერძის. თიომ დაიკვნესა და ჩახლეჩილი ხმით მოუხმო ამხანაგს:

— აღარ ვვარგივარ, ძმაო, ჩემს მაგივრად შენ უნდა გაიქცე! არ ვიცი ოდესმე ცოცხალი გავაღწევ თუ არა აქედან.

— გამაგრდი! — ჩურჩულებდა გოდერძი, — რასაც ჩავიფიქრებ ყოველთვის მისრულდება ხოლმე. ჩაფიქრებული მაქვს, ყვარელში, ტბის პირას ვიქეიფოდ ერთად.

— მანქანის ხმა მესმის. ნახე რა ხდება, — უთხრა თემურმა მეგობარს და ხელზე მოუჭირა ხელი.

გოდერძიმ მუშტები დაუშინა კარებს. მცველმა კარი გაუღო და საპირფარეშომდე მიაცილა. საპირფარეშოში მიმავალმა ტყვემ თვალის კუთხეებით შენიშნა, რომ შორიახლოს „ვოლგა“ გაჩერდა, საიდანაც ფორმიანი კაცი და ორი ახალგაზრდა ქალი გადმოვიდა.

ქალები იცინოდნენ და შემოხვეულ მცველებს ესაუბრებოდნენ. ფორმიანმა დაცვის უფროსი გაიყვანა მოშორებით, რაღაცას უხსნიდა ხმადაბლა. გოდერძიმ იმით ისარგებლა, რომ მთელი ყურადღება ქალებისკენ იყო მიმართული. გადახერხილი ფიცრები გადასწია და საპირფარეშოდან გადაფოფხდა. მიწაზე გართხმულმა, ჯერ ხოხვით გააგრძელა გზა. მერე წამოხტა, წელში მოხრილმა ჩაირბინა დაღმართი და ხეებს ამოეფარა. აგურის ორსართულიან სახლთან ლურჯი „ჟიგული" იდგა. უკანა კარი გამოღებული ჰქონდა. გოდერძი იქით გაექანა და მანქანაში შევარდა. მანქანა ელვის სისწრაფით გაეცალა იქაურობას. საჭესთან გამხდარი, ჩაყვითლებული კაცი იჯდა. შესახედავად რუსს ჩამოჰგავდა. მთელი გზა დუმდა და ეჭვის თვალით გახედავდა ხოლმე ტყვეს. როდესაც დაბლობზე გავიდნენ, მანქანა დაამუხრუჭა და გაქცეულს მიუბრუნდა.

– „Выходи. Там посты будут. Сказали сюда доставить. Дальше сам пойдешь!

გოდერძი მანქანიდან გადმოვიდა.

– ეცადე პირდაპირ იარო, ჭაობებით. ზღვის პირას მოტორიანი ნავი დაგხვდება. თეთრი ფერისაა, გვერდზე ფართო მწვანე ზოლით, – თქვა მძღოლმა და მანქანა დაძრა. გოდერძიმ გაქცეულ „ჟიგულს" თვალი გააყოლა და მძღოლმა რომ ასწავლა, იმ მიმართულებით წავიდა.

ოდნავ ქვემოთ საავტომობილო გზა კვეთდა დაბლობს. გზის იქით შლამით სავსე ტბა მოჩანდა. მოშორებით რომელიღაც ფერმა იდგა.

– იქით ჭაობებია, – გაიფიქრა ბიჭმა. სწრაფად გადაჭრა გზა და ტბისკენ გაიქცა. შორიდან ძრავის ხმა მოესმა. ბალახებში გაწვა, მაგრამ დააგვიანა. მანქანიდან შენიშნეს. „ვილისიდან" სამხედროები გადმოხტნენ და მისკენ წამოვიდნენ.

გოდერძი წამოვარდა და გაიქცა. მდევრები შორს იყვნენ. ერთ-ერთმა ავტომატი მოიხსნა და სროლა აუტეხა.

– სულ ცოტაც, ბიჭო, – ჩურჩულებდა გოდერძი და ზიგზაგებით მირბოდა ჭაობისკენ.

ბარძაყში ბიძგი იგრძნო და სისველემ შეაწუხა.

– დამჭრეს ძაღლებმა, – გაიფიქრა და ძლივს შეასწრო წყალ-მცენარეებში. მდევრები ტბამდე მიყვნენ გაქცეულს. ცოტა ხანს ნაპირთან იბოდიალეს და სისხლიან კვალს გადააწყდნენ.

— დაჭრილია! — თქვა მაღალმა სამხედრომ, — ფეხის გასვრას აზრი არა აქვს. თვითონვე ჩაკვდება ჭაობებში.

მეორემ, ყოველი შემთხვევისთვის, ერთხელაც ააკაკანა ავტომატი და დანარჩენებს უკან გაბრუნება უბრძანა.

გოდერძი ყელამდე შლამში იდგა და წყალმცენარეებს ეფარებოდა. ისეთი აგზნებული იყო, ტკივილსა და სისუსტესაც აღარ ეპუებოდა. მთელი სასიცოცხლო ენერგია ერთ აზრად გადაექცა, როგორმე ზღვის ნაპირამდე უნდა მიეღწია.

გაჩერება არ შეიძლება, — ბურდღუნებდა თავისთვის და რუმბივით დასივებულ და დამძიმებულ ფეხს მიათრევდა ჭაობში. კუსავით ნელა, მაგრამ მაინც უახლოვდებოდა სანაპიროს.

ჩამავალმა მზემ უკანასკნელი სხივები აკრიფა ტალღებიდან და ზღვაში ჩაიძირა. მზისგან დაცლილ, გაცივებულ ქვებზე ოთხით მიფოფხავდა შავი ლანდი.

— ნაპირზე ვიღაც მოჩანს! — უთხრა მოტორიან ნავში მჯდომმა ამხანაგს.

— ის არის ნამდვილად. მიაყენე ნავი! — უბრძანა ამხანაგმა. სანაპიროს რომ გაუსწორდნენ, ერთი მათგანი სწრაფად გადმოხტა და ქვებზე დაგდებული კაცისკენ გაიქცა. დაჭრილს მკლავებში ჩაეჭიდა და ნავთან მიათრია. სიცხისაგან გათანგული, ტალახიანი სხეული ნავში ჩააწვინეს და ძრავა ჩართეს. გოდერძი ხურდა. დამშრალი ტუჩები დახეთქოდა, თვალები არაბუნებრივად უბრწყინავდა. დასივებულ ფეხზე სისხლი და მიწა შეხმობოდა.

— სად არის თემური? — ჩასძახა მოტორიანი ნავის მძღოლმა. — მაგას ვერაფერს შეასმენ. ვერ ხედავ რა დღეშია? ნეტავ ადლერამდე ცოცხალი მიგვაყვანინა. ეტყობა, რაღაც გაუთვალისწინებელი მოხდა, თიოს მაგივრად ეს რომ მოგვევლინა, — უთხრა მეორემ.

დაჭრილი ყრუდ კვნესოდა და ფართოდ გახელილი თვალებით შეჰყურებდა ზეცას. ვარსკვლავებით გადაჭედილ ღამის სიმშვიდეს არ ადარდებდა, რომ სამყაროს პატარა წერტილში „ბეტერეები“ და ტანკები გულს აგლეჯდნენ ისედაც გულდამძიმებულ დედამიწას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი 5

გოდერძი ოფლისა და წამლის სუნით გაჟღენთილ პალატაში იწვა და სიცოცხლეზე ფიქრობდა. ყოველ ბედნიერ წუთსა და წამს იხსენებდა, რაც კი ჰქონია ცხოვრებაში და გადაჭრით არ სურდა სიკვდილი. თუნდაც ფეხი მოეჭრათ. რაც უნდოდათ ის გაეკეთებინათ, ოღონდ არ გამქრალიყო იმის შეგრძნება, რომ არსებობდა, სუნთქავდა და აცნობიერებდა საკუთარ პაწაწინა მეს. არასოდეს ასე ნათლად არ უგრძვნია, როგორი პირობითი ყოფილა საზღვარი არსებობასა და არარსებობას შორის. განა გონებით ხვდებოდა, მთელი სხეულით გრძნობდა ყოფიერების ფარდობითობას და მაინც უნდოდა ეყვირა, რომ არის და არ შეიძლება არ იყოს სამყაროში.

ტყუილად არ უთქვამს მოხუც ზაქარიას, მარტო თუ არ დარჩი სიკვდილთან, ვერ მიხვდები, რატომ ვლოცულობო.

— ღმერთო მიშველე! — მთელი გულით, სულით და გაჭირვებაში გაჩენილი რწმენით ლოცულობდა გოდერძი.

განგრენით შეჭმულ ფეხს მხოლოდ მაშინ იხსენებდა, როდესაც ძალიან შეაწუხებდა ხოლმე ტკივილი. საოპერაციოშიც საოცრად მშვიდად იყო.

სჯეროდა, რადგან ლოცულობდა, ღმერთი აუცილებლად დაიფარავდა. მოთმინებით ელოდა, როდის გაუკეთებდნენ ნარკოზს და ხორცის დამპალ, სიკვდილით შეჭმულ ნაწილს მოაცილებდნენ, რომ დანარჩენს, სიცოცხლის სურვილით გაჟღენთილს, — ეცოცხლა და კვლავაც განეცადა არსებობით განპირობებული სიტკბო და სიმწარე.

ოპერაციის შემდეგ გოდერძი დიდხანს მოდიოდა გონს. ათი დღის მერე სიზმარი ნახა. თითქოს ქალთან იყო. ფეხები ერთმანეთზე ჰქონდათ გადაჭდობილი. ფეხების სიმაგრე მამაკაცური სიძლიერის შეგრძნებას უმახვილებდა და ქალის სხეულით ტკბობას უძლიერებდა.

ოფლიანსა და დაცლილს გამოეღვიძა. მოჭრილ ფეხს ცეცებით დაუწყო ძებნა. პირველად მაშინ გააცნობიერა, რომ ხეიბრად იქცა. ბარძაყის ადგილას ცარიელ ზეწარს მოუჭირა ხელი და ცრემლები გადმოუგორდა. მიხვდა, არასოდეს ექნებოდა ისეთი ცხოვრება, როგორიც ადრე ჰქონდა. ერთ წუთში შეიცვალა მთელი სამყარო და გოდერძისათვის უჩვეულო ფორმა მიიღო. გაურკვეველი მომავლის

იშვიათად გვნახულობდა. მისი მისამართი ვიცოდი და ჯავრით გულ-შეჭმულმა ბინაზე მივაკითხე. კარები მსუქანმა ქალმა გამიღო. მგონი, მისი ცოლი იყო. რაღაცას ღეჭავდა და ბინძურ ხელებს იმშრალებდა წინსაფარზე. სამზარეულოში შემიძღვა, სადაც სპორტულ სამოსში გამოწყობილი მამაჩემი სადილს მიირთმევდა. თან გაზეთს კითხულობდა. ძალიან გაუკვირდა, რომ დამინახა. კიდევ უფრო გაუკვირდა, დედაჩემის ამბავი რომ მოვუყევი.

— რა გინდა ახლა, — მითხრა გაბოროტებულმა, — წამოგყვე და ვილაც ავტომატიან ნაძირალას შევებრძოლო დედაშენის გულისთვის? მისი ამბები დიდი ხანია აღარ მეკითხება.

რაღა მექნა. გულდამძიმებული გამოვბრუნდი. ისევ იმ ქალმა გამაცილა. გასიებულ მკერდზე ხალათს იკრავდა და ირონიულად იღიმებოდა.

სახლში არ დაბრუნებულვარ. რამდენიმე ღამე სადგურის მოსაცდელში გავატარე. სამი დღის მერე, სახლთან ახლოს, კალათბურთის მოედანზე ვილაცამ დამიძახა. ქუჩაში მანქანა ელოდებოდა. გაძიკვირდა, რა უნდოდათ ჩემგან?

— საქმე აქვთო, — მითხრა უცნობმა და მანქანისკენ გამიძღვა. მანქანაში ორნი ისხდნენ. დედაჩემის მეგობარი და ერთიც სხვა. დაჯდომა შემომთავაზეს. ვიფიქრე, მშიშარა არ ვეგონო-მეთქი და უსიტყვოდ ჩავჯექი. შუაში ჩამსვეს და სწრაფად მოსწყდნენ ადგილს. ქალაქგარეთ წამიყვანეს. მივარდნილ ალაგს გაჩერდნენ და გადმოსვლა მიბრძანეს. მეგონა, ჩემი მოკვლა უნდოდათ. გიგიმ, ასე ერქვა დედაჩემის მეგობარს, ქამრიდან იარაღი ამოიღო და სავაზნედან ტყვიები ამოყარა. სამი ტყვია გადათვალა და უკანვე ჩააწყო. იარაღი გამომიწოდა და ჩემგან თხუთმეტი ნაბიჯის მანძილზე დადგა.

— მესროლე! — მიბრძანა მან.

დანარჩენებს გადავხედე. ორი მოწმე „სეკუნდანტივით" ატუზულიყო მანქანასთან. ზიზღი და სირცხვილი შემომაწვა გულზე. სურვილი მქონდა, იქვე მიმეცხრილა სამივე. ხელი ამიკანკალდა, მაგრამ მაინც ზედიზედ სამჯერ გავისროლე და სამჯერვე განგებ ავაცდინე. არც ერთი მათგანი ადგილიდან არ დაძრულა.

სახეზე ოფლი გამომივიდა და თავბრუსხვევა ვიგრძენი. ხელი მომკიდეს და მანქანასთან მიმიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთის მოედანზე დავბრუნდით. გიგიმ გვერდზე გამიყვანა და მითხრა:

— წადი სახლში! აღარასოდეს მოვალ თქვენთან!

იმ საღამოს სახლში მივედი. დედა თავჩარგული დამხვდა. რომ დამინახა, თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ ახლოს მოკარება ვერ გაბედა. ღამით ჩემს საძინებელში შემოვიდა და სკამზე ჩამოჯდა. ცოტა ხანს ჩუმად იყო. მერე ტირილი დაიწყო. საწოლში გადავბრუნდი და თავი მოვიმძინარე. დედა გავიდა. კიდევ დიდხანს მესმოდა, როგორ ტიროდა მეზობელ ოთახში.

დილით ადრიანად გავედი სახლიდან. ნაცნობი ბიჭები საომრად წასვლას აპირებდნენ და ვიცოდი, სადაც იკრიბებოდნენ. ნებართვა არავისგან აგვიღია. ერთ-ერთის მანქანით ჩავედით ოჩამჩირში და შვეულმფრენით გადავფრინდით გაგრაში.

ტყვედ ისე ჩავვარდი, ბრძოლა ვერც მოვასწარი. ჩვენი ბიჭები ცოცხლები არიან თუ მკვდრები, არც კი ვიცი.

— ომზე უარესი რამ ქვეყნად არ არსებობს, შვილო, — თქვა მოხუცმა, - სათამაშოდ არ ომობენ. აქ შენისთანების ადგილი არ არის.

— მაშ თქვენ რატომ იბრძვით? — შეეკითხა ბიჭი.

— აქ დავიბადე და გავიზარდე. დედ-მამის ძვლებიც აქ მარხია და არ შემიძლია ჩემი მიწის მიტოვება.

ზაქარიამ ამოიოხრა და თემურს გახედა. თიოს არ ეძინა. თავისდაუნებურად მთელი საუბარი მოისმინა.

- ნუთუ ისე შევიცვალე, რომ ამ ბავშვმაც ვერ მიცნო? — ფიქრობდა და ბიჭს აკვირდებოდა.

თუმცა, თვითონაც ვერ იცნო კახა. აკი მხოლოდ ერთხელ ნახა იმ უცნაური ორთაბრძოლისას, როცა გიგი ჯიქურიძეს გაჰყვა მოწმედ. მეორე - კოკა იყო. სკოლის მერხიდან განუყრელი სამეული, — გიგი, თემური და კოკა.

თიო ფიქრებში წავიდა და გაიხსენა ისეთი გიგი, როგორიც ის გახდა სამოქალაქო ომსა და არეულობაში.

თავდაჯერებული და გათამამებული გადაშხლართულიყო საკარძელში. ფეხები მაგიდაზე ჰქონდა შეწყობილი. განუყრელი ავტომატი კედელთან მიეყუდებინა. თიო საშვისთვის მივიდა კომენდატურაში. დეკემბრის მოვლენები ახალი მომხდარი იყო და ქალაქის ყველა რაიონში საგუშაგოები გაეკეთებინათ.

— დაჯექი. კონიაკი არ გინდა? უამრავი სამუშაო გვაქვს. ძალიან გადავიღალე, — უთხრა გიგიმ და ჭიქაში კონიაკი დაუსხა.

ოთახში მილიციის კაპიტანი შემოვიდა.

— გიორგი! — მორიდებულად მიმართა ახალგაზრდას, — ჩვენს უბანში, რამდენიმე საგუშაგოზე, შეიარაღებული შეტაკება მომხდარა. იქ მისვლა და გარემოებათა გარკვევაა საჭირო.

გიგის ფეხებიც კი არ ჩამოუწევია მაგიდიდან. შუახნის მილიციის კაპიტანი გაჭიმული ალოდინა და ძლივს ამოღერღა:

— მერე რისთვის ხართ? წადით და გაარკვიეთ!

— მათთან ლაპარაკს თქვენ უფრო შეძლებთ, — განაგრძო ფეხზე მდგომმა კაპიტანმა.

ჯიქურაძემ მაგრად შეიგინა და მკვეთრი მოძრაობით წამოდგა სკამიდან.

— გამომიარე! — მიაძახა თემურს წასვლისას. — გასაღები მეზობელთანაა როგორც ყოველთვის. შინ თუ არ ვიქნები, შედი და დამელოდე.

თიომ რამდენიმე კვირის შემდეგ ინახულა მეგობარი. მანამდე როგორღაც ვერ მოიცალა. კარები ქერათმიანმა გოგონამ გაულო. სრულიად შიშველს, მხოლოდ ქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა ფეხზე.

თემური დაიბნა.

– მობრძანდით, შემოგვიერთდით, — მომხიბლავად გაიღიმა შიშველმა ქალბატონმა და სასტუმრო ოთახში შეუძღვა სტუმარს. თიო ოთახში შევიდა და მეორე შიშველ გოგონასთან ერთად ხალიჩაზე წამოწოლილი გიგი დაინახა. იქვე ნახმარი შპრიცები ეყარა. ოთახის კუთხეში ვიდეოტელევიზორი ჩაერთოთ პორნოგრაფიული ფილმებით. გიგიმ წამლით გაბრუებული თვალებით შეხედა მეგობარს და ხელი დაუქნია.

– მოდი, შემოგვიერთდი. ეს კინო რას მოვა ჩვენთან, ისეთ ამბებს ავტეხავთ. არა, ქალებო? — თქვა და შიშველ ქალბატონებს თვალი ჩაუკრა.

— საქმე მაქვს შენთან, გვერდზე გავიდეთ! — უხეშად უთხრა თემურმა.

— აბა, დაითესეთ აქედან! — მიუბრუნდა გიგი გოგოებს. ქალებმა ტანსაცმელი წამოხვეტეს და მეორე ოთახში გავიდნენ.

— სანდო ხალხმა მითხრა, საიდუმლო პოლიციამ თვალი დაგადო, — დაიწყო თიომ სათქმელი. - მონაცემები ჰქონიათ, თითქოს ვიღაც მდიდარი ბერძენის გატაცებაში ყოფილხარ გარეული.

იმ ბერძნის ნათესავებს ქურდები მოუყვანიათ და უბანში საქმე გაურჩევიათ.

ისიც იცოდე, ეს ამბავი ასე არ დამთავრდება.

— ქური-მურდი ფეხებზე მკიდია. მე ერთი კანონი მაქვს. აი, ამის კანონი, — აგდებულად განაცხადა გიგი ჯიქურაძემ და საჩვენებელი თითი ავტომატისკენ გაიშვირა.

— ბიჭო, გამოფხიზლდი! — უღრიალა თიომ და ხელით შეანჯღრია ამხანაგი — ქურდებს ვინ ჩივის. შენივე ხალხი აგიყვანს. ამდენს ვინ გაპატიებს. ისედაც ყველა გაგინებს. იმ ბერძენთან რა გინდოდა? კომერციულებსა და საწარმოებზე შეწერილი ფული არ გყოფნიდა?

— სამხილი არა აქვთ! — თქვა ჯიქურაძემ. — სამხილის გარეშე ვერ ამიყვანენ. ვერ გაბედავენ. სამაჩაბლოს დასაცავად წინა რიგებში რომ ვიბრძოდი, ის კარგი იყო?

— მერე, თავისუფლებისთვის ბრძოლით დაიწყე და ყაჩაღობით გინდა დაამთავრო? იცოდე, ჩვენი გზები გაიყოფა!

— შენ ჩემთვის გზის მაჩვენებელი არა ხარ! — განუცხადა გიგიმ მეგობარს.

უსიამოვნო საუბრიდან ერთი თვე გავიდა. თემური ქუჩაში მანქანას აჩერებდა. შემთხვევით გიგიმ ჩაუარა თავისი თეთრი „ნივით". თიოს რომ მოჰკრა თვალი, მანქანა დაამუხრუჭა, უკან დააბრუნა და ამხანაგს მოუხმო.

თიოს ძალიან შეცვლილი ეჩვენა ძველი მეგობარი. თვალებში სხივი ჩასდგომოდა და ბავშვური უშუალობა დაბრუნებოდა.

— შეყვარებული ვარ! — გამოუტყდა გიგი თემურს, — მასწავლებელი ქალი შემიყვარდა, ჩემზე ბევრად უფროსი. შვილიც საკმაოდ დიდი ჰყავს. პირველად რომ გავიცანი, მისმა სათვალეებმა და მეტისმეტმა განათლებამ საშინლად გამაღიზიანა. ასე მეგონა, თავისი ცოდნით მჩაგრავდა. ვფიქრობდი, ერთი მაგისი სათვალიანი სახე დამანახა იმ ქალებივით დამცირებული, წყვილ-წყვილად რომ მიგორდებიან-მეთქი ლოგინში. ამიტომაც გადავეკიდე თავიდან. მაგრამ ის სულ სხვაა. არ ვიცი, როგორ დამემართა და მართლა შემიყვარდა. საჩუქრებსაც არ ღებულობს ჩემგან. სიასამურის ბეწვის ქურქი ვუყიდე და სახლში მინდა ავუტანო. ათი წუთი დამელოდე. ახლავე ჩამოვალ.

გიგიმ სადარბაზოში აირბინა და გაოგნებული მეგობარი მანქანაში დატოვა. თიოს, რაღაც ძალიან ცუდისა და გარდაუვალის შეგრძნებამ დაუარა ტანში. სამი დღის წინ, ის ბერძენი ნიღბიან ხალხს ნათესავებისთვის დაებრუნებინათ. რამდენიმე მილიონი აეღოთ მის სიცოცხლეში.

ბერძენთა სათვისტომო გამწარებული იყო და ეს ამბავი სულ სხვა დატვირთვას იძენდა.

— უნდა ვურჩიო, ქალაქიდან გავიდეს, — გაიფიქრა თემურმა, — ეს კიდევ ქურქებს ყიდულობს დღისით, მზისით, ხალხის თვალწინ.

გიგი მალე ჩამობრუნდა. ხელში გახვეული ფუთა ეჭირა.

— უკან გამომატანა, — თქვა გულდაწყვეტილმა და მანქანა დაქოქა.

— რა ჯანდაბად მინდა ეს ქურქი. შენ წაიღე. ვინმე გეყოლება, ალბათ.

— რა გემართება, სულ გამოშტერდი? — გაღიზიანებულმა უთხრა თიომ.

— ვერ ხედავ, რომ ცალი ფეხი სამარეში გიდგას? შენს ბიჭებს სათითაოდ აიყვანენ და ყველაფერს ათქმევინებენ. არ გამოდის, ძძაო, ასე! ის საქმე, ჩვენ რომ დავიწყეთ, ახალი საქართველოს შენების საქმეა და ჭუჭყიანი ხელებით არ გაკეთდება. ბინძურ ხელთათმანებს სანაგვეში ყრიან.

ჯიქურაძე გონებანაკლულივით შესცქეროდა მეგობარს. თითქოს არც ესმოდა, რას ეუბნებოდნენ.

— იცი? — ჩუმად უთხრა დამშვიდობებისას, — აღარც ვკაიფობ. ჩემმა მასწავლებელმა მითხრა, ეგეთი არ დამენახოო და საერთოდ დავანებე თავი ჩხვლეტას.

ბოლოს ომში წასვლის წინ ნახა თემურმა გიგი. ისიც სრულიად შემთხვევით. ის იყო სახლიდან უნდა გასულიყო, კოკამ დაურეკა და შეხვედრა სთხოვა.

უთხრა, გიგის ვჭირდებით და ნუ გავაწბილებთო. თემურს კოკას ზარი გაუკვირდა, რადგან ცირასთან დაშორების შემდეგ, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა მეგობართან. თითქმის აღარც ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. მაინც წავიდა შეხვედრაზე. მანქანით ელოდებოდნენ. გიგი საშინელი სანახავი დახვდა.

— ჩემს მასწავლებელს აღარ ვუნდივარ, — უთხრა თემურს, — სამუდამოდ გამომაგდო. მისმა შვილმა წაგვასწრო ლოგინში და სახლიდან

გაიქცა. ოთხი დღეა შინ არ დაბრუნებულა. ქალი ერთთავად ტირის. ამბობს, ჩვენს შორის ყველაფერი მორჩაო. მარტოობამ შემაცდინაო.

– დედობილი აღარ გეყოლება, რა მოხდა მერე? – გაეხუმრა კოკა.

ჯიქურაძეს თვალები ჩაუწითლდა და კისრის ძარღვები დაებერა.

– ეგეთ ხუმრობას არ გირჩევ! – უღრიალა ამხანაგს. მერე თემურს მოუტრიალდა და ხმადაბლა დაუმატა:

– დედამისს შევპირდი, რომ ბიჭს სახლში დავაბრუნებ. რაიმე უნდა მოვიფიქროთ!

სწორედ ამის შემდეგ მოხდა ის უცნაური ორთაბრძოლა, კახამ რომ უამბო მოხუც ზაქარიას.

თემურს თვალწინ დაუდგა ისეთი გიგი, როგორიც სულ ბოლო შეხვედრისას ნახა. ცხოვრებისგან გაცვეთილი და იმედდაცლილი.

– უცნაურია წუთისოფელი, – უთხრა გიგიმ თემურს, – ბავშვობაში მე, შენ და კოკა ერთად ვიყავით და მარტოობას ვერ ვგრძნობდი. რომ წამოვიზარდეთ, თქვენთან ვიყავი, მაგრამ თავთან მარტოდ დავრჩი. მხოლოდ ჩემს მასწავლებელთან მომეხსნა მარტოობის მწველი შეგრძნება.

ახლა ისევ ეული ვარ, როგორც გზააბნეული მგელი.

მართლა, – დაუმატა ბოლოს, – ფოთში თუ გაივლით, ეს წერილი ბებიაჩემს მიუტანე. მისამართი კონვერტზე აწერია. შვიდი თვეა, რაც არ მინახავს. ცოტა ფულია შიგნით. საქმეებს მოვითავებ და თვითონვე ჩავაკითხავ.

– ჭკვიანად იყავი! – ერთხელაც გააფრთხილა თემურმა მეგობარი და წასვლისას გადაეხვია.

თიო თვითმფრინავით ჩავიდა სოხუმში და წერილიც იქვე დატოვა ახლობლებთან. ეს წერილი ლოდივით აწვებოდა გულზე.

– ოღონდ აქედან გამაღწევინა და პირველ რიგში წერილს ჩავუტანო პატრონსო, – ფიქრობდა დატყვევებული.

– ბაბუა ზაქარია! – დაიკვნესა თიომ და ხელის მოძრაობით მოუხმო მოხუცს.

– ხომ არაფერი გიჭირს, ბიჭო? – შეშფოთდა ზაქარია და გვერდით მოუჯდა ნაცემს.

– მინდა მოგიყვე, ბავშვობისას როგორ ვნადირობდით მზეზე.

– როგორ? – იკითხა მოხუცმა.

– მე და ჩემი განუყრელი მეგობრები ქალაქგარეთ, მინდორში ვთა–

მაშობდით ხის თოფებით. მწველი, ოქროსფერი მზე ანათებდა ცაზე. ერთმა ჩვენთაგანმა, მგონი გიგიმ, ხის თოფი დაუმიზნა მზეს და ესროლა.

— მზე მოვკალი, მზე მოვკალი! — ყვიროდა აღტაცებული. ძალიან მეწყინა. ვფიქრობდი, რატომ უნდა მოეკლა გიგის მზე, როდესაც ცოცხლად შეიძლებოდა მისი დაჭერა.

— ბიჭებო! — დავუძახე მეგობრებს. — მომყევით და გიჩვენებთ, როგორ უნდა ვინადიროთ მზეზე. სირბილით გავექანე დანგრეულ სამრეკლოსკენ, მიტოვებული რომ იდგა შორიახლოს.

შიგნით შევედით. ბიჭებს ვიწრო სარკმლიდან შემოჭრილი მზის სხივი დავანახე. კონასავით ეშვებოდა ძირს და ნათელ ლაქას ქმნიდა იატაკზე.

კოკას ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა.

— ეგ მომეცი! — ვთხოვე და ქუდი სინათლის ლაქას გადავაფარე.

— ხედავთ? — ნიშნის მოგებით ვუთხარი მეგობრებს. — კი არ ვესროლე მზეს, არამედ დავიჭირე.

— გაგექცევა! — მითხრა კოკამ.

— ვერსად ვერ გამექცევა! — ვუპასუხე მე.

მთელი დღე იქვე ვთამაშობდით. ხანგამოშვებით სამრეკლოში შევრბოდით და ადგილიდან დაძრულ მზის ლაქას ხელახლა ვაფარებდით ქუდს. იღბლიანად ვინადირეთ. საღამომდე სულ გამოჭერილი გვყავდა მზე.

— ღმერთი თუ გწამს, თიო? — მოულოდნელად შეეკითხა მოხუცი.

თემურს გაეღიმა.

— განა შეიძლება, მზეზე ვინადირო და არ მწამდეს ღმერთი? ღმერთი ხომ სინათლეა!

თუ მზე დაიჭირე, სინათლეში ხარ და თავადაც უკვდავი ხდები, როგორც შემოქმედი.

„ქვეყნისა და სიკვდილის ჩრდილში მსხდომთ დიდი სინათლე ამოუბრწყინდათ“ (მათე 16) — სახარებიდან გაიხსენა მოხუცმა ზაქარიამ და ბიჭს ცივი საფენი გამოუცვალა დამტვრეულ ცხვირზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირა თემურის გამო წავიდა ბავშვთა სახლში სამუშაოდ. ახსოვდა თიოს ოცნება, ბედისგან დაჩაგრული ბავშვებისთვის სოფელი რომ უნდოდა აეშენებინა.

ახლა, როდესაც ბიჭი მასთან აღარ იყო და ვინ იცის, სად და რომელ სანგარში იდგა, უპატრონო ბავშვთა მოვლა ცირასთვის თემურთან დამაკავშირებელ ძაფად იქცა. მათი საერთო ოცნებისა და გეგმების ნაწილობრივი შესრულებაც კი იმ სიახლოვეს ქმნიდა ქალისთვის, რომელიც დიდი ხანია დაიკარგა და უკვდავების წყალივით სწყუროდა ცირას.

თანაც, იმდენად გულს ურევდა მშობლების მაძღარი და უშფოთველი ცხოვრება, როდესაც ქვეყანა ომით იყო შეჭმული, ქალაქები და სოფლები მგლოვიარე დედებით სავსე, მზად იყო პროტესტის ნიშნად თუნდაც კეთროვნებისთვის მოევლო.

— მოგზაურობასა და ძვირფასი ნივთების შეძენაზე რომ ფიქრობ, უცხოეთში რომ დაბრძანდები მაღალი საზოგადოების შეკრებებზე დასასწრებად და ემიგრაციასთან შეხვედრებზე ყალბი ცრემლების საღვრელად, სჯობს ეგ ბეჭდები მოიხსნა თითებიდან და შენს მშიერ თანამოძმეებს დაეხმარო! — ეჩხუბებოდა ხოლმე ცირა დედას. ცირას მამა მსხვილი საქმოსანი გახლდათ. ხან რუსეთის ქალაქებში იჯდა თვეობით და ხანაც — საზღვარგარეთ. რაც მეტად ლაღი ცხოვრება შეიძლებოდა ჰქონოდა გოგოს, მით მეტად იტვირთავდა თავს და ყოველგვარ ფუფუნებაზე უარს ამბობდა. ნერვიულსა და იმპულსურს, ამავე დროს, საშინლად ჯიუტი და მტკიცე ხასიათი ჰქონდა. მთელი თავისი ტანსაცმელი ბავშვთა სახლში გადაზიდა. თეთრეულიც კი გაიტანა სახლიდან საერთოდ, რაც თვალში მოუვიდოდა, სურათიდან დაწყებული, ტანსაცმლით დამთავრებული, ყველაფერს იქით მიათრევდა.

უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები ნახევრად დანგრეულ შენობაში ცხოვრობდნენ. არც გათბობა ჰქონდათ და არც ცხელი წყალი. ომიანობის დროს მათთვის არავის ეცალა და დახმარებასაც შეზღუდულად იღებდნენ. ნესტიან ოთახებში ოთხ-ოთხი რკინის საწოლი ედგათ. იმავე სართულზე პატარა დარბაზი ჰქონდათ, სადაც დღესასწაულებს აღნიშნავდნენ ხოლმე. სამასწავლებლო და საკლასო ოთახები ქვემოთ, პირველ სართულზე იყო განლაგებული. ცირას მუშაობის დაწყებამ

ზამთარში მოუწია. აღმზრდელებს ელექტროღუმელების შეძენის საშუალება არ ჰქონდათ. აქაც ცირა დაიხარჯა და რამდენიმე ღუმელი იყიდა. თუმცა უშუქობის და ელექტროენერგიის უკმარისობისას, ელექტროღუმელები რას გაათბობდნენ საყინულად ქცეულ შენობას.

თავიდან ცირას ეგონა, ობოლ ბავშვებთან მუშაობა რთული არ იქნებოდა, მაგრამ შეცდა.

თითოეულ ბავშვს თავისებური და ზოგჯერ საკმაოდ მძიმე ხასიათი ჰქონდა. ზოგი მათგანი გამაღიზიანებელიც იყო. ზამთრის სუსხში თხელ, ნახმარ ტანსაცმელში გამოწყობილნი, მათხოვრობასა და პურის რიგებში ძრომაში დახელოვნებულიყვნენ. ქველმოქმედების მიზნით მისულ პირებს ელაქუცებოდნენ და თავს აცოდებდნენ. აღმზრდელებს ზედმეტი ხვევნა-კოცნით და ალერსით თავს აბეზრებდნენ. თუმცა მათ შორისაც იყვნენ სრულიად უკარება და თავის თავში ჩაკეტილი ბავშვები. ზოგს მშობელი ჰყავდა, რომელსაც შვილის რჩენა არ შეეძლო და ამიტომაც მოეყვანათ აქ. ზოგიც ლოთი ან ნარკომანი პატრონის ხელიდან მოხვედრილიყო ბავშვთა სახლში. ნამდვილი უდედმამოც ბევრი იყო.

ცირა თანდათანობით შეეჩვია ბავშვებთან ურთიერთობას და მათ მიმართ ნამდვილი სიბრალული და სიყვარული გაუჩნდა. ოთარის გარდა, ცირამ სხვა მეგობარიც შეიძინა, რვა წლის სანდრო. ეს ამბავი შემდეგნაირად მოხდა.

სანდროს მამამ მოაკითხა და რამდენიმე დღით სოფელში წაიყვანა. შემცივნებული და სიცხიანი ბავშვი მეორე დღესვე უკან მოჩანჩალდა. ცირამ ავადმყოფი ლოგინში ჩააწვინა. საჭმელი აჭამა და წამალი დაალევინა. ბავშვი ხმას არ იღებდა. არაფრით არ უნდოდა ეთქვა, რატომ გამოექცა მამას. თვალები ჭერისთვის გაეშტერებინა და დაძაბული ფიქრობდა რაღაცას. ბავშვს რომ ჩაეძინა, ქალმა ბალიში გაუსწორა და ბალიშის ქვეშ დაგროვილი გამხმარი პურები უპოვა. დილას ძეხვი და კოლოფი ლორი წამოუღო სახლიდან და მძინარეს ბალიშის ქვეშ ამოუდო. შუადღეს გადაცილებული იყო, როდესაც ბავშვთა სახლში ბიჭის დაბნეული და შეშინებული მამა მოვარდა. ძველ, დაგლეჯილ კოსტიუმში ჩაცმულს პირიდან არყის სუნი ამოსდიოდა.

— ბავშვი ჩვენთან არის, — დაამშვიდა ცირამ და ოთახში შეუძღვა. მამა სიცხიან შვილს ლოგინზე ჩამოუჯდა და ტირილი დაიწყო. ცირა

გატრიალდა, მაგრამ მაინც მოჰკრა თვალი, როგორ ამოაძრო ბიჭმა ბალიშის ქვემოდან ძეხვი და უბეში ჩაუდო მამას. თან დაძაბული იყურებოდა აქეთ-იქით, ვინმემ არ შემამჩნიოსო. კაცი რომ წავიდა, ბავშვმა ქალს მოუხმო. კისერზე მოეხვია და ყურში ჩასჩურჩულა, — ცოდოა მამა. —სანდრო მიხვდა, ვისი მოტანილიც იყო საჩუქრები და ცირა თანამზრახველად მიიჩნია.

— სოფელში ჩავედით, ციოდა და მამამ არაყი დალია გასათბობად, — გაენდო ბავშვი ქალს, — მამა მთელი დღე სვამდა. ღამით ჯოჯოებს დასდევდა დასაჭერად. მე ვერ ვხედავდი სად იყვნენ ჯოჯოები. ის კიდევ ხედავდა. გარეთ გავარდა და ხელში ნაჯახი აიღო. მიყვირა, — ეშმაკი გაზის მხარზეო და ნაჯახით გამომეკიდა. ძლივს გამოვექეცი. მატარებლის გამცილებელმა შემიფარა და ასე ჩამოვედი ქალაქში. მაგრამ იცოდე, მამას ძალიან ვუყვარვარ! რა ქნას, ავადმყოფია.

— რა თქმა უნდა, უყვარხარ! — დაუდასტურა ცირამ და სამუდამოდ ბიჭის მეგობრად იქცა.

ცირა განსაკუთრებულად ექცეოდა ოთარს. მარტო თიოს გამო კი არა, თავადაც შეუყვარდა მშვიდი, თვინიერი და უცნაურად მარტოსული მუნჯი. ოთარი მეტწილად სადმე კუთხეში იჯდა და თავისი ოცნებების სამყაროს ხატავდა. ქალი გრძნობდა, ბავშვსაც მასავით ენატრებოდა თემური. ბიჭმა ნახატი აჩუქა, სადაც თიო სამხედრო ფორმაში და თოფით ხელში იყო გამოსახული. ოთარს იმდენი გრძნობა ჩაედო ნახატებში, რომ ცირამ ბავშვის ხელით დახატულში თემურის ხასიათი ამოიცნო. სწორედ ოთარის გამო შეიყვარა ცირამ ნინო და მაიაც, რადგან ბიჭს მზრუნველად ეპყრობოდნენ და მასთან დამეგობრებას ცდილობდნენ. ჩუმი და მოკრძალებული ნინო ძლივს იღებდა ხმას. ყველაფრისა ერიდებოდა და რცხვენოდა. სამი წლის რომ შესრულდა, დედამ ბავშვთა სახლში მიიყვანა და მას შემდეგ აქ იზრდებოდა. მაია ნინოზე ოდნავ უფროსი იყო. ცოცხალი, მოურიდებელი და გამბედავი ბავშვი გახლდათ. წამდაუწუმ ეხვეოდა და კოცნიდა ალმზრდელებს.

— წამიყვანე რა შენთან? — ხან ერთს ეხვეწებოდა და ხან მეორეს. ძალიან გაშინაურება იცოდა და მალე მოსაბეზრებელიც ხდებოდა. მაიას პატრონი არ ჰყავდა და დაბადებიდან ბავშვთა სახლში იზრდებოდა.

შობის დღესასწაული ახლოვდებოდა და ცირამ გადაწყვიტა,

ბავშვები რამდენიმე დღით თავისთან წაეყვანა. იცოდა, როგორი ბედნიერება იქნებოდა მათთვის, ოჯახურ გარემოში რომ შეხვდებოდნენ შობას. როდესაც ბავშვების შესახებ სახლში ილაპარაკა, ცირას დედა კინაღამ გადაირია.

— ტილები ეყოლებათ, ბინძურები იქნებიან. გააოხრებენ ყველაფერს. ამდენი ნერვები სადღა მაქვს, მაგათ ვუცქირო. ჩემს დასთან გადავალ საცხოვრებლად! — ყვიროდა დედა. თუმცა წინააღმდეგობა ვერ გაბედა. შვილს ყოველთვის თავისი გაჰქონდა.

ცირამ ლამაზად გაწყობილი ნაძვის ხე დაახვედრა ბავშვებს. ნაქსოვი ქუდები და მოსასხამები აჩუქა. ოთარი შედარებით გულგრილად შეხვდა შობას. ნინოს ყველაფრის ერიდებოდა და სულ მადლობებს იხდიდა. მაია ოთახებში დაქროდა. ნივთებს, სურათებსა და ბიბლიოთეკას ათვალიერებდა. უამრავ შეკითხვას იძლეოდა. სრულიად შეუფერებელ დროს მივარდებოდა ხოლმე მასპინძელს და მოურიდებლად კოცნიდა. ცირას სანდროს წამოყვანაც უნდოდა, მაგრამ ბავშვმა მამასთან ყოფნა არჩია. შობის წინა საღამოს, ცირამ ტელეფონზე მოსაუბრე მაიას წაასწრო. საახალწლოდ ბავშვთა სახლში დარჩენილებს ეტრაბახებოდა:
— ჩვენ აქ დღეში ოთხჯერ გვაჭმევენ და კანფეტებს გვჩუქნიანო.

— მეორედ აღარ გააკეთო ასეთი რამ! ნუთუ არ გეცოდება შენი ამხანაგები?! იცოდე სამუდამოდ ვიჩხუბებთ! — უყვირა ცირამ და ძალით დაადებინა ყურმილი. მაიამ ბოდიში მოუხადა და მოულოდნელად ხელებზე დაუწყო კოცნა.

— საიდან ისწავლე, ან ვინ გასწავლა ეს საშინელება, — გამწარდა ქალი და ძლივს მოიშორა ხელზე მოწებებული ბავშვი.

შობა დილას, ცირამ ეკლესიაში, წირვაზე წაიყვანა პატარები. ნინო და ოთარი მონუსხულები უსმენდნენ გალობას. მაია ადგილზე ვერ ჩერდებოდა. მოუსვენრობდა. სულ კარისკენ ეჭირა თვალი. ბოლოს, ვეღარ გაძლო და გარეთ გავარდა.

— არსად დამეკარგოსო, — შეეშინდა ცირას და ბავშვის მოსაძებნად ეკლესიის ეზოში გავიდა. წყლის ჭავლთან მოთამაშე გოგოს ხალხმრავლობაში ძლივს მიაგნო. ხელი ჩასჭიდა და შესასვლელისკენ წაათრია. ტაძარში შესვლისას, შემთხვევით კოკას მოჰკრა თვალი. სამხედრო ფორმა ეცვა. წმინდა ნიკოლოზის ხატთან ქუდმოხდილი იდგა და ანთებული სანთელი ეჭირა ხელში.

ცირა შეამჩნია და მისკენ წამოვიდა.

– კარგია, რომ გნახე! – თქვა გახარებულმა. – სამი დღეა, რაც სოხუმიდან ჩამოვედი. აქ ორ კვირას გავჩერდები და უკანვე გავბრუნდები.

ცირას ძალიან უნდოდა თემურზე ეკითხა რაიმე, მაგრამ თითქოს ენა დაება. კოკაც ჯინზე ყველაფერზე ლაპარაკობდა თემურს გარდა.

– ამ დღეებში შემომიარე და ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები, – უთხრა ბიჭმა.

ცირა აღელვებული დაბრუნდა ტაძრიდან. ერთი სული ჰქონდა, თემურის შესახებ რაიმე ეკითხა. ორი დღე ითმინა, შემდეგ ბავშვების სახლში დატოვება და კოკასთან წასვლა გადაწყვიტა. ძნელაძის ქუჩა გულისფანცქალით გაიარა. სადარბაზოში შესვლისას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს კოკასთან კი არა, თემურთან მიდიოდა. ნაცნობი კიბეები სწრაფად აირბინა და კარებზე დააკაკუნა.

კოკა მარტო იყო. პატარა ნაძვის ხე ბრჭყვიალა ბურთებით ჰქონდა გაწყობილი. მაგიდაზე კონიაკი და ხილი დაელაგებინა. წინსაფარ-აფარებული შეეგება ქალს და ოთახში შეუძღვა.

– როგორი მასპინძელი ვარ? – ღიმილით იკითხა და სამზარეულოდან ცხელ-ცხელი ღვეზელი გამოიტანა.

ჭიქებში კონიაკი ჩამოასხა და ღვეზელიც დაჭრა.

ცირას დაძაბულობა მოეხსნა. სავარძელში მოკალათდა და კონიაკის წრუპვა დაიწყო.

კოკამ სოხუმის ამბები მოუყვა. გაუთავებელი დაბომბვის, ამოწყვეტილი ოჯახების, ცივ სანგარში გატარებული ღამეების, სიკვდილის შიშის და მეგობრების დაღუპვით გამოწვეული ტკივილის შესახებ მოჰყვა. შეუჩერებლად ლაპარაკობდა, თუმცა ერთი სიტყვაც არ უთქვამს თემურზე.

– ისე, სხვათაშორის ვკითხავ თიოს ამბავს, – ფიქრობდა ცირა და დაღუპული ბიჭების შესანდობარს მოზრდილი ჭიქით სვამდა. კაცი სასმელს აძალებდა. ეუბნებოდა, სმაში მაინც გამიწიე თანაგრძნობაო. ცირა თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ გამოთვრა.

მოსაუბრეს ბუნდოვნად ხედავდა. ტკბილ ბურუსში ჩაეფლო და ძლივს მიხვდა, კოკა რომ ეჯდა გვერდით და საკინძეს უხსნიდა.

წინააღმდეგობის თავიც აღარ ჰქონდა.

მოდუნდა და ხორცის ძახილს აჰყვა. მერე მოეჩვენა, რომ თემურთან

იყო. თურმე როგორ მონატრებია თიოს ალერსი. დამშეულივით ეფერებოდა ვაჟს.

— დიდი ხანია, არავისთან ყოფილხარ? — ეკითხებოდა კოკა.

ცირა უეცრად გამოერკვა და შინ დატოვებული ბავშვები გაახსენდა.

— გამიშვი! — იყვირა და ხელი ჰკრა კაცს.

— რა დაგემართა? — შეეკითხა ბიჭი.

— ბავშვები მელოდებიან! — ენის ბორძიკით უპასუხა ქალმა და უცებვე გააცნობიერა, რომ თემური არ იყო ის, ვისაც წუთის წინ ეხვეოდა.

ვაჟმა დაუთმო. ხელი გაუშვა და მოსცილდა. სახლამდეც კოკამ მიაცილა. საკმაოდ გვიან იყო. ციოდა და ქუჩებში ბნელოდა.

ცირა ძლივს გადმოვიდა მანქანიდან. სადარბაზოში შევიდა და კიბის მოაჯირს ჩაეჭიდა. კოკა კიბეებზე ასვლაში დაეხმარა.

— ნაძირალა ხარ! — უთხრა ცირამ და გასაღები გადაატრიალა.

— რატომ? შენი და თიოს ამბავი ხომ დიდი ხანია მორჩა?! — გაიკვირვა ბიჭმა და მთელი ამ ხნის მანძილზე თემურის სახელი პირველად ახსენა.

ბავშვებს ეძინათ. თვითონვე დაეგოთ და ლოგინში ჩაწოლილიყვნენ.

— ნეტავ თუ ივახშმეს? — გაიფიქრა ცირამ.

დამძიმებული თავი ბალიშზე დადო და მყისვე ჩაეძინა.

დილით მოშხამულს გამოეღვიძა. გაახსენდა, ბავშვები თავშესაფარში უნდა წაეყვანა. საჩუქრები აიღო და ბავშვთა სახლში გაემართა.

პატარებს საახალწლო დღესასწაული ჰქონდათ. დარბაზის კედლებზე საკუთარი ნახატები მიემაგრებინათ და ნაძვის ხესთან შეგროვილიყვნენ. პალტომოსხმული აღმზრდელი როიალს უკრავდა და ბავშვებს ართობდა. ცირა თითქოს ვერც ამჩნევდა, რა ხდებოდა ირგვლივ. ყველაფერმა აზრი დაკარგა. ერთადერთი ის აწუხებდა, რომ ვეღარასოდეს დაიბრუნებდა თემურს. ბიჭვინთაში მომხდარი ამბავი გაიხსენა. ცეკვის დროს გულისრევა დაეწყო და კოკამ მიაცილა საპირფარეშომდე. მოწამვლის შემდეგ, გადაღლისას, ხშირად ემართებოდა ხოლმე ასეთი რამ. მაგრამ მაშინ მიზეზი სხვა იყო. ცირა საკუთარ თავსაც არ უტყდებოდა ამაში.

თიოს რომ მისი ორსულობა გაეგო, აუცილებლად გააჩენინებდა

ბავშვს. სხვის პატარებზე გაგიჟებული, თავისაზე ხომ მთლად გადაირეოდა, მაგრამ ცირას არ უნდოდა შვილი.

— არ მინდა, ავადმყოფი, მახინჯი ან გონებასუსტი ვშვა, — ფიქრობდა ქალი, — ავად ვარ. აპრილის იმ ღამეს, ბევრი მოიწამლა ჩემსავით. ზოგს სისხლის გათეთრება დაემართა, ზოგსაც კიდევ უარესი.

გენური მუტაციები, რადიაცია, სიესი, — უტრიალებდა თავში. თემური ეტყოდა მხდალი ხარო და ჩვილს მუცელში არ ჩააკვლევინებდა.

გულისრევისას ძირს დაიხარა და საყურეც ალბათ მაშინ დაკარგა. სიმართლე მაინც ვერ უთხრა თემურს.

ბედის დაცინვაა წუხელის რაც მოხდა, — ფიქრობდა ცირა და თავს ყვედრიდა. საკუთარი თავიც ეზიზღებოდა და მთელი სამყაროც.

სახლში დაბრუნებულს, გამწარებული დედა შემოეგება.

— შენმა ბავშვებმა ძვირფასეულობა მომპარეს! — იკივლა და შეშფოთებულ გოგოს კარადაზე მიუთითა.

— კარგად შეამოწმე, — უგულოდ მიუგო ცირამ.

— რაღა უნდა შევამოწმო, ბრილიანტის ბეჭდებია გამქრალი, — ყვიროდა ქალი და სიბრაზისგან კანკალებდა.

— განგებ დატოვებდი კარადის კარებს ღიას. გინდოდა, ის ბავშვები ქურდები გამომდგარიყვნენ. ვიცი, გულის სიღრმეში ასე გინდოდა მომხდარიყო, — უხეშად მიახალა ცირამ და მთელი ჯავრი დედაზე გადმოანთხია.

— ჩემს ჯინაზე გააკეთებდი ამას. გინდა, რაღაც დამიმტკიცო. ფეხს აღარ მოვადგამ ამ სახლში! — ცრემლმორეულმა დაუმატა და გარეთ გავარდა.

ცირა ბავშვთა სახლში გადასახლდა. მალე დედამისიც იქ გამოცხადდა და მმართველთან იჩივლა, თქვენმა ბავშვებმა გამქურდესო. აღსაზრდელები დაიბარეს და დაკითხეს. ნინომ ტირილი დაიწყო. მაია ყოჩაღად უარყოფდა ყველაფერს. ოთარი, როგორც ყოველთვის, დუმდა.

ხეირიანად ვერაფერი გაარკვიეს.

— აბა, რა გითხრათ, მათხოვრობის შემოხვევები გვქონდა. ქურდობისა კი არა. თუმცა ისინი იმდენად თავისებურნი არიან, არაფერია გამორიცხული, — ხელებს შლიდა მმართველი.

ცირას ჩარევის მიუხედავად პატარები დასაჯეს. მთელი კვირა ტკბილი არ მისცეს და სასეირნოდაც არ წაიყვანეს. ისეთი მდგომა-

რეობა შეიქმნა, რომ ცირას ბავშვთა სახლში ყოფნა ძალიან გაუჭირდა. ბავშვები აღარ ენდობოდნენ. აღარც თვითონ სჯეროდა მათი. კარგად ესმოდა, თუნდაც ექურდათ, ამაში მიტოვებული და გამათხოვრებული ბავშვების ბრალი ნაკლებად იქნებოდა, მაგრამ გულში მაინც ვერ პატიობდა მათ.

— ძალა არ მყოფნის მიყვარდეს ისინი ისეთნი, როგორიც არიან. უკეთესისკენაც ვერავინ შევცვალე, რადგან პატარებს ჩემნაირი დამსხვრეული არ გამოადგებათ! — ფიქრობდა ცირა.

შუშის ქალაქის ნანგრევებში მოყოლილს, თავად სჭირდებოდა გამრთელება და შველა.

ერთხელ, როდესაც ცირა ელექტროლუმელთან იყო მიმჯდარი და შემოხვეულ ბავშვებს ზღაპრებს უყვებოდა, კარები ხმაურით გაიღო და ოთახში უცნაური გარეგნობის ქალი შემოვიდა. კარადასავით დიდსა და გოლიათს კაცივით ფართო მხრები და ბოძებივით მსხვილი, დაკუნთული ფეხები ჰქონდა. შავ წინდებში გახვეულ ფეხებზე მამაკაცის უხეში ფეხსაცმელები ეცვა. მედუდურსა და გოროზს, სახე ინდიელ ბელადს მიუგავდა. თმებიც ინდიელივით დაეგორგლებინა კეფაზე და შიგ საქსოვი ჩხირი გაერჭო.

შემოსულმა დოინჯი გაიკეთა და ღუმელთან მიმჯდარი ქალი აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— მე ის ქალი ვარ, მთელი ცხოვრება რომ „ვბრძოლობდი“ — დაიწყო უცნობმა ყოველგვარი შესავლის გარეშე.

— იცოდე, ვერავინ დამჩაგრავს. „შიმშილშიც“ ბევრჯერ ვიყავი და მთავრობის სახლთან კარავშიც ვიჯექი.

რომ „სროულობდნენ“, მე იქ ვიყავი. ახლაც „ჩივილში“ ვარ მეზობელთან! შენც გიჩივლებ!

— რატომ, ქალბატონო, რა დაგიშავეთ? — გაუკვირდა ცირას და ფეხზე წამოდგა.

უცნობმა ბავშვები ოთახიდან გაყარა და ისევ ცირას მიუბრუნდა.

— ჩემს შვილს ქურდობა დააბრალეთ. გინდათ დაამტკიცოთ, რომ ეგ საქმე მე დავავალე ხომ? ყველაფერი ვიცი, აქ რაც ხდება ჩემს წინააღმდეგ. სუკი მიწყობს ამეებს. დევნაში ვიმყოფები.

ქალმა წარბები აქაჩა და გამოშვერილი მკერდით პირდაპირ ცირასკენ გაიწია. გოგოს შეეშინდა და კედლისკენ დაიხია. მუქარის

სახით მომავალი უცნაური დედაკაცი მოულოდნელად შეჩერდა და საჩვენებელი თითი გაურკვეველი მიმართულებით გაიშვირა.

– ჯანმრთელობის ცნობა მომთხოვეს იმათ. შიმშილში რომ ვიყავი, საავადმყოფოშიც ვიწექი და „პრაფესორმა“ ფსიქიატრიული დიაგნოზები დამიწერა განგებ.

ვგავარ ახლა მე გიჟს?

ჩემი ქმარიც იმათმა მოკლეს. კიბო დამართეს ძალით! – ამ სიტყვებზე ქალმა თვალები დააბრიალა და მსხვერპლისკენ ავის-მომასწავებელი სვლა განაგრძო.

შემთხვევით ოთახში რომ არ შემოსულიყვნენ, ვინ იცის, ეს ამბავი როგორ დასრულდებოდა.

– ცირას ნახვა სად შეიძლება? – იკითხა ახალგაზრდა კაცმა და ქალებს შეხედა. სამხედრო ფორმაში ჩაცმულს ცალი ფეხი ბარძაყთან ჰქონდა გადაჭრილი და ყავარჯნებს ეყრდნობოდა.

– აქაც მომაგენით არა? – იყვირა გვარდიელის შემხედვარე დედაკაცმა.

ცირამ ახლაღა გააცნობიერა, რომ ეს ქალბატონი კრავივით უწყინარი ნინოს დედა გახლდათ.

– ხომ ვამბობდი დევნაში ვარ-მეთქი. უყურე შენ?! ქსენია არ ვიყო, ეს ამბავი ასე თუ დავტოვო! – ყვირილით დაამატა და ჯარისკაცური ნაბიჯით გაემართა გასასვლელისკენ.

– კიდევ მოვალ! – დაიბარა წასვლისას.

– ძალიან დამამშვიდა, – გაიფიქრა ცირამ და შვებით ამოისუნთქა.

– გამარჯობათ! – თქვა ახალგაზრდამ, – გოდერძი მქვია. – თემურის დავალებით გინახულეთ. ტყვეობაში ერთად ვიყავით.

ცირას თავბრუ დაეხვა და მოწყვეტილივით დაეშვა სკამზე.

– ცოცხალია? სად არის? – ძლივს ამოღერღა და უცნობს სახეში ჩააშტერდა.

– ცოცხალია. ახალა სოხუმში იბრძვის! – უთხრა გოდერძიმ.

მოუყვა, როგორ გაიპარა ტყვეობიდან, დაიჭრა და განგრენა დაეწყო მარჯვენა ფეხზე. ფეხი ადლერში მოკვეთეს. მოუბოდიშა:

– ადრეც მინდოდა მენახეთ, მაგრამ ყვარელში ვიყავი ჩვენებთან და ვერ შევძელი ჩამოსვლა. სოხუმში, ტყვეების გაცვლისას თემურიც გაუცვლიათ. დაბრუნება არ ინდომა. ისევ იარაღი აიღო ხელში და სოხუმის დამცველებთან დადგა. სულ თქვენ გიგონებდათ, – დააბო-

ლოვა ჯარისკაცმა სათქმელი. ცირა თითქოს ცაში დაფრინავდა. აღარ იცოდა, რა ეთქვა მოსულისთვის. ჩაი შესთავაზა და ოჯახშიც დაპატიჟა.

— სხვა დროისთვის იყოს. საქველმოქმედო ორგანიზაციამ ჩემისთანების დასასვენებლად გაგზავნა გადაწყვიტა. — დილას გავდივართ ავტობუსით, — თქვა გოდერძიმ.

— აუცილებლად გაგაცილებთ! — შეპირდა ქალი.

ცირა მეცხრე ცაზე იყო. უკვე იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა. დილიდანვე კომისარიატში წავიდოდა და სოხუმში მედდად გაშვებას მოითხოვდა.

დედას შინ დაბრუნებული ქალიშვილის დანახვა ძალიან გაუკვირდა.

— თურმე შემშლია, ძვირფასეულობა ვიპოვე. თვითონაც არ მახსოვდა, სად გადავმალე! — გამოუტყდა ქალი შვილს.

— მადლობა ღმერთს! — უთხრა ცირამ და ბარგის ჩალაგება დაიწყო.

— კიდევ სად აპირებ წაბრძანებას! — გადაეკიდა დედა.

— სოხუმში, ფრონტის წინა ხაზზე, — უპასუხა ქალიშვილმა.

— ღმერთო დიდებულო, რა დაგიშავე, ასეთი შვილი რომ მომეცი? — ყვიროდა გამწარებული ქალი. — ყველაფერი გაქვს. არაფერი გაკლია. თუ მწვავე შეგრძნებებს ეძებ და სიკვდილს ეთამაშები? ნეტავ რომელი მწვერვალის დაპყრობა გინდა?

— უფერული ყოველდღიურობის ჩარჩოების გარღვევა მინდა, — მიახალა გოგომ და ზურგჩანთის საკეტი ჩაკეტა.

დედა ძლივს მიხვდა, რომ შვილი არ ხუმრობდა. თვალები შეშღილივით გაუხდა და ძუ ვეფხვივით გადაეფარა კარებს.

— დღეს ჩამკეტავ, ხვალ წავალ, ხვალ ჩამკეტავ, ზეგ წავალ – მშვიდად თქვა ცირამ და მხრებზე მოეხვია დედას. იმ ღამით ცირას არ დაეძინა. არც დედამისს ეძინა. სქელ შალში გახვეული იჯდა სავარძელში და თავის უცნაურ ქალიშვილზე ფიქრობდა. არასოდეს ესმოდა შვილის. თავნება ალბათ იმიტომ გაიზარდა, მამის ხელი აკლდა ყოველთვის. მამა თავის საქმეებში იყო ჩართული, დედა თავისაში და სიახლოვე არ ჰქონდათ ქალიშვილთან. ველური ყვავილივით იზრდებოდა. ფიქრებსა და განცდებთან ყოველთვის მარტო იყო. ადამიანი რომ შეიცნო, სულის ნაწილი უნდა გაიღო მისთვის. მშობლებს საკუთა-

რი ცხოვრება ჰქონდათ და ყველაფერს აძლევდნენ შვილს, თავიანთი სულების გარდა.

ცირა უთენია წამოდგა და სავარძელში ჩაძინებული დედის შემხედვარეს, პირველად შეეცოდა იგი.

– ცოდოა, რომ ასეთია, – გაიფიქრა მან. – მეშჩანურ გარემოში ჩაკეტილი და სნობიზმით დაავადებული ვერასოდეს გაარღვევს შეზღუდული ცნობიერების ფარგლებს. ვერასოდეს გაბედავს იმ საზოგადოების ცხოვრების წესიდან გადახვევას, რომელსაც ეკუთვნის და ამაყობს კიდეც ამით. მთავარია „ელიტარული“ საზოგადოების აზრი და როგორი ბრიყვულიც არ უნდა იყოს იგი, მისგან განსხვავებული მიუღებელია და დასაცინი.

– ალბათ, როგორ რცხვენიათ მშობლებს ჩემნაირი შვილი რომ ჰყავთ, – ჩაეცინა ცირას. შუბლზე აკოცა დედას და ფრთხილად გაიხურა კარი.

ქუჩაში გასულმა საყვავილეში ვარდები იყიდა და სადგურში გაექანა. გოდერძის სულზე მიუსწრო. ავტობუსში ადიოდნენ უკვე. ოცდაათამდე ბიჭი შეგროვილიყო. ზოგს ხელი აკლდა, ზოგსაც ორივე ფეხი. ქერა ყმაწვილი ჯოხის კაკუნით დადიოდა წინ და უკან. ბიჭი ბრმა იყო. ეტყობა, ვიღაცას ელოდებოდა. ჭრელ ფორმაში ჩაცმულ გვარდიელს ყავარჯნები მხარზე შემოეწყო, ერთადერთი ფეხი წინა სავარძელზე დაედო და მხედრულ მელოდიას უსტვენდა. დანარჩენებიც ყიჟინით აყოლებდნენ ხმას. ავტობუსში ასული ქალის დანახვისას, ბიჭები უფრო მეტად ახმაურდნენ.

– ფეხები რომ მქონდეს, ხელში აგიტაცებდი და ცხრა მთას იქით გაგაქანებდი! – შესძახა შავგვრემანმა ჯარისკაცმა, გადაჭრილი კუნძივით რომ იყო მიმაგრებული გორგოლაჭიან საყრდენზე.

– საწყალი! – გაიფიქრა ცირამ. – სხვისი საპატრონო იქნება მუდამ. პენსია უნდა იმათხოვროს და ისეთ ვინმეზე გახდეს დამოკიდებული, თბილად რომ ზის სახლში. სუფრაზე ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ამბობს სამშობლოზე და საერთოდ კაცის სახელის ტარების ღირსიც არ არის.

ცირას ცრემლები მოადგა თვალებზე. უნდოდა ბიჭებისთვის ეთქვა, როგორ უყვარდა ყველანი და როგორ ამაყობდა მათით. მათ ზურგზე გადაიარა ომმა, სანგრებსა და ჭაობებში წოლამ. იმაზე არ უფიქრიათ, რომ დასახიჩრდებოდნენ, ან სულ დაკარგავდნენ სიცოცხლეს.

ცირა მიხვდა, სიტყვებს აზრი არ ჰქონდათ.

ამ ბიჭებთაგან ბევრმა ბრძოლის ველზე დატოვა ნამდვილი სიცოცხლე და ახლა მხოლოდ არსებობას აგრძელებდა.

– ეს თქვენ! – თქვა ცირამ და ხეიბრებს ვარდები ჩამოურიგა. მერე გორგოლაჭებიან საყრდენზე დაყუდებულ ყმაწვილს მიუახლოვდა, დაიხარა და ტუჩებში აკოცა.

ავტობუსში ისევ ყიჟინი ატყდა.

– მომავალში რას აპირებ? – ჰკითხა ქალმა გოდერძის.

– არ ვიცი. იქნება ხელით სამუშაო ვიშოვო სადმე, – უპასუხა ბიჭმა და გაუღიმა.

ავტობუსი დაიძრა. ცირა გაჩერებაზე იდგა და „ტოიოტას" ფირმის ახალთახალ ავტობუსს შესცქეროდა, რომელიც დასახიჩრებულ ახალგაზრდებს წამიერი ბედნიერებისკენ მიაქანებდა.

– ეჰ, ყოველივე ამაოა, – ხელი ჩაიქნია ცირას გვერდით მდგომმა ჭაღარაშერეულმა კაცმა. ისიც ბიჭების გასაცილებლად მოსულიყო და თავისდაუნებურად იმეორებდა ეკლესიასტეს სიტყვებს.

თავი 7

კოკა ზერაგია და გიგი ჯიქურაძე ახლობლის ბინაში საიდუმლოდ შეხვდნენ ერთმანეთს.

გიგი შეშფოთებული ჩანდა. ჩვეული თავდაჯერება დაჰკარგვოდა.

– ჩემი ბიჭები გაქრნენ, – დაძაბული და შეცვლილი ხმით უთხრა კოკას. – ან პოლიცია გავიდა მათზე ან უფრო უარესი, – მაფიაა დაინტერესებული. ისეთ ამბებში ჩავყავით ცხვირი, ჩვენი საქმე რომ არ იყო. ძალიან მსხვილად ვთამაშობდით. მოკლედ, ფული უნდა დაგიტოვო შესანახად. დიდ თანხაზეა ლაპარაკი.

კოკას სიტყვა გაუშრა. იმის თქმაც ძლივს მოახერხა, რომ სოხუმის დასაცავად აპირებდა წასვლას.

– ძალიან კარგი. ფული გამომართვი. შეინახე და ისე წადი! – უთხრა გიგიმ.

– თავად ვერ შეინახავ? – აღელდა კოკა.

– თუ დამიჭერენ, ვინ არის თავდები, რაც აინტერესებთ ვერ მათქმევინონ? ფული თუ შენ დამალე, რაც არ მეცოდინება, რას მათქმევინებენ.

— ის რომ გათქმევინონ, ეგ თანხა რომ მომეცი?

— მეგობარს არ გავყიდი! — მტკიცედ თქვა ჯიქურაძემ და მისი თვალების გამომეტყველებით კოკა მიხვდა, გიგი მართალს ამბობდა.

— ომიდან რომ საერთოდ ვერ დავბრუნდე? — აუხირდა კოკა ძმაკაცს.

— ისეთი ძაღლის ბედი გაქვს, ნამდვილად დაბრუნდები! — გაეხუმრა გიგი და სერიოზულად დაუმატა: სხვას ვერავის ვენდობი, შენს მეტი არავინ მყავს. შემდეგ კარადიდან ტყავის ჩანთა გადმოიღო და მეგობარს გადასცა.

კოკა დაბინდებისას გავიდა გარეთ და ეზოებზე გავლით გადავიდა საავტომობილო გზაზე.

ჯიქურაძე იმ ღამით მორიგ საყვარელთან დარჩა. დიდხანს არ დაეძინა. გამთენიისას ჩათვლიმა და უცნაური სიზმარი ნახა. თითქოს ისევ ბავშვი იყო და მინდორში ომობანას თამაშობდა მეგობრებთან ერთად.

გიგიმ მზე ამოიღო მიზანში და სროლდა აუტეხა. მზე გულში დაიჭრა, თანდათანობით გაშავდა და ბოლოს სრულიად გაქრა. ბნელში დარჩენილი ბიჭი ვეღარც მეგობრებს ხედავდა. უკუნეთ ღამეში დაძრწოდა და მოკლულ მზეს დაეძებდა.

ჯიქურიძემ ცუდ ხასიათზე გაიღვიძა. დილიდანვე წამალი გაიჩხირა და ცოტა გუნებაზე მოვიდა.

სარკეს მიუახლოვდა და ჩვეულებისამებრ სველი საკარცხლით გადაივარცხნა თმა.

— რა ლამაზი ხარ, ძვირფასო?! — უთხრა მეგობარმა გოგომ, რომელიც ჯერაც შიშველი იჯდა საწოლზე და სანდომიანი ახალგაზრდის გამოსახულებას აღფრთოვანებული შესცქეროდა სარკეში.

– სხვებს კარგი მამიკოები ჰყავდათ, მე კიდევ საწყალი ბებიაჩემისა და ამ სიფათის გარდა, არასოდეს არაფერი მქონია, – თქვა ბიჭმა და სავარძელზე დაგდებული იარაღი ქამარში გაირჭო. ზედ კოსტიუმი გადაიცვა და ყუმბარა მოისინჯა ჯიბეში.

— ოდესმე თუ გყვარებია? — ჰკითხა ქალმა.

— ორმოცს გადაცილებული სკოლის მასწავლებელი მიყვარდა, — ჩაილაპარაკა ბიჭმა და მეგობარი გულიანად ააკისკისა.

გიგი გასასვლელისკენ გაემართა. კარი დაუმშვიდობებლად მოიხურა, კიბეები სწრაფად ჩაირბინა და სადარბაზოდან გასვლისას უნებურად მზეს შეხედა.

მზე ოქროსფრად კაშკაშებდა.

ჯიქურიძეს მზის სხივმა თვალი მოსჭრა და ალბათ, ამიტომ ვერ შენიშნა მოსახვევიდან გამოვარდნილი მანქანა, რომელმაც ცხვირწინ დაუმუხრუჭა. დაკარგული დრო საბედისწერო გამოდგა. გიგიმ ჯიბისკენ წაიღო ხელი და სანამ ყუმბარის ამოღებას მოასწრებდა, ავტომატის ტყვიებით დაცხრილული დაეცა ქვაფენილზე.

რამდენიმე წამი კიდევ ხედავდა, თანდათანობით როგორ შავდებოდა გულში დაჭრილი მზე.

მესამე სართულის ფანჯრიდან გადმოყუდებული ახალგაზრდა ქალი კივილით აყრუებდა ქუჩას.

იმავე დღეს კოკა ზერაგიას სადარბაზოსთან უცნობები დახვდნენ და მანქანაში ჩაჯდომა უბრძანეს.

ოთხნი იყვნენ, ავტომატებით შეიარაღებულნი.

კოკას არც ერთი მათგანი არ ეცნო. გარეუბანში წაიყვანეს და ნახევრად დანგრეული სკოლის სპორტულ დარბაზში შეათრიეს. იატაკზე დააგდეს და განუცხადეს:

— იმედია, არ გაგვაწვალებ და თავსაც არ გაიწვალებ. გვითხარი, სად გადამალა ჯიქურიძემ ფულები?

— რა ფული? გიგის საქმეებში გარკვეული არა ვარ, — გაიკვირვა კოკამ.

— ეჰ, ვიცოდი შრომა მოგვიწევდა, — უთხრა ულვაშიანმა ამხანაგებს.

სანამ კოკა რაიმეს გაფიქრებას მოაწრებდა, თოკზე თავდაყირა ჩამოკიდებული აღმოჩნდა.

— გირებით დავიწყოთ და ცოტ-ცოტა ყველაფერი მოვსინჯოთ! — ბრძანა ულვაშიანმა.

სწორედ გირებით დაიწყეს. სადაც მოუხვდებოდათ, გამეტებით ურტყამდნენ. გონდაკარგულ და დალილავებულ მსხვერპლს ჯიქურიძის ფულზე ეკითხებოდნენ. კოკამ თვალები გადაატრიალა და პირიდან სისხლი წასკდა.

— უყურე შენ?! სიტყვაც არ თქვა ამ დამპალმა, — გაუკვირდა ჩოფურას.

— ეგ უკვე გვამია. ტყუილად ვკარგავთ დროს. ჯიქურიძის ხალხზე სათითაოდ უნდა გავიდეთ, - ხელი ჩაიქნია ულვაშიანმა.

ყაჩაღებმა კოკა თოკზე ჩამოკიდებული დატოვეს და სასწრაფოდ

გაუჩინარდნენ. შემთხვევით სკოლის დარაჯი რომ არ მოსულიყო და კოკას დასივებული სხეული თოკიდან არ ჩამოეხსნა, ზერაგია აუცილებლად მოკვდებოდა.

დარაჯმა ხალხი შეყარა. ექიმი და პოლიცია გამოაძახებინა. ნაწამები ბიჭი საავადმყოფოში წაიყვანეს. თავდაპირველად რეანიმაციაში ჰყავდათ და შემდგომ ცალკე პალატაში მოათავსეს. პირველად რომ გააღო თვალები, თეთრი კედელი დაინახა და ვერაფერს მიხვდა. მერე და მერე თანდათანობით აღიდგინა მომხდარი. მედდებს შეეხვეწა, მოხუცი მშობლები მყავს მცხეთაში და იმათ ნურაფერს გააგებინებთო. ძლიერი ორგანიზმი ჰქონდა და იმედოვნებდა, მალე დადგებოდა ფეხზე. ერთხელაც შედარებით გამოყოჩაღებულს გამოეღვიძა და მოეჩვენა, რომ ცირამ მოაკითხა. ტკივილგამაყუჩებლებით გაბრუებული ვეღარ გაერკვა, ცხადში ხედავდა ქალს თუ მხოლოდ ეზმანებოდა.

– ახლა უკეთ გამოიყურები, – უთხრა ცირამ. – სოხუმში მივდიოდი, მაგრამ შენი ამბავი გავიგე და დროებით დარჩენა გადავწყვიტე. ვიცოდი, შენებს არაფერს გააგებინებდი და მომვლელი დაგჭირდებოდა.

– ეს ამბავი რომ არ გადამხდენოდა, ალბათ, არც გამიხსენებდი, – ჩაილაპარაკა ავადმყოფმა.

– ჰო, ალბათ, – უპასუხა ცირამ.

– ასეთი ხარ, ცირა. ამაყობ, რომ ჩემს მოსავლელად მოხვედი. თემური დაგაკარგვინე, შეურაცხოფა მოგაყენე. შენ კი მაინც მოხვედი, არა? შემომხედე, რა მაქვს შენახული, – თქვა კოკამ და საკინძე გადაიღელა.

– ღმერთო ჩემო, ჩემი ფირუზის საყურე! – წამოიძახა ცირამ.

– ხომ გახსოვს, ცუდად რომ გახდი ბიჭვინთაში? გულის ასარევად საპირფარეშოში შეხვედი. საყურე მაშინ აგაცალე და დაგიმალე. თემურის ხასიათზე გავთვალე. თქვენი დაშორება მინდოდა.

– რატომ? – იკითხა გაოცებულმა ქალმა და კოკას მკერდზე ჩამოკიდებულ ფირუზის საყურეს დააშტერდა.

– იმიტომ, რომ მიყვარხარ! – მოკლედ მოუჭრა ბიჭმა.

ცირა დაბნეული იჯდა ავადმყოფის საწოლთან და ვეღარაფერს ამბობდა.

– რატომ არაფერს მპასუხობ? – ჩააცივდა კოკა. – არ მეჩხუბები, არ მყვედრი, არ მლანძღავ? ისეთი დიდსულოვანი ხარ, მაინც მომივლი? მაგასაც ამპარტავნების გამო გააკეთებ. შინაგანად ისეთივე ყალბი ხარ, როგორც სხვები. მილიონერის შვილი, რომელიც უპატრონო ბავშვებს

და ნაცემ ბიჭებს უკლის. იმიტომ, რომ ყველასგან გამოირჩეოდეს.

— გეყოფა! — იყვირა ცირამ და ყურებზე ხელები აიფარა.

— შენც ისევე უღალატე თემურს, როგორც მე! საწოლში მოგეწონე და იმიტომ მომაკითხე, არა?! — ირონიულად ჰკითხა კოკამ, — რას იტყვი, კიდევ დარჩები ჩემთან, დედა ტერეზავ?

ცირამ ჩანთას წამოავლო ხელი და გაქცევა დააპირა.

— თემური არასოდეს მიღალატებდა! არც გიგი მიღალატებდა, — ჩაილაპარაკა ბიჭმა და მიმავალ ქალს ნაღვლიანი თვალები გააყოლა.

— გიგი მოკლეს! — წამოსცდა გამწარებულ ცირას და უცებვე იკბინა ენაზე.

კოკა მიტკალივით გათეთრდა. ფეხები მოკეცა, გვერდზე გადაბრუნდა და არაადამიანური ხმით დაიღმუვლა.

— მიშველეთ, ავადმყოფი ცუდად არის! — იყვირა ცირამ და დერეფანში გავარდა.

პალატაში ექთანები შემოცვივდნენ და ავადმყოფს დამამშვიდებელი გაუკეთეს.

კოკა მოდუნდა და მკვდარივით მიეგდო საწოლზე.

ცირა არსად წასულა. ფანჯარასთან იჯდა და ჩამავალ მზეს შესცქეროდა. დაჟინებულმა მზერამ თავი მოატრიალებინა და მწოლიარეს შეხედა.

— როგორ ფიქრობ, რატომ ხდება ეს ყველაფერი ჩვენს თავს? — ჩუმად ჰკითხა ბიჭმა. — რატომ იქცა გიგი ავაზაკად? მეც რატომ გავბოროტდი? შენ, იასამნისფერ ნაზი და სუფთა, რატომ იქეცი ისეთად, როგორიც დღეს ხარ?

— იმიტომ, რომ შუშის სამყაროში ვცხოვრობდით და ქარიშხლის დროს ყველანი შუშის თოჯინებივით დავიმსხვერით. არც ერთი არ გადარჩენილა ჩვენგან! — უპასუხა ცირამ.

— ძალიან დიდი ფული მაქვს, — დაიჩურჩულა კოკამ და იასამნისფერ თვალებში ჩახედა ქალს. — შემეძლო საზღვარგარეთ წასვლა შემეთავაზებინა შენთვის. სადაც არც ომია, არც სიცივე და შიმშილი. მაგრამ ვიცი, შემაფურთხებ მაგისთვის. ერთი მეგობარი შენს გამო დავკარგე და მეორე ამ დაწყევლილმა ფულმა დამაკარგვინა. სულის ნაწილი წამართვეს მათთან ერთად.

კოკამ თვალები დახუჭა და ხმადაბლა დაუმატა:

— ეგებ, გვეცადა შუშის ქალაქის შეწებება, ცირა. ჩვენ თუ არა, იქნებ ვინმე მაინც გაამრთელოს.

ქალმა ფანჯარაში გაიხედა. მზე აღარ ჩანდა. შავ ღრუბლებს დაეფარათ ზეცა.

– ხვალ იწვიმებს! – ხმამაღლა თქვა ცირამ და კუთხეში მდგარ სკამზე ჩამოჯდა.

კოკა კედლისკენ შეტრიალდა და თვალები დახუჭა. ბინდდებოდა. წარსულში მიიპარებოდა უმზეოდ დარჩენილი დღე.

დილით კოკასთან გამომძიებელი გამოცხადდა და გიგის შესახებ ელაპარაკა. მას მერე ყოველდღე აკითხავდა და ჯიქურიძის ფულებზე ეკითხებოდა. აინტერესებდა, რა იცოდა კოკამ ვიღაც ბერძნის გატაცების და გაძარცვის შესახებ.

კოკას ლაპარაკის განწყობა არ ჰქონდა და სინამდვილეშიც არაფერი იცოდა. საქმე იქამდე მივიდა, ერთ დღესაც მილიციიდან მოვიდნენ და ძლივს ფეხზე დამდგარი ბიჭი დააპატიმრეს.

მილიციაში მისული ცირა ამაოდ უხსნიდა გამომძიებელს, კოკა ავადაა და მისთვის ციხეში ყოფნა არ შეიძლებაო.

– ბოლოს და ბოლოს, უნდა გავარკვიო, ვინ რას წარმოადგენს. საბოლოოდ უნდა აღმოვფხვრათ ყაჩაღობა და ბანდიტიზმი. სხვანაირად წესრიგს ვერასოდეს ვეღირსებით, – თქვა გამომძიებელმა. ცირამ პატიმრის ნახვის ნებართვა ითხოვა და კოკა ციხეში ინახულა. ძალიან გამხდარი ეჩვენა. თავზე ჭრელი ნაჭერი ჰქონდა შემოხვეული. წელში მოხრილი იჯდა და კბილებჩამტვრეული პირით უღიმოდა ქალს.

– ასე ნუ მიყურებ! – უთხრა კოკამ, – მაგ ამბებში არ გავრეულვარ. ალბათ, მალევე გაარკვევენ ყველაფერს.

ცირა უცნაურად დამძიმებული გულით გაფრინდა სოხუმში. თიო უყვარდა ახლაც და ყოველთვის. მაგრამ ისეთ რამეში გამოუტყდა თავს, რისი გაცნობიერებაც ძალიან გაუჭირდა. კოკამ სწორად უთხრა ბოლო შეხვედრისას:

– მე და შენ უფრო ვგავართ ერთმანეთს და არც ერთი არ ვართ თემურის ღირსიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემური სხვა ტყვეებთან ერთად გუდაუთში გადაიყვანეს და ცალკე საკანში მოათავსეს. ზაქარია და კახა სულ მალე აფხაზ ჯარისკაცებზე გაცვალეს. თემური რატომღაც დატოვეს.

— რაღაცას მიპირებენ! — არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობდა თიო. ერთხელ მცველს სთხოვა, სიგარეტი მომაწევინეო.

— ეს არ გინდა? — დაუღრინა მცველმა და უშნოდ დაწყობილი სამი თითი წინ წამოსწია.

— რა გვარის კაცი ხარ? — ჩააცივდა თემური. — აქაურებში ბევრი მეგობარი მყავს და იქნებ საერთო ნაცნობებიც გამოგვენახა?!

მცველმა ხმა არ გასცა.

— აფხაზი ხარ? — გადაეკიდა თემური.

— დიახ, აფხაზი ვარ, — რატომღაც გაბრაზდა მცველი, — ჩარგაზია ვარ გვარად.

— რაო? — გაუკვირდა თიოს. — ჩემი მოგვარე ყოფილხარ, თუმცა შენ აფხაზი ხარ და მე ქართველი. ნეტავ რატომ? ხომ გაგიგია, დაყავი და იბატონეო.

მცველი გაცოფდა. საკანში შეუვარდა ტყვეს და წიხლებით სცემა.

რამდენჯერაც ეს მცველი მორიგეობდა, იმდენჯერ განგებ მოუხ-მობდა ხოლმე თიო და ჩემო მოგვარევ, სიგარეტი მომაწევინეო — სთხოვდა, რაც ყოველთვის ცემა-ტყეპით მთავრდებოდა. დაჟეჟილი გვერდების მიუხედავად, თიოს ართობდა ეს ამბავი.

ერთხელაც უცხოელი ჟურნალისტები ეწვივნენ საპატიმროს. პატიმრები ეზოში გაიყვანეს და პაპიროსი დაურიგეს. იქვე რომელიღაც რუსული გაზეთის კორესპონდენტი აღმოჩნდა და ტყვეებს სურათის გადაღება მოუნდომა. სურათის გადაღებისას თიო მცველ ჩარგაზიას ამოუდგა გვერდით. პაპიროსს ექაჩებოდა და ტკბილად უღიმოდა მოგვარეს. ჟურნალისტებმა რომ ჩაუარეს, თემურმა ინგლისურად იყვირა, ყურადღება მომაქციეთო.

უცხოელები პატიმარს მიუახლოვდნენ.

— რაიმე გიჭირთ? საკვებსა და სიგარეტს თუ გაძლევენ საკმარი-სად? — იკითხეს მათ.

— როგორ გეკადრებათ, — თქვა თემურმა, — ეს აფხაზი ჩემი

მოგვარეა და ხშირად მაწვდის ხოლმე სიგარეტს. ოღონდ ნათესაობის საკითხში ვერ ვთანხმდებით და ხუმრობით იატაკზე ვჯიდაობთ საკანში.

— გასაგებია, — თქვა ჟურნალისტმა და ამასობაში სურათიც გადაიღეს. გადაღებული ფოტოები მოწინავე რუსულ გაზეთში დაბეჭდეს სათაურით: „აფხაზი მცველები სიგარეტით უმასპინძლდებიან ქართველ ტყვეებს“.

ამ შემთხვევის შემდეგ თემურს ერთი კვირით „კარცერში“ ჯდომამ მოუწია. „კარცერიდან“ გამოსვლისას ექიმმა გასინჯა და გული არა აქვს კარგადო, — დაასკვნა.

პატიმარს ძალიან გაუკვირდა.

— შესანიშნავი გული მაქვს. არასოდეს შევუწუხებივარ, — უმტკიცებდა ექიმს.

— საგულე საშუალება უნდა გაგიკეთოთ! — უთხრეს და საგანგებოდ გამოყოფილ ოთახში შეიყვანეს.

თემურმა იგრძნო, რაღაც ძალიან ცუდი უნდა მომხდარიყო. ნებისყოფა დაძაბა და შეეცადა ისეთ რამეზე ეფიქრა, რაც ყველაზე მტკივნეული იქნებოდა მისთვის. პავლე ბაბუას ხანჯალი გაახსენდა, რომლის წართმევითაც მთელს მის საგვარეულოსა და მოდგმას აჰყარეს პატივი. ხანჯალი მისი ყველაზე მგრძნობიარე ადგილი იყო და მთელი გონება მასზე დაიუნჯა. პატიმარს ხელზე ღვედი გადაუჭირეს და კუნთში ნემსი გაუკეთეს. თითქოს ლურსმანი შეესო გულში და ათას ნაკუწად დაშალა. ეჩვენებოდა, რომ ბლანტ, ელასტიურ მასად იქცა და ბოლოს ხანჯლის ფორმა მიიღო. ირგვლივ ყველა საგანი გაცოცხლდა. კედლებმა ლაპარაკი დაიწყეს და დანაღმული უბნების შესახებ ჰკითხეს. ნათურამ განათებული პირი დააღო და ქართველ ჯარისკაცთა რაოდენობაზე, შეიარაღებასა და განლაგებაზე შეეკითხა.

თემურმა იცოდა, რომ ხანჯლად იქცა და მოლაპარაკე ნათურის აკუწვა შეეძლო. გაექანა და უცნაურ ნათურას პირდაპირ გალესილი წვეტით დაეჯახა. მერე გაორდა, გასამდა და გაათასდა. ათასივე ხანჯალი ვაჟკაცურად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. გონს რომ მოვიდა, მიხვდა, რომ ლოგინზე იწვა და თავზე ექიმები ადგნენ.

— შეუძლებელია, ამ ნივთიერების გამოყენებისას ადამიანი არ ალაპარაკდეს! ეტყობა სწორად ვერ გამოიყენეთ! — ამბობდა სათვალიანი ექიმი.

პატიმარი მთელი კვირა საწოლში იწვა და ტკივილებისგან იტან-

ჯებოდა. ცხვირი გატეხილი ჰქონდა. მთელს ტანში ამცივნებდა და ამტვრევდა. ცოტა რომ მომჯობინდა, შიმშილობა გამოაცხადა და უცხოელებთან შეხვედრა მოითხოვა. უცხოელების ნაცვლად აფხაზები მოვიდნენ ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციიდან და აკრძალული ნივთიერების გამოყენებისთვის ბოდიში მოიხადეს.

— თქვენი დედაც! — შეაგინა თიომ სტუმრები და პირით კედლისკენ შეტრიალდა. ციხეში ხმა დაირხა, დარჩენილ ტყვეებს ჩრდილოკავკასიელ ოფიცრებზე გადაცვლიდნენ. ხმები მართალი გამოდგა. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ საპატიმროში თემურს ვალერიკა ფილია ესტუმრა. ვალერიკა ისეთი აღარ იყო, როგორიც თიოს ახსოვდა და უყვარდა. საფეთქლებზე თმა გათეთრებოდა და თვალებში ზამთრის სუსხი ჩასდგომოდა. რამდენიმე წუთი, მეგობრები მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს. თიომ ხელები გაშალა და ბავშვობის მეგობარს გადაეხვია.

— თუ გახსოვს, რას გეუბნებოდი ორი წლის წინ? — გაახსენა ვალერიკამ. — კაცებს შორის მეგობრობა ყველაზე მაღლა დგას-მეთქი ჩემთვის. დღეს შენ ხარ პატიმარი, ხვალ შეიძლება პირიქით მოხდეს. ვის რაში სჭირდება ეს ყველაფერი?

ამას წინათ ტყვეები მიგვყავდა სოფლებზე გავლით. ერთგან, სახლის ჭიშკართან, მოხუცი ქალი გამოგვეგება. ყვიროდა, ტიროდა და გვეხვეწებოდა, ვენები გადაუხსენით ტყვეებსო. მაგათი სისხლი უნდა დავლიოო. მითხრეს, თქვენების ნასროლ ყუმბარას თორმეტი წლის შვილიშვილი მოუკლავს ამ ქალისთვის.

ვალერიკა საწოლზე ჩამოჯდა და მეგობარს დაღლილი თვალებით შეხედა.

— შენს წასაყვანად მოვედი, — თქვა მან. — დღეს ტყვეებს გაცვლიან და ერთი მათგანი შენ იქნები. თუმცა ვიცი, ისევ აქეთ მობრუნდები და იარაღსაც შემოატრიალებ.

— აქ ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ. უყვარდათ, აშენებდნენ, მტერს ებრძოდნენ და იმარხებოდნენ. ჩემმა წინაპრებმა ამ მიწაზე ციხეები, ეკლესიები და მონასტრები ააგეს, რომელთა კედლებზეც ქართული ასოებით წერია ჩვენი ერის ისტორია. რა უფლებით მაძევებ აქედან? ვაი, რომ ვერ მიმხვდარხართ, მარტო ჩვენ კი არა, თქვენც დაკარგავთ მას.

— შენ შენი ბრძოლა გაქვს და მე ჩემი, — უპასუხა ფილიამ.

— მცივა! — თქვა თემურმა. — ცივი და ნესტიანი საკანია.

გახსოვს, უთენია რომ გავრბოდით ზღვის პირას მზის ამოსვლის საყურებლად? შენც ჩემნაირად გიყვარდა ამომავალი მზის ცქერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ახლაც მიყვარს, – გაეღიმა ფილიას.

მცველმა კარები გააღო და თიო მეგობართან ერთად გავიდა საკნიდან.

ტყვეების გაცვლისას, ის იყო თემურს სასაზღვრო ზონა უნდა გადაეკვეთა, რომ ვალერიკამ ჩუმად ჩაულაპარაკა:

– სულ გადამავიწყდა მეთქვა. ჩვენმა გაშვებულმა თოლიამ უფეხოდ წაუღო თქვენებს აქაური ამბები.

თავი 9

წელში გაუმაგრებელი ადრიანი გაზაფხულის ღამით, როცა გზებზე ჯერაც თოვლი იდო, სოხუმის გარეუბანში, ცეცხლის ირგვლივ ქართველ მეომრებს მოეყარათ თავი.

ჯარისკაცის ფარაჯაში გამოწყობილი მოხუცი თექვსმეტი წლის ბიჭთან ერთად მიჯდომოდა კოცონს. იქვე, თბილ ბუშლატებში ჩაცმული ჯარისკაცები ჩაცუცქულიყვნენ და ქაღალდში გახვეულ თუთუნს ეწეოდნენ. ცაზე სავსე მთვარე ანათებდა. იმ ღამით მთვარე მომაჯადოებლად ლამაზი იყო. ნაზ, სევდიან შუქს ჰფენდა არემარეს. ასეთი მომხიბლავი მთვარის, თუ უფრო საპატიო მიზეზთა გამო, ღამით დაბომბვა არ ყოფილა. მეომრებიც განწყობილნი იყვნენ ელაპარაკათ არა დაჭრილებსა და დაღუპულებზე, არამედ მთვარეზე.

– ნეტავ რატომ ყმუის მგელი სავსე მთვარის დროს? ჩემი თვალით მინახავს, თავაწეული და გაშტერებული, როგორ შეჰყმუის მნათობს, – თქვა წვერმოშვებულმა მეომარმა, რომელიც კოცონთან გვერდულად წამოწოლილიყო და ცას შეჰყურებდა.

– მთვარე მარტოსულებს იზიდავს, – აღნიშნა მოხუცმა ზაქარიამ, – ცხოველთა შორის ყველაზე მარტოსული – მგელია.

– არა, ადამიანია ყველაზე მარტოსული, რადგან სიკვდილთან მარტოდ დარჩენის გარდაუვალობა მხოლოდ ადამიანს აქვს გააზრებული, – აზრი გააგრძელა წვერმოშვებულმა მეომარმა.

– თქვენ რას გვეტყოდით, ბაბუა ზაქარია, მართალს ამბობენ, რომ მარტოსული ადამიანი თავისი ბუნებით მგელს ჰგავსო? – იკითხეს მეომრებმა.

– სწორად ამბობენ! – თქვა მოხუცმა, – მართლაც არსებობენ ადამიანები, რომელთაც მგლების მსგავსად ჭარბი შუქი თვალებს სჭრით და ამიტომ ჩრდილების მეუფე მთვარე ურჩევნიათ. ხომ ასეთი ლამაზია ღამის მნათობი. სინამდვილეში, მზისგან მოპარული სინათლით იმშვენებს თავს. ასეა ბოროტიც: სიკეთის ნიღაბი თუ არ გაიკეთა და ტყუილმაც სიმართლის მსგავსება დაკარგა, მხილებული იქნება და მიმდევრებს დაკარგავს. სიმართლის მსგავსი ტყუილიც იმიტომაა საშიში, რომ შუქსავსე მთვარის მსგავსია და მარტოკაცებს იზიდავს. ადამიანებს, შეძენილი სიბრმავის გამო რომ ვერ ხედავენ მზეს, შესაძლოა თვალი აეხილოთ.

– მოხუცო, ეგებ დაგვანახო ღამეში მზე! – გაეხუმრნენ მეომრები ზაქარიას.

– მზე ღმერთია და სიყვარულის სული. ვისაც სიყვარული აქვს, მარტო აღარ არის.

სრულყოფილი რწმენისას სიკვდილის შიში ქრება და ადამიანი აღარ ჰგავს მგელს, რომელიც შეჰყმუის მთვარეს.

– გინდა მომკალი, ბაბუა ზაქარია, და რა ვქნა, ვერ ვხედავ ღამეში მზეს, – თქვა წვერმოშვებულმა მეომარმა, რომელმაც ამ თემაზე ლაპარაკი წამოიწყო.

– მას მხოლოდ მზეზე მონადირენი ხედავენ! – ჩუმად ჩაილაპარაკა ზაქარიამ და ისევ ცას ახედა.

– თემური სად არის? – იკითხა კახამ, რომელიც აქამდე სულგანაბული ისმენდა საუბარს.

– დაზვერვაზეა! – უპასუხეს მეომრებმა.

იმ ღამით თემური და მასთან ერთად რამდენიმე ჯარისკაცი მტრის განლაგების დასაზვერად გაგზავნეს.

ტყეში შესულები ჯერ ჯგუფებად მიდიოდნენ. შემდეგ წყვილებად გაიშალნენ. თემური და ერთი ახალგაზრდა ჯარისკაცი ხევში ჩავიდნენ და მოზრდილ მინდორს გადააწყდნენ.

თიო თვალს არ უჯერებდა. მინდორში ცხენების რემა გაშლილიყო. მთვარიან ღამით ცხენები მშვიდად ძოვდნენ ბალახს. თემურმა თვალები მოიფშვნიტა და ამხანაგს გადახედა. ახალგაზრდას თვალები უბრწყინავდა. პირდაფჩენილი შესცქეროდა იორღებს.

– ღმერთო ჩემო, აქაც მოგაგენით, აქაც გიპოვეთ, – ჩურჩულებდა ბიჭი.

ადრე იპოდრომზე მუშაობდა და ცხენები მისი ნამდვილი გატაცება იყო. მახლობლად თეთრი ფაშატი ძოვდა ბალახს.

— ნამდვილი მზეთუნახავია! — დაიჩურჩულა ბიჭმა და მოჯადოებულივით გაემართა ცხენისკენ. ფაშატმა დაიფრუტუნა და უცნობი დაყნოსა. მან კი ყურში ჩასჩურჩულა და ფაფარზე გადაუსვა ხელი. ცოტა რომ შეიჩვია, სწრაფი მოძრაობით მოახტა ზურგზე და გააჭენა.

ცხენზე ამხედრებული ყმაწვილი მთვარის შუქზე აპოლონივით ლამაზი ჩანდა. ბავშვივით აღტაცებული უსაბელოდ დააგელვებდა მოთვინიერებულ ცხენს. თემური ადგილიდან არ დაძრულა. გაშტერებული შესცქეროდა მხედარს. მოულოდნელად გასროლა გაისმა და თეთრმა ცხენმა მუხლებზე ჩაიჩოქა.

შემდეგი გასროლით გულგანგმირული ბიჭი დაეცა. ცხენები აირივნენ და ჭიხვინით დაიწყეს მინდორში სირბილი. თიო მიხვდა, მოკლულთან მისვლა არ შეიძლებოდა. სამიზნედ გადაიქცეოდა ჩასაფრებულებისთვის. მარტოდ დარჩენილმა უკან დაიხია და ხეებს ამოეფარა. სროლას აზრი არ ჰქონდა. შესაძლოა დამღუპველიც გამომდგარიყო. უცებ ვიღაცას გადააწყდა სიბნელეში. სახე ვერ გაარჩია, მაგრამ სხეულით იგრძნო, მტერთან ჰქონდა საქმე.

ხელჩართული ბრძოლა რამდენიმე წამს გაგრძელდა. მტერმა ხანჯალი მოიქნია. თემურმა დროულად დაუჭირა მკლავი და ორივენი მიწაზე გაგორდნენ. უცნობი გააფთრებული იბრძოდა. თიო ხანჯლის წართმევას ცდილობდა და თითებს ყელში უჭერდა უცნობს. მოწინააღმდეგემ გაიბრძოლა და ის იყო ხანჯლით უნდა მისწვდომოდა, რომ თიომ ხელი ამოუტრიალა და თავისსავე მოქნეულ ხანჯალზე წამოაგო. მთვარის შუქმა ტარი გაანათა და ფირუზის თვლებით ამოტვიფრული ჯვარი გამოაჩინა. თემურმა პავლე ბაბუას საჩუქარი იცნო და სახეზე დააკვირდა მოკლულს. კაზაკი გულაღმა იწვა მიწაზე და გაყინული თვალებით შესცქეროდა მთვარეს. თემურს არ გახარებია. ის ქართველი მებრძოლები გაახსენდა, უსახელოდ რომ იღუპებოდნენ სხვათა ომებში. უცნაური იყო, მაგრამ შეეცოდა კიდეც მსხვერპლი. ეს ამ კაზაკის ბრძოლა არ ყოფილა. ამ ომში მას თავისი სიმართლე არ ჰქონდა. თიომ მინდვრისკენ გაიხედა. ცხენების გაგიჟებული ჭიხვინი აყრუებდა არემარეს. ჯარისკაცთა ხმებიც მოისმა. ფრინველის ყივილს ხმამიმსგავსებული უცნაური ბგერებით ანიშნებდნენ ერთმანეთს. მინდორში

გასვლა არ შეიძლებოდა. თემური ტყეში შებრუნდა. შეუმჩნევლად გადარბოდა ხიდან ხისკენ. მერე დიდხანს იწვა უმოძრაოდ ხევში.

იქ, სადაც ახალგაზრდა მეომარი ეგდო თეთრ ცხენთან ერთად, ორი მებრძოლი მივიდა. ერთი – ჩრდილოკავკასიელი, სქელი წარბებითა და ღაწვზე დიდი ხალით. მეორე – აფხაზი, თემურის ძველი მეგობარი. ვალერიკა ფილია. ჩრდილოკავკასიელმა გვამი გაჩხრიკა და გულის ჯიბიდან ფოტოსურათი გამოაძრო, სადაც ყმაწვილი ლამაზ ქალთან ერთად იყო გადაღებული. ბიჭს ხელი გადაეხვია გოგოზე და ორივენი გულღიად იცინოდნენ.

– Хорошая телка, – თქვა ხალიანმა. – ай как разукрашу ее красавца. Испанский галстук ему сделаем!

ვალერიკამ ჩრდილოკავკასიელს ხელი დაუჭირა და გაავებულმა დაუყვირა. – არ გაბედო გვამის დამახინჯება! ადამიანობას ნუ დაკარგავ!

– ნუ მეჩხირები! – იყვირა ხალიანმა, – თქვენსკენ რომ ვიბრძვი, მადლობა მითხარი. საერთოდ ვინ ხართ თქვენ, ჩვენ რომ არ ვიყოთ?! რას იზამდით უჩვენოდ?

ჩრდილოკავკასიელთა თავხედობა ფილიას დიდი ხანია ყელში ჰქონდა ამოსული. ისე იქცეოდნენ, თითქოს საკუთარ სახლში იმყოფებოდნენ და ადგილობრივებს არაფრად აგდებდნენ.

– ჩვენ ვართ ამ მიწის მკვიდრნი და ჩვენ ვწყვეტთ, რა ვაკეთოთ და რა არა! – იღრიალა ფილიამ.

– ჩემი მიწაო, – ასე თქვი?! – გაიკვირვა ხალიანმა. – აქ ვიბრძვი და სიცოცხლეს საფრთხეში ვიგდებ. ამიტომაც ეს მიწა, ომის კანონით მეკუთვნის. უფრო მეტადაც მეკუთვნის, ვიდრე – შენ. ჩვენ რომ არ გეხმარებოდეთ, ერთი მუჭა აფხაზები ქართველებთან ვერაფერს გახდებოდით.

– მკვდარს თავი დაანებე, ღმერთი არ გაპატიებს! – დაბალი ხმით უთხრა ვალერიკამ.

სახეზე ეტყობოდა, თავის შეკავებას მთელი ძალით ცდილობდა. ხელები უკანკალებდა. სულ ცოტაღა აკლდა და თავგზას დაჰკარგავდა.

– ომის კანონი უკანონობაა, – ჩაეცინა ხალიანს და ვარსკვლავებით გადაჭედილ ცას მრავალმნიშვნელოვნად აჰხედა. წუთით შეყოვნდა. მოულოდნელად პისტოლეტი ამოიღო და პირდაპირ შუბლში ესროლა ფილიას. ვალერიკა მოცელილივით წაიქცა და ადგილზე გათავდა.

ჩრდილოკავკასიელმა დანა გაშალა და ცხენების მოყვარულ ჭაბუკს საქმის ცოდნით გამოღადრა კისერი. ენა ძირში გადაუჭრა და ყელზე გაკეთებულ ხვრელში გაუტარა. ნელა და თავდაჯერებულად მოქმედებდა. ეტყობოდა, დიდი ხნის დაოსტატებული იყო ამგვარ საქმეებში.

— ესეც ასე! — თავისთვის ჩაილაპარაკა და ბოროტად ჩაიცინა.

მერე ფილიას გვამს მიადგა. ცხვირი და ყურები მოაჭრა და დამახინჯებული სხეული ზურგზე გადაიკიდა. წელში მოხრილმა რამდენიმე ნაბიჯი გააკეთა და სავსე მთვარისკენ გააპარა თვალი.

ბოროტმოქმედების ერთადერთი მოწმე ვერცხლისფერ შუქს ძველებურად აფრქვევდა მინდორს. შორს ტყეში გაფანტულ მეომართა ფრინველის ყივილს მიმსგავსებული ხმები გაისმოდა.

როდესაც რუდიკ ფილიამ ძმის მკვლელობის ამბავი შეიტყო, სრულიად გაცოფდა. ხალიანი მოუყვა, როგორ იპოვა ტყეში უპატრონოდ დაგდებული, ყურმოჭრილი გვამი და როგორ ათრია ზურგით.

რუდიკა ძმის დამახინჯებულ სხეულს დაჰყურებდა და ქალივით ქვითინებდა.

— შური უნდა ვიძიოთ! — აზრი მიაწოდა ხალიანმა.

— შური უნდა ვიძიოთ! — გაიმეორა რუდიკამაც. იმ დღესვე თანამოაზრეებთან ერთად შეიჭრა ქართულ სოფლებში. მოსახლეები სახლებიდან იარაღის ძალით აჰყარეს და გარეთ გამორეკეს. კაცებს იქვე ხვრეტდნენ და ზღვაში ყრიდნენ. ქალები ერთად შეყარეს, კისერზე მანქანის საბურავები ჩამოაცვეს და ერთმანეთს გადააბეს.

ბიცოლა პიტოც მათთან იყო. დილაუთენია დაადგნენ თავზე და გარეთ გამოაგდეს. დასივებულ ფეხებს ძლივს მიათრევდა და ქოშინით მისდევდა მკვლელებს.

პიტოს თანასოფლელი გოგო კივილით იხვეწებოდა, ნუ მომკლავთ, ძუძუმწოვარა ბავშვი დამრჩება ობლადო.

მიწაზე გაწოლილი წიხლებითაც რომ ვერ ააგდეს, თმებით გაათრიეს სანაპიროსკენ. ქალებს ხელები შეუკრეს და ჩამოცმულ საბურავებს ცეცხლი წაუკიდეს. ავტომატები დაუმიზნეს და გაქცევა უბრძანეს. პიტოსთან გადაბმული მეზობელის ქვრივი უკანასკნელ წუთებშიც ბოხი, მამაკაცური ხმით წყევლიდა მკვლელებს და მათ ოჯახებს. ქარი დასავლეთიდან უბერავდა და დამწვრის სუნი შორს მიჰქონდა. უბადლო სისასტიკისგან გახელებული ზღვა დუჟმორეული

ტალღებით ებრძოდა ცოდვიან ნაპირს. ღამით, სასტიკად მთვრალი რუდიკ ფილია მარტოდმარტო ეგდო ქვიან სანაპიროზე და უაზროდ დაჭყეტილი თვალებით შეჰყურებდა იდუმალებით სავსე, გაბრწყინებულ ზეცას.

ბიცოლა პიტოს დაღუპვის ამბავი თემურმა მალევე შეიტყო. თანამებრძოლის სიკვდილით გაღიზიანებულს და დათრგუნულს, საზარელი ცნობა მეხივით დაატყდა თავს. მკვდარივით გამოიყურებოდა. ხმას საერთოდ არ იღებდა და ყელგამოღადრულ ჭაბუკს და მხეცურად მოკლულ ბიცოლას იგლოვდა.

მერე მოხუცი ზაქარია მონახა და უთხრა:

— სამეგრელოში ვაპირებ წასვლას. ბეჟანი მინდა ვინახულო, ჩემი ბიძაშვილი. უნდა იცოდეს, როგორ მოკვდა დედამისი.

— ჩემგან რას ითხოვ? — ჰკითხა ზაქარიამ.

— ალბათ გახსოვს, ბავშვობის მეგობარზე, გიგი ჯიქურიძეზე რომ გიყვებოდი. ფოთში წასაღები წერილი გამომატანა. არ ვიცი, რა როგორ ამეწყობა. არც ის ვიცი, როდის დავბრუნდები. მძიმე შეხვედრა მელის ბიძაშვილთან. იქნებ დამეხმარო და წერილი ფოთში წაიღო?

— მაგ საქმეს მივხედავ. შენ კი თავს გაუფრთხილდი! — უთხრა ზაქარიამ თემურს.

— კახას რას უპირებ, თან წაიყვან?

— დედამისს შევატყობინეთ, რომ ცოცხალია. ხვალ თბილისში უნდა გავამგზავრო.

თემური მოხუცს გადაეხვია.

— აქ ნუღარ დაბრუნდები,- უთხრა გამომშვიდობებისას.

— არა! — თქვა მოხუცმა ზაქარიამ. - ბოლომდე ვიბრძოლებ, როგორც მაშინ, დიდი სამამაულო ომის დროს.

თავი 10

ქალბატონი ქსენია ჩვეული, ვაჟკაცური ნაბიჯით შევიდა მეტროპოლიტენში და უზარმაზარ ბრბოში იდაყვებითა და მუჯლუგუნებით გაიკვლია გზა. დილით საუზმობა ვერ მოასწრო, რადგან თანამო-

აზრეთა თავყრილობაზე მიეჩქარებოდა. ადამის დროინდელ გაქუცულ პალტოს ჯიბეში ღვეზელი ედო, რომლის შეჭმასაც სწორედ მიტინგის დროს აპირებდა. ისეთი მედიდური და მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველება ჰქონდა, ნებისმიერ მინისტრს შეშურდებოდა. გარეგნულად რაღაცით აქლემსაც მოგაგონებდათ. სიმაღლის გამო აქლემივით ირწეოდა სიარულისას. ხალხის სიმრავლეში სუნთქვა უჭირდა და ერთი ხაზიდან მეორეზე გვირაბით გადასვლას მთელი საათი მოანდომა. ირგვლივ უსინათლობით, უტრანსპორტობით და პურის რიგებით გატანჯულ სახეებს ხედავდა.

– ბები, ფული მოიტა, ფული, – შეეხვეწა გვირაბის კედელთან აყუდებული ბავშვი.

ორნი იყვნენ. შვიდი წლის გოგონა და ერთი ან ორი წლით მასზე უფროსი ბიჭი. გოგოს ჩრჩილის ამოჭმული ნაქსოვი ზედატანი ეცვა და ფეხები სიძველისგან მოღრეცილ ფეხსაცმელებში ჰქონდა გაყოფილი. გამხდარი, ჭუჭყიანი სახის მქონე ბიჭს ქალის პალტო ჰქონდა მოხურული, რომელიც კოჭებამდე სწვდებოდა. თავზე სამხედროების ქუდი ჩამოეფხატა.

ბავშვებმა სიმღერა წამოიწყეს და თავისდაუნებურად შეჩერებულ ქალს სახეში ჩააშტერდნენ.

– მე რა მაქვს და თქვენ რა მოგცეთ, – ჩაილაპარაკა ქსენიამ და ხელი ჯიბისკენ წაიღო.

– სახლში გამომცხვარი ღვეზელი მაქვს. შეჭამეთ და სულს მოითქვამთ, – თქვა და ქაღალდში გახვეული ღვეზელი ბავშვებს შეაჩეჩა.

ისევ მუჯლუგუნებით გასწია მატარებლისკენ და ძლივს ჩაეტენა ვაგონში. მგზავრები ლამის თავზე ასხდნენ ერთმანეთს. ნემსის ჩასაგდები ადგილიც არსად იყო. მატარებელი დაიძრა. ქსენიამ იგრძნო, ჰაერი არ ჰყოფნიდა. თავბრუ დაეხვა და ფეხებში მოიკეცა.

– ქალი ცუდად არის. წამალი თუ გაქვთ ვინმეს? – იყვირა გვერდით მდგომმა შლაპიანმა კაცმა. ქსენიას პირში ვალიდოლი ჩაუდეს და სკამზე ჩამოსვეს. გონზე მოსულმა გაუცხოებული თვალებით მიიხედ-მოიხედა და აქ როგორ მოვხვდიო, – გაიფიქრა.

– მშიერი იქნება. ალბათ, წნევა დაუვარდა. მიეცით რაიმე, –ითხოვა ისევ იმ კაცმა.

მოხუც ქალს პური აღმოაჩნდა და ცუდადმყოფს ნაჭერი მოუტეხა. ქსენიამ პური შეჭამა და ოდნავ მოსულიერდა. მათხოვრებს რომ

დაუტოვა, ის ღვეზელი გაახსენდა. ყველაფერი არაბუნებრივი ეჩვენა. მეტროპოლიტენიც, მათხოვრებიც, საკუთარი თავიც და სიცოცხლეში პირველად მიხვდა, მისი ადგილი სხვაგან იყო. მწვანე მინდვრები წარმოუდგა თვალწინ. ხილის ბაღები და ანკარა წყაროები მოეზმანა.

— ბავშვი დამეჩაგრა. სოფელში უნდა წავიყვანო, — გაიფიქრა ქსენიამ. მეტროდან როგორღაც გამოაღწია და ბავშვთა სახლისკენ გაემართა.

პატარები ეზოში თამაშობდნენ. შენობაში დეზინფექციას ატარებდნენ. ხუთი ბავშვი მუნით დაავადებულიყო და საავადმყოფოში გაეგზავნათ.

ბავშვებს ლტოლვილები შემატებოდათ, რომელთაც ბავშვთა სახლის ეზო სამრეცხაოდ ჰქონდათ გადაქცეული. გრძელი თოკები გაებათ და ზედ სარეცხს ფენდნენ. ნინო მაისთან ერთად იჯდა ხის, გრძელ სკამზე. იქვე პატარა ოთარი ჩაცუცქულიყო და მიწაზე ცარცით ხატავდა. ნინომ შორიდანვე შეამჩნია დედა. გაქანდა და გასავათებულ ქალს გულში ჩაეკრა.

— ნახე, ახალი ფეხსაცმელები მაქვს. ცირამ მაჩუქა. ცირა მასწავლებელი ომში წავიდა.

— სად წავიდა? — უნებურად იკითხა ქსენიამ.

— სოხუმში გაფრინდა. დაჭრილებს უნდა მოუაროს. —ქსენია ჩაფიქრდა. უცებვე გამოერკვა და შვილს მიმართა.

— ბარგი ჩაალაგე. დღესვე სოფელში უნდა წაგიყვანო.

ნინოს თვალები გაუბრწყინდა. მყისვე შებრუნდა და თავის ოთახში გაიქცა. მაია შორიახლოს იდგა და დედა-შვილის საუბარს უსმენდა. უეცრად ცრემლები გადმოსცვივდა და შეკბუნებულ ქსენიას ღრიალით მიეჭრა.

— მეც წამიყვანე, დეიდა. გეხვეწები, წამიყვანე! — ტიროდა და გაშმაგებული კოცნიდა ქალს.

ქსენია დაიბნა. შენობას შეხედა და თვალებით პატარა ოთარის თვალებს გადააწყდა. ბიჭი მიწაზე იჯდა და საცოდავად შესცქეროდა. ქსენიამ ცოტა ხანს იფიქრა და ბოლოს ხელი ჩაიქნია.

— ჯანდაბას, ორივენი წამოდით. — თქვა და ბიჭს საჩვენებელი თითით მოუხმო. ბავშვი წამოხტა, ქალთან მიირბინა და წელზე შემოეხვია. ბარგი შეაგროვეს და პირდაპირ სადგურში გაეშურნენ.

ქსენიას ბილეთის აღება აზრადაც არ მოსვლია. სიმართლე რომ

ვთქვათ, სამაგისო ფული არც ჰქონდა. პირველივე ვაგონში ავიდა და ცარიელი კუპე დაიკავა. მატარებლის დაძვრამდე რამდენიმე წუთით ადრე კუპეს ხანში შესულმა ცოლ-ქმარმა მოაკითხა.

— ეს ჩვენი ადგილებია! — განაცხადეს მათ და ბილეთები წარმოადგინეს. ქსენიამ თვალები დააბრიალა. დოინჯი გაიკეთა და კუპეს კარებში ჩადგა.

— რაიო? დამჩაგროთ გინდათ? ფული რომ არ მაქვს მიტომ. ყაჩაღი რომ არა ვარ, მიტომ არ მაქვს ფული! — შესძახა გაოგნებულ ცოლ-ქმარს და ფართო მხარ-ბეჭით კუპეს კარებს გადაეფარა.

ბავშვები შეშინებული ისხდნენ ქვედა თაროზე და ხმას არ იღებდნენ. ხმაურზე გამცილებელი მოვარდა. საქმის ვითარება იკითხა. მომხდარში რომ გაერკვა, ქსენიას მიუბრუნდა და მკაცრად მიმართა:

— ან ჩაბრძანდით, ან ბილეთის ფული გადაიხადეთ, თორემ მილიციას დავუძახებ!

— რაიო? — წარბები აქაჩა ქსენიამ. — მილიცია შემაშინებს მე? ეტყობა კარგად ვერ მიცნობთ. მე ის ქალი ვარ, მთავრობის სახლის წინ რომ ვბრძოლობდი ტყვიებში. ყველაფერი ვიცი. ადგილებს რომ ჰყიდით მეტ ფასებში. სასამართლოში გიჩივლებთ ყველას. ნუ მაწყენინებთ თვარა, ავიღებ თოფს და გესვრი!

ცოლ-ქმარმა ერთმანეთს გადახედა. კაცმა შუბლზე მიიდო ხელი და თვალით ანიშნა ცოლს.

— მგონი ვაგონის ბოლოს ცარიელი კუპეა და იქ შევალთ, — უთხრეს გამცილებელს.

— გიჟია ვიღაც! ისეთი დროა, ასეთი გიჟებისაა ქვეყანა, — ჩაიბურტყუნა გამცილებელმაც და თავისი ადგილისკენ გაემართა.

ნაცნობებში ბეტეერად წოდებული ქალბატონი ქსენია ბრინჯაოს ქანდაკებასავით გამაგრებული იჯდა ქვედა თაროზე. მზად იყო ნებისმიერი შემდაებლისთვის თვალები გამოეთხარა. ერთმანეთს ჩახვეული ბავშვები წინ ესხდნენ და ბაჭიებივით შესციცინებდნენ სახეში.

კუპეს რომ აღარავინ მოაკითხა, ქსენია მოეშვა და კმაყოფილების ღიმილი აუთამაშდა სახეზე.

— უყურე შენ! ვინ ვეგონე იმათ. არავის დავაჩაგვრინებ თავს.

ერთხელ ქუჩაში გავწექი და ისე გავაჩერე უფროსის მანქანა. საჩივარი მქონდა გადასაცემი. აბა! — ჩაილაპარაკა თავისთვის და ამაყად

გადახედა დამუნჯებულ ბავშვებს. მერე ჩაფიქრდა. ოცნებაში გაერთო და დამაჯერებლად განაცხადა:

– ცოტა ნასტავლი რომ ვყოფილიყავი, ამისთანებს ვიზამდი? სულ გადავატრიალებდი ქვეყანას!

ისე, ტყუოდა ქსენია, წელან რომ ყვიროდა, არავისი მეშინიაო. ეშინოდა და მერე როგორ, ოთხმოცდაათი წლის მინადორა ნაკაშიძისა, რომელსაც მოფერებით მამიას ეძახდნენ.

ქალბატონი მამია ახალგაზრდობაში სოციალ-დემოკრატი გახლდათ. აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობაში ჩაფლული, კონსპირაციულ ბინებზე დადიოდა. აკრძალულ ლიტერატურას ინახავდა და პროკლამაციებს ავრცელებდა. როდესაც ხელისუფლებაში ბოლშევიკები მოვიდნენ, სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა საზღვარგარეთ გაიქცა. მინადორა სამშობლოში დარჩა და კომუნისტების წინააღმდეგ იატაკქვეშა ბრძოლა გააგრძელა. პატარა და გამხდარი უჩვეულო ენერგიითა და რკინის ნებისყოფით გამოირჩეოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლშევიკებმა დაიჭირეს და გააციმბირეს. შვიდი წლის განმავლობაში „პოლიტიკურებთან" ერთად ზონაში იჯდა. იქიდან ცოცხალი რომ გამოვიდა, გადასახლებაში უკრეს თავი. თხუთმეტი წელი გაატარა ციმბირში და მხოლოდ შემდეგ მისცეს საქართველოში დაბრუნების უფლება. ორმოცდაათს გადაცილებული მინადორა სამშობლოში დაბრუნდა და ხონის რაიონის ერთ პატარა სოფელში დასახლდა. თან რვა წლის ქსენია და ანგორის ჯიშის ულამაზესი კნუტი ჩამოიყვანა.

მამია საოცრად ნაკითხი ქალი ბრძანდებოდა. ამავე დროს, უცნაურ ზეგავლენას ახდენდა ყველაზე, ვისთანაც ოდესმე რაიმე შეხება ჰქონდა. მოკლე ხანში, ხონის რაიონში სადავო საქმეები, ოჯახური იქნებოდა, სამეზობლო თუ სხვა რამ, მამიას გარეშე არ წყდებოდა. ურწმუნო სოციალ-დემოკრატი გადასახლებიდან ღრმად მორწმუნე დაბრუნდა. ეკლესიაში წირვებს ესწრებოდა და გაჭირვებულებს ეხმარებოდა.

მინადორა გამრჯე და მუშა ქალი იყო. თუ რაიმე შენაძენი ჰქონდა სულ ეკლესია-მონასტრებს შესწირა. სადაც არ უნდა წასულიყო, უზარმაზარი შავი კატა ყოველთვის თან დასდევდა. დინჯად და ღირსეულად მიჰყვებოდა ხოლმე უკან.

ამის გამო და იმის გამოც, რომ მამია ბალახებში ერკვეოდა და

მკურნალობა შეეძლო, ზოგიერთები ჯადოქრადაც თვლიდნენ. განსაკუთრებით მას მერე, რაც დაბერდა. ხმელსა და ნაოჭიანს, უზარმაზარი თვალები უნათებდნენ სახეს, რომელთაც თითქმის არასოდეს ახამხამებდა. სწორედ ეს თვალები ახდენდნენ გავლენას ნაცნობსა თუ უცნობზე. ეს იყო უზარმაზარი ნებისყოფის გამომხატველი თვალები, რომელნიც აბნევდნენ და იმორჩილებდნენ ყველას, ვისაც კი მიაპყრობდნენ მზერას. რაღაც შიშის მომგვრელიც იყო მათში, რაც თითქოს ამ ქალის ორმაგი ბუნების გამოხატულებას წარმოადგენდა. ამიტომ ხდებოდა უცნაური რამ. მამია ერთდროულად წმინდა ქალადაც ითვლებოდა და ჯადოქრადაც. გათხოვილი არ ყოფილა და არც მამაკაცი ჰყოლია ოდესმე, სიბერემდე ქალწულად დარჩა. სწორედ მასთან მიდიოდა ქსენია ბავშვებით და თან ეშინოდა, ვაითუ მინადორამ არ მიმიღოსო.

ეს ორი ქალი ერთად ვერ თავსდებოდა. მამიას გაზრდილი იყო ქსენია, მაგრამ მისგან არაფერი შეუთვისებია. ყველასთან ყველაფერი გამოსდიოდა მამიას, თავის გაზრდილს კი ვერც ცოდნა გადასცა და ვერც რწმენა.

როდესაც მინადორა რაიმეს ასწავლიდა ან არიგებდა, ქსენია თვალებში არასოდეს უყურებდა და ყოველთვის გვერდზე იცქირებოდა. თექვსმეტი წლის ქსენია ქალაქში გაიპარა, ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ქარხნის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და მოგვიანებით თავისი საამქროს მუშას გაჰყვა ცოლად. ორმოცს უახლოვდებოდა, შვილი რომ ეყოლა. თავადაც გაუკვირდა, რადგან თავი უშვილო ეგონა. მინადორა რამდენჯერმე ჩავიდა თბილისში და ქსენიას ნახვას შეეცადა. ქსენიამ კარი არ გაუღო გამზრდელს. სად არ მუშაობდა ქსენია და ვერც ერთ სამსახურს ვერ მოერგო. ყველგან უსიამოვნება ხვდებოდა. სასამართლოები გაუთავებელი ჩივილებით ჰქონდა აკლებული. ხან მეზობლებს ედავებოდა და ხანაც თანამშრომლებს. ქმარი სიმსივნით დაეღუპა და ერთადერთი შვილი ბავშვთა სახლში მიაბარა.

– ვაითუ გამზრდელმა არ მიმიღოსო, – ღელავდა ქსენია.

ხანაც თავს იმშვიდებდა.

– ბავშვების გამო მაინც გამიღებს კარსო.

სადგურიდან ფეხით წამოვიდნენ. სოფელი ფერდობზე იყო გაშენებული და აღმართზე ასვლა მოუწიათ.

ქვის ორსართულიანი სახლისა და ეზოში მდგარი ვაშლის ხეების დანახვისას ქსენიას გული აუფანცქალდა. ეზოში უცნობი ქალი ქათმებს საკენკს უყრიდა. თხილის ბუჩქებთან ორი წლის ბავშვი დაბაჯბაჯებდა. ქსენიამ ბავშვები წინ ჩაიყენა და რკინის ჭიშკარი შეაღო. უცნობი ქალი სტუმარს შეეგება და სახლში შეიპატიჟა.

— ვინ არის ეს ქალი? — გაუკვირდა ქსენიას.

გრილი გაზაფხული იყო და სასტუმრო ოთახში ბუხარი ენთო. ბუხრის წინ, ძველებურ ხალიჩაზე შავი კატა გაწოლილიყო.

კატა შეშფოთდა. თავი წამოწია და შემოსულს მწვანე თვალები მიაპყრო. იქვე სამფეხა სკამზე მოხუცი, ჩია ქალი იჯდა და წინდებს ქსოვდა. მისი ცოცხალი სახის შემხედვარე ვერ იტყოდით, რომ თითქმის საუკუნეს იყო მიტანებული.

— კატაც კარგი ბებერია, — გაიფიქრა ქსენიამ და გამზრდელს მიესალმა.

მინადორა ფეხზე წამოდგა და სტუმარს დააშტერდა. ქსენიამ თვალები დახარა.

— მადლობა ღმერთს! — თქვა მამიამ და ხელები გაშალა. ქსენია მყისვე მიეჭრა და გულში ჩაიკრა გამზრდელი. ბავშვებს მოუხმო და დიდი ბებია გააცნო. მინადორამ სათითაოდ დაკოცნა პატარები.

— წერა-კითხვა თუ იცით? — იკითხა მან.

— ვიცით, მაშ! — უპასუხა მაიამ და მორცხვად თავჩაღუნულ ნინოს გადახედა.

— წმინდა წერილს გასწავლით და შრომას შეგაყვარებთ, — ბრძანა მოხუცმა და ისევ ქსენიას მიუბრუნდა.

— ლტოლვილი მყავს შეკედლებული. ბავშვიანი ქალია. ქმარი სოხუმში იბრძვის.

— მურადი, მოდი, შვილო, აქ! — მოუხმო მინადორამ კუთხეში მიყუჟულ ბიჭს, ცნობისმოყვარეობით რომ ათვალიერებდა ახალმოსულებს. ბავშვი მიუახლოვდა.

— ესენი დღეიდან შენი და-ძმანი არიან. - თქვა მამიამ. — უნდა გიყვარდეთ ერთმანეთი და ერთმანეთს უპატრონოთ.

შემდეგ ლტოლვილს დაუძახა და ქსენიას წარუდგინა. ქალი ქერა იყო და ცისფერთვალება. უბრალო, მშრომელი ადამიანი ჩანდა.

— ამას მიეხმარები საოჯახო საქმეში, — უთხრა ქსენიას მინადორამ.

იმ დროიდან დაწყებული, ბავშვების ცხოვრება სრულიად შეიცვალა. სითბო და სიყვარული შემოეხვიათ და მათი თანდათანობით გარდაქმნა დაიწყო.

მამია საღამოობით ყველას ერთად დასვამდა ხოლმე ბუხართან და ბიბლიას უკითხავდა. დილით ისტორიასა და ლიტერატურაში ამეცადინებდა. დღის განმავლობაში დიდსა და პატარას თავისი დავალება ჰქონდა შესასრულებელი. კვირაში ერთხელ, უფრო ხშირად ხუთშაბათ საღამოს, საჩუქრებს ჩუქნიდნენ ერთმანეთს. გოგონებმა ქსოვა ისწავლეს და ოთარსა და მურადს წინდებს უქსოვდნენ. ოთარი ნახატებს იძლეოდა საჩუქრად. პატარა მურადი ახალნასწავლ ლექსს იტყოდა და იმით გაახარებდა ყველას. კვირაობით ნამდვილი ზეიმი იყო ეკლესიაში წასვლა. დასუფთავებულ-დაბანილი და საგარეო სამოსში გამოწყობილი ბავშვები წიწილებივით მისდევდნენ დიდ ბებიას და სულგანაბული უსმენდნენ წირვას. განსაკუთრებით ნინოს და ოთარს უყვარდათ ეკლესიაში სიარული. მაია ისევ ცელქობდა, თუმცა ნაკლებად, რადგან დიდი ბებიის ერიდებოდა. პასიკო, ასე ერქვა ლტოლვილ ქალს, კრუხივით დასტრიალებდა ბავშვებს და საკუთარი შვილებივით უვლიდა. მოკლედ, ისე ცხოვრობდნენ, რომ რაც საქართველოში ხდებოდა, დაპირისპირება, აფხაზეთის ომი და სიყვარულის საყოველთაო შემცირება, თითქოს მათ არ ეხებოდათ.

ქსენიამ ერთი თვე როგორღაც გაუძლო ცხოვრების ამგვარ წესს. ერთ მშვენიერ საღამოს კი ეზოში, ხის სკამზე ჩამომჯდარ მამიას მიადგა და უთხრა: – აღარ შემიძლია ასე ყოფნა. ქალაქში უნდა დავბრუნდე. ბავშვები შენთან იქნებიან. გულიც მშვიდად მექნება. მალე დიდი მიტინგი მოეწყობა და უეჭველად იქ უნდა ვიყო. ბევრი მაქვს სამოქმედო და საბრძოლველი.

უბრალო ამბავში კი არ ვარ, საქართველოს თავისუფლებისთვის ვიბრძვი. ის ადამიანი არ ვარ, სოფელში რომ იჯდება და ბავშვებს და ქათმებს მოუვლის. პოლიტიკური მებრძოლი ვარ!

მამიას ჩაეცინა. ცოტა ხანს მდუმარედ უყურა შვილობილს. თვალები დახუჭა და თქვა:

– ბავშვების მოვლით შენ არც ქალაქში იკლავდი თავს, მაგრამ ამას თავი დავანებოთ.

ახალგაზრდობაში მეფის „ოხრანკას" და ჟანდარმერიას ებრძოდი.

წითლების გამარჯვების შემდეგ, – ბოლშევიკებსა და კომუნისტებს. ციმბირში რომ ვიჯექი, ზედამხედველებსა და დამნაშავეთა სამყაროსთან მიხდებოდა შეტაკება. გადასახლებაშიც ბიუროკრატიასა და უსულგულობასთან მიხდებოდა ბრძოლა. ძალიან გვიან მივხვდი, ნამდვილი ომი საკუთარ თავთან უნდა გამემართა.

დღესაც არ დამიმთავრებია ეს ომი. ყველა სხვა ბრძოლაზე რთული გამოდგა. ჭეშმარიტი გამარჯვებული მხოლოდ საკუთარ სულში ჩასახლებული ბოროტის დამმარცხებელია.

ფაციფუცია ყოველივე დანარჩენი. ხვალ და ზეგ კი არა, ერთ საათში რა შეგვემთხვევა, ის არ ვიცით.

შენ გგონია კარვებში ჯდომითა და ქუჩებში ხელების ქნევით რაიმეს შეცვლი? დაგეგმვა ჩვენს ხელთ არ არის. ხოლო გარდაუვალი მოსახდენის შემსრულებელი ყოველთვის მოიძებნება. დარჩი ჩვენთან. შენს თავში ჩაიხედე და ჩაუკვირდი. იფიქრე კარგსა და ცუდზე. რაც შენშია და ეცადე სიმშვიდე მოიპოვო.

ქსენია თვალს არიდებდა მოხუცს და ჯიუტად აგრძელებდა თავისას.

– უეჭველად უნდა წავიდე. ყველამ რომ თქვენნაირად იფიქროს, ქვეყანა დაიღუპება. მოქმედება აუცილებელია!

– შეხედე ცას, – სიტყვა გააწყვეტინა მამიამ, – ვარსკვლავი ინთება და ვარსკვლავი ქრება. ისე, რომ ჩვენ არავინ გვეკითხება. ანაზდად ისე ჩაქრები, როგორც ოდესღაც მოციმციმე მნათობი და რას მოგვცემს მერე იმის გარკვევა, შემთხვევითი იყო ეს თუ აუცილებელი?

ფუჭი ციმციმის გზას მისდევ ქსენია, მაგრამ ალბათ ყველა ცდომილმა ვარსკვლავმა თავის გზა უნდა გაიაროს, სანამ დაეცემა და ჩაქრება.

საუბარი გამთენიისას შეწყვიტეს. საღამოს ქსენია თბილისში მიმავალ მატარებელს გაჰყვა. ათასნაირი ფიქრები უტრიალებდა თავში. რომელ მიტინგზე მისულიყო, რა ეთქვა, რა ეყვირა და სხვა.

მატარებელი დინჯად უახლოვდებოდა დედაქალაქს. სადგურზე უამრავი ხალხი ირეოდა. იქაურობა ლტოლვილებითა და გვარდიელებით იყო გატენილი. ზოგიერთს, მოსაცდელ დარბაზში, სკამებზე ეძინათ.

– ოჩამჩირიდან მომავალი მატარებელი თხუთმეტ წუთში ჩამოდგება მეორე ლიანდაგზე! – აცხადებდა დიქტორი.

ბაქანზე შავებში ჩაცმული ქალი იდგა.

ძალიან გამხდარი იყო, მაგრამ სათვალეებსა და კოხტად შეკრეჭილ თმებში სანდომიანი ჩანდა. ქალს მკერდზე თაიგული ჰქონდა მიკრული და ხელები უკანკალებდა. ოჩამჩირიდან წამოსული მატერებელი, როგორც იქნა, ჩამოდგა. მძიმე ჩანთებით დატვირთული ლტოლვილები მატარებლიდან გადმოვიდნენ. შიგადაშიგ სამხედრო ფორმაში ჩაცმულებიც გამოერეოდნენ ხოლმე.

ბაქანზე ფორმიანმა ბიჭმა გადმოაბიჯა. ზურგზე პატარა ზურგჩანთა ეკეთა. ბიჭი შეგროვილ ხალხში ვიღაცას დაეძებდა. უცებ შავებში ჩაცმულ, სათვალიან ქალს მოჰკრა თვალი და იქითკენ გაემართა. ქალი ადგილზე გაშეშებულიყო. თვალებიდან ცრემლები მოსდიოდა.

— კახა, შვილო, ცოცხალი ხარ? — ჩურჩულებდა გაუთავებლად.

კახა დედას ჩაეხვია და ვერ შენიშნა, ფეხით რომ გადათელა ქალის ხელიდან გავარდნილი თაიგული.

სადგურში სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა. შესასვლელთან ახლოს ჩოჩქოლი ატყდა.

— ექიმი! — განწირული ხმით ყვიროდა ვიღაც.

— რა ამბავია? — იკითხა კახამ.

— ქალი მომკვდარა. გული გასკდომია საწყალს. სასწრაფო მანქანას ელოდებიან მკვდრის წასაღებად, — უპასუხა ჭაღარაშერეულმა კაცმა.

— ასეთი ამბები თითქმის ყოველდღე ხდება, — ხმადაბლა თქვა დედამ. — კარგია, რომ მატარებლით წამოსვლა გადაწყვიტე. ამბობენ, სოხუმთან ახლოს თვითმფრინავი ჩამოაგდესო.

დედა-შვილმა ცნობისმოყვარეობით შეხედა იმ წუთებში გამოჩენილ სასწრაფო დახმარების მანქანას, სადაც საკაცით გადაიტანეს ერთ დროს ბრძოლის ჟინით აღსავსე ქალბატონი ქსენიას გაცივებული სხეული.

— საბუთებიც ვერ ვუპოვეთ. ვიღაც უპატრონოა, ეტყობა, — ერთმანეთს ეუბნებოდნენ სანიტრები.

— საწყალი! — ჩაილაპარაკა კახამ და დედას ხელი გადაჰხვია.

ორივე უსაზღვროდ ბედნიერი ჩანდა. დაღლას არ გრძნობდნენ და სახლისკენ ფეხით გაემართნენ.

მათთვის წარსული აღარ არსებობდა. იწყებოდა სრულიად ახალი ცხოვრება.

როდესაც ქსენიას უსულო სხეული საავადმყოფოს მორგში შეიტანეს, მინადორა ნაკაშიძე იმ დროს ოთახს გვიდა.

მოულოდნელად წაიბორძიკა, სკამზე ჩამოჯდა და ცოცხი იატაკზე დააგდო. გაყუჩებული იჯდა და თითქოს ყურს უგდებდა რაღაცას.

— ფლოქვების ხმა მესმის, — დაიჩურჩულა მამიამ და ხმამაღლა მოუხმო პასიკოს.

პასიკო შეშფოთებული შემოვარდა. მოხუცს სახე მიტკალივით თეთრი ჰქონდა. შუბლზე ოფლის წვეთები გამოსვლოდა.

— ქსენია აღესრულა! — მკვეთრად გამოთქვა მინადორამ. — ქალაქში უნდა წავიდეთ და მიცვალებული დავიტიროთ.

დილით, მინადორა სამგზავროდ გამოეწყო და პასიკოსთან ერთად ავიდა თბილისში მიმავალ ავტობუსში. კატა სახლში არ დარჩა და მისი თან წაყვანა მოუხდათ. მოხუცს მთელი გზა ხმა არ ამოუღია. გრძელი, დაძარღვული თითებით ეფერებოდა ფეხებთან გაწოლილ კატას და უკიდურეს ნერვულ დაძაბულობას ქვედა ტუჩის კანკალით ამჟღავნებდა. ქალაქში ჩასვლისთანავე, მინადორა ზუსტად იმ საავადმყოფოსკენ გაემართა, რომლის მორგშიც ქსენიას გვამი ესვენა. პასიკო გაოცებული მისდევდა უკან. ვერაფრით აეხსნა, როგორ შეიტყო მინადორამ ქსენიას ადგილსამყოფელი. მორგში შესვლისას მამია გაფითრდა, შვილობილის გვამს მიუახლოვდა, დაემხო და მაღალი ხმით ატირდა.

მოხუცის მოთქმასა და ტირილს, კატის საზარელი კნავილი ერთვოდა. ქსენია სახლში გადაასვენეს. მეზობლებმა მინადორა გააფრთხილეს, იმდენია აფხაზეთიდან ჩამოსვენებული, კუბოების ქურდობა გახშირდაო. ახალდამარხულებს თხრიან და კუბოებს ხელმეორედ ყიდიანო. ამ ამბების გამგონე მინადორამ სასაფლაოზე ნაჯახი წაიღო. თხრილშიც თვითონვე ჩავიდა და კუბოს კუთხეები ნაჯახით ჩაჩეხა.

გარეთ წვიმდა. აქ-იქ სროლის ხმა ისმოდა. მეგობრები უკანასკნელი გასროლით აცილებდნენ ომში დაღუპულ მებრძოლებს. სასაფლაოს მდუმარებას გაუბედურებული დედის გამყინავი კივილი არღვევდა.

სოფელში რომ ბრუნდებოდნენ, მამიამ ენა ამოიდგა და თვალებდასიებულ პასიკოს ქსენიას დაბადების ისტორია მოუყვა.

„გულაგში“ რომ ვიჯექი, - ყვებოდა მინადორა, — თოთხმეტი წლის გოგო იჯდა ჩვენთან ერთად, სახელად - ქსენია. მშობლები დახვრეტილი ჰყავდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ხალხის მტრების“ შვილი იყო. ძალიან სუსტი და საცოდავი ვინმე გახლდათ. მამალი დედაკაცები

წარამარა თავში ურტყამდნენ. ქსენია ის მოიტანე, ქსენია ეს გააკეთე, – ისმოდა გაუთავებლად. იმ საწყალს, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა მბრძანებლობდა. სახისა რა მოგახსენოთ და ტანი ნამდვილად დედოფლისა ჰქონდა. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ბებერი და ბილწი ზედამხედველის ყურადღება მიიპყრო. ის ზედამხედველი ეშმაკი და დაუნდობელი ვინმე ბრძანდებოდა. ქალები სამრეცხაოსა და აბანოში შეჰყავდა და ათასგვარ სისაძაგლეს აძალებდა. თუ ვინმე უარს ეტყოდა, ფანდს მოუწყობდა და უფროსებთან აბეზღებდა. რამდენიმე ქალი სწორედ მისი ხრიკების გამო დახვრიტეს. ბოლოს ქსენიას გადაეკიდა და დაორსულა კიდეც. გოგონამ ბანაკში იმშობიარა. ისედაც სუსტსა და უდღეურს სისხლი მოეწამლა და წვალებით დაიღუპა. ბავშვი ქალებმა ვიშვილეთ. უფროსი ზედამხედველის საყვარელს, მარფა სემიონოვნას ვთხოვეთ რძე მიეცა მისთვის. ისიც ახალი მომშობიარებული იყო და რძე ბლომად ჰქონდა. იმ პერიოდში გათავისუფლება მიწევდა და მარფას ვათხოვნინე უფროსებთან, ბავშვის წაყვანის უფლება მოეცათ.

ახალშობილს დედის სახელი დავარქვით. თან რომ არ წამეყვანა, ალბათ დაიღუპებოდა. ვიფიქრე, წავიყვან და გავზრდი–მეთქი. გადასახლებაში, კინაღამ ტიფით მომიკვდა. იქ ერთი მეგობარი ლამა მყავდა. დამეხმარა და გოგო გადამირჩინა. ჩიბუხი მცენარეებით გატენა და, მთელი დღე და ღამე ავადმყოფის სარეცელთან აბოლებდა. თან ლოცვებს ბუტბუტებდა და თავის ენაზე სიმღერებს მღეროდა. ათ დღეში გოგომ გამოჯანსაღება დაიწყო. თითქმის საიქიოდან გამომძვრალს გაოცებული შევცქეროდი. ლამამ მითხრა, შენს თვალებში იმ თესლის მიმართ სიძულვილს ვხედავ, საიდანაც ბავშვი აღმოცენდაო. შენ ვერასოდეს აღზრდიო მას. მართალი გამოდგა. ის აზრი არასოდეს მასვენებდა, რომ ქსენია ცოდვის შვილი იყო და ზედამხედველის დამპალი თესლიდან წარმოიშვა. უბედურება იყო, რომ გარეგნულად ძალიან ჰგავდა მამას.

– იმ ზედამხედველს რა დაემართა? – ჰკითხა პასიკომ მინადორას.

– პატიმარმა ქალებმა პირსახოცით მოახრჩვეს. იკვლიეს, იძიეს და ბოლომდე ვერაფერი გაარკვიეს.

მინადორა ნათესავს ჩააშტერდა და ყრუდ წარმოთქვა:

–ამ ამბის მონაწილე მეც ვიყავი. – შემდეგ დადუმდა და მთელი გზა ხმა არ ამოუღია.

სოფელში რომ დაბრუნდნენ, მამია საწოლში ჩაწვა. ორი დღე

აღარც ამდგარა. ჭერს უყურებდა და ფიქრობდა. როდესაც წამოდგა, შავი კაბა ჩაიცვა, შავი თავსაფარი მოიხვია და ფეხშიშველი წავიდა მათხოჯის მონასტერში.

მონასტერს ცოცხალმკვდარმა მიაღწია. შიგ შესვლა ვერ გაბედა. სანთლები დაანთო და წრე შემოუარა.

— ღმერთო, შემინდე ცოდვილს! — მოთქვამდა მოხუცი. - ცოდვებში დავბერდი და ვერ მივხვდი, ძალადობა ძალადობით არ აღმოიფხვრება. სიძულვილი სიძულვილით არ მოისპობა. შურისძიებას დავატარებდი. ქსენიას გასრწნილი და გადაგვარებული მამის პატიება ვერ შევძელი. მშობლების ცოდვა შვილზე გადავიტანე. ბავშვი ჩემს თვალებში სიძულვილს ხედავდა და თვალს ვერ მისწორებდა. მისი შეყვარება და ღირსეულად აღზრდა ვერ შევძელი. კარგი ვერაფერი შევასწავლე. ცოდვა ჩემს კისერზეა. ღმერთო, შემინდე მე ცოდვილს, როგორც ჟანდარმებსა და კომუნისტებს, ზედამხედველებსა და ავაზაკებს შევუნდე. არავინა ვართ მართალი. არც ერთი მართალი არ არის ჩვენში. გეეედრები, თვალებიდან ცეცხლი მომაშორე. გეეედრები, თვალები გამიწმინდე.

მინადორა ნაკადად გადმომსკდარ ცრემლებს იწმენდდა და ცდილობდა, როგორმე შეცვლილი თვალით დაენახა ქვეყნიერება.

ორმოცი დღის შემდეგ გულწასული ბებერი მონაზვნებმა სახლში მიიყვანეს. კარგა ხანს იწვა ლოგინში. გონს რომ მოვიდა, გაოცებულმა პასიკომ შენიშნა, მინადორას მზერა შეცვლოდა. ქუთუთოებს ხშირად ახამხამებდა და დამამშვიდებელი სირბილე ჩასდგომოდა თვალებში.

თავი 11

ნინომ დედის სიკვდილი მძიმედ გადაიტანა. ისედაც ჩუმი და უხმო, ახლა მთლად უთქმელი გახდა.

ბევრი იტირა, საკუთარ თავში ჩაიკეტა და მარტოობას მიეჩვია. ბავშვებთანაც აღარ თამაშობდა. ხუმარა პასიკო რას არ ეუბნებოდა, როგორ არ ართობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

—თავი დაანებე, დედამისი იგლოვოს! — ეუბნებოდა მამია პასიკოს. — ბავშვია. დრო გავა და ისევ გამხიარულდება.

პასიკო მაინც თავისას ცდილობდა. ისეთი გულჩვილი იყო, ნინოს შემხედვარე თვითონაც ტიროდა.

პატარა რამეზე გული უჩუყდებოდა და ცრემლებს აფრქვევდა. ყველა ეცოდებოდა და სხვების ტკივილი საკუთარი ტკივილივით გადაჰქონდა.

ნინოს თავს ევლებოდა. სადილობისას საუკეთესო ნაჭრებს გადაუღებდა ხოლმე. ღამით თავისთან იწვენდა. მურადს არ უვლიდა ისე, როგორც ნინოს. წამდაუწუმ უკან დასდევდა და ეფერებოდა.

მაიას ჩვეულებად ჰქონდა, დილით, სანამ ძროხას მოწველიდნენ, ბოსელში გაქცეულიყო, ძროხას ქვეშ შეძრომოდა და პირდაპირ ჯიქნებიდან დაელია რძე.

ადრე პასიკო ამას არ დარდობდა. ახლა კი ეჩვენებოდა, რომ საკმარისი რაოდენობით რძეს ვერ იღებდა. სხვა ბავშვები იჩაგრებოდნენ. განსაკუთრებით ნინოს გამო წუხდა და ძალიან ბრაზობდა.

— რა გაქვს, გოგო, მაგ მუცელში, გოდორი? — ეჩხუბებოდა პასიკო მაიას. მაია იკრიჭებოდა და, როგორც წესი, თავისას აკეთებდა. პასიკომ ერთხელ მამიასთანაც იჩივლა. მამია იქით გაუჯავრდა:

— ბავშვს თავი დაანებე. უყვარს რძე და დალიოს, როგორც უნდა.

ამანაც ვერ დაარწმუნა გაღიზიანებული ქალი. თვითონაც ვერ ამჩნევდა, როგორ ედავებოდა ბავშვს ყველაფერზე. ხშირად უსამართლო შენიშვნებსაც აძლევდა. ნინოს საცოდაობამ დააბრმავა და უზომოდ გულკეთილი ქალი სხვების მიმართ გულქვა გახადა.

ნინოს განცალკევებას მაია ძალიან განიცდიდა. ეს იყო მიზეზი, რომ უფრო ცელქი და თავაშვებული გახდა. დაობლებულ მეგობართან დაახლოებას თავისებურად ცდილობდა. ათასგვარ ხრიკს იგონებდა. ნინო დასავით უყვარდა, რადგან მასთან ერთად გაიზარდა და მასზე ახლობელიც არავინ ჰყავდა.

მინადორას ერთი განსაკუთრებით დიდი ღორი ჰყავდა ეზოში, სახელად „მაშკა". ვინ, ვინ და მაია „ მაშკა" ღორს ძალიან დაუმეგობრდა. მის გარდა ღორი არავის ისვამდა ზურგზე.

ღორზე წამომჯდარი მაია ეზოში დასეირნობდა. ხან ქათმებს დასდევდა, ხანაც ბავშვებს გამოეკიდებოდა ხოლმე.

ერთხელ მაიამ მეგობრის გამხიარულება გადაწყვიტა. „მაშკა" მოძებნა და ზურგზე მოაჯდა. ამ დროს ნინო თხილის ბუჩქებთან იჯდა და ბალახზე მოსეირნე ხოჭოებს ათვალიერებდა. მაიამ დაიყიჟინა და პირდაპირ თხილის ბუჩქებისკენ გაქანდა. შეშინებული ნინო წამოხტა და

გაიქცა. შემთხვევით ქვას წამოჰკრა ფეხი და მიწაზე გაიშხლართა. ბავშვი აღრიალდა. გადაყვლეფილი მუხლიდან სისხლი მოსდიოდა.

ღრიალზე პასიკო გამოვარდა სახლიდან. ცოცხს ხელი წამოავლო და ღორიდან ჩამოქვეითებულ მხედარს დასცხო. ცალკე ღორი აჭ-ყივლდა, ცალკე მაია კიოდა. აქვითინებული, ცრემლებს ყლაპავდა და მოთქვამდა:

— ძალით ხომ არ მიქნია. პირიქით, ნინოს გართობა მინდოდა. არავის ვუყვარვარ. შენ სულ მეჩხუბები. მამია ბებიას ოთარის გარდა არავინ უნდა. ნეტავი მე მომკვდარიყავი ქსენია დეიდას ნაცვლად.

ხმაურზე მამიაც გამოვარდა. როგორც ყოველთვის, ოთარი კუდში მოსდევდა. მოხუცმა ბავშვის სიტყვები გაიგო და გაფითრდა. გოგო სიმართლეს ამბობდა. მინადორას განსაკუთრებით უყვარდა ბიჭი. პატარა მუნჯი ტკიპასავით ეკვროდა დიდ ბებიას. სულ თან დაჰყვებოდა და თვალებში უცქერდა. ბებიასთან ყოფნა ყველაზე მეტად მაშინ უხაროდა, როდესაც მამია წიგნს უკითხავდა ბავშვებს. ოთარი ოცნებებს სამყაროში ხვდებოდა. შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფი იჯდა და მოსმენილს ხატავდა. თავისებურად გააზრებული წიგნის სამყარო ფურცლებზე გადაჰქონდა. მინადორა საათობით ათვალიერებდა მის ნახატებს. იღიმებოდა და თავს აქნევდა. მაია კი არა, მგონი კატაც ეჭ-ვიანობდა ოთარზე. ეფხორებოდა და მწვანე თვალებს უბრიალებდა.

მამია პასიკოს გაუჯავრდა. ბავშვს როგორ დაარტყიო და ატი-რებული გოგოები სახლში შეიყვანა.

საღამოს დიდმა ბებიამ ჩვეულებისამებრ ბუხართან შემოიკრიბა ბავშვები, მუხლებზე დადებული ბიბლია გადაშალა და წაიკითხა:

„გამოხდა ხანი და მიართვა კაენმა უფალს ძღვენი, მიწის ნაყოფი. აბელმა მიართვა თავისი ფარის ნათავარი და რჩეული პირუტყვი. მოჰხედა უფალმა აბელს და მის ძღვენს, ხოლო კაენს და მის ძღვენს არ მოჰხედა. ძალზე გამწარდა კაენი და თავი ჩაღუნა. უთხრა უფალმა: რად გამწარდი, რად ჩაღუნე თავი? თუ სიკეთის მქნელი არ ხარ, განა თავაწეული არ უნდა იყო? თუ სიკეთის მქნელი არ ხარ, ცოდვა ჩასაფ-რებულია კართან, შენსკენ აქვს მას ლტოლვა. შენ იბატონე მასზე. უთხრა კაენმა თავის ძმას, აბელს, გავიდეთ ველად და როცა იყვნენ ველად, დაეცა კაენი აბელს და მოკლა. (დაბადება 3-4 თავ-14 3..4.5.6.7.8.).

— მამია ბებო! — გააწყვეტინა მაიამ კითხვა. — რატომ მიიღო

ღმერთმა აბელის ძღვენი და რატომ არ მიიღო კაენისა? კაენის ძღვენი რომ მიეღო, იქნება არ მოეკლა კაენს აბელი?

მამია სულ ერთი წუთით დაიბნა. მაიამ, რომელმაც ზერელედ იცოდა ყურისგდება და გაუგებარი იყო, საერთოდ ესმოდა თუ არა წაკითხული, შეკითხვა დასვა. თანაც როგორი შეკითხვა!

– ღმერთი გულთამხილველია და იცოდა, რომ კაენის ძღვენი გულით შეწირული არ იყო, – უპასუხა მინადორამ ბავშვს.

– მერე რა, მაინც უნდა მიეღო ძღვენი და კაენი აბელს არ მოკლავდა.

– უგულო მსხვერპლი ღმერთს არ სჭირდება! – მშვიდად წარმოთქვა მამიამ, – კაენი აბელს მაინც მოკლავდა, რადგან ადამიანი თავისუფალია და ისე მოქმედებს როგორც სურს. ღმერთი მის თავისუფლებას არ ხელყოფს.

მაიას ხმა არ ამოუღია. შეკითხვაც აღარ დაუსვამს. დასაძინებლადაც მშვიდად წავიდა.

დილით პასიკო ძროხის მოსაწველად მივიდა ბოსელში და აღმოაჩინა, რომ რძე ნაკლული არ იყო.

– უყურე შენ! – გაუკვირდა ქალს და მაიას მოსაძებნად ეზოში გავიდა. ბავშვი ეზოში ვერ ნახა. ვერც საძინებელში იპოვა.

– გაბრაზებულია და მემალებაო, – გაიფიქრა და საქმის კეთება გააგრძელა.

– მაიას ხმა არ მესმის! – სადილობის დროს აღნიშნა მამიამ და ბავშვებს სთხოვა, მოძებნეთო.

გოგო არსად ჩანდა. მთელი სახლი გადაატრიალეს. ბავშვი ვერ იპოვეს. ახლა ნინო აღელდა და ტირილი აუვარდა. ოთარიც კურდღელივით შეშინებული იყურებოდა. ორი წლის მურადიც კი მიხვდა რაღაცას. დედას კაბაზე ეწებებოდა და აღარ შორდებოდა.

ახლომახლო ყველგან მოიკითხეს. მერე მეზობლებიც ააწრიალეს. ცამ ჩაყლაპა ბავშვი თუ დედამიწამ, – ვერ გაარკვიეს.

იმ ღამეს ნაკაშიძეების ოჯახში არავის ეძინა. მეზობლებიც მათთან ისხდნენ და მილიციიდან ცნობას ელოდებოდნენ. საქმეს ვერც მილიციამ უშველა. სამი დღის მერე შემთხვევით გამვლელს წამოსცდა მეზობელთან, თქვენ რომ ეძებთ, ისეთი გოგონა ქუთაისში, სადგურზე შევამჩნიე, მათხოვრობდაო.

მინადორა იმ დღესვე გაემგზავრა ქუთაისში. სადგური მოიარა და პაპიროსის ჯიხურის წინ სამათხოვროდ დამჯდარი მაია აღმოაჩინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ადექი, სახლში წამოდი! – უბრძანა მინადორამ.

ბავშვი უხმოდ წამოხტა და ბებიას უკან გაედევნა.

თვალები ჩაშავებოდა, ხელით ცხვირს იწმენდდა და ხმამაღლა ახველებდა.

სოფელში რომ ჩავიდნენ, ტირილისგან სახედასიებული ნინო შეეგებათ. მაიას მივარდა და კოცნა დაუწყო. პასიკო აქეთ-იქით დარბოდა და ხელებს ასავსავებდა.

მინადორამ გოგო ცალკე გაიყვანა და ჰკითხა:

– რატომ გაიქეცი?

– იმიტომ! – უპასუხა ბავშვმა.

– ეგ პასუხი არ არის. ისე მითხარი, რომ გავიგო და მივხვდე.

– იმიტომ, რომ ღმერთმა კაენის უგულოდ მირთმეული ძღვენი არ მიიღო.

– პასიკო! – იყვირა მამიამ.

პასიკო პერანგის ამარა გამოვარდა მეზობელი ოთახიდან და რა მოხდაო? – დაიკივლა.

– მოუსმინე რას ამბობს ბავშვი. გაუმეორე, შვილო, რაც მითხარი!

– უგულოდ თუ მომექცევით, არც აქ ცხოვრება მინდა, არც ძროხის რძე და არც არაფერი, – თქვა ბავშვმა და ცრემლები გადმოაფრქვია.

– დედა! ახველებს, სიცხე აქვს ნამდვილად! – შეიცხადა პასიკომ და ბავშვის ირგვლივ აფუსფუსდა.

მაია ცხელი წყლით დაბანეს. თბილ ლოგინში ჩააწვინეს და ბალახის ნაყენი დაალევინეს.

ღამით ბავშვს ააკანკალა. შეშინებულმა გამოიღვიძა და, – დედა, სად ხარო, – ხმამაღლა დაიძახა.

პასიკო კინაღამ გადაირია. საძინებელში შევარდა და შეშინებული გოგო ხელში აიყვანა

– წამოდი, დედა, ჩემთან. ამ ღამით ჩემთან დაიძინე, – ჩურჩულებდა და ბავშვს ეფერებოდა. ლოგინში ჩაიწვინა და გულში ჩაიხუტა. გოგოც დამშვიდდა და ჩაეძინა.

დილით, პასიკო რომ წამოდგა, მაია ლოგინში არ დახვდა. შეშფოთებული გავარდა ეზოში და მიიხედ-მოიხედა. მერე ბოსელში შევარდა და ძროხასთან ჩაცუცქული გოგო აღმოაჩინა.

– ფუნა ხარ, ნამდვილი ფუნა. გაგისკდა მუცელი, – იყვირა პასიკომ და სიცილი აუტყდა.

მაიასაც გაეცინა. წამოხტა, ჩასუქებულ პასიკოს მივარდა და მხრებზე შემოეხვია.

იმ წუთას, ორივე მიხვდა, თუ საიდან იცოდა ღმერთმა, როგორი გულით შესწირა კაენმა მსხვეპლი.

თავი 12

თემური სადგურისკენ მიემართებოდა. ერთ დროს ულამაზესი ქალაქის ქუჩები გაპარტახებულიყვნენ. ირგვლივ უამრავ ნაგავს და ნანგრევებს ხედავდა.

აქა-იქ ძირიანად ამოგლეჯილი და დანახშირებული პალმები საცოდავად იწვნენ სანაპიროზე. მოსახლეები იშვიათად თუ ჩაუვლიდნენ. უმეტესად სამხედროები ხვდებოდა.

ერთ ადგილას დიდძალ შეჯგუფებულ ხალხს მოჰკრა თვალი. გაუკვირდა. -- ნეტა რა ამბავიაო, — გაიფიქრა და თვითონაც იქით გაემართა. ხალხის ნაკადში ძლივს შეაღწია. კოჭებამდე კაბებში გამოწყობილი, თავგადაპარსული ახალგაზრდები დაინახა, რომელნიც დამშეულ მოსახლეებს სურსათს ურიგებდნენ.

— ესენი კრიშნაიტები არიან, — აუხსნა გვერდით მდგომმა ახალგაზრდა კაცმა, - ღმერთის სახელით სიკეთეს აკეთებენ. უკვე მერამდენეჯერ შემოაქვთ ქალაქში სურსათ-სანოვაგე.

— ღმერთმა სიკეთით გადაუხადოთ! — უპასუხა თემურმა.

— ესენი ყოველგვარი ძალადობის და ომის წინააღმდეგნი არიან, - გააგრძელა უცნობმა საუბარი.

— ამბობენ, ჭიანჭველაც რომ მოკლა, დიდი ცოდვაა და აუცილებლად მოგეკითხებაო. ხალხი ბედისწერას უნდა დამორჩილდესო.

— თუ ძირძველი ქართული მიწის დაკარგვა ჩვენი ბედისწერაა, პირადად ჩემი ბედისწერა ამ მიწის დასაცავად ბრძოლა ყოფილა.

— ეს ომი წასაგებადაა განწირული. ხალხს ტყუილად ხოცავთ. დაღუპულების სისხლი თქვენს კისერზე იქნება, - შეეპასუხა უცნობი.

- მებრძოლის სისხლი ტყუილად არ იკარგება, — მშვიდად მოუჭრა თემურმა, — თუ მიწას დავკარგავთ, მისთვის დაღვრილი სისხლი ოდესმე მაინც დაგვაბრუნებს იქ.

კამათის დროს ერთ-ერთი კრიშნაიტი მიუახლოვდათ.

— აქაური არ გახლავართ და ვერ გეტყვით, ვისთვის და რამდენად

სამართლიანია ეს ომი, – თქვა მან, – საერთოდ ყოველგვარ ძალადობას ვგმობთ, მაგრამ ისიც გვახსოვს, რომ კურთხეულმა ბრძანა:„უკეთუ სამართლიან ომში არ იომებ, დჰარმისა და ღირსებისაგან განდგომილი, ცოდვით დამძიმდები. კაცნი დაძრახავენ შენს საქციელს, ხოლო მამაცისთვის ნაძრახი სიცოცხლე სიკვდილზე უარესია“ (ბჰაგავატ – გიტა. სანქჰია იოგა 11 გვ. 33, 34).

ასე რომ, მსაჯულებად ვერ გამოვდგებით. თუ საკვები გჭირდებათ, ან დაჭრილისა და ავადმყოფისთვის მომვლელს დაეძებთ, მზად ვარ დაგეხმაროთ.

თემურთან მოპაექრე მამაკაცს სიტყვა გაუშრა. კრიშნაიტებს ზურგი შეაქცია და ხალხს შეერია.

თიომ სადგურისკენ გააგრძელა გზა. განიცდიდა, როგორ შეხვდებოდა ბიძაშვილი. სათქმელი ბევრი ჰქონდა.

თუმცა, წინასწარ არც იცოდა, რას ილაპარაკებდა. ბეჟანის რთული ხასიათი ახსოვდა და შიშობდა, ბიძაშვილები, რომელნიც გახლეჩილი საქართველოს საპირისპირო ბანაკებში აღმოჩნდნენ, საერთო ენას ვერ გამონახავდნენ.

სადგურში თემურს ურჩიეს სამხედრო ფორმა გაიხადე და სამოქალაქოში ჩაცმული ჩაჯექი მატარებელშიო.

სამეგრელოს გავლისას, რაიმე ხიფათი არ შეგემთხვასო.

– სამხედრო ფორმისთვის ლაქა არასოდეს მომიცხია, – ეწყინა თემურს და ფორმის გაუხდელად შევიდა ვაგონში.

მატარებელი დაიძრა. მეომრები აღელვებულნი ჩანდნენ. ამბობდნენ, ვაი მისი ბრალი, ვინც სამეგრელოში განლაგებულ რაზმებს ჩაუვარდება ხელშიო. ბევრიც მშვიდად იჯდა და იაფფასიან თამბაქოს აბოლებდა.

ინგირის სადგურთან მატარებელი გააჩერეს. ვაგონში შეიარაღებული პირები ამოვიდნენ. შავ მაისურებზე, გულის მხარეს დაღუპულ ახლობელთა სურათები მიემაგრებინათ. ვაგონში მსხდომთ მატარებლიდან გადმოსვლა უბრძანეს. იარაღი აჰყარეს და ხელები კეფაზე დააწყობინეს. ვინც გაიბრძოლა, წააქციეს და ფერდებში ავტომატის ტარი ურტყეს.

სქელი, შავწვერა მეომარი დატყვევებულებს ათვალიერებდა. თან თავისთვის ბურდღუნებდა რაღაცას.

– შენი სახე მეცნობა. ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდი. მიდი ხესთან! – თითი დაადო შავწვერამ თემურს.

თიოს უნდოდა აეხსნა, რომ ბიძაშვილის სანახავად ჩამოვიდა, მაგრამ მიწაზე დაგდებულ თანამებრძოლებს შეხედა და შერცხვა.

– იფიქრებენ, თავდასძრომს ვეძებ, – გაუელვა გონებაში. უხმოდ მივიდა ხესთან და ზურგით ვარჯს მიეყრდნო.

– შეტრიალდი! – მოესმა ბრძანება.

– ბარემ პირდაპირ მესროლეთ, – წარმოთქვა თემურმა. უკნიდან ვიღაც მიუახლოვდა და ორივე ყურზე ავტომატის ლულა მიადო. თემური არ მოტრიალებულა. მოულოდნელად ორივე ავტომატიდან ერთდროულად გაისროლეს. თიოს თავბრუ დაეხვა და მუხლებში მოიკეცა. მოეჩვენა, რომ უფსკრულში იძირებოდა. თავს ძალა დაატანა და აკანკალებული მუხლები გაასწორა.

– ვაჟკაცი ყოფილხარ, – დამცინავად უთხრა შავწვერამ. – ეგენი თავისუფლები არიან, ოღონდ იარაღი დაატოვებინეთ, – მიუთითა დანარჩენებზე.

– ჩვენთან წამოხვალ! – მიუბრუნდა შავწვერა თემურს. თიომ ღრმად ამოისუნთქა. ძალა მოიკრიბა და ოფიცერს სახეში შეხედა.

– გაქცევას არ ვაპირებ. სწორედ თქვენთან მოვდიოდი. ბიძაშვილს დავეძებ. ბეჟან ჩარგაზიას ნახვა მინდა.

– მართლა? – გაუკვირდა შავწვერას. – მიგიყვან პოლკოვნიკთან და ვნახოთ, რა მოხდება.

– დავყრუვდი, – ფიქრობდა თემური და მანქანაში ჩაჯდომისას დაგუბებულ ყურებს ისინჯავდა.

განცდილისგან კიდურები უკანკალებდა და ყურდახშულს ძლივს ესმოდა, რას ელაპარაკებოდნენ.

ვილისი ანაკლიისკენ გაეშურა, სადაც სამხედრო საწვრთნელი ბაზა მდებარეობდა. პოლკოვნიკი საღამოს ანახეს.

დედასავით წითური და უზარმაზარი, სხვადასხვა იარაღით კიდევ უფრო დამძიმებული, ბიძაშვილისკენ ზანტად მოაბიჯებდა! რომ მიუახლოვდა, გადაკოცნა და გულში ჩაიკრა.

თემური ფაცხაში შეიპატიჟეს. ჭრაქის შუქზე ისხდნენ და ცხელ ღომს მიირთმევდნენ. ფაცხაში კვამლის სუნი იდგა. ლარჭაზე ჩამოკიდებულ ქვაბში ღომი იხარშებოდა.

კაცები ღვინოს მიეძალნენ. დაღუპულ მებრძოლთა შესანდობარი თქვეს და ბეჟანის მშობლები გაიხსენეს. მამის დაღუპვის ამბავი იცოდა პოლკოვნიკმა.

დედის ამბავი თემურისგან გაიგო და თავზარი დაეცა. თითქმის საათი შეუჩერებლად იგინებოდა. მერე მოიწყინა და თავი ჩაჰკიდა.

— დამარხვაც არ ეღირსა საცოდავს, — თქვა სმადაბლა. — ახლობლის პირით შევუთვალე, წამოდი-მეთქი ჩემთან.

არ ქნა არაფრით. ასეთი სიტყვა გამომიგზავნა, მამაშენის საფლავს ვერ მივატოვებო.

— ფუძე ამოგვიგდეს, ბეჟან, — უთხრა თემურმა, — ნასახლარიც აღარ შეგვრჩა. ყველაფერი გადაწვეს. სახსოვრადაც არაფერი დამრჩა, პავლე ბაბუას ნაჩუქარი ხანჯლის გარდა.

იმისთვის გეძებდი, რომ გთხოვო, წამოდი და დადექი ჩემს გვერდით. ჯერ კიდევ რაც შეგვრჩენია, იმის დასაცავად წამომყევი, ჩვენი უბედური ხალხის დასაცავად, ოჯახებიანად რომ იყრებიან და საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად ქცეულან.

— წაგებულია ეგ ომი. წინასწარაა განწირული! — ხელი ჩაიქნია პოლკოვნიკმა. — ვითომ არ იცით, ვისთან გვაქვს საქმე? მართლა აფხაზებთან ბრძოლა ხომ არ გგონიათ? შენ კიდევ მეუბნები, რუსების ჩაწყობილ ომში წამოდი და ტანკებს შეაწყვიტე თოფიანი ბიჭებიო.

ისედაც ბევრი ხალხი მყავს დაკარგული.

— რას მეუბნები, ბეჟან. ღმერთისგან და კაცისგანაც განწირული რომ ვიყოთ, გული როგორ მომითმენს დაუცველი სოფლები მივატოვო და დაღუპული ბიჭების ხსოვნას მაინც არ ვცე პატივი?

ისინი საქართველოს თავისუფლებას და ერთიანობას შეეწირნენ და მათ ღვაწლს დავაფურთხო?

— არ შევაწყვეტ ჩემს ხალხს უთანასწორო ბრძოლაში. თქვენ არივდარიეთ ყველაფერი და თქვენვე გაასწორეთ! — გაცეცხლდა ბეჟანი.

— ცუდნი ვართ თუ კარგნი, ერთნი ვართ და სამშობლოც ერთი გვაქვს. სხვას რა პასუხს ვთხოვთ, ჩვენ თვითონ თუ დავკარგეთ ერთმანეთის სიყვარული?!

ამბობთ, ღმერთი ჩვენთან არისო. ბიბლიიდან შეგახსენებ:

როდესაც ღმერთი ებრაელებს ოქროს კერპების თაყვანისცემის გამო განურისხდა, მოსემ შეჰბედა უზენაესს.

თუ ჩემს ხალხს არ შეიწყალებ, ამომშალე შენი სიიდანო. საკუთარი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამო, უფალმა შეუნდო მოსეს კადნიერება.

ამით ის მინდოდა მეთქვა, ერთმანეთის შენდობა და შეყვარება თუ ვერ შევძელით, რა პირით ვთხოვოთ მამაზეციერს ჩვენი ერის გადარჩენა და გამარჯვება?!

ბეჟანი გაწითლებულიყო და ძლიმედ სუნთქავდა, ღვინით შეზარხოშებულმა მაგიდას მუშტი დაარტყა და იღრიალა:

– ხორბალში გარეული ფშუტე მარცვალი ხართ თქვენ. გონება გადაგეკეტათ და ვერ გრძნობთ, საერთო საქმეს რომ ღუპავთ.

– ასეც რომ იყოს, ბეჟან, გახსოვდეს, ფშუტე მარცვლისთვის სთხოვა მოსემ ღმერთს, რადგან ისიც მისი სისხლი და ხორცი იყო. მათი საღად ქცევა ითხოვა და არა მოსპობა.

– მოსასრავი უნდა მოისრას და გასასხლავი უნდა გაისხლას! – იყვირა პოლკოვნიკმა.

– ძალიან შემცდარხარ, ბეჟან, ჭეშმარიტი ვაზი თუ გგონია შენი თავი, ეჭვი მეპარება, ჩვენს საერთო ვენახში თუნდაც ერთი საღი მტევანი იყოს შემორჩენილი. კაცთა შორის სიმართლეს ტყუილად დაეძებ. ჩემთვის სხვაა იგი და შენთვის სხვა.

– ჭეშმარიტება ერთია! – სიტყვა ჩამოართვა ბიძაშვილმა.

– მარტო მე და შენ კი არა, ეტყობა მთელი კაცობრიობაც შორსაა ჭეშმარიტებისგან. სადაც ჭეშმარიტებაა, იქ სიყვარულია და მშვიდობა. ერთი მუჭა ხალხი ისე დავკნინდით, ერთმანეთს ვმუსრავთ და ერთმანეთი შევიძულეთ. საკვირველია, როგორ მოვაღწიეთ დღემდე.

ალბათ, იმიტომ, რომ ფესვები გვაქვს ძლიერი. ოდესღაც ოქროს საწმისის მფლობელებს, იყალთოსა და გელათის აკადემიების შემქმნელებს, ქრისტეს კვართის შემნახველებს მტევნები შემოგვაჭკნა და მხოლოდ ფესვები შემოგვრჩა.

ქართული ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილი ახლა თურქეთშია და ნაწილს ჩრდილოეთიდან გვედავებიან. ნუთუ თავმოყვარეობის მსგავსი არაფერი შემოგვრჩა, ის ოქროს ძირები დავიცვათ, ისევ საღ მტევნებს რომ აღმოაცენებს?!

– ხსნის გზას მე სხვაგვარად ვხედავ და შენ – სხვაგვარად. დიდი ხანია ჩვენი გზები გაიყო. არ გეგონოს დედ-მამის სისხლი შევარჩინო ვინმეს. ვიფიქრებ შენს სიტყვებზე.

– ბეწვის ხიდზე დავდივართ, ბეჟან, ერთად თუ არ დავდექით, უფსკრულში გადავიჩეხებით! – უთხრა თემურმა ბიძაშვილს.

საღამო იყო. ბებერი მთვარე ანათებდა ცაზე. ენგურშერეული ზღვა ბოღმიანად აწყდებოდა ანაკლიის ქვიშებს. თემური ქვიშაზე იჯდა და ბავშვობას იხსენებდა. დროდადრო სროლის ხმა არღვევდა დუუმორეული ტალღების გაუთავებელ ჩივილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით თემური ოჩამჩირეში მიმავალ სატვირთო მანქანას გაჰყვა.

იმავე დღეს მოხუცი ზაქარია სამხედრო კატარღით გადავიდა ფოთში. ჯიბეში წერილი ედო, რომელიც გიგი ჯიქურაძემ სიკვდილამდე ერთი თვით ადრე დაწერა და თემურს გაატანა.

კატარღაზე ყოფნისას ზაქარია ზღვას შესცქეროდა და 1944 წლის გაზაფხულს იხსენებდა.

ბრძოლის დროს გამოჩენილი განსაკუთრებული სიმამაცის გამო ერთკვირიანი შვებულება მისცეს და ოჯახის მოსანახულებლად გაუშვეს. ზაქარია საქართველოში არ დაბრუნებულა. იმ ჰოსპიტლის მისამართი გაიგო, სადაც ზინაიდა იწვა და ქალაქ მინსკისკენ გაეშურა.

ჰოსპიტლის მიმღებში ჰკითხეს, დაჭრილი გოგონა თქვენი ვინ არისო.

— ბავშვობის მეგობარია, — მოიტყუა ზაქარიამ.

პალატაში რომ შეაბიჯა, ქალები ჯერ გაყუჩდნენ, შემდეგ ყიჟინი ატეხეს და გაოცებული ლეიტენანტი დერეფანში გამოაგდეს.

— ეზოში მოიცადეთ! — უთხრა ქერა ქალბატონმა და კარი ცხვირწინ მიუხურა. ზაქარია ჰოსპიტლის ეზოში ჩავიდა და ხის ქვეშ, სკამზე ჩამოჯდა. ეზოში დაჭრილები სეირნობდნენ. ზოგიერთები სკამებზე ისხდნენ მოსაკითხად მისულ ახლობლებთან ერთად. ფეხმოკვეთილ ჯარისკაცს აკორდეონი ჰქონდა გამოტანილი და მეგობრებთან ერთად საფრონტო სიმღერებს მღეროდა. მათი შემყურე ზაქარია ისე გაერთო, მოახლოებული ზინაიდა ვერც შენიშნა.

— გამარჯობა! — თქვა ზინაიდამ და მოულოდნელობისგან შემკრთალ ჯარისკაცს ხელი გაუწოდა.

ზაქარიას სულ სხვაგვარი ზინაიდა ახსოვდა. ახლა მის წინ საკმაოდ მაღალი, შავგვრემანი გოგო იდგა. სამხედრო ფორმაში გამოწყობილს, მკერდზე საბრძოლო წითელი დროშის ორდენი ეკეთა. კვიმატი ღიმილი და მეტად თავისებური მიმზიდველი სახე ჰქონდა.

— მაშ ეს შენა ხარ? — ჰკითხა ბიჭმა და ფეხზე წამოდგა.

— მე ვარ! — უპასუხა ზინაიდამ, — არ მინდოდა, ლოგინში მწოლიარე გენახე და იმიტომაც გაგაძევეთ პალატიდან. თანაც უკვე კარგად ვარ. შენ კი სწორედ ისეთი ხარ, როგორიც წარმომედგინე. გოგოებს ვუყვებოდი ნამდვილმა ვაჟკაცმა გადამარჩინა-მეთქი. ოთახში რომ შემოხვედი, მაშინვე გიცნეს.

ზაქარიას გაეღიმა. ქალს ხელკავი გაუკეთა და ხეებს შორის გაასეი

ირნა. ზინაიდა თბილისელი აღმოჩნდა. მიზანში მსროლელი ყოფილა და ნებაყოფლობით წასულა ფრონტზე. რაც მეტს საუბრობდნენ, მით მეტად მოსწონდათ ერთმანეთი.

– საღამოს შემოგვიარე. გოგოებს სასმელი აქვთ და თუ გინდა, ერთად წავიხემსოთ, – სთხოვა ზინაიდამ.

ზაქარიას ფრონტიდან წამოღებული წერილები ჰქონდა ჯარისკაცთა ახლობლებზე გადასაცემი. ამიტომაც შეაგვიანდა ჰოსპიტალში მისვლა. ქუჩებში ბნელოდა. ახალი მთვარე ანათებდა ცაზე. ზაქარია ცოტა ნასვამიც იყო. მეგობრის ოჯახში სადილზე დაპატიჟეს და უარი ველარ თქვა. სწორედ იქიდან მოდიოდა. თითქმის ნახევარი საათი ეღრიჯა საავადმყოფოს დარაჯს. რომ არაფერი გამოუვიდა, შენობას ეზოს მხრიდან შემოუარა და პირველი სართულის ფანჯრიდან გადაძვრა ჰოსპიტალში. ბედზე, უყურადღებო დამლაგებელს საკუჭნაოს ფანჯარა ღია დაეტოვებინა. კიბეზე უხმაუროდ ავიდა და პალატის კარები შეაღო. პალატაში არავინ დახვდა.

ზაქარიამ ფეხის წვერებზე გაიარა დერეფანი და სამორიგეო ოთახს მიადგა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. კარები ფრთხილად გამოაღო და ფარდის უკან შეჯგუფული ქალები დაინახა. ფანჯრის რაფაზე პატარა სარკე დაედგათ. წყლიან ჭიქაში ძაფით ბეჭედს უშვებდნენ და სარკეში იცქირებოდნენ. სარკე წყალში ჩაშვებულ ბეჭედს ირეკლავდა და შიგ, ძველი ხალხის გადმოცემით, მომავალი საქმრო მოჩანდა.

როდესაც ზინაიდას ჯერი დადგა, ზაქარია ფარდის კიდეს ამოეფარა ისე, რომ მისი ჩრდილი სარკეს დაეცა. ქალმა სარკეში ნაცნობი სახე დაინახა და ყვირილით წამოხტა სკამიდან. გოგოებიც აკივლდნენ. არეულობაში ბიჭი შეუმჩნევლად გავიდა ოთახიდან და სირბილით დაეშვა კიბეებზე. გზად არავინ შეხვედრია. ისევ ფანჯრიდან გადაძვრა ეზოში და ქუჩაში გამხიარულებული გაბრძანდა.

დილით, ზინაიდა ჰოსპიტლის ეზოში დახვდა ადრიანად გამოცხადებულ ჯარიკაცს.

თვალები უბრწყინავდა და ლამაზად თმაშეკრეჭილ და საზეიმოდ გამოწყობილ ბიჭს გაოცებული ათვალიერებდა. წუხანდელი ეშმაკობა რომ არა, ვინ იცის როგორ აეწყობოდა ზაქარიას ცხოვრება. მაგრამ შემთხვევა ბედისწერად იქცა.

– გუშინ რატომ არ მოხვედი? თუმცა ვიცოდი, კიდევ შეეხვედებო-

დით ერთმანეთს, რადგან ჩემი საბედო ხარ! – პირდაპირ განუცხადა ქალმა.

ზაქარიას გაეცინა. თუმცა ქალის სითამამემ ცოტა არ იყოს, დააბნია.

– ბავშვობაში, გოგოები საქმროზე ვმარჩიელობდით და სწორედ შენ დაგინახე სარკეში!

– რომელ სარკეში? – ძალით გაიოცა ზაქარიამ.

– ახალ მთვარეზე, წყლით სავსე ჭიქაში ჯვარნაწერ ბეჭედს ვუშვებდით. მარჩიელობის ეს ხერხი ბებიაჩემმა გვასწავლა!

– ზაქარიას ვითომ ძალიან გაუკვირდა.

– როგორ, შენ, ნამდვილი კომკავშირელი ასეთ რამეებს აკეთებდი ბავშვობაში?

– რა მოხდა მერე? – გაბრაზდა ზინაიდა.

– ნუთუ ასეთი ამბების გჯერა? – ჩააცივდა ბიჭი.

– ვხუმრობ! – მკაცრად წარმოთქვა ქალმა და წარბები შეჭმუხნა.

– მჯერა ლენინის, სტალინის და ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოსი. უბრალოდ, ძალიან მომწონხარ და სხვა ვერაფერი მოვახერხე გრძნობების გამოსახატავად.

ასე პირდაპირ არავის არასოდეს უთქვამს კაცისთვის, გინდა თუ არა ჩემი საბედო ხარო. პირველი დღიდანვე მიხვდა, რომ გოგომ გაიტაცა. ეს გატაცება მოულოდნელად დაატყდა თავს და ნამდვილ სიყვარულად ექცა. მაშინ ზაქარიამ არ იცოდა, რომ სიყვარული ლანდივით აეკიდებოდა და ცხოვრების გზაზე შეხვედრილ ყველა ქალში ზინაიდას სახეს დაუწყებდა ძებნას.

... ყველაფერი ისევ იმ სამორიგეო ოთახში დაიწყო. ექთანს მძიმედ დაჭრილმა დაუძახა და მთელი საღამო თავისთან გააჩერა. დაჭრილი ახალი ნაოპერაციევი იყო და ტკივილებისგან იტანჯებოდა. ხელში ექთანის ხელი ეჭირა და მის დამამშვიდებელ ბუტბუტს ისმენდა.

ზინაიდამ ვაჟი სამორიგეოში შეიყვანა და კარი გადაკეტა. ტანსაცმელს შეშლილივით იხდიდა და სურვილისგან დაბანგული თვალებით შესცქეროდა ვაჟს. ზაქარია მონუსხულივით აჰყვა ქალს და უცნაურ მორევში ჩაიძირა. სურვილი მეწყერად ექცა და ორივე წალეკა. ეს არ იყო ორი სხეულის უბრალო შერწყმა, არამედ ნამდვილი სიყვარული. იმ ღამით ქალ-ვაჟი მიხვდა, რომ ერთმანეთისთვის იყვნენ დაბადებულნი. სამყარომ ფერი იცვალა და ქვეყანაც აღარ იყო ისეთი, როგორიც გუშინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეებმა წამებივით გაირბინეს. ერთმანეთს ხვდებოდნენ საავად-მყოფოში, ეზოში, ხეებს ამოფარებულნი, სახლის სადარბაზოებში. ყველგან, სადაც კი შესაძლებლობა მიეცემოდათ.

– შეიძლება, რომ წუთი მარადისობად იქცეს და მარადისობა წუთში ჩაეტიოს? – ეკითხებოდა ზინაიდა ვაჟს.

– სადაც არ უნდა იყო, ყველგან მოგძებნი. მიწის გულშიც რომ ჩახვიდე, თან გამოგყვები. უშენოდ გახლეჩილი ვარ და შენთან ერთად – მთლიანი. - პასუხობდა ზაქარია.

მართლაც ასე იყო. როდესაც ზაქარიას ფრონტზე გაცილების დრო მოვიდა, ზინაიდა მხოლოდ მაშინ გამოუტყდა:

– შენ გგონია ვერ დაგინახე, ფარდის უკან რომ იმალებოდი? მოგატყუე, ბიჭო.

– რატომ? – ჰკითხა მართლა გაოცებულმა ზაქარიამ.

ზინაიდას ეშმაკურად ჩაეცინა, როგორც საერთოდ იცოდა ხოლმე და მხრებზე მოეხვია ვაჟს.

ქალმა სადგურში გააცილა ჯარისკაცი. მატარებლის დაძვრამდე რამდენიმე წუთით ადრე, როდესაც ზაქარია უკვე ვაგონში იჯდა, ზინაიდა ფანჯარას მივარდა და სასწრაფოდ ბაქანზე გადმოსვლა სთხოვა. ამასობაში მატარებელი დაიძრა.

– სათქმელი მაქვს შენთან, ლეიტენანტო! – ყვიროდა ქალი და დაძრულ მატარებლს მისდევდა. მერე შეჩერდა. სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა ქუსლს ქუსლი მიარტყა და მარჯვენა ხელი საფეთ-ქელთან მიიდო.

მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა. ლეიტენანტს მაინც არ დაუკარგავს ზიანაიდასთან შეხვედრის იმედი. ომის დამთავრების მერე დიდხანს დაეძებდა, მაგრამ ვერ იპოვა. მის შესახებაც ვერაფერი შეიტ-ყო. ვერც ისეთ ქალს შეხვდა, რომელიც ზინაიდას შეუცვლიდა და უცოლშვილოდ დაბერდა. ახლაც, მოხუცის გულში უცნაური რამ ხდებოდა. პირველ პაემანზე მიმავალივით უფართხალებდა გული და წინათგრძნობა არ ასვენებდა.

– ნუთუ სახელისა და გვარის უბრალო დამთხვევაა? – ფიქრობდა ზაქარია და დიდ, თეთრ კონვერტს იმედის თვალით დაჰყურებდა.

ფოთში ჩასულმა მისამართი საზღვაო სადგურში იკითხა. ხიდი ფეხით გადაკვეთა და ძველებურ სამსართულიან სახლს მიუახლოვდა.

მესამე სართულზე ავიდა და კარებზე დააკაკუნა. პასუხი არ გასცეს. თითქმის ოცი წუთი აბრახუნა და ბოლოს მეზობლის კარს მიადგა. მეზობელი დაბალი, ქერა ქალი გამოდგა.

— ზინა სახლშია, მაგრამ კარს არ აღებს. — თქვა მან, — მაგან ასე იცის. თუ კარის გაღება არ უნდა, ერთი საათიც რომ აბრახუნოთ, აზრი არა აქვს. ისედაც უცნაური იყო, მაგრამ რაც შვილიშვილის დაღუპვის ამბავი გაიგო, სულ გააფრინა.

— შვილიშვილი დაეღუპა? რომელი? — იკითხა გაოცებულმა ზაქარიამ.

— როგორ რომელი?! ერთი ჰყავდა და ისიც მოუკლავთ. ნათესავმა ამბავი ჩამოუტანა. ხომ იცით, საშინელი დრო დადგა. ტელეფონები არ მუშაობს, ფოსტა არ მუშაობს, გზები ჩაკეტილია. რა და როგორ მოხდა, ზუსტად ვერაფერი შეიტყო. ისე, თქვენ ვინ ბრძანდებით? — ჰკითხა ცნობისმოყვარე ქალმა.

— მე?... წერილი მაქვს გადასაცემი ... შვილიშვილისგან, — უპასუხა დაბნეულმა ზაქარიამ.

— აკი მოკვდაო? — გაიკვირვა ქალმა, — თუმცა რას გაიგებ სინამდვილეს. ტელეფონი არ არის. ფოსტა არ არის, რკინიგზა გადაკეტეს. თუ ცოცხალია დალოცვილი, ფული ვერ გამოაგზავნა? ბებერი ყოველ-დღე დადის ბაზარში. კარტოფილსა და პომიდორს თითო ცალობით მათხოვრობს. პენსიები რა ხანია არ რიგდება. მეზობლებს შეგვაქვს ხოლმე საჭმელი. ისიც - კარები თუ გაგვიღო.

— ზინაიდა! — იღრიალა ქალმა და კარს მუშტები დაუშინა. ხმაურზე მეორე მეზობელიც გამოვიდა, — გამხდარი, სათვალიანი კაცი.

— სკლეროზი აქვს მაგას! — ამცნო სათვალიანმა ზაქარიას, - გუშინ, ფანჯრიდან წითელი დროშა გადმოაყუდა. გინახავთ ამისთანა რამე? რა დროს წითელი დროშაა. კომუნიზმისგან ძლივს გავთავისუფლდით. თუ იცით, რა ხდება სოხუმში?

ზაქარიამ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო. კარები გაიღო და სადარბაზოში მაღალი, შავებში ჩაცმული ქალი გამოვიდა. მის დანაოჭებულ სახეს და თეთრ თმას ძველებური პეწი შერჩენოდა. ეტყობოდა, ახალგაზრდობაში მომხიბლავი იქნებოდა.

— რაშია საქმე? — მკვახედ იკითხა გამოსულმა.

ზაქარიას ენა დაება და ხელები აუკანკალდა. ვერც დანაოჭებულ სახეს ხედავდა და ვერც ნახევრად შეშლილ თვალებს. არამედ იმ

ზინაიდას, რომელიც მთელი სიცოცხლე უყვარდა და მეხსიერებაში დაატარებდა.

– შენთან კაცი ჩამოვიდა. გიგის წერილი ჩამოგიტანა, – როგორც იქნა, ხმა ამოიღო სათვალიანმა მეზობელმა.

– მობრძანდით! – მშრალად მიმართა მოხუცმა ჩამოსულს და მეზობლებს ცხვირწინ მიუკეტა კარები. ზაქარია ოთახში შევიდა და ირგვლივ მიიხედ-მოიხედა. კედლები ლენინისა და სტალინის სურათებით იყო დამშვენებული. წიგნების თაროებზე მარქსის, ლენინისა და სტალინის ნაშრომები ეწყო. პატარა დერეფანში დაგლეჯილი წიგნების გროვა ეყარა. კლასიკოსთა შედევრები ვიღაცას ნაკუწებად ექცია.

– ეს ყოველივე მაკულატურა და ნაგავია. ღუმელში ვიყენებ და. ვთბები. სხვაში არაფერში მარგიან.

აი, იმათ კი ყველაფერი მომცეს: ძმობა და თანასწორობა, პური და ძეხვი. უფასო სწავლება და სამედიცინო მომსახურება. დაზღვეული სიბერე და პერსონალური პენსია, – თქვა ზინაიდამ და ლენინისა და სტალინის პორტრეტებზე მიუთითა, – ახლა მათხოვარი ვარ. ვის რაში ენაღვლება ჩემნაირი ბებერი? წერილი მომეცი! – მოულოდნელად დააყოლა მოხუცმა და ზაქარიას ხელებში ეცა.

კონვერტი გაგლიჯა და ორად გაკეცილი ფურცელი გამოიღო. კონვერტიდან ათი ასდოლარიანი გამოვარდა და მაგიდაზე დაიფანტა.

– „ბებო – ხმამაღლა წაიკითხა ზინაიდამ – მაპატიე, ამდენი ხანი რომ ვერ გინახულე. ცოტა ფულს გიგზავნი და ჩემს ჩამოსვლამდე როგორმე იმყოფინე. როგორც კი შევძლებ, ჩამოვალ. მერე ნახე დროსტარება. შამპანურის ზღვაში უნდა გაბანაო. ის შავი ნაჭერი გიყიდე, შენ რომ მოგეწონა და რომ ჩამოვალ, ჩამოგიტან. მე კარგად ვარ. არაფერი მიჭირს. მაგრად მიყვარხარ! შენი გიგი!“.

ქალი სკამზე ჩამოჯდა და წერილი გულზე მიიკრა.

– მაგას ვენაცვალე, ჩემს გიორგის! – ჩაილაპარაკა და სიცილი აუტყდა; – რად მინდა შამპანურის ზღვა ბეხრეკ ბებერს?

მერე ზაქარიას მიუბრუნდა და სთხოვა:

– სამი დღეა არაფერი მიჭამია. გულიც ვერა მაქვს კარგად. თორემ არ შეგაწუხებდით. გეთაყვა, აიღეთ ეს ფული და რაიმე იყიდეთ. ჩვენი შეხვედრა მინდა აღვნიშნო. დღეს ჩემი გიგის დაბადების დღეა. ოცდაშვიდი წელი შეუსრულდა. მის სახელზე უკანასკნელად უნდა ვიქეი-

ფო. ვგრძნობ, დიდხანს ვერ გავატან და არც არის საჭირო. ჩემი დრო გავიდა და ფეხსაცმელებიც გამიცვდა.

— რომელი ფეხსაცმელები? — წამოსცდა ზაქარიას.

— რომლითაც მე და ჩემნაირები დავდიოდით ამ ქვეყანაზე, — უპასუხა ზინაიდამ.

ზაქარია გუნებაწამხდარი გავიდა ქუჩაში. ნუთუ ვერ იცნო მოხუცმა?

სახელიც არ უკითხავს მისთვის. ვინ არის ზაქარია, ალბათ არც აინტერესებს. მთავარია, წერილი მიუტანა და ვინც უნდა, ის იყოს. რამდენი წელი ოცნებობდა შეხვედრაზე. ყველაფერს ელოდა, მაგრამ იმას არა, რაც სინამდვილეში დახვდა. ქალისთვის ზაქარია უცხოა. იქნებ, არც ღირდეს ვინაობის გამხელა. შესაძლოა, სიყვარულის რამდენიმე კვირა, რომელიც მათ ერთად გაატარეს, არაფერს ნიშნავდა მისთვის?! ზინაიდა თითქმის ნახევარი საუკუნე ცხოვრობდა იმ ცხოვრებით, რომლის შესახებაც ზაქარიამ არაფერი იცოდა.

— ყოველივე წარმავალია. ახალი იქმნება და ძველი ინგრევა. ეს ქალაქიც ძალიან შეიცვალა. მგონი ზღვაც აღარ არის ისეთი, როგორიც იყო ოდესღაც, — გაიფიქრა ზაქარიამ და თვითონაც ვერ შენიშნა, ბაზარს რომ მიუახლოვდა.

ბაზარში უამრავი ხალხი ირეოდა. ზოგი ფასის უკითხავად ყიდულობდა ყველაფერს. ბევრი იწყევლებოდა ან იგინებოდა და ბევრიც მათხოვრობდა. ქურდებიც ბლომად იყვნენ. ფრთხილად უნდა ყოფილიყავი, რომ ჩანთა ან ფული არ აეწაპნათ. ავტომატიან ტიპებს ყველაფერი უფასოდ მიჰქონდათ. ვაი იმის ბრალი, ვინც რამეზე უარს ეტყოდათ. დარბაისელი, შუახნის ქალი ვაჭარს ეხვეწებოდა, ავადმყოფი შვილიშვილი მყავს და ერთი ნაჭერი ყველი მაჩუქე წასაღებადო.

— ალბათ, ზინაიდაც ასე მათხოვრობდა, — გონებაში გაუელვა ზაქარიას.

— ნისიად რომ დაგირიგოთ, რა დამრჩება. თქვენისთანებს რა გამოლევს, — ყვიროდა გამყიდველი.

ზაქარიამ ყველი იყიდა და ქალს მიართვა.

— ბატონო, მათხოვარი არ გეგონოთ. მასწავლებელი გახლავართ. ხელფასებს დიდი ხანია აღარ ვღებულობთ და იმიტომ ვარ ამ დღეში, — გაწითლდა ქალი და უხერხული მოძრაობით გამოართვა საჩუქარი.

ზაქარია გაბრუებული გამობრუნდა ბაზრიდან.

– ფრონტზე საშინელებაა, მაგრამ აქაც არ ხდება ნაკლები, – ფიქრობდა კაცი, – ყველასთვის და ყოველთვის უბედურებაა ყველანაირი ომი.

როდესაც უკან დაბრუნდა, ზინაიდა სავარძელში იჯდა და ისევ შვილიშვილის წერილს კითხულობდა.

– გიგის დაბადების დღე აღვნიშნოთ! – უთხრა ზაქარიამ და შამპანურის ბოთლები მაგიდაზე დადგა.

ზინაიდა ცოტას ჭამდა, მაგრამ სასმელი დალია. შეზარხოშებულმა კარადა გამოაღო და რაღაცას დაუწყო ძებნა.

ბოლოს იპოვა, რასაც ეძებდა და სუფრასთან კმაყოფილი დაბრუნდა. ხელში სურათების ალბომი ეჭირა.

ერთი სურათი ამოარჩია და ზაქარიას აჩვენა.

სამხედრო ფორმაში გამოწყობილი გოგოები ოთხრიგად ისხდნენ და იღიმებოდნენ.

– ეს მე ვარ, – თქვა ზინაიდამ და თითი პირველ რიგს დაადო, – მარცხნიდან მეორეს ხედავთ?! როგორ ფიქრობთ, ლამაზი ვიყავი?

– ძალიან! – გულწრფელად მიუგო ზაქარიამ.

– ამ გოგოებიდან ცოცხალი ერთიც არ გადარჩენილა. ჩემს გარდა, ყველა დაიღუპა. რასაც ისინი შეეწირნენ, ის საქმეც დაიღუპა. ყველაფერი დაიღუპა! – თქვა ქალმა და ისევ სასმელს მიეძალა.

– შვილიშვილმა მომწერა, შამპანურის ზღვაში უნდა გაბანაოო, კარგია არა?! ბებერ ქალებს სმა უყვართ, განსაკუთრებით სოფლებში, – ჩაიცინა ზინაიდამ.

შემდეგ ჭიქა ასწია და სადღეგრძელო თქვა:

– ეს დიად კომპარტიას გაუმარჯოს. იმ კომპარტიას, რომელმაც ყველაფერი მომცა და ყველაფერი წამართვა.

ზაქარია დაბნეული შესცქეროდა ქალს. უნდოდა ეთქვა, ვინც იყო და თან არც შეეძლო. თითქოს რაღაც უხილავმა ენა დაუბა, როგორც სიზმრებში ხდება ხოლმე.

ძლივს წარმოთქვა:

– ღმერთმა ანგელოზებთან ამყოფოს დაღუპული გოგონების სულიო, – და შამპანური გადაკრა.

– რაო? – შეიცხადა ზინაიდამ, – რომელ ანგელოზებთან?

– რომელთაც არასოდეს განუცდიათ შიმშილი, სიცივე და სიკვდილის შიში?! ცივ სანგრებში დგომა და ყუმბარებით დაფლეთილი სხეულის ტკივილი. გულისამრევი ნარკოზის ქვეშ მუცლის ჭრაკერვა?!

ისინი არ არიან იმ დაღუპული გოგონების გვერდით ყოფნის ღირსნი!

ზაქარიამ ყურებზე ხელები აიფარა. მას არასოდეს ესმოდა ამ ქალისა. იქნებ იმიტომაც ასცდნენ ერთმანეთს, რომ სხვადასხვა შეხედულება ჰქონდათ სამყაროზე, ღმერთსა და ადამიანზე. პასუხის გაცემას აზრი არ ჰქონდა. ზინაიდა ვერ გაუგებდა მას. ზაქარია სალაპარაკო თემის შეცვლას შეეცადა. — თქვენი შვილიშვილი, ალბათ, თქვენ ჩამოგგავთ არა? — იკითხა მან.

— მეც და ბაბუამისსაც. ბაბუაც სიმპათიური კაცი იყო.

— რა პროფესიისა გახლდათ?

— მეომარი იყო, — მოკლედ მოუჭრა ქალმა. ვახშმის შემდგომ ნასვამი ზინაიდა საწოლამდე მიჩოჩდა და ბალიშზე მიეგდო.

— თქვენ იმ დივანზე დაიძინეთ. თეთრეული კარადაშია. მაპატიეთ, ვერ გემსახურებით, — ძლივს ამოღერღა მან.

იმ ღამით ზაქარიას არ დაეძინა. გაუთავებლად ფიქრობდა ერთსა და იმავეზე. — რატომ არ იკითხა ზინაიდამ მისი სახელი?

კაცი წარსულს იხსენებდა და მოხუცი ქალის ფშვინვას ყურს უგდებდა. ზინაიდას ნათქვამი გაახსენდა წუთის მარადისობის შესახებ და მიხვდა, რომ იმ მარადიულ წუთში მოკვდნენ ორივენი. აღარ არსებობდა ზინაიდა და აღარ არსებობდა ზაქარია. მხოლოდ უსახური აჩრდილები დარჩენილიყვნენ მათგან.

მოხუცი ქალი სიზმარს ხედავდა. ეს უკანასკნელი სიზმარი იყო მის სიცოცხლეში. ზინაიდა სიზმარშივე მიხვდა ამას და გარდაუვალის მისაღებად მოემზადა.

დიდი, ნახევრად ჩაბნელებული ოთახი ისეთივე იყო, როგორიც ბავშვობიდან ახსოვდა. ფანჯრებზე მძიმე ფარდები ეკიდა. კედლიდან სურათები ჩამოეხსნათ და სარკეებზე შავი ნაჭერი იყო აკრული. დაბალ მაგიდებზე დაწყობილ შანდლებში უამრავი ანთებული სანთელი ენთო. საკმევლის სუნით გაჯერებული ჰაერი ისე დამძიმებულიყო, ჭირდა კიდეც სუნთქვა. ოთახის შუაგულში, ჩუქურთმებიან ხის საწოლზე, ახალგაზრდა ქალი იწვა. თეთრი მაქმანებით გაწყობილი კაბა ეცვა. სისხლისგან დაცლილი, გაფითრებული სახე გაქვავებოდა. თითებზე ძვირფასი თვლებით დამშვენებული ბეჭდები ეკეთა. ყურებში ოქროს საყურეები ჰქონდა გაყრილი. საწოლის გვერდით, ხელით ნაქსოვ ბორდოსფერ ხალიჩაზე ჭირისუფალი იჯდა. ხორციან პირს უხმოდ აღებდა. მკაცრი, მსხვილნაკვთებიანი სახე მუხლებში ჰქონდა ჩარგული.

– ვაი, – დაიკვნესა ქალმა, ხალიჩიდან წამოვარდა და მეზობელ ოთახში გაიქცა.

ზინაიდა საწოლში ჩაწოლილიყო და საყვარელ თოჯინას გულში იხუტებდა. დედა შეშლილივით შევარდა საძინებელში. ნახევრად მძინარე, შეშინებული ბავშვი საწოლიდან ამოიყვანა, სანთლებიან ოთახში წაათრია და მიცვალებულის წინ მუხლებზე დაეცა.

– ღმერთო! ზინაიდა წაიყვანე და უფროსი ქალიშვილი დამიბრუნე. ეს შეიწირე და ის დამიბრუნე! – ჩურჩულებდა და თხელ, გამჭვირვალე პერანგში ჩაცმულ, აკანკალებულ გოგოს ხელებით ანჯღრევდა. მერე წამოდგა, ბავშვს ხელი ჩასჭიდა და მიცვალებულის ირგვლივ შემოატარა. ზინაიდას ცალი ხელი თოჯინასთვის წაევლო თმებში და სირბილით მიჰყვებოდა დედას. ქალმა ნაბიჯს აუჩქარა, თან თავის გიჟურ თხოვნას ხმამაღლა იმეორებდა.

ბავშვს ჰაერი აღარ ყოფნიდა და თავბრუ ეხვეოდა. ფეხშიშველი მირბოდა და კისერში მობჯენილი გული ხმელეთზე ამოგდებული თევზივით უფართხალებდა.

დარტყმის ხმა მოისმა და თმაგაწეწილი თოჯინა იატაკზე დაეცა. თითქოს ვიღაც ახრჩობდა, ზინაიდამ კისერზე იტაცა ხელები და წაბორძიკებული უკან გადავარდა. ბორდოსფერი ოთახი დაიშალა და გაქრა.

კაცი უთენია წამოდგა და საუზმე გააწყო. უცდიდა, როდის გაიღვიძებდა მოხუცი ქალი. შუადღეს რომ გადასცილდა, შეშფოთდა. კარგა ხანს ანჯღრია მძინარე და შეშფოთებული გავარდა მეზობელთან. მეზობლები ბინაში შემოცვივდნენ და ნიშადური ასუნთქეს მოხუცს. ზინაიდამ თვალები გაახილა.

– სად ვარო, – იკითხა და გარშემომყოფნი შეათვალიერა.

ლოგინზე წამოჯდომა სცადა და ვერ შეძლო.

– შუშის ფეხსაცმელები მომეცით! – იყვირა და თვალები შეშლილივით გადაატრიალა.

– რომელი შუშის ფეხსაცმელები? – გაუკვირდათ მეზობლებს.

– ის შუშის ფეხსაცმელები მომეცით, რომლითაც მიწაზე დავდიოდი.

დაბნეულმა მეზობლებმა ერთმანეთს გადახედეს.

– ალბათ, ლაქის ფეხსაცმელებს გულისხმობს, – მიხვდა სათვალიანი კაცი, – სკლეროზი აქვს მაგას და ეტყობა, შუშა და ლაქი ერთმანეთში აურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც იქნა, ძველი, ლაქის ფეხსაცმელები მოუძებნეს და საწოლთან დაუწყვეს.

– ეს არ მინდა! – იყვირა ზინაიდამ. – შუშის ფეხსაცმელები მომეცით! სხვაგვარად ვერ წამოვდგები. სხვაგვარად ვერ გავივლი.

– მგონია, სიცხე აქვს! – თქვა სათვალიანმა და მოხუცს შუბლზე დაადო ხელი.

– ხურს! – დაასკვნა მან. – ექიმია სასწრაფოდ მოსაყვანი!

ზაქარია გაშტერებული დაჰყურებდა ავადმყოფს. ჯიბიდან ფული მექანიკურად ამოიღო და სათვალიანს გაუწოდა. მეზობელი ექიმის მოსაყვანად გაიქცა.

– ვალიდოლს მოვძებნი. ეგებ რაიმე უშველოს, – ამოიხვნეშა ქერა ქალმა და თავისი ბინისკენ გაემართა.

ზაქარია მოხუცთან მარტო დარჩა. ასეთი დაბნეული არასოდეს ყოფილა. აღარ იცოდა, რა ექნა, რითი მიხმარებოდა ავადმყოფს.

– ზაქარია, მოდი ჩემთან! – მოულოდნელად მოუხმო ზინაიდამ. კაცი შეკრთა, გათეთრდა, საწოლს მიუახლოვდა და კიდეზე ჩამოჯდა.

– შენ გგონია, ვერ გიცანი? – უთხრა ქალმა. – მთელი ცხოვრება გელოდი და როგორ ვერ გიცნობდი, ბიჭო! ასე გვიან რატომ მოხვედი? ვკვდები და სიკვდილის წინ მინახულე?

ზინაიდამ გამხდარი, აკანკალებული ხელი ასწია და კაცის ხელს დაადო. – შენს შვილიშვილთან მივდივარ, ბიჭო!

ზაქარია ისევ შეკრთა და გაფართოებული თვალები მიაპყრო ქალს. – ჰო, შენს შვილიშვილთან მივდივარ, – გაუმეორა ზინაიდამ და თავის წამოწევას ეცადა.

მომსკდარი ღრიალის დასაფარავად კაცმა ბალიშში ჩარგო თავი. შემდეგ წამოდგა და როგორც მაშინ, როკიტნოში, დაბომბვისას, ღვთისმშობლის ხატს დაუწყო ძებნა. ხატს რას იპოვიდა, ირგვლივ სულ ლენინის და სტალინის სურათები ეკიდა.

იმედგადამწყდარმა ხმამაღალი ლოცვა დაიწყო. თითქოს ამითი იმქვეყნად მიმავალს ეხმარებოდა.

– ზაქარია, ჩემსკენ დაიხარე. მიჭირს ხმამაღლა ლაპარაკი, – დაიჩურჩულა ქალმა. ზაქარია საწოლზე დაიხარა და თეთრ, გათხელებულ თმაზე მიეფერა მომაკვდავს.

– ვსვამ კაკაოს, ვაკოცებ მამაოს, – ჩასჩურჩულა ზინაიდამ ყურში.

კაცს პირში სიტყვა გაუწყდა და ავადმყოფს მიმქრალ თვალებში

ჩახედა. დიდ, შავ თვალებში ჩარჩენილი მზის სხივი ულიმღამოდ ქრებოდა.

ზინაიდამ პირი დააღო და რაღაცის თქმა დააპირა. ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მაინც გამოთქვა:

— ვაითუ შენი ლოცვის გამო შემინდოს ღმერთმა და ჩემს გიორგისთან არ მოვხვდე ჯოჯოხეთში;

მერე ჩაიცინა, როგორც ახალგაზრდობაში იცოდა ხოლმე და მზერა გაუქვავდა.

ექიმი რომ მოვიდა, ზაქარია, საწოლთან იდგა და უხმოდ ტიროდა.

— მკვდარია! — დაასკვნა ექიმმა, — საწყალს დასამარხი ფული თუ დარჩა?

შემდეგ მაგიდაზე გაფანტულ დოლარებს მოჰკრა თვალი და გაჩუმდა.

გარეთ ქარი ქროდა და ზინაიდა გაბისკირიას ბინის ფანჯრიდან გადაყუდებულ, ნამგლით, ურითი და ხუთქიმიანი ვარსკვლავით დამშვენებულ, რევოლუციურ წითელ დროშას აფრიალებდა.

თავი 14

კოკა ზერაგიას დაპატიმრებიდან თითქმის სამი თვე გავიდა. საქმის გამოძიება გაჭიანურდა. ბერძნის გატაცებაში მონაწილეობა არ დაუმტკიცდა. ვერც ის გაიგეს, ვინ და რატომ გალახა. შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მთლად ჭკუაზეც ვერ იყო. ზოგჯერ შტერდებოდა და პატიმრებსა და გამომძიებლებთან ურთიერთობას ვეღარ ახერხებდა. თავშეხვეული ივჯდა საკანში და თავისთვის ფიქრობდა რაღაცას. მასთან ერთად კიდევ სამნი ისხდნენ. შუახნის კაცი კრივის მასწავლებელი აღმოჩნდა. ვიღაც თავხედი გაელახა ქუჩაში. ის თავხედი ყბამონგრეული იწვა საავადმყოფოში. მისმა ახლობლებმა იჩივლეს და მოკრივის მიმართ საქმე აღძრეს სასამართლოში.

ორნიც ბინის ძარცვაზე დაკავებული ავაზაკები იყვნენ. ახალგაზრდები მთელი დღე ყომარს აგორებდნენ და სხვადასხვა გზებით ციხეში შემოგზავნილ ნარკოტიკებზე ისხდნენ. ჭაღარაშერეულს გურამი ერქვა. ფოლადის თვალების მქონე მეტწილად თავისთვის იყო და ლაწირაკებს არაფერს აბედინებდა.

ერთხელ გახურებული ყომარის დროს, ყაჩაღებს კამათელი დაუვარდათ და პირდაპირ კოკას საწოლის ქვეშ შეგორდა.

— ეი, შენ! — დაუყვირეს კოკას, — ერთი ლოგინქვეშ შეძვერი და კამათელი გამოიტანე!

კოკა არ განძრეულა. სიმართლე რომ ვთქვათ, არც გაუგია რას ეუბნებოდნენ. თავის ტკივილი ისე აწუხებდა, საფეთქლები ხელებით ეჭირა და ცდილობდა კვნესა შეეკავებინა.

— არ გესმის, რას გეუბნებიან? — იყვირა „სკამეიკამ", რომელიც კოკასკენ მიტრიალებულიყო და მუქარით იქნევდა ხელებს.

— ეტყობა მაგ გოგრაში კარგად არ მოგხვდა და მომიწევს დაგიმატო. შეძვერი-მეთქი საწოლქვეშ!

კოკამ გამოთაყვანებული თვალებით შეხედა პატიმარს. ვერაფრით მიმხვდარიყო, რას მოითხოვდნენ მისგან.

„სკამეიკა", მოდი ჩემთან! — უბრძანა ჭაღარაშერეულმა ყაჩაღს.

ყაჩაღი გაშტერდა. თავისდაუნებურად ადგა და მოკრივეს მიუახლოვდა. ჭაღარა არც წამოწეულა ისე დამარცვლა:

— რატომ ჩაგრავ ავადმყოფს?

„სკამეიკამ" ძმაბიჭს გადახედა. ჭორფლიანმა სახე დამანჭა და ირონიულად ჩაიცინა.

— შენ ვინ გეკითხება, ბიძა! — თქვა „სკამეიკამ". სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, ხელუკულმა მოხვდა სახეში და უკან გადავარდა.

ბატონმა გურამმა მტკიცედ გაიმეორა:

— ჭორფლიანო, შეძვერი საწოლქვეშ და კამათელი გამოიტანე.

ჭორფლიანმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. დაიხარა და საწოლქვეშ შეძვრა.

აღშფოთებული „სკამეიკა" ცხვირიდან სისხლს იწმენდდა. კოკა როგორც იქნა, მიხვდა, რაც მოხდა და ჭაღარაშერეულს მადლიერი თვალებით შეხედა.

მას მერე კოკა და ბატონი გურამი დამეგობრდნენ. გურამი ავადმყოფს შვილივით უვლიდა და პატრონობდა. ციხის ხელმძღვანელობასაც არაერთხელ სთხოვა, ბიჭი ნამდვილად ავადაა და მიხედეთო.

როგორც იქნა, კოკას ციხის საავადმყოფოში გადაყვანა დაუპირეს.

— თქვენთან სალაპარაკო მაქვს, — უთხრა ჭკუაზე მოსულმა ბიჭმა გურამს.

— თქვენ იმიტომ მოგმართავთ, რომ გენდობით. ჩვენი თაობისა არაფერი გცხიათ. ჩვენ, სხვა ცხოვრებისათვის აღზრდილები, სულ სხვა ცხოვრებას წავაწყდით.

იდეალები, რომელთაც ბავშვობიდან გვინერგავდნენ, ერთი ხელის მოსმით წაგვართვეს. ახალი იდეალები ცოტამ თუ იპოვა. ბევრმა ჩვენ-თაგანმა ნგრევის პროცესს ვერ გაუძლო. დაიბნა და თვითონაც დაიმსხვრა.

თავადაც არ ვუწყოდით, როგორ დაგვიჩარჩოვდა აზროვნება. მერე უცებ გვითხრეს, გარდაიქმენითო.

ზეციური ნათელი არ გვიხილავს, სავლედან პავლედ ვქცეულიყავით. იგივე დაჩარჩოებული სულები დაგვრჩა. მკაცრად ნუ განგვიკითხავენ იმისთვის, რომ ზოგი ჩვენთაგანი ყაჩაღად იქცა. ზოგიც სრულ აპათიაში ჩავარდა. ეს ჩვენი თაობის ტრაგედიაა. ჩვენ ხომ დაკარგული თაობა ვართ. თქვენ ასაკიანი კაცი ბრძანდებით და ახალ ამოწვერილი ყლორტივით არ შეხვედრიხართ ქარიშხალს. გენდობით, რადგან სიმყარეს ვგრძნობ თქვენში. თქვენს პატიოსნებას ვენდობი.

ახლა ამნისტიაა მოსალოდნელი და გარეთ გავალთ. მაგრამ მე, სულ მეთვალყურეობის ქვეშ ვიქნები.

ბავშვობის მეგობარმა დიდძალი ფული დამიტოვა. ამ ფულის გამო მოკლეს კიდეც. დამეხმარეთ, სისხლიანი ფული გაიწმინდოს. თუ სადმე სამყაროში სული არსებობს, ეგებ ჩემს გიგის სულს შევეწიო ამით. ფული სადაც არის, გეტყვით. რამდენსაც საჭიროდ ჩათვლით თქვენ-თვის დაიტოვეთ. დანარჩენი დაღუპულ მეომართა ოჯახებს, უპატრონო ბავშვებს, ხეიბრებსა და ავადმყოფებს დაურიგეთ.

ჩემი შურისძიებაც ის იქნება, რომ ფული მაფიოზების ჯიბეში არ მოხვდება და სიკეთეს მოხმარდება.

გენდობით! — სათქმელი დაამთავრა ბიჭმა.

კოკა საავადმყოფში გადაიყვანეს. შემდგომ, კარგა ხანს არ უნახავს ბატონი გურამი.

საავადმყოფოში ყოფნისას ამანათი მოუვიდა. ამანათში ხისგან ნაკეთები ჯვარი იდო.

— ჯვარი ნაკურთხია! — ეწერა პატარა ბარათში.

კოკამ მკერდიდან ფირუზი ჩამოიგლიჯა და ჯვარი დაიკიდა.

იმ გაზაფხულზე ბავშვთა სახლებს ვინმე გურამ მახალდიანი ეწვია. ბავშვებს ჩასაცმელ-დასახური და მთელი წლის სურსათ-სანოვაგე

მიუტანა. იგივე მახალდიანი ხეიბრებსაც დაეხმარა და დაღუპულთა ოჯახებიც ინახულა. მგონი რადიოთიც გადმოსცეს ბატონი გურამის საქველმოქმედო მოღვაწეობის შესახებ.

საავადმყოფოდან გაწერისას კოკას ამნისტიამ მოუსწრო და საცხოვრებლად მშობლებთან გადავიდა მცხეთაში.

თანდათანობით იკრებდა ძალას და ჩვეულ მდგომარეობას უბრუნდებოდა.

თავი 15

ზღვის მხრიდან საარტილერიო ცეცხლი შეწყდა. სოხუმში წვიმდა. საღამო იყო და ჩაბნელებულ ქუჩებში ფარნის გარეშე ვერ გაივლიდა კაცი. ქალაქში მოჩვენებითი სიმშვიდე სუფევდა. თემური და მასთან ორი მეგობარი, ქუჩებს ამოწმებდნენ. საწვავი გამოელიათ და ჰოსპიტლის ახლოს, ბნელ ქუჩაში გაჩერდნენ. თიო მანქანიდან გადმოვიდა. მეგობარს ფარანი მიაწოდა და ჰოსპიტალში ასვლა სთხოვა. ეგებ სასწრაფოს მანქანებს საწვავი ჰქონოდათ და როგორმე კომენდატურამდე მისულიყვნენ. მანქანასთან ორნი დარჩნენ. ქუჩა უკაცრიელი იყო და ცოტა არ იყოს გაუკვირდათ, როდესაც მოსახვევში თავსაბურიანი ლანდი შენიშნეს.

რეზინის ჩექმებში გამოწყობილი უცნობი წყლიან გუბეებს ახტებოდა. თემური ლანდისკენ გაემართა.

– ხომ არ დაგეხმაროთ, ქალბატონო, საით მიბრძანდებით? – ჰკითხა ლაბადაში თავჩარგულ ქალს და უეცრად მუხლისთავები აუკანკალდა. იასამნების ნაცნობი სურნელი ქარიშხალივით დაეტაკა და თავიდან ფეხებამდე მოწყვიტა კაცი.

– ცირა? – დაიჩურჩულა თემურმა და თვითონვე გაუკვირდა.

– შეუძლებელია, ცირა, – თქვა და ქალს თავსაბური ჩამოჰგლიჯა სახიდან.

– ცირაა! – ღრიალებდა თიო მთელს ქუჩაზე.

ცირა გალუმპული იდგა ქვაფენილზე და იასამნისფერი თვალებიდან ცრემლები ჩამოსდიოდა. გულის სიღრმიდან წამოსულმა შეძახილმა გათოშილ ქუჩებს ჩამოუარა და ქალაქის მისადგომებთან გათ-

ხრილ სანგრებში მდგომ გაყინულ ბიჭებს სიყვარულის ექო მიუტანა.

იმ წუთებში არც ერთ მათგანს ისე არაფერი მონატრებია, როგორც საყვარელი ქალის სხეულის სითბო და სურნელება.

ზეცა კოკისპირულად ტიროდა. დანგრეულსა და დამწვარ სოხუმს ცრემლის ნიაღვარს აფრქვევდა. თითოეულ დაჭრილს და დაღუპულს დასტიროდა.

ქალაქის ქუჩები პეშვით დაატარებდნენ წვიმის გუბეში ჩახატულ, ჩახვეულ შეყვარებულთა ლანდს. თითქოს გულდამწვარ ქალაქს უჩვენებდნენ, რომ ქვეყნად ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო სიყვარულზე ფიქრი.

ცირა ასანთის შუქზე ძლივს ხედავდა გამხდარი და წვერმოშვებული ბიჭის სახეს. მასზე მონატრებულს და ქალისთვისაც ყველაზე ძვირფასსა და საყვარელს.

თემური აღარ დალოდებია საწვავს. მანქანა მეგობარს მიაბარა და ცირასთან ერთად სირბილით გაემართა მოსახვევისკენ.

— ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობთ, მეორე სართულზე. პატრონი ომობს. ცოლ-შვილი ნათესავთან ჰყავს გახიზნული. დედაჩემის ბიძაშვილები არიან, — უხსნიდა ცირა თემურს.

მეორე სართულზე ფრთაშესხმულები აქანდნენ. ოთახში ბნელოდა და ციოდა. შეხვედრით აღგზნებულები სიცივეს ვერ გრძნობდნენ.

ცირამ სველი ტანსაცმელი გამოიცვალა. კარადიდან ნახევარი ბოთლი არაყი და კრიშნაიტების დარიგებული კონსერვები გადმოიღო. თითო ჭიქა დალიეს და ბედნიერებისგან გაბრუებულებმა თვალებში ჩახედეს ერთმანეთს.

— შენ არც კი იცი რა მაქვს, — თქვა გოგომ და პატარა, იაპონური მაგნიტოფონი ჩართო.

-- უშუქობა არ შეგვიშლის, ბატარეებზე მუშაობს, — დაუმატა და მხრებზე შემოეხვია კაცს.

— ვითომ ჩვენს კუნძულზე ვართ, თემურ. შენ რომ ოცნებობდი ზღვაში დაკარგულ კუნძულზე. ვიცეკვოთ! თითქოს ტერასაზე ვართ, შენ რომ წარმოგედგინა, ისე და თეთრ როიალს უკრავენ ჩვენთვის.

— ჩემი საყვარელი სიმღერაა, — ჩაილაპარაკა თემურმა და ქალს თმაზე გადაუსვა ხელი.

სანთლის მკრთალ შუქზე ცეკვავდნენ. ვერც ნესტით შეჭმულ, რუხ კედლებს ხედავდნენ და არც ფანჯრიდან შემოჭრილი გულდაგლეჯილი ქალაქის კვნესა ესმოდათ. ზეცა ავისმომასწავებელად გუგუ-

ნებდა. დაბომბვა იწყებოდა. მოსახლეობა სარდაფებს აფარებდა თავს. გაქცევას აზრი არ ჰქონდა. თიომ და ცირამ ის წუთები დაკარგეს, როდესაც კიდევ შეიძლებოდა თავის გადარჩენა. როგორც სამი წლის წინათ, სასოწარკვეთის ჟამს, ქალ-ვაჟი გაშმაგებული ჩაეხვია ერთმანეთს. არასოდეს ყოფილა სიკვდილი ასე ახლოს სიცოცხლესთან და სიცოცხლეც, — ასე ხელშესახები. როდესაც მეგობრის გულისფეთქვასთან ხმაშეწყობილი საკუთარი გულისცემა გესმის. ადუღებული სისხლისგან ხორცი იწვის და გულისსწორის სხეულის თითოეული უჯრედიდან წამოსული სიყვარულის ენერგია სევდისმომგვრელი სიტკბოებით გაგრძნობინებს, რომ ცოცხალი ხარ და კატეგორიულად არ გსურს სიკვდილი.

გამაყრუებელი ხმაურით ცვიოდნენ ყუმბარები. ცეცხლის გრიგალი აზანზარებდა ქალაქს.

სახლები ინგრეოდნენ. მოქალაქენი იჭრებოდნენ და იღუპებოდნენ. ამ ცეცხლის ტბაზე თითქოს წვრილი თოკი იყო გაბმული, რომელზეც მძიმედ, ნაბიჯ-ნაბიჯ, ხელჩაკიდებულნი მიჩოჩავდნენ ქალი და მამაკაცი.

დაბომბვა დამთავრდა. ცირა რკინის ლოგინზე იჯდა და კანკალებდა. ჩამოშლილი თმა უკან გადაიყარა. გულღმა მწოლიარე ვაჟს შეშლილივით ეცა და თვალებზე დაუწყო კოცნა.

— ქვეყანა ინგრევა, თიო. მეშინია, რომ დაგკარგავ! — ჩიოდა ქალი და თხელი თითებით ქოჩორზე ეფერებოდა საყვარელს. — წავიდეთ აქედან. აბა, მე და შენ რას ვუშველით ამ ომს. ისე ჩავიხოცებით, კაცი ვერაფერს გაიგებს ჩვენს შესახებ. დიდი-დიდი, შეიძლება გაზეთში დაწერონ, ტრაგიკულად დაიღუპნენ სოხუმშიო და მორჩა. სიცოცხლე უჩვენოდაც გაგრძელდება. ახლაც ცხოვრობენ სადღაც ადამიანურად, ოპერებსა და თეატრებში დადიან. რესტორნებში შამპანურს მიირთმევენ. ცეკვავენ და მუსიკას ისმენენ.

— სავარცხელი მომიტანე, ცირა, — დაიჩურჩულა თემურმა და ქალს ხელზე ხელი მოუჭირა.

ცირა წამოდგა და ხელჩანთიდან სავარცხელი ამოიღო.

— გვერდით მომიჯექი! — ბრძანების კილოთი უთხრა ვაჟმა. სავარცხელი გამოართვა და ქალის ჩამოშლილ თმებს ვარცხნა დაუწყო.

ცირა ატირდა. მიხვდა, თემური არასოდეს მიატოვებდა სოხუმს. მაშინაც, თუ ბოლო ჯარისკაციც დაეცემოდა და მარტოს მოუხდებოდა ბრძოლა. თიოსთვის სოხუმი სიჭაბუკის ნაწილიც იყო. ისეთივე დაუვიწყარი, როგორიც სიყრმის საუკეთესო წლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ნუთუ სიკვდილის არ გეშინია? – ჰკითხა ქალმა.

თიომ თავი უკან გადასწია და გაბზარულ ჭერს ახედა.

– მეშინია, ცირა, – უპასუხა ჩუმად.

– ალბათ იმიტომ მეშინია, რომ არ ვიცი, რა არის სიკვდილს იქით. სრულყოფილი რწმენა რომ მქონდეს, შიშიც არ მექნებოდა, რადგან მეცოდინებოდა სად მივდივარ. არარაობაში თუ სადმე სხვაგან. არ შეიძლია არყოფნის წარმოდგენა. ვფიქრობ, ადამიანის გონებისთვის არყოფნა საერთოდ მიუღებელია. მწამს, იმიტომ, რომ მჭირდება ღმერთი. ღვთის გარეშე ცოცხალი მკვდრები ვართ ყველანი. სხვა არჩევანი არა გვაქვს, ცირა.

– უცნაურია! – თქვა ქალმა. – ნუთუ ამდენი უბედურების და სისხლის შემყურეს რაიმეს იმედი გაქვს? სამართლიანობას თუ ხედავ სადმე? სამყაროში მგლის კანონი მეფობს. ძლიერი იმარჯვებს, სუსტი უკვალოდ ქრება და ამ ბრძოლაში ყველაფერი დაშვებულია. შენ ფიქრობ, არსებობს ღვთაება, უმაღლესი სამართალი, რომელიც ყველაფერზე თვალს ხუჭავს? თუ უბრალოდ ამავე კანონით განაგებს?

– რწმენის პარადოქსულობა სწორედ იმაშია, ის დაიჯერო, რასაც ვერ ხედავ, ცირა. განსჯის უნარი გონებასა აქვს. მაგრამ გონებით ჭირს ღმერთთან მისვლა. რწმენა ინტუიციასთან არის ახლოს და ამიტომაც სწორედ სალოსებსა აქვთ ჭარბად მიცემული. ტყუილად არ არის ნათქვამი, „ნეტარ არიან სულით გლახაკნიო“.

არც სალოსი ვარ და არც ფილოსოფოსი, მაგრამ არავისა აქვს უფლება წამართვას ღმერთი. რომ არ მწამდეს, მშიშარა კი არა, – მხდალი ვიქნებოდი. მხდალი კაცისგან კი მხოლოდ ბოროტებაა მოსალოდნელი.

– და მაინც, ბოლომდე იბრძოლებ, თემურ?

უამრავი ომი ყოფილა და დაღუპული ჯარისკაცები არავის ახსოვს.

– ხსოვნისა და დაფასებისთვის არ ვიბრძვი, – თქვა თიომ, – ეს ომი ჩემთვის პირადი საქმეა, რადგან ჩემს მიწასა და ფესვებს შეეხო. ვინც ჩემნაირად ფიქრობს, ის ამომიდგება გვერდით. სხვებს არ გავკიცხავ. ალბათ, არ ეხებათ ეს ბრძოლა. რომ ეხებოდეთ, აქ იქნებოდნენ.

ბიჭი საწოლიდან წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, ჭიქაში არაყი დაისხა და სულმოუთქმელად გადაკრა.

– ჩვენი სიყვარულის სამადლობელი შევსვი, ცირა, – თქვა მან, – თავად რომ არ გამომეცადა, სიყვარულსაც ვერ ვირწმუნებდი ბოლომდე.

ერთი რამ მინდა გთხოვო, – დაუმატა და ქამრიდან ვერცხლის ხანჯალი შეიხსნა. – პაპაჩემის პაპა ატარებდა ამ ხანჯალს ოდესღაც. არ მინდა უბრალოდ დაიკარგოს. შეინახე და თუ რაიმე შემემთხვევა, ვისაც ღირსეულად ჩათვლი, მას მიეცი სატარებლად.

– არ შემიძლია ასეთი სიტყვების მოსმენა, – წამოიძახა ქალმა და ფანჯარას მივარდა.

რამდენიმე ქუჩის იქით საცხოვრებელი სახლი იწვოდა. ცირამ ფანჯარა გამოაღო. ჰაერშიც ხანძრის სუნი ტრიალებდა.

– ნურასოდეს დამელაპარაკები ამგვარად! – თქვა გოგომ. – არაფერი მოგივა. არ შეიძლება რაიმე ცუდი შეგემთხვას. რადგან მე ვარ შენთან. რადგანაც ერთად ვართ. ზეცა არ დაუშვებს ამას. რა აზრი ჰქონდა ჩვენ გადარჩენას, ხვალ თუ დავიღუპებით?

– არ ვიცი, ცირა. ხშირად სიკვდილი ანაზდად და უაზროდ მოდის. რა აზრი აქვს ჩვენს დაბადებასა და სიცოცხლეს, თუ ოდესმე მაინც მოვკვდებით?

თიო ხანჯლის მოჩუქურთმებულ ტარს მიეფერა და სევდაშერეული ხმით ჩაილაპარაკა:

– მინდოდა მას ეტარებინა ეს ხანჯალი, ვისაც აქაური ფესვები და ვაჟკაცის გული ექნება შერჩენილი.

ჩემთან მოდი, ცირა. იქნებ ეს ღამეც არასოდეს დამთავრდეს და მარადისობაში გადაიზარდოს ჩვენი სიყვარულის წუთები.

ცირა ვაჟის მკლავებში გადაეშვა. ვერც ერთმა ვერ შენიშნა, სხეულებში რომ ჩაადნათ ქურდულად გაპარული ღამე.

დილას თემური საბრძოლო ნაწილში დაიბარეს. მოწინააღმდეგემ ქალაქთან ახლოს მდებარე სოფლებს შეუტია. იმ ადგილიდან სასწრაფოდ უნდა გამოეყვანათ ქალები და ბავშვები. ეს საქმე თემურს დაავალეს. ხუთი „ბეტეერი“ და ოცი ჯარისკაცი მისცეს დამხმარედ. სანამ საბრძოლო დავალების შესრულებას შეუდგებოდა, თიომ ცირას სანახავად შეირბინა ჰოსპიტალში.

თეთრ ხალათსა და ბახილებში გამოწყობილი ცირა საოპერაციოდან გამოაყვანინა და დერეფანშივე ტუჩებზე დაეკონა.

– გაგიჟდი? – გაეცინა გოგოს.

– არ შემეძლო, არ მენახე, – უთხრა ბიჭმა. რამდენიმე საათია, რაც დაგშორდი და უკვე მენატრები. საბრძოლო დავალების შესასრულებლად მივდივარ. ალბათ გვიან დავბრუნდები.

ცირამ ამოღამებული თვალები მოიფშვნიტა და მოშვებული და გათეთრებული სახე კიდევ უფრო გაუფითრდა.

— ვერ წარმოიდგენ, ჩვენი ექიმები რას აკეთებენ. ისინი ექიმები კი არა, ჯადოქრები არიან. უსინათლოდ და უწამლოდ მუშაობენ. დაჭრილი მხეცის გახელებით ებრძვიან სიკვდილს. აქაც ფრონტის ხაზია, რომ იცოდე. არ გემშვიდობები! რომ დაგემშვიდობო, მეშინია ცუდად არ დაგვებედოს. უბრალოდ მითხარი, რომ ყველაფერი კარგად იქნება და საღამოს აუცილებლად მნახავ.

თიოს გაეღიმა. ხელი საფეთქელთან მიიტანა და მხედრულად გაიჭიმა.

— საღამოს აუცილებლად გნახავ, ცირა! — თქვა მან.

დერეფანი სწრაფად გაიარა და ჰოსპიტლის კიბეებზე ჩაირბინა.

ქუჩაში გასულმა ერთხელაც მოიხედა და ფანჯარასთან დაყუდებულ ქალს ხელი დაუქნია.

ცირა კიდევ დიდხანს იდგა ფანჯარასთან და ნაწვიმარ ქუჩას გასცქეროდა. თემური თავის რაზმთან ერთად შუადღისას შევიდა სოფელში. სახლების დიდი ნაწილი საარტილერიო ცეცხლით დამწვარიყო. დაღუპულებიც ბლომად იყვნენ. მამაკაცების უმრავლესობა სოფლის ახლოს გათხრილ სანგრებთან შეგროვილიყო. თემურმა ჯარისკაცები და ერთი „ბეტეერი" მათთან გააგზავნა. ოთხი ჯარისკაცი დაიტოვა და ქალები და ბავშვები „ბეტეერებზე" გადაანაწილა. დარჩენილები სკოლის შენობაში იცდიდნენ. სკოლიდან რამდენიმე მეტრში სიმინდის ყანები იწყებოდა.

— სიმინდებით გახვალთ! — უთხრა თიომ ჯარისკაცებს.

— შეეცადეთ, მალევე მობრუნდეთ. კიდევ ბევრია გასაყვანი. ადგილზე რომ მიხვალთ, ტექნიკა და ჯარისკაცები ითხოვეთ. უფროსობას მოახსენეთ, ამ ადგილებში თუ ვერ გავმაგრდით, სტრატეგიული მნიშვნელობის სოფლებს დავკარგავთ.

ბეტეერები მშვიდობიანად შევიდნენ სიმინდებში. თემური ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ გათხრილი სანგრებისკენ გაემართა.

სოფლელებიდან ზოგი სანადირო თოფით იყო შეიარაღებული და ზოგსაც ხელყუმბარის მეტი არაფერი ჰქონდა.

— დიდი-დიდი ორმოცდაათი კაცი ვიყოთ, — გაიფიქრა თიომ და სანგარში ჩასულმა ჭოგრიტი მოიმარჯვა.

— ჯერ კბილს გვისინჯავენ. სიმშვიდეც მოჩვენებითია. ნამდვილი შეტევა, ალბათ, ღამით დაიწყება, — თქვა ერთ-ერთმა მეომარმა.

— საღამოს ხალხი შეგვემატება. როგორმე გავუძლებთ შემოტევას, — უპასუხა თემურმა.

იქვე, ახლოს სოფლელი ბიჭი იდგა და მათ საუბარს ისმენდა. მოულოდნელად რაღაც აფეთქდა. ბიჭს არაფერი დაშავებია, მაგრამ შეშინებული ამოვარდა სანგრიდან და ტყის მიმართულებით გაიქცა. თიო ბიჭს გაეკიდა. წააქცია და სროლის ხმაზე ტანით გადაეფარა. მარცხენა მკლავი ტყვიამ გაუკაწრა. ხოხვით დაიხია უკან და ბიჭთან ერთად სანგარში ჩაგორდა.

— ბავშვებიღა გვაკლია, — ბურდღუნებდა გაღიზიანებული და სისხლიან მკლავს დოლბანდით იხვევდა.

— დანარჩენებთან ერთად სკოლასთან მოიცდი. „ბეტეერებს" გაჰყვები ქალაქში, — უბრძანა თიომ ბიჭს და ჭოგრიტით გაიხედა ტყისკენ.

— ამ ღამეს თუ გადავურჩი, ასი წელი ვიცოცხლებ! — გაიფიქრა და გულს შემოწოლილი სევდის მოშორება სცადა.

მზე ახალი ჩასული იყო, როდესაც სიმინდების მხრიდან გუგუნი მოისმა.

— ჩვენები ბრუნდებიან. ალბათ, მაშველი ძალაც თან ახლავთ, — გაუხარდა თემურს.

სანგრიდან ამოვიდა და მეომრების თანხლებით სკოლის შენობისკენ გაემართა.

სკოლაში დარჩენილები იმედით შესცქეროდნენ სიმინდის ყანებს. მალე ისევ ის ოთხი „ბეტეერი" გამოჩნდა და ხმაურით მიუახლოვდა შეგროვილებს.

— სად არის დახმარება? — უყვირა მეთაურმა დაბრუნებულ ჯარისკაცებს.

— სოხუმში არეულობაა, — თქვეს დაბრუნებულებმა, — მეომრებს ნერვები დახეთქვაზე აქვთ. ოჩამჩირის მხრიდან მტრის რკალის გარღვევას ყოველწუთს ელოდებიან. სამეგრელოდანაც სასიკეთო არაფერი ისმის. ყველანი პოზიციებზე არიან და ხალხიც იქ სჭირდებათ.

თემური გაცეცხლდა.

— ნუთუ არ გესმით, თუ მტერმა ეს სოფლები დაიკავა, ქალაქი ალყაში აღმოჩნდება? ხალხი გაიყვანეთ და ღამით აქ გაჩნდით გამაგრებასთან ერთად! — ბრძანა და ისევ სანგარში დაბრუნდა.

ქალებითა და ბავშვებით დახუნძლული „ბეტეერები" სიმინდებს შეერივნენ. ბნელდებოდა. მოწინააღმდეგემ საარტილერიო ცეცხლი

გახსნა. შეტევა დაიწყო. თიო ჯარისკაცებს ამხნევებდა, სადაცაა დახმარებაც გამოჩნდებაო. თვითონ დიდი ხანია მიმხვდარი იყო, რომ დახმარების თავი არავის ჰქონდა.

– ამ სოფლების დაკარგვა არ შეიძლება! – ლურსმანივით ჩასჭედვოდა გონებაში. ფიქრები ელვის სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს. შუბლზე ოფლის წვეთები გამოსვლოდა და ჩავარდნილ ყვრიმალებზე ცრემლივით ჩამოსულიყო.

– რა უფლება მაქვს, ამდენი ხალხის სიცოცხლე შევწირო? იქნებ უკან დახევა სჯობდეს. „უკან დახევა თუ გაქცევა" ან რა უფლება მაქვს თვითნებურად დავტოვო პოზიციები? ნეტავ რამეს მაინც გამოასწორებდეს ამდენი მსხვერპლი. – გაიფიქრა მეთაურმა და ჯერ კიდევ ცოცხალ ჯარისკაცებს გულში გამოემშვიდობა.

– ტანკები მოდიან! – ისმოდა ყვირილი.

თიომ ხალხი გადაანაწილა.

– ავტომატიანები სანგრებში დარჩებით. დანარჩენები კედლებსა და ნანგრევებს ამოეფარებით. სცადეთ ხელყუმბარებით იმოქმედოთ! – ბრძანა მან.

მეთაურის მტკიცე ხმამ ცივი შხაპივით იმოქმედა და წუთით დაბნეული მეომრები გამოაფხიზლა. ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაიწყო. ხმაურობდნენ ტანკები. გაუთავებლად კაკანებდნენ ავტომატები. სკდებოდნენ ჭურვები. გვამებს შორის ეულად დაძრწოდა იმედგამწყდარი ადამიანის ფიქრი.

– იქნებ ფუჭი არ გამოდგეს მსხვერპლი? – სამეგრელოდან დაპირებული დახმარება მოადგეს სოხუმს? დრო უნდა მოვიგოთ. მთავარია, დრო მოვიგოთ!

სასაკლაოს შემყურე ზეცამ მთვარის გაცრეცილი სხივები ღრუბლებში გადამალა. კვნესა, ყვირილი და შეძახილი ერთმანეთში აირია. მოწინააღმდეგეთა რაოდენობა კი იზრდებოდა. მწყობრიდან გამოსულ რკინის ურჩხულებს კვამლი ასდიოდათ. უმთვარო ღამე ისე სწრაფად გარბოდა, თითქოს უნდოდა დროულად გასცლოდა კაცის ხელით მოტანილ ცეცხლოვან წარღვნას.

– ნეტავ რამდენი დავრჩით, ათნი თუ ხუთნი? თუ ორნი? – ფიქრობდა თემური და შინაგანად, გარდაუვალ სიკვდილს ეჭიდავებოდა.

სკოლის ნანგრევებთან ტანკი დაინახა. ხელი ყუმბარისკენ წაიღო

და სწრაფად მოხსნა თავი. მთელი ტანით შებრუნდა და მძლავრად მოიქნია მარჯვენა. ტანკს ცეცხლი გაუჩნდა, მაგრამ ლულის მოტრიალება და გასროლა მაინც მოასწრო. თემურს თითქოს შიგნიდან ჩასწყდა რაღაც. შეეცადა სახვევი გადაეჭირა, თუმცა სისხლდენა ვერ შეაჩერა. ძლიერმა სისუსტემ სხეული შეუბორკა. სანგართან მიფოფხებაც ვერ შეძლო. მუხლებზე დაგდებულმა ბოლო ყუმბარა მარცხენა ხელით მოისროლა და ზურგზე გადაგორდა.

— ღმერთო ჩემო, როგორ ცივა, — ფიქრობდა დაჭრილი, თავბრუ ეხვეოდა და გამშრალი პირით ჰაერს ყლაპავდა. წარმოსახვები ბზრიალასავით უტრიალებდნენ თავში. ჯერ დედა დაინახა. თითქოს ჭადრები დალანდა თბილისის ქუჩებში. ჭადრებთან ცირა იდგა და მზეს შესცქეროდა.

— მზე! — გაბნეულმა აზრებმა გამოკვეთილი ფორმა მიიღეს.

როგორმე მზის ამოსვლამდე უნდა გაეძლო. როგორმე არ უნდა მომკვდარიყო, სანამ არ დაინახავდა მზეს.

თემური მარტო დარჩა სიკვდილთან და მზის გარდა, არავისზე და აღარაფერზე შეეძლო ფიქრი.

დაუმთავრებელი ღამე ბოროტმოქმედივით მალავდა ნაცარტუტად ქცეულ სახლებსა და უპატრონოდ დაყრილ გვამებს.

მერე ფლოქვების ხმა მოესმა, თითქოს ცხენს მოაჭენებდა ვიღაც.

— ვოუ, თიო, ვოუუ! — უხმობდა პავლე ბაბუა შვილიშვილს.

— სიკვდილი მოდის! — ამოსძახა ვიღაცამ ტვინის სიღრმიდან. თიო უკანასკნელად დაიჭიმა, ყველა სასიცოცხლო ძალა მოიკრიბა, ცას ახედა და დაინახა ამომავალი მზე. სინათლის ვიწრო ბილიკზე თეთრი ცხენი ჭენებით მოიჩქაროდა მისკენ.

.... თენდებოდა. იწყებოდა საქართველოსთვის ყველაზე საძულველი დღე. როდესაც მძიმე და უთანასწორო ბრძოლაში დაიკარგა სოხუმი.

თავი 16

სოხუმში არეულობა სუფევდა. კოდორის მხრიდან აფხაზი სეპარატისტების და კონფედერატების ჯარების გარღვევა არ მოხდა და ქალაქი ალყაში აღმოჩნდა. ქართული ჯარის მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო სოხუმის დამცველებთან შეერთება. ალყაში მოქცეულნი 2

კვირაზე მეტ ხანს ამაოდ ელოდნენ დახმარებას. იმედოვნებდნენ, რკალი გაირღვეოდა და იდეურად დაპირისპირებული თანამემამულენი გვერდში ამოუდგებოდნენ ერთმანეთს. იმედი გაქრა და ყოველივე აირია. მოსახლეობის ნაწილი ბარჟებითა და მოტორიანი ნავებით გადავიდა ფოთში. ნავსადგურში უამრავი ხალხი ირეოდა. მრავალი მათგანი, ზედ რაც ეცვა, იმითი გარბოდა.

ცირა დაჭრილებს აცილებდა ბარჟაზე. გაოგნებული იყურებოდა ირგვლივ და თითქოს, თვალებით ვიღაცას დაეძებდა. დილითვე შეიტყო თემურის დაღუპვის ამბავი. უთხრეს, იმ რაზმიდან ცოცხალი არავინ გადარჩენილაო. ცნობიერებაში არ ეტეოდა მომხდარი. გუშინ ვაჟის გულის ფეთქვას გრძნობდა. დღეს კი თიო აღარ იყო. უბრალოდ, აღარ არსებობდა ამქვეყნად. ცირამ თავდაცვის სურვილიც დაკარგა. ყველაფრის მიმართ განურჩეველი გახდა.

მაღალი ძაბვისგან გამწყდარი სადენე მავთულივით აღარაფერს გრძნობდა. მის შეგნებამდე აღარ დადიოდა, რა ხდებოდა ირგვლივ. სრულიად უაზროდ დაბოდიალობდა ხალხში.

– შენ კიდევ აქ ხარ? – დაეტაკა ქალს ჰოსპიტლის ქირურგი. ხელი მკლავში ჩაავლო და შეანჯღრია.

– თბილი ტანსაცმელი აიღე და ჩვენთან წამოდი. საბარგო მანქანა ვიშოვეთ. სადამდეც შეძლებს,– წაგვიყვანს. უღელტეხილებზე ფეხით გადასვლა მოგვიწევს. მესტიამდე თუ ჩავაღწიეთ, იქიდან შვეულმფრენებს მოგვაშველებენ.

ცირამ თავი დაუქნია და მორჩილად გაჰყვა. რასაც კარნახობდნენ, მექანიკურად ასრულებდა. გასაღებით მომართულ თოჯინასავით ჩაჯდა მანქანის საბარგულში. ხალხის უზარმაზარ ნაკადს გულგრილად ათვალიერებდა. ზოგს, რისი წამოღებაც მოესწრო, მოჰქონდა. ზოგიც, ხალათის და კაბის ამარა, პირდაპირ ქუჩიდან წამოსულიყო. მამაკაცების დიდ ნაწილს მოხუცები და ბავშვები შეადგენდნენ. ახალგაზრდები კვლავ სოხუმის განაპირა რაიონებში იბრძოდნენ.

საკენის უღელტეხილთან ხალხის ნაკადი ორად გაიყო. ნაწილი სოფელ ჭუბერის მიმართულებით წავიდა სამეგრელოსკენ. უმეტესობამ კავკასიის ქედზე აღმასვლით, მესტიისკენ გააგრძელა გზა. ზღვის დონიდან 4300–4600 მეტრის სიმაღლეზე, სიცივესა და თოვლში მიაბიჯებდნენ ნახევრად შიშველი, მშიერი ქალები და ბავშვები, მოხუ-

ექიმმა ჩამტვრეული კბილი გადმოაფურთხა, მაგრად შეიგინა, დასისხლიანებული ტუჩები მოიწმინდა და მიმავალ მანქანას ზიზღით გახედა. გაშიშვლებულმა და დაყაჩაღებულმა ხალხმა უღელტეხილებისკენ სვლა განაგრძო. რაც უფრო მაღლა მიიწევდნენ, მით უფრო ძლიერდებოდა ყინვა. სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. გათოშილნი და დაუძლურებულნი მიხოხავდნენ ქედებზე.

უფროსები ბავშვების მზეზე მიფიცხებას ტყუილად ცდილობდნენ. მზე აღარ ათბობდა.

დაიწყო სიკვდილიანობა. პირველად მოხუცი ქალი დაიღუპა და იქვე ჩამარხეს. მერე და მერე მკვდრების დამარხვის თავიც აღარ ჰქონდათ და ყინულებში ტოვებდნენ გვამებს.

ჩხალთასთან დაყაჩაღებული ქალის შემხედვარე ცირას, საკუთარი სატკივარი მოუჩლუნგდა. ორი შვილის დედა, ფულის და ძვირფასეულობის დაკარგვის შემდეგ ძალიან შეიცვალა. ეტყობოდა, თავგზა ჰქონდა არეული. დაბნეული და დაჩიავებული გამოიყურებოდა. უსახლკაროდ, უქმრიდ, უფულოდ დარჩენილი, შვილებს წარამარა გულში იხუტებდა და განუწყვეტლივ ტიროდა. ხანაც თვალები უშტერდებოდა და დაძაბული ფიქრობდა რაღაცას. მერე საჭმლის ქურდობა დაიწყო. დასასვენებლად ჩამომსხდარ ხალხს ჩამოუვლიდა და თუ სადმე რამეს თვალს მოჰკრავდა, ჩუმად ასწაპნიდა, ბავშვებს მოუხმობდა და პირში სტენიდა.

– მამა სად არის, დედა? – ეკითხებოდა პატარა ბიჭი ქალს.

ქალი ხელს აუქნევდა და ქალიშვილს მივარდებოდა ხოლმე მოსაფერებლად. ერთხელაც ცირა ბავშვს მიუახლოვდა და სახელი ჰკითხა.

– თემური მქვია, – ვაჟკაცურად მიუგო ბიჭმა.

ქალს ხმამაღალი ყვირილი მოუნდა. თითქოს ამითი გულისტკივილს ამოანთხევდა გარეთ.

გაოცებული ბავშვი ხელში აიტაცა და ჩავარდნილი ლოყები დაუკოცნა. მას შემდეგ ცირა ხშირად მიდიოდა ბიჭთან. პალტოს კალთაში ჩამალავდა ხოლმე და ათბობდა. თემურიც ისე შეეჩვია ახალ მეგობარს, თითქმის სულ ცირასთან ერთად იყო. ცირასთვის ეს ბავშვი ნებისყოფის წამრთმევი, ბრმა სასოწარკვეთიდან გამოსავალი გახლდათ. განურჩევლობა აგზნებაში გადაუვიდა და ნერვიული შემართებით უვლიდა ბიჭს.

ნაკანის უღელტეხილზე გადადიოდნენ. მოყინულ ბილიკებზე მიმავალ, დაუძლურებულ ხალხს შეჩერების ეშინოდა. შესაძლოა, გზის გაგრძელების თავიც აღარ ჰქონოდათ. პატარა თემურის დედა თითქოს ჭკუიდან გადაცდა. გაუთავებლად ლაპარაკობდა. მხოლოდ შიგადაშიგ ჩერდებოდა, როდესაც სიცივისგან გახევებულს ტკივილი ეწყებოდა მკერდში. ამ დროს თვალის გუგები უფართოვდებოდა და შეშინებული იცქირებოდა ირგვლივ. უღელტეხილზე გადასვლისას, ნაშუადღევს, თემურის დედა ტკივილმა გააშეშა. ხელი ქალიშვილისთვის ჩაევლო და აზრდაკარგული თვალებით იყურებოდა. წინ წასვლა სცადა, მაგრამ მოყინულ ბილიკზე ფეხი აუსხლტა, წაიქცა და კლდისკენ გაცურდა. პატარა გოგო გამყინავი ხმით გაჰყვიროდა და დედის ხელიდან ხელის გამოგლეჯას ცდილობდა. ხევში ჩაცურებულმა ქალმა ბავშვიც თან ჩაიყოლა. ყველაფერი იმდენად სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, მიშველებაც ვერავინ მოახერხა. ეს ამბავი უბედურებაში გამობრძმედილი ხალხისთვისაც თავზარდამცემი აღმოჩნდა.

პატარა ბიჭი სრულიად მარტო დარჩა ქვეყნიერებაზე, თავიანთი სატკივარით გადაღლილ და შეწუხებულ ადამიანებს შორის.

ცირას განურჩევლობის შეგრძნება მოეხსნა. დაობლებული ბავშვი შერჩა ხელში და მიხვდა, ბიჭს მის მეტი პატრონი არ ჰყავდა.

— რაც არ უნდა დამიჯდეს, გადავარჩენ. ის ახლა ჩემია. ჩემი თემური,— ფიქრობდა ქალი.

ბეჩოს უღელტეხილის გადალახვის შემდეგ ლტოლვილებს თბილისიდან მომავალი გეოლოგების ჯგუფი შემოხვდათ. თბილი ტანსაცმლით და სანოვაგით დატვირთულები ჩასაცმელსა და საჭმელს ურიგებდნენ ხალხს.

— მგონი გადავრჩით, — მათი დანახვისას დაიჩურჩულა ცირამ და მთელი ამ დროის განმავლობაში პირველად შენიშნა მთების სილამაზე.

კავკასიონზე თოვლი იდო. შორს სვანური კოშკები მოჩანდა. გასროლილი ისარივით დაეშვა ღრუბლებიდან ამაყი ფრინველი და კლდის თავზე ჩამოჯდა.

— არწივი, შეხედეთ, არწივია ნამდვილად, — იყვირა ბავშვმა და კლდისკენ გაიშვირა თითი.

ცირას თვალებიდან ცრემლები გადმოსკდა. ბიჭი ხელში აიტაცა და გულში ჩაიკრა.

— ცოტაც და სამშვიდობოს გავალთ! — გაიფიქრა დაქანცულმა და

ჯიუტი მონდომებით განაგრძო გზა.

როგორც იქნა, მესტიაში ჩააღწიეს. ქუჩებში უამრავი ხალხი ირეოდა. ლტოლვილები სახლებში ვეღარ თავსდებოდნენ და ღია ცის ქვეშ ათენებდნენ ღამეს. იქვე იყვნენ გვარდიელები, თბილისიდან ჩამოსული ჟურნალისტები, მთამსვლელების და გეოლოგების ჯგუფები, რომელნიც უღელტეხილებზე დარჩენილი ხალხის დასახმარებლად მიეშურებოდნენ.

შვეულმფრენებს ლტოლვილები ქუთაისში გადაჰყავდათ. შეგროვილი ხალხი თავის რიგს ელოდებოდა.

მესტიაში ჩასვლისთანავე პატარა თემურმა დედა მოიკითხა. ტიროდა, დას და დედას დაეძებდა. მერე ცირას ჩაეკრა გულში და საშინელი ღრიალი ატეხა. ბავშვი ხურდა. ღაწვები შესწითლებოდა და ამღვრეული თვალებით იყურებოდა. ცირას შეეშინდა და სასწრაფოდ საავადმყოფოში გაქანდა. შენობაში ადგილები აღარ იყო. დერეფანშიც საწოლები დაედგათ. წამლის, ოფლის და შარდის სუნი ერთმანეთში არეულიყო. სანთლის შუქზე მედდები ტრიალებდნენ. აქა-იქ დაგუდული კვნესა ისმოდა. საწოლებს შორის, ხის სკამზე, მოხუცი კაცი იჯდა და ავადმყოფებს ფსალმუნებს უკითხავდა. ცირა ექიმს მივარდა და ბავშვი შეაჩეჩა ხელში.

— მიშველეთ! — იყვირა სასოწარკვეთილი ხმით,- ბიჭი იწვის. მაღალი სიცხე აქვს!

თემური ბოდავდა. დედ-მამას მოუხმობდა და გაუთავებლად რაღაცას ეხვეწებოდა.

ექიმმა ბავშვს ფილტვებზე მოუსმინა და თავი გააქნია.

— ფილტვების ანთებაა! — თქვა და ექთანებს საწოლის გამზადება დაავალა.

თავისუფალი საწოლები აღარ იყო. ბავშვი სკამლოგინზე დააწვინეს. ძმრიანი წინდები ჩააცვეს, მდოგვის საფენები გაუკეთეს და წამლები მისცეს. ექიმმა ცირა დაამშვიდა, ცოტა ხანში დაუვარდება სიცხეო.

— მალე მოგხედავთ. თუ რამე დაგჭირდეთ, ზაქარიას მიმართეთ. ავადმყოფის მოვლა კარგად იცის,— თქვა ექიმმა, მოხუც კაცზე მიუთითა და მძიმედ დაჭრილის სანახავად გაემართა.

ზაქარია ბავშვის საწოლს მიუახლოვდა და იქვე, სკამზე ჩამოჯდა.

— ხომ არაფერი გჭირდება, შვილო? — ჰკითხა ქალს.

ცირა თვითონაც ვერ მიხვდა, უცებ რა დაემართა. სასოწარკვეთილება, დაღლილობა, ბოღმა და სიმწარე ერთად შეუქუჩდა მკერდში და საშინელ გაბოროტებად ექცა.

— რა გამიკეთა თქვენმა ღმერთმა! — უყვირა გაოცებულ მოხუცს, — ფარისეველნი ხართ ყველანი. დამსხდარხართ და ბუტბუტებთ რაღაცას. ღმერთი რომ გისმენდეთ, ქვეყანა არ დაინგრეოდა. ამ ბავშვის დედა კლდიდან არ გადაიჩეხებოდა. ჩემი თემურიც მკვდარი არ ეგდებოდა სადმე.

ცირას ქვითინი აუვარდა.

— არაფერი არ არსებობს, გესმით? სულ არაფერი, რასაც აქ ხედავთ იმის გარდა! — დაიკვნესა და ხელი დაჭრილებისა და გაყინულებისკენ გაიშვირა.

მოხუც ზაქარიას წარბიც არ შეუხრია. ქალს გულისტკივილის ამონთხევა აცალა და რბილად მიმართა:

— მოდი, შვილო, ჩემთან!

ცირა მონუსხულივით მიუახლოვდა კაცს. თავი მუხლებზე დაადო და გულამოსკვნილი ატირდა.

— იტირე, შვილო, იტირე და მოგეშვება, — უთხრა მოხუცმა და თმებზე გადაუსვა ხელი.

ცირა სრულიად მოეშვა და ძალა დაკარგა. გრძნობდა, თანდათანობით როგორ იცლებოდა სიმწრისა და ბალღამისგან.

ერთი საათის შემდეგ პატარა თემურს სიცხე დაუვარდა. ცირამ ბავშვს ოფლიანი პერანგი გამოუცვალა და გეოლოგების ნაჩუქარი თბილი ზედატანი ჩააცვა.

— მშია! — თქვა ბიჭმა და თბილი ფაფის მიღების შემდეგ, ჩაეძინა.

ცირა საავადმყოფოს ეზოში გავიდა. ვარსკვლავებით გადაჭედილი ცა დიდებულებით ბრწყინავდა. კავკასიის ქედებს თოვლის ქუდები ეხურათ თავზე.

— არსად ისე ნათლად არ გრძნობ შემოქმედის არსებობას, როგორც მთებსა და მწვერვალებზე, — მოესმა დაბალი ხმით ნათქვამი და გვერდზე მიიხედა.

საავადმყოფოდან გამოსული ზაქარია გვერდში ამოსდგომოდა ქალს.

— ნუთუ სულ შემთხვევით შეიყარა მილიონობით ვარსკვლავი და

ცაზე აკიაფდა? – შეეკითხა მოხუცი, – ყური მიუგდე საოცარ სიჩუმეს და მიხვდები, როგორ მღერის მთელი სამყარო. არსებობის ჰიმნს მღერის. განა შეიძლება, სრულიად გაქრეს რაიმე? ყოფნის ამ უზარმაზარ ზღვაში უკვალოდ არაფერი ქრება. ყოველივე იცვლება და გარდაიქმნება. რწმენა რჩეულების ხვედრია. ეს არის ნიჭი, ხილულში დაინახო უხილავი.

– მსგავსი სიტყვები სხვისგანაც მსმენია. ჩემი თიოსგან, რომელიც აღარ არის ამ ქვეყანაზე, – დაიჩურჩულა ცირამ.

– თიოსნაირები არ იღუპებიან! – უთხრა ზაქარიამ.

– თქვენ იცნობდით თემურს? – გაუკვირდა ქალს.

– კარგად ვიცნობდი, – თქვა მოხუცმა, – თიო ყოველთვის მზეზე მონადირე იყო და მისნაირები არასოდეს იღუპებიან.

– მზეზე მონადირე? – გაიმეორა ცირამ. – ასე სწორად არავის უთქვამს მის შესახებ. მჯერა, ახლოს იცნობდით მას. მაპატიეთ წელანდელი გაგიჟება. უხეში სიტყვებით შეურაცხყოფა მოგაყენეთ.

– საწყენი არაფერია, შვილო. სიმშვიდეს დაიბრუნებ და თვითონვე მიხვდები, სად ეძებო სინათლე, რადგან მზეზე მონადირის გვერდით იდექი.

ქალი ჩაფიქრდა და შეყოყმანებულმა ჩაილაპარაკა:

– არა, მოხუცო. ალბათ, არ ვყოფილვარ ბოლომდე მის გვერდით. მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი. სუსტი გამოვდექი.

ზაქარიას აღარაფერი უთქვამს. საავადმყოფოში შებრუნდა, სადაც დაჭრილს უთენებდა ღამეს.

ცირა კიდევ დიდხანს იჯდა ღია ცის ქვეშ და თავის უიღბლო სიყვარულზე ფიქრობდა. პავლე ბაბუას ნაქონ ხანჯალზე თიოს დანაბარებს იხსენებდა. უკვე იცოდა, ვერცხლის ხანჯალს ვინც დაიკიდებდა ქამარზე, დიდი რომ გაიზრდებოდა და მშობლიური კუთხის ძახილი შეაწუხებდა.

თავი 17

სოხუმის დაცემის შემდეგ, როდესაც ქართული ჯარი ბრძოლით იხევდა უკან, მოსახლეობა სასწრაფოდ გამოვიდა ოჩამჩირიდან და გალიდან. ხალხი მშობლიური ადგილებიდან დედაბუდიანად აიყარა და ლტოლვილთა გრძელ ნაკადს შეუერთდა. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. სამეგრელოში განლაგებული რაზმები თბილისისკენ შემობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნდნენ, ცხენისწყლის ხიდი გადალახეს და სამტრედიის და ხონის რაიონებში შევიდნენ.

იმ დღეებში, მინადორა ნაკაშიძესთან, მეზობელი სოფლიდან სათხოვარით მივიდნენ ძმები ქურციკიძეები. სთხოვეს, მანქანას დავაყენებთ თქვენთანო.

– მოგეხსენებათ, როგორი არეულობაცაა, ქალბატონო მინადორა. არ ვიცით, ვინ შემოვა, ვინ გავა. მანქანა ახალია და საბურავებიც ახალი აქვს. მოშორებით ცხოვრობთ და იქნებ თქვენამდე ვერც მოაღწიონ, – თქვეს მათ.

ქურციკიძეებმა ახალთახალი „ჟიგული" ეზოში შეიყვანეს და სახლის უკან, ფარდულში დააყენეს.

ამ ამბიდან ერთი კვირაც არ გასულა, რომ სოფელში პოლკოვნიკ ბეჟან ჩარგაზიას ჯარისკაცები შემოვიდნენ. მინადორა ნაკაშიძის სახლსაც მიაგნეს. მასპინძელს გამოუხმეს და განაცხადეს:

–სასწრაფოდ საბურავები გვჭირდება. მანქანა რომ თქვენთან დგას, ვიცით!

– თუ რამეს მეკითხებით, საბურავებს ვერ მოგცემთ, რადგან ჩემი არც არის,– უთხრა მათ მამიამ, – თუ არ მეკითხებით და მე რას დაგაკავებთ. აგერაა ფარდული და აგერ კიდევ მანქანა.

შეიარაღებული პირები უსიტყვოდ გაემართნენ ფარდულისკენ და ბავშვების თვალწინ საბურავები მოხსნეს ჟიგულს.

– გმადლობთ. მანქანაც თუ დაგვჭირდება, გამოვივლით, – თავაზიანად დაიბარეს მათ.

საღამოს, როდესაც ქალბატონი მინადორა პასიკოსსა და ბავშვებთან ერთად ვახშმობდა, ვიღაცამ ფანჯარაზე დააკაკუნა. ქურციკიძეების ბიჭი, ბაჩი, გამოდგა. ძალიან აღელვებული ჩანდა და ძლივს ითქვამდა სულს.

– მამა და ბიძა დაიჭირეს! – შემოსვლისთანავე ამოხეთქა მან. – ვიცი ვინც იზამდა ამას. – კოსტაია გეწაძე. იმან თავისი მუნჯი ნუნუ სიმინდებში იპოვა გაგორებული ბიძაჩემთან ერთად. ახლა შური იძია. ბიძაჩემს აბრალებს, ქალი გამიბახეო. ვინ არ იცის, მაგის ნუნუ რომ ბოზია!

– გაჩუმდი! – უყვირა მამიამ. – იცოდე, სისულელე არაფერი ჩაიდინო! მე მივალ იმათთან და მამაშენის და ბიძის გათავისუფლებას

ვთხოვ.

მინადორამ ბიჭი მკაცრად გააფრთხილა ჭკვიანად იყავიო და ჩაცმა დაიწყო. შავი აბრეშუმის კაბა ჩაიცვა. კისერზე მედალიონი ჩამოიკიდა, პალტო მოისხა და თავზე ბეწვით გაწყობილი ძველთაძველი ქუდი დაიხურა. ფარანი აიღო და საყვარელი კატის თანხლებით გაემართა რაიონის პოლიციის შენობისკენ, სადაც აჯანყებული გვარდიის პოლკოვნიკი ჩარგაზია განლაგებულიყო თავის მეომრებთან ერთად. ჩარგაზია ნავთის სანათურის შუქზე იჯდა და რუკას ჩაჰკირკიტებდა, როდესაც თანაშემწემ მოახსენა:

— ვიღაც ბებერი მოვიდა შავი კატის თანხლებით. თქვენი ნახვა სურს. ასე ამბობს, გადაუდებელი საქმე მაქვსო.

ბეჟანი ჩაფიქრდა.

— შავი კატა თარსია! — გაუელვა გონებაში. მერე ხელი ჩაიქნია და შემოუშვითო, ბრძანა.

იქ მყოფი მეომრების თვალსაზრისით, ზღურბლზე ტიპიურმა კუდიანმა გადმოაბიჯა უზარმაზარ კატასთან ერთად და ზრდილობიანად მიესალმა პოლკოვნიკს.

- დაბრძანდით, ქალბატონო, — თქვა ჩარგაზიამ და ყელში მოწოლილი სიცილის გორგალი ძლივს შეაკავა, ისე ჰგავდა ეს ქალი ზღაპრებიდან გადმოსულ ჯადოქარს.

მოხუცი ღირსეულად ჩამოჯდა სკამზე. მის ფეხებთან კატამ მოიკალათა.

— თქვენი პირადი დაცვაა, არა?— წამოსცდა პოლკოვნიკს და ძალღონე მოიკრიბა, სიცილი არ წასკდომოდა.

მამიამ არაფერი შეიმჩნია და ძალიან სერიოზული სახით წარმოთქვა:

— მე გახლავართ ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი, ჟანდარმებისა და შემდგომ კომუნისტების მიერ არაერთხელ დაპატიმრებული, ციმბირგამოვლილი, თავადის ასული მინადორა ნაკაშიძე.

— ძალიან სასიამოვნოა, — უპასუხა დასერიოზულებულმა პოლკოვნიკმა. ფეხზე წამოდგა, ქალს ხელი ჩამოართვა და უეცრად კარგ ხასიათზე დადგა.

— ძმები ქურციკიძეების დაკავებასთან დაკავშირებით გაწუხებთ, — სათხოვარი დაიწყო მამიამ, — თავდებში დავუდგები, არავისი

აგენტები არ არიან და არც თქვენს წინააღმდეგ იბრძვიან. სრულიად უსაფუძვლოდ დააკავეს ორივე. ჩვეულებრივი, მშრომელი გლეხებია. სულ ტყუილია, რაც მათზე მოგახსენეს. მანდ პირადი შურისძიების ამბავია და თუ ინებებთ, წვრილად აგიხსნით გარემოებებს.

– სუკის აგენტებია ეგენი! – მოკლედ მოუჭრა პოლკოვნიკმა. – ვიცით, რა ხმებსაც ავრცელებდნენ ჩვენზე. ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად აგულიანებდნენ ხალხს. მიკვირს, თქვენისთანა ქალბატონი რომ ესარჩლება მათ.

– თავს დავდებ, სულ მონაჭორია ყველაფერი, – ქურციკიძეების დაცვა გააგრძელა მამიამ, მაგრამ სათქმელი ველარ დაამთავრა.

– თქვენ ჩვენ თანაგვიგრძნობთ, ქალბატონო, თუ არ თანაგვიგრძნობთ? – სიტყვა გააწყვეტინა ჩარგაზიამ და ეჭვიანად ჩააშტერდა მოხუცს.

– რაში? – სიტყვა შეუბრუნა მამიამ.

– ჩვენს სამართლიან ბრძოლაში ერის გადასარჩენად! – უთხრა პოლკოვნიკმა.

– ნუთუ გგონიათ, ურთიერთხოცვით ერის გადარჩენა შეიძლება? – გაიკვირვა მინადორამ. – ასეთი ხალხი გარეშე მტრისთვის ვერაფერს მოიცლის. ჩემზე უკეთ უნდა მოგეხსენებოდეთ ეგ. როგორ ფიქრობთ, ბავშვები, რომელნიც ერთმანეთზე მიშვერილ თოფებს უყურებენ, საკუთარი ხალხის მოყვარულები გამოვლენ? სული დაუმახინჯდებათ და მახინჯი თაობის გამოყვანით ერი არ გადარჩება. სიყვარული არ ექნებათ, რადგან არსაიდან ხედავენ ურთიერთშენდობას და სიყვარულს. უსიყვარულოდ დარჩენილი ერი გასაქრობადაა განწირული.

– ჩვენი გზა სამართლიანია! – ხმას აუწია პოლკოვნიკმა.

– სამართლიანი მხოლოდ ბოროტისადმი სულიერი წინააღმდეგობის გზაა და ეს გზა სწორედ ურთიერთსიყვარულია.

– აბა, რას გვირჩევთ ქალბატონო, დავყაროთ იარაღი და ჩავბარდეთ?

– ურთიერთშენდობაზე იფიქრეთ და ზნეობრივი მაგალითი მიეცით ხალხს. აბა, ერთ ამბავს გეტყვით და ყური დამიგდეთ. ციმბირში რომ გადამასახლეს, იქ ერთ ლამას დავუმეგობრდი. იმ ლამას ბოლშევიკები დასდევდნენ, მაგრამ ვერ იჭერდნენ. მისი ტომიდან ერთი კაციც არ

აღმოჩნდა ისეთი, ლამასთვის ეღალატა და გაეცა. ასე ასწავლიდა თავის ხალხს ლამა:

თუ არ გათავისუფლდებით გულისთქმის, შიშის და გულისწყრომისგან, ვერასოდეს მოიპოვებთ სიმშვიდესო. სიმშვიდის გარეშე არ გექნებათ შვებაო. ამას იმიტომ გეუბნებით, მინდა მიხვდეთ:

გულისწყრომა, გულისწადილი და შიში ბოროტისგან არის და არავინ, ამ თვისებათა მატარებელი, ხსნის მომტანი არ არის.

„გულაგში" ყოფნისას ვნახე, როგორ დახვრიტეს ხუთასზე მეტი მორწმუნე. პერანგებით გამოიყვანეს და ფეხშიშველი გარეკეს თოვლში. ფსალმუნების გალობით მიდიოდნენ და შიში არ იყო მათთან. არც გულისწყრომა იყო, რადგან სრულყოფილი რწმენა ჰქონდათ და მარტონი არ იყვნენ სიკვდილთან. მახსოვს, როგორ მოტრიალდა ახალგაზრდა ქალი და ჯალათს შეხედა, თოფით რომ მისდევდა უკან. შევცბუნდი, რადგან მივხვდი, ქალს თავისი ჯალათი ეცოდებოდა. ჩემი გათავისუფლებიდან დიდ ხნის შემდეგ, მეგობართან ერთად, ტელევიზორით, მეორე მსოფლიო ომის კადრებს ვუყურებდით. საკონცენტრაციო ბანაკი გვანახეს, სადაც ცდებს აწარმოებდნენ ადამიანებზე. ცდების შედეგად ადამიანი ცხოველივით ოთხზე დგებოდა და ბალახის ძოვას იწყებდა. მეგობრის თვალებს გადავაწყდი ამ დროს და იმ ქალის თვალები გამახსენდა, თოვლში რომ დახვრიტეს. იგივე მზერა დავიჭირე, რადგან განცდაც ერთნაირი იყო, ალბათ. მაშინ, სიკვდილმისჯილს ცხოველობამდე მიყვანილი ადამიანი შეეცოდა.

ხუთასზე მეტი მორწმუნე, ტყის პირას, თოვლში ჩახოცეს, მაგრამ იცით რა მოხდა? მათი რწმენა და იმედი გადმომედო. მე კიდევ ამ საუნჯეს ოთხი ბავშვი რომ მყავს სახლში, იმათ გადავცემ. რწმენა უდიდესი სიმდიდრეა, რომლის ბადალიც ხილულ სამყაროში არ არსებობს.

ამით ის მინდოდა მეთქვა, რომ ბოროტისადმი სულიერი წინააღმდეგობა შობს კეთილ თესლს, რომელიც მრავლდება და მოაქვს ნაყოფი. მაჩვენეთ ბოროტისადმი წინააღმდეგობის მაგალითი და გაუშვით ქურციკიძეები. უბრალო ხალხია, ენდეთ ჩემს სიტყვას.

თუ მათ გაათავისუფლებთ, ბოროტების ჯაჭვს გაწყვეტთ, თანდათანობით რომ იკვრება. თუ დაიტოვებთ, ის ჯაჭვი უეჭველად ახალ რგოლებს გამოისხამს.

— ვნახოთ, — თქვა ბეჟანმა, — მაგ საკითხს შევისწავლით და როგორც საჭიროა, ისე მოვიქცევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– კარგად ბრძანდებოდეთ! – უთხრა მინადორამ პოლკოვნიკს და სკამიდან წამოდგა.

კატაც მაშინვე წამოხტა და დინჯი ნაბიჯით გაჰყვა პატრონს.

– ვინ იყო ეს ბებერი, რა უნდოდა? – ჰკითხა პოლკოვნიკს ოთახში შესულმა თანამებრძოლმა.

– უყურე შენ მაგ კუდიანს, – ჩაეცინა პოლკოვნიკს, – ლექცია ჩამიტარა ზნეობის საკითხებზე.

ბოლოს და ბოლოს, არიან თუ არა ქურციკიძეები აგენტები? რატომ მაწუხებს ხალხი მათ გამო? – უეცრად ნერვები აეშალა ჩარგაზიას.

– მაგაზე მეტი სამხილი რაღა გინდათ. მისივე მეზობლებმა თქვეს ღალატს ამზადებენო. – დამარწმუნებლად უპასუხა ჯარისკაცმა.

თავი 18

ძლივს გამოჯანმრთელებული კოკა ზერაგია არეული დაბოდიალობდა თბილისის ქუჩებში. წინა დღით საბრძოლო ნაწილში გამოიძახეს და დასავლეთ საქართველოში საბრძოლველად წასვლა უბრძანეს. კოკას შეეძლო მოწმობა მიეტანა გადატანილი ავადმყოფობის შესახებ და თავიდან აეცილებინა დასავლეთში წასვლა. სწორედ ამ საკითხზე ფიქრობდა და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. დაბნეული აწყდებოდა თბილისის ქუჩებს და მომხდარის გამო გული სტკიოდა. სხვა იყო ომი გარეშე მტერთან და სხვა – დაპირისპირებულ თანამემამულეებთან. რუსთაველზე ჩავლისას, თავისდაუნებურად ერთი შემთხვევა გაახსენდა.

ზუსტად ამ ადგილას, სადაც ახლა კოკა მიდიოდა, ერთი წლის წინ, ორი გავეშებული მიტინგი დაეჯახა ერთმანეთს. მოედნის მხრიდან შეჯგუფებული ქალები ისტერიულად გაჰყვიროდნენ და საპირისპირო მხრიდან მოახლოებულებს წყევლიდნენ და ლანძღავდნენ. არც მოწინააღმდეგე მხარე ჩამორჩებოდა. ყვირილი და გინება გაისმოდა.

ზოგირთი ფურთხებაზეც გადავიდა. გამყინავი ხმით მყვირალა მსუქანმა ქალმა ლოყები გამობერა და ახალგაზრდა ყმაწვილს შიგ სახეში შეაფურთხა. ბიჭმა ქალის საცემრად წაიწია. ვიღაცებმა გააკავეს. მსუქანი ქალი მაინც არ ცხრებოდა და თვითონაც გაკავებული, ისევ შეფურთხებას ცდილობდა.

– გამიშვით! – ყვიროდა ბიჭი და უშვერად აგინებდა გაკაპასებულ დედაკაცს.

მოზრდილი ჯგუფი ომახიანი შეძახილებით ახშობდა მეგაფონიან ორატორს. მოსახვევიდან შემთხვევით გამოვარდნილი მანქანა ტყუილად ცდილობდა მომიტინგეთა რკალის გარღვევას. მანქანიდან ჩასხმულ-ჩაკუნთული ახალგაზრდა გადმოხტა და მოჩხუბრებისკენ გაიწია. შუბლი ხარივით წინ გამოსწია და წვრილი თვალები მუქარით დააბრიალა.

– დეიდაჩემს რატომ შეაგინე, შენი დედაც! – დაიზმუვლა და ფურთხით მოსვრილ ყმაწვილს პირდაპირ თავით დაეჯახა.

ბიჭი წაიქცა და ზედ ჩაკუნთული ვაჟკაცი დაახტა.

– მე თქვენი პოლიტიკა ფეხებზე მკიდია, დეიდაჩემს რატომ შეაგინე-მეთქი! – ზმუოდა და ლოყებჩავარდნილ ყმაწვილს კისერზე ხელებს უჭერდა.

დეიდის მოყვარულ ჯეელს სხვები დაეტაკნენ.

– ჩვენებს ცემენ! – მძიმედ დატკეპნა მანქანის მძღოლმა და უკან მჯდომ მსუქან-ძსუქან ბიჭებს გადახედა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჯეელები ერთმანეთის მიყოლებით გადმოვიდნენ მანქანიდან. საცდელ ნაკვეთში სამუშაოდ ბრძანდებოდნენ და საბარგულში თოხები და ნიჩბები ეწყოთ. ვაჟკაცები მეგობრის დასახმარებლად გაიქაჩნენ. მტერს, რაც იქ მოხდა. კამეჩივით ბიჭებთან პოლიტიკური ახსნა-განმარტება რას გაჭრიდა და მოწინააღმდეგე მხარემაც სახელოები დაიკაპიწა. ორატორს მეგაფონი წაართვეს და შემაღლებულიდან ძირს ჩამოაგდეს. ვიღაცამ სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილ უცხოელ კორესპონდენტს ვიდეო-კამერა დაუმტვრია. ზედ შედგა და ფეხებით გაჭყლიტა. გრძნობებს აყოლილი ბრბო თანდათანობით მძვინვარდებოდა. აქა-იქ თოხის ტრიალი და ბოლოს ქვის სროლაც ატყდა. ადამიანის სახედაკარგული ადამიანები ძაღლებივით უყეფდნენ ერთმანეთს. გამაყრუებელი ხმაური იყო.

– დეიდაჩემს რატომ შეაგინე-მეთქი! – მომიტინგეთა შეძახილებს შორის გაისმოდა სოფლის მეურნეობის მუშაკის აპოლიტიკური ბრდღვინვა.

ცირა ქვაფენილზე იჯდა და თვალები მოჩხუბრებისკენ გაეშტერებინა. უხმოდ იქნევდა ხელებს, თითქოს ვიღაცის დაშოშმინებას ცდილობდა. შორიდან სათამაშო თოჯინას წააგავდა. იასამნისფერ თვალებს აზრი დაჰკარგვოდათ და შუშისას დამსგავსებოდნენ.

– შეიშალე? აქ რა გინდა?! – უყვირა კოკამ, მკლავში ხელი წაავლო და ბრბოდან ძლივს გამოათრია.

– ესენი ერთმანეთს დახოცავენ. გინდა, ქვა მოგხვდეს თავში? – ბურტყუნებდა ბიჭი.

ცირა დამუნჯებული მისდევდა. ფიქრებში გართულიყო და ხეირიანად არც ესმოდა, რას ეუბნებოდნენ. თავის თავში ჩაკეტილი და უცნაურად მარტოსული ჩანდა. ეტყობოდა, შინაგანად შეცვლილიყო. ის ცირა აღარ იყო, კოკას რომ ოცნებებში წარმოედგინა.

– სადმე შევიდეთ, ყავა დავლიოთ, – შესთავაზა ვაჟმა.

შარდენის ქუჩაზე გავიდნენ და პატარა კაფეში შევიდნენ. კოკამ ნამცხვარი და ყავა შეუკვეთა.

ცირა ისევ სადღაც სივრცეში იყურებოდა. ყავის ჭიქა ერთი ყლუპით დასცალა და ჩვეულებისამებრ გადატრიალებული ფინჯანი ლამბაქის კიდეზე დადო.

– ნუთუ შესაძლებელია გუშინდელ მეგობრებს დღეს ისე შესძულდეთ ერთმანეთი, ქვებიც აიღონ ხელში? – ჰკითხა ბიჭს ცირამ. – ის კი არ მაოცებს, რომ იდეის გულისთვის, ამა თუ იმ თვალსაზრისის გულისთვის ერთმანეთს უპირისპირდებიან. იმათ ვგულისხმობ, ვისაც წრფელი გულით სჯერა, რომ სამშობლოს კეთილდღეობისთვის იბრძვის. თუნდაც მართალი იდეის გამო ფანატიზმამდე მისული სიძულვილი მაოცებს, დაუნდობლობა გუშინდელი მეგობრის მიმართ.

– რა გიკვირს, ცირა, – შეეპასუხა კოკა, – მარტო ჩვენს ქვეყანაში ხომ არ მომხდარა ასეთი რამ. გაიხსენე ესპანეთის ამბები, საფრანგეთის რევოლუცია, რუსეთის რევოლუცია.

თუნდაც კათოლიკების და პროტესტანტების ხოცვა-ჟლეტის ამბები გაიხსენე.

– მერე სად აშენდა სამოთხე?! – თქვა ცირამ. – დახოცილები დახოცილებად დარჩნენ და სამოთხე არსად აშენებულა. თუ ნამდვილად მართალი ხარ, მოძმე არ უნდა შეგძულდეს. სიძულვილი და სიმართლე შორსაა ერთმანეთისგან.

– მაშინ არც შენი თემურია მართალი, დღემდე რომ პირს მარიდებს. სად დაკარგა შენდობის უნარი? – წამოსცდა კოკას და თვალებში ჩააშტერდა ქალს.

ცირას არ ესიამოვნა ძველი ამბის შეხსენება. თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, ისე შეკრთა და შეცბუნდა.

— ჩვენს შორის ისეთი არაფერი ყოფილა, ორივეს დაგვეკარგა თემური, — გააგრძელა ბიჭმა სათქმელი და უეცრად მიხვდა, — ტყუოდა.

არა, ნამდვილად იყო რაღაც ისეთი, რასაც მამაკაცური ინტუიციით მიხვდა კოკა და ამიტომაც ეყო გამბედაობა საყურე მოეხსნა ქალისთვის. ცირასგან ეს რომ არ ეგრძნო, არც უღალატებდა მეგობარს.

— ყოველ შემთხვევაში, ის არ ყოფილა, რაც თიოს ეგონა! — ხმამაღლა გაიმეორა და ცირას იასამნისფერ თვალებს გადააწყდა.

— არ შევმცდარვარ! ჩვენს შორის ახლაც არის რაღაც! — გაუელვა გონებაში.

სწორედ ეს მიუწვდომელი და მოუხელთებელი აღელვებდა კაცს ქალში. ცირას უცნაური მზერა თითქოს ეძახდა და ამავე დროს ლიფსიტასავით უსხლტებოდა ხელიდან. იასამნისფერი თვალების საიდუმლო სულის სიღრმეში სწვდებოდა და აფორიქებდა ვაჟს.

ამ დროს კოკა აღარ იყო მეგობარი და ვაჟკაცი. მისგან რჩებოდა მხოლოდ მამრი, რომელსაც მთელი არსებით სურდა ქალი და მუხრანის ბოლოს მოკლული ყივჩაღივით მ[illegible]ად იყო ათასი წელი დალოდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ამ ქალს.

— მიყვარხარ! — უნდოდა ეთქვა კოკას და ამის ნაცვლად თავის მართლება დაიწყო.

— უაზროდ გავიჭყლიტე თქვენს ჩხუბში. არ მინდოდა თქვენი დაშორების მიზეზი გავმხდარიყავი. შენ, მგონი, დღემდე ვერ მიტან, არა ცირა?

— ჰო, ვერ გიტან! — წამოიძახა ცირამ და სკამიდან წამოხტა. — მეჩქარება, უნდა წავიდე! ძალიან გთხოვ, ნუ გამაცილებ.

— საკუთარი თავის გეშინია და იმიტომ გარბიხარ! — ბოღმიანად ამოხეთქა კოკამ. — შენს თავს მაინც რას უმალავ, რასაც დიდი ხანია ორივე მიმხვდარი ვართ?!

— ასე თუ გგონია, ძალიან შემცდარხარ! — მიაძახა ცირამ და სწრაფი ნაბიჯით გავიდა საყავედან.

რამდენიმე წამი კოკა გაშტერებული იჯდა და გადაბრუნებულ ყავის ფინჯანს უყურებდა.

შემდეგ წამოხტა და გოგოს გაედევნა. ცირა ქუჩაში აღარ იყო. მოშორებითაც არავინ ჩანდა. ალბათ მანქანა გააჩერა და ამიტომ გაქრა ასე უეცრად.

— ჩემთვის ამაზე ფიქრიც არ შეიძლება. მით უფრო ახლა, როდესაც

ცირა თიოსთან ერთადაა, ალბათ! – გაიფიქრა კოკამ და მოგონებებიდან გამოერკვა.

თავისუფლების მოედანი გადაჭრა და ძველი თბილისის ვიწრო ქუჩებს დაუყვა. მოულოდნელად საინტერესო აბრას გადააწყდა.

„უძველესი ქართული საბრძოლო ხელოვნების სკოლა“ – ამოიკითხა ახალშელებილ, ჩუქურთმიან შენობაზე.

კიბეზე ავიდა და შენობაში შეაბიჯა. კედლები ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრებით იყო მოფენილი. დარბაზში შესასვლელ კარებზე ვეფხვთან მოჭიდავე მოყმე იყო გამოსახული. კოკამ კარი შეაღო და უზარმაზარ დარბაზში შეკრებილი უამრავი პატარა ბიჭი დაინახა. მოზარდებს მოკლე, თეთრი ხალათები ეცვათ და დოლის ხმაზე სწრაფად, მოქნილად და რიტმულად მოძრაობდნენ. წინ ჭაღარაშერეული, დაკუნთული კაცი ედგათ, რომელიც მაგალითს იძლეოდა, როგორ უნდა ემოძრავათ ბიჭებს. მწვრთნელში კოკამ ბატონი გურამი ამოიცნო და ძალიან გაუხარდა. შესვენებაზე მივიდა მასთან და მოიკითხა.

– აი, შენი მოცემული ფულით რა გავაკეთე, – უთხრა ბატონმა გურამმა.

– ჩვენს ფილოსოფიაში, უძველეს პოემებსა და ხელნაწერებში მრავალი მოწმობა ვნახე იმისა, რომ ქართველები შეუდარებელ საბრძოლო ხელოვნებას ფლობდნენ. სწორედ მის აღმოჩენასა და დახვეწას ემსახურება ეს სკოლა. მარტო ბრძოლას არ ვასწავლით, არამედ ბრძოლის ზნეობრივ ფილოსოფიასაც. მისი უმთავრესი აზრია, მიღებული ცოდნა გამოვიყენოთ სიცოცხლის გადასარჩენად და არა მოსასპობად. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ვმოგზაურობთ. კულტურულ ძეგლებს ვნახულობთ და მათ ისტორიას ვსწავლობთ. ერის ტრადიციებზე მოვუთხრობთ ბავშვებს. პატარებიც იყვარებენ მათ და ერთმანეთს. კიდევ ბევრ საინტერესოს ნახავ ჩვენთან,– დაუმატა გურამმა და მეზობელ ოთახში შეიყვანა სტუმარი, სადაც მომღერალთა გუნდი იყო თავშეყრილი. ბიჭები ხმაშეწყობილი მღეროდნენ უძველეს საგალობლებს.

– ამ სიმღერებს საოცარი ძალა აქვთ, – მათი შემსრულებლები არასოდეს გახდებიან ყაჩაღები და კაცისმკვლელები. განმწმენდი მადლის მატარებლები არიან ისინი. უძველეს დროში, საგალობლების შეთხზვითა და შესრულებით იკრებდა ხალხი მზის ცხოველმყოფელ ენერგიას. ქართული ცეკვებისთვისაც გვაქვს დარბაზი. თუ დაკვირ-

ვებიხარ, რამდენი სინათლეა ჩვენს ცეკვებში. ვფიქრობ, ისინიც რიტუალურია და შემოქმედის სადიდებლადაა მიძღვნილი.

– მაშასადამე, სულის წვრთნის სკოლა შეგიქმნიათ და არა სხეულისა, – გაეღიმა კოკას.

– შევაბრუნოთ ძველ ფილოსოფოსთა ნათქვამი და ასეთი სახით გამოვთქვათ: ჯანმრთელი სული ჯანსაღი სხეულის მატარებელია. განწმენდილი სულის გარეშე ყოველივე ჭკნება, იშლება და ინგრევა, – სერიოზულად უპასუხა ბატონმა გურამმა.

შენობიდან გამოსულ კოკას საოცარი სიმსუბუქის შეგრძნება გამოჰყვა თან.

– არ შევმცდარვარ, ამ კაცს რომ გავანდე ჩემი საიდუმლო. გიგის ბინძური ფული კარგ საქმეს მოხმარდა. დამეტოვებინა? გადამაყოლებდნენ. უცხოეთში გავქცეულიყავი?

ისე დაცემულიც არა ვარ, სისხლიანი ფულით მეცხოვრა. თუ სხვა სამყარო არსებობს, იქნებ გიორგის სულს შეეწიოს ეს ამბავი, – ფიქრობდა ბიჭი თავისთვის.

უხაროდა, თითქოს დაღუპულ მეგობარს გაუკეთა რაღაც ძალიან კარგი.

– არსადაც არ წავალ! – გადაწყვიტა კოკამ, – ძმათაშორის ომი ჩემი საქმე არ არის.

სადარბაზოში შესვლისას საფოსტო ყუთში წერილი შენიშნა. სადარბაზოშივე გახსნა და სოხუმელი მეგობრის მოწერილი წაიკითხა.

„თემური საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლაში დაიღუპა. წინა დღით გიხსენებდა.

ყვებოდა თქვენი ბავშვობის ამბებს.“

წერილი ქუთაისიდან გამოეგზავნათ. მეგობარი სთხოვდა, იქნებ დროებით შემიკედლოო. მშობლებს ქუთაისში ტოვებდა. თვითონ კოკასთან უნდოდა ჩამოსვლა.

კოკა აკანკალდა. მუშტი მთელი ძალით მოიქნია და საფოსტო ყუთი ჩამოანგრია.

– სოხუმის დამცველებს რომ დახმარებოდნენ, თემური არ დაიღუპებოდა. არ მოკვდებოდა, კოდორი რომ გაერღვიათ, გაერთიანებულიყვნენ და ერთად დადგომოდნენ მტერს. რა დროს შინაომის ატეხვა იყო, როდესაც აფხაზეთი იკარგებოდა,– გაიფიქრა მან.

კოკა ცუდად გახდა. თავბრუ დაეხვა და თითქოს უფსკრულში ვარდნა დაიწყო. კიბის მოაჯირს ჩაეჭიდა, რომ არ წაქცეულიყო. ასე მწვავედ არასდროს არავის სიკვდილი არ განუცდია. ასე ნათლად არასოდეს გაუცნობიერებია არსებობიდან ადამიანის გაქრობის შემზარავი სისასტიკე.

— ჩემზე ნაწყენი წავიდა. სად წავიდა, არარაობაში თუ სადმე სხვაგან? — იყვირა სინდისმა შინაგან კაცში.

გიგის დაღუპვაც არ გადაუტანია ასე მტკივნეულად. კოკას გონება ვერ ეგუებოდა მეგობრის სიკვდილს და თავზე დამტყდარი სასოწარკვეთიდან გამოსავალს ეძებდა. სახლში აღარ ასულა, სადარბაზოდან გამოვიდა და დარეტიანებული წაბარბაცდა ჯარისკაცთა შესაკრები ადგილისკენ, სადაც საბრძოლო რაზმები ყალიბდებოდა დასავლეთ საქართველოში გასაგზავნად.

თავი 19

შემოდგომის მწიფე სიყვითლემ ველ-მინდვრები გადაფარა. ყვითელი, აგურისფერი და სიწითლეშერეული მწვანე ფოთლები ნელ-ნელა ცვიოდნენ ძირს და თან მიჰქონდათ გაპარული ზაფხულის იმედები და იმედგაცრუებანი.

ქართულ ჯართან ერთად, მრავალი მოხალისედ მიტმასნილი და საშოვარზე გამოსული შევიდა დასავლეთ საქართველოში, ისეთებიც, რომელთაც არც რაიმე მრწამსი ჰქონდათ და არც იდეა. მხოლოდ გამორჩენისა და წაღლეტის სურვილი ამოძრავებდათ. როდესაც სამთავრობო ჯარები ხონის რაიონში შევიდნენ, სასტიკად ნაცემი ძმები ქურციკიძეები საპატიმროდან გამოიყვანეს. სამაგიეროდ,დააპატიმრეს და კარგადაც მიჟეჟეს ვინმე სიმონ გეწაძე, ქურციკიძეების მეზობელი.

სწორედ იმ დროს, როდესაც გეწაძე დაიჭირეს, ოცმეთაურად დანიშნული კოკა ზერაგია ადგილობრივი მცხოვრებლის ეზოში, ხის მაგიდასთან იჯდა და სადილს მიირთმევდა. ის იყო ლუკმის პირში ჩადებას აპირებდა, ღობესთან ახალგაზრდა ქალი შენიშნა. ქალი ხეებს ეფარებოდა და ხელით ანიშნებდა რაღაცას. კოკა მიხვდა, უცნობი თავისთან უხმობდა. სხვა შემთხვევაში ფეხის განძრევიც არ იყო, მაგრამ ახლა დაინტერესე-

ბული წამოხტა და ხეებისკენ გაემართა. ქალი ძალიან ლამაზი იყო. მაღალსა და თეთრყირმიზს უზარმაზარი მწვანე თვალები და მუქი, ყორნისფერი თმა ამშვენებდა. თვალები შორიშორს ჰქონდა ჩასმული, რაც მის სახეს საოცარ მიმზიდველობას ანიჭებდა. ქალმა დაბანგული თვალებით შეხედა, ტუჩებზე თითი მიიდო და ანიშნა უკან გაჰყოლოდა.

კუნთებმოდუნებული და პირგამშრალი კაცი სიმინდებში გაჰყვა მზეთუნახავს. როდესაც საკმაოდ მოფარებულ ადგილას გავიდნენ, ქალი შემოტრიალდა და კაბის გახდა დაიწყო. თან სისხლამღვრეულ მამაკაცს თვალს არ აცილებდა. ნელი, შემპარავი ნაბიჯით მიუახლოვდა და ხელები ყელზე შემოჰხვია. კოკას ამქვეყნად ყველაფერი გადაავიწყდა. ტუჩებით ქალის ტუჩებს დაეკონა და სიმინდებში ჩაიჩოქა. არასდროს არავის მიმართ არ ჰქონია მსგავსი სურვილი, როგორიც უცნობი ქალის მიმართ აღეძრა. ენებისგან ციებიანივით კანკალებდა და დამშეული ეფერებოდა ქალს. ასეთი თამამი და გულუხვი ქალიც არასდროს შეხვედრია. ენერგიისგან მთლიანად დაცლილი მიწაზე მიეგდო და ცას ახედა. პატარა თეთრ ღრუბელსაც ქალის ფორმა მიეღო და იქიდან ეკეკლუცებოდა ვაჟს.

— ტყუილია, არაფრის თავი აღარ მაქვს! – გაეცინა კოკას, უცნობისკენ შეტრიალდა და სახელი ჰკითხა.

ქალი მიწაზე იჯდა და ღილებს იკრავდა. გაიღიმა და შეეცადა ხელებით აეხსნა რაღაც.

— ნუთუ მუნჯია?! — გაიფიქრა კოკამ.

ქალმა წვრილი ტოტი აიღო და მიწაზე დაწერა. ეტყობოდა, წერაც უჭირდა.

— ნუნუ, — ხელის კანკალით გამოიყვანა ასოები.

კოკამ შენიშნა, ქალს მთლად ჩვეულებრივი მზერაც არ ჰქონდა.

შესაძლოა, ცოტა გონებასუსტიცაა, – მიხვდა ვაჟი.

ნუნუმ კვლავ დაწერა რაღაც.

– უშველე მამას! – ამოიკითხა მიჭმა.

– ვინ არის მამაშენი და როგორ ვუშველო? – იკითხა გაკვირვებულმა.

ნუნუ ხელებით შეეცადა სათქმელის ახსნას. წარმოადგინა, თითქოს თოფი ეჭირა ხელში და წინ ერეკებოდა ვიღაცას. შემდეგ ვითომ გასაღები გადაატრიალა და ოთახში ჩაკეტა ტყვე.

— მამაშენი დაიჭირეს? – გონება გაუნათდა ვაჟს და გააცნობიერა,

ახლახან გაზიარებული სარეცელი მომავალი დახმარების სანაცვლო იყო.

– ნუთუ შენთვის სიკეთე არავის უჩვენებია უსასყიდლოდ?– ჰკითხა ქალს კოკამ.

ნუნუს ისევ გაეღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– მხეცები ვგონივართ! – გაიფიქრა ვაჟმა.

სიმინდებში შრიალი მოისმა და ქალი აფორიაქდა. კაცს ხელზე ხელი მოუჭირა და ტყის მიმართულებით გაიქცა. სიმინდებიდან ბავშვი გამოვარდა და ყველაფერი დავინახეო, იყვირა.

–შენც გადაგიბირა ნუნუია ბოზმა? მაგის გულისთვის დაიჭირეს მამა და ბიძა. კაცად აღარ ვარგა მამაჩემი ახლა. შენ კიდევ მაგის ბოროტ მამას ეხმარები, არა? არა უშავს, მე ვიცი რასაც ვიზამ! – დაემუქრა ბიჭი კოკას და ისიც ტყისკენ გავარდა.

კოკა გაოგნებული იდგა ერთ ადგილას და ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის თავს.

ის იყო სიმინდებიდან გამოვიდა და სოფელში მიმავალ ბილიკს გაუყვა, შორიდან კივილის ხმა შემოესმა. კივილს გასროლა მოჰყვა. კოკამ ქარივით აირბინა მაღალი აღმართი და ორსართულიანი ქვის სახლის ჭიშკარში შეიჭრა. შეიარაღებულ პირებს ძველებური ხალიჩები და ძვირფასი ნივთები გამოჰქონდათ სახლიდან. მსხლის ხესთან შეშინებული ბავშვები ატუზულიყვნენ. სამხედროფორმიანი ყაჩაღი ძოხუც ქალს კისერში ჩასჭიდებოდა და ფულს სად ინახავ ბებერო, უყვიროდა. დანარჩენი ორი ჯარისკაცი სახლის ძარცვით იყო დაკავებული. კარადებში იქექებოდნენ, ფულს და ძვირფასეულობას დაეძებდნენ.

დაბალი, ჩასკვნილი ქალი წყევლა–კრულვით დაეტაკა მოძალადეს. ჯარისკაცმა მუშტი ჩაარტყა თავში და წაქცეული ჩაწიხლა. გოგოები აკივლდნენ. თან ორი წლის ბავშვს იხუტებდნენ, რომელიც პირდაღებული ღრიალებდა. მუნჯი ბიჭი ცდილობდა ბარძაყში ეკბინა ყაჩაღისთვის. საიდანღაც უხმაუროდ, შემპარავი ნაბიჯებით გამოვიდა უზარმაზარი შავი კატა და ჰაერში კამარა შეჰკრა. მოძალადემ განძრევაც ვერ მოასწრო, ისე აღმოჩნდა მიწაზე განრთხმული. კატა სახეში ეცა და კლანჭებით კანი ააგლიჯა შუბლზე. სისხლით მოსვრილმა ჯარისკაცმა შემზარავად იღრიალა. კატა გასროლილი ისრის სისწრა-

ფით შევარდა ბუჩქებში. დასახიჩრებული შეშლილივით გაგორდა მიწაზე და ცხოველივით აღმუვლდა. მეომრები სახლიდან გამოვარდნენ. კოკამ ავტომატი გადმოიღო და მძარცველებს დაემუქრა.

— ნაბრძანები მაქვს, ადგილზევე მოვსპო „მარადიორები". ნაძარცვი ნივთები დაყარეთ და დაშავებული საავადმყოფოში გადამაყვანინეთ!

ერთმა მძარცველმა იარაღისკენ წაიღო ხელი, მაგრამ კოკამ დაასწრო და პისტოლეტი გააგდებინა.

— არ ვხუმრობ! — უღრიალა ჯარისკაცებს. ორივე განაიარაღა და წინ წასვლა უბრძანა.

თვითონ უკან გაჰყვა რაზმელებს. საავადმყოფოში მივიდნენ, სადაც დასახიჩრებული ნაკერების დასადებად საოპერაციოში შეიყვანეს. ოცმეთაური ზერაგია სამხედრო ხელმძღვანელობასთან გაემართა. მომხდარის შესახებ მოახსენა და საღამოს კვლავ საავადმყოფოში დაბრუნდა. შესასვლელში სასწრაფო დახმარების მანქანა შემოხვდა. სანიტრებს საკაცით გადმოჰქონდათ დამწვარი სხეული. საკაცეს თმაგაწეწილი ქალი მოსდევდა და შემზარავად გაჰკიოდა.

— რა ამბავია? — ჰკითხა სანიტრებს კოკამ.

— ცუდი ამბავია, — უპასუხეს სანიტრებმა, — გეწაძეების სახლი დაიწვა და მუნჯი ნუნუ ძლივს გამოათრიეს ცეცხლიდან. დედამისი სატირალში ყოფილა წასული და იმიტომაც გადარჩენილა.

კოკამ თავს ძალა დაატანა და დამწვარს დახედა. ღმერთო ჩემოო, წამოსცდა და შეშლილივით გავარდა ეზოში. მესერს რომ მიუახლოვდა, გული აერია და ცივმა ოფლმა დაასხა. დარეტიანებული გატორტმანდა უკან, საავადმყოფოში.

— ალბათ, ვერ გადარჩება! — უთხრეს ექიმებმა ნუნუს შესახებ.

— ასეთი გადარჩენა არც ღირს, — გაიფიქრა ბიჭმა და გულზე მოჭერილი მარწუხის ცივი შეხება იგრძნო.

ღამით კოკამ უზომოდ ბევრი არაყი დალია და უმოწყალოდ მთვრალი მიადგა სამხედრო ნაწილის უფროსს. ენის ბორძოკით ცდილობდა აეხსნა, რომ დაკავებული გეწაძის ქალიშვილი დაიღუპა და აუცილებელი იყო მამამისის საპატიმროდან გაშვება. ბოლოს, მუშტები ურტყა მაგიდას და მამაპაპური გინებაც დააყოლა. დაცვის ბიჭებმა ძლივს გამოათრიეს უფროსის ოთახიდან და ქაჩვითა და ჯიკაობით წაათრიეს სახლში.

დილით, კოკას საზიზღარ გუნებაზე გამოეღვიძა. მთელი სხეული სტკიოდა და გულისრევის შეგრძნება აწუხებდა. რატომღაც სოფელში

ასვლა და იმ ხალხის ნახვა მოუნდა, წინა დღით გაძარცვას რომ გადა-არჩინა. თავადაც არ იცოდა, რა იზიდავდა იქ. პატივმოყვარე არ იყო, მადლობებისთვის უცხო ხალხს მიდგომოდა კარზე. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესო რამ ელოდებოდა და აუცილებლად უნდა მისულიყო სანახავად.

ჭიშკარი ახალგაზრდა ქალმა გაუღო. ცომიან ხელებს წინსაფარზე იწმენდდა და შეშინებული უცქერდა სტუმარს. კოკამ ღიმილით მოიკითხა და ქალიც იძულებული გახდა შინ შეეპატიჟებინა ვაჟი.

ძველებური ავეჯით გაწყობილ, ფართო სასტუმრო ოთახში, ბუხართან მოხუცი ქალი იჯდა.

მუხლებზე წიგნი ჰქონდა გადაშლილი და ირგვლივ შემომსხდარ ბავშვებს ხმადაბლა უკითხავდა. ხალიჩაზე მშვიდად გაწოლილი კატა უცნობის დანახვაზე აიბურძგლა და ზურგი რკალივით გამოზნიქა. მოხუცმა კატას ხელი გადაუსვა და ცხოველიც დამშვიდდა.

— დაბრძანდით! — სკამი მიართვეს სტუმარს.

ქალბატონმა მინადორამ წიგნი დახურა და შემოკრებილი ბავშვები ეზოში სათამაშოდ გაუშვა.

შემდეგ სათვალე მოიხსნა და დაშავებული ჯარისკაცი მოიკითხა.

— არა უშავს. ნაკერები დაადეს და ცოტა ხნით საავადმყოფოში ყოფნა მოუწევს, - უთხრა კოკამ და ჩახლეჩილი ხმით დაუმატა, - წუხელის უარესი ამბავი მოხდა.

— ვიცი, - თქვა მამიამ. ცოტა ხანს ჩაფიქრდა და ნათქვამს დააყოლა, -ზოგს ჰგონია, ძალადობის ჯაჭვს ძალადობის მაკრატლით გადასჭრის. სულ ტყუილი ამბავია. სინამდვილეში, ასეთი ჯაჭვის გამკვეთ მაკრატელს არავინ დაეძებს და ვერც პოულობს.

ამას წინათ ტელევიზორში დაღუპული სამხედრო მფრინავი გვანახეს. მფრინავი მკვდარი ეგდო სავარძელზე. გვერდით ბიბლია ედო. კაცი ბიბლიას კითხულობდა და თან ქალაქებსა და სოფლებს ბომბავდა. შესაძლოა, თავი მესიის მახვილი ეგონა და თავისი ჭკუით, სხვის მიერ ჩადენილ ბოროტებას სჯიდა. ვერ ხვდებოდა, რომ მესიის მახვილი სიყვარულია.

მინადორა დადუმდა და შეკითხვის თვალით შეხედა სტუმარს.

ახალმოსულს თუთის არაყი მიართვეს. კოკამ არაყი გადაკრა და სათქმელი დაიწყო:

— თვითონაც არ ვიცი, რატომ მოვედი თქვენთან. არც ის ვიცი, რა-ტომ გეუბნებით ამას. ყველაფერი მომბეზრდა. სულიერად გაჩანაგე-ბული ვარ. ველარ ვხვდები, ამქვეყნად რას ვაკეთებ. აღარ მესმის, რა არის სწორი და რა- არა. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, ნეტავ სულ არ გავჩენილიყავი ამქვეყნად. ჩემზე უკეთესები საიქიოში არიან და მე რისთვის მზრგავს ბედი? სულში რომ მქონდა, ის ღერძი დიდი ხანია გადატყდა. ნუთუ იმისთვის ვარსებობ, ვჭამო, ვსვა, გავმრავლდე და მოვიხვეჭო? მოხვეჭილით ისევ ვჭამო, ვსვა და გავმრავლდე?

ამაზე მეტს ვეძებდი ცხოვრებაში. ახლა აღარ ვიცი, რა არის საძებნელი.

კოკას სახე ნიღაბივით დაეჭიმა და თვალის უპეები ტომრებივით ჩამოეკიდა.

მამია სავარძლიდან წამოიწია და დამჭკნარი ხელები ცეცხლს მიუფიცხა.

— სიბერეში მცივანა გავხდი, — თქვა გულდაწყვეტილმა.

— ადრე ციმბირის ყინვებს ვუძლებდი და ახლა ჩვენი მზიური ქვეყნის შემოდგომაც ვერ ამიტანია. ეტყობა, სიცოცხლე მიდის ჩემგან. მახსოვს, ციმბირში ყოფნისას ჩემს მეგობარ ლამას ავუხირდი, თქვენი მოძღვრების არსი ამიხსენი-მეთქი. ასე მითხრა ლამამ, კურთხეულმა იპოვა გზა, როგორ გადაეძლია მიზეზთა პირველმიზეზი და შეძლო ჭეშმარიტ სიმშვიდეში გადასვლაო. გამიკვირდა ძალიან. მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვისგან გასათავისუფლებლად, თურმე, პირველმიზეზის გადაძლევა ყოფილა საჭირო. ვკითხე ლამას, რა არის-მეთქი მიზეზთა პირველმიზეზი?

— სიცოცხლის წყურვილი, სიცოცხლის ნება! — მიპასუხა მან.

— ღმერთმებრძოლები ყოფილხართ! — ვუთხარი, — სიცოცხლის ნება ღვთისგან მოდის. ნუთუ შემოქმედის გადაძლევა გსურთ იმისთვის, რომ არყოფნაში გადახვიდეთ-მეთქი?

— რა არის სიცოცხლის მიზანიო? — კითხვა შემიბრუნა ლამამ.

— სიცოცხლის მიზანი თავად სიცოცხლეა! — ვუპასუხე გაოცებულმა. — ჰოდა, ღმერთს მადლობა უთხარი, შვილო, რომ ცოცხალი ხარ! ამბობ, იმაზე მეტს ვეძებ სიცოცხლეში, ვიდრე ვჭამო, ვსვა და მოვიხვეჭოო. სულიერად ცოცხალი ყოფილხარ! განსაცდელში გამოწრთობილ სულს უფრო მეტად უყვარს სიცოცხლე და უკეთ იცის

მისი ფასი. რა არის სწორიო? – კითხულობ. რაც სულის უკვდავებას მოგანიჭებს, ის არის სწორი.

– დავიღალე, – თქვა კოკამ. – მეუბნებით, ცოცხალი ხარო. მე კი ვიცი, შუშასავით დამსხვრეული ვარ. მასწავლეთ, როგორ ვიხსნა თავი სასოწარკვეთისგან.

მოხუცმა ქალმა თავი ასწია და მტკიცედ გამოთქვა:

– სინათლე ეძებე, შვილო. ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში სინათლე ეძებე. ერთი ბეწოც რომ იპოვო, იცოდე, ყოველი სხივის უკან მზეა.

– თქვენ მეუბნებით, მზეზე ვინადირო და იქნებ, როდესმე მოვინადირო იგი? – იკითხა კოკამ, თვალები მოჭუტა და დიდი ყვითელი მზე წარმოიდგინა.

– თუნდაც ასე იყოს, – უპასუხა მამიამ, – მზე წვავს და ანადგურებს სიცივეს, სიბნელეს და სასოწარკვეთას.

– მეგონა, მხოლოდ ბავშვებს შეეძლოთ ეს საქმე, – ჩაილაპარაკა კოკამ და სკამიდან წამოდგა, – გმადლობთ ყველაფრისთვის. გულმა მიგრძნო, სწორედ თქვენთან უნდა მოვსულიყავი. შესაძლოა, კიდევ გინახულოთ.

– ღმერთმა მშვიდობით გატაროს, შვილო, – უთხრა მამიამ და ჭიშკრამდე გააცილა უცნაურად დამშვიდებული ბიჭი.

კოკა ჭიშკრიდან გავიდა და თავდაღმართზე დაეშვა.

თავი 20.

გვიანი შემოდგომა იყო და სწრაფად აცივდა. მინადორა ნაკაშიძე სულ უფრო იშვიათად გადიოდა გარეთ, მეტწილად ბუხართან იჯდა. თვალდახუჭული ელოდებოდა ფლოქვების ხმაურს, შორეულ ექოსავით რომ ჩაესმოდა მოხუცს. უკვირდა, რატომ იგვიანებდა მის წასაყვანად გამზადებული ეტლი. ახალგაზრდობას იხსენებდა და ასკვნიდა, მიუხედავად სიმარტოვისა თავი მარტოსულად არასოდეს უგრძვნია. მინადორას სხეულში თითქოს ორი არსება ცხოვრობდა. ისინი ყოველთვის წინააღმდეგობასა და ჭიდილში იყვნენ ერთმანეთთან, რადგან განსხვავებული აზრები, მოთხოვნილებანი და სურვილები ჰქონდათ და პატრონს სიმარტოვის საშუალებას არ აძლევდნენ.

ახლაც, როცა თვალები დაუშვიდდა და გარეგნულადაც თითქმის

უმოძრაო გახდა, როგორც ჭეშმარიტი ღვთისმაძიებელი, კვლავაც ცხარე ბრძოლაში იყო საკუთარ თავთან.

მამიას ერთ არსებას საოცრად უყვარდა ქვეყანა და ყველაფერი, რაც ქვეყანაზე არსებობდა. მეორეს– ზებუნებრივი შემოქმედი გონება უყვარდა, რომელსაც ინტუიციით გრძნობდა და ეთაყვანებოდა. ამ მეორესთვის, ხორცში ჩაკეტილი პატარა გონი, თავისი მცირე სიმართ–ლითა და დიდი სიცრუით, მხოლოდ ნაღვლიანი ღიმილის ღირსი იყო.

მინადორა ხშირად იგონებდა მამაკაცს, რომელიც ოდესღაც ვაჟკაცობის განსახიერება გახლდათ მისთვის. პრინციპებს შესწირა მან თავისუფლება და სიცოცხლე. პოლიტიკურ მრწამსს, რომელიც შეცდომით ცხოვრების მიზანი ეგონა. ამ კაცს ჰქონდა თავისი ამქვეყნიური სიმართლე და ის ეგონა ჭეშმარიტება. ბოლშევიკებსაც, რომელთაც კაცი დახვრიტეს, თავისი სიმართლე ჰქონდათ და ჭეშმარიტებად თვლიდნენ. ბოლშევიკებიც და ის კაციც დაუნდობლად გასრესდნენ ყველას, ვისაც მათგან განსხვავებული სიმართლე ექნებოდა. სხვაში არაფერში, მაგრამ ამ საკითხში ისინი ერთმანეთის მსგავსნი იყვნენ.

კაცს, რომელიც მამიასთვის სულერთი არ იყო, გრიგოლი ერქვა. სამოქალაქო ომის დროს გრიგოლი რკინიგზას აკონტროლებდა კრასნოდარის მიდამოებში. მაშინ ბოლშევიკები დენიკინს ებრძოდნენ. მინადორას და კიდევ ორ ამხანაგს კრასნოდარის იატაკქვეშა ორგანიზაციისთვის საიდუმლო ამანათის გადაცემა ჰქონდათ დავალებული.

მამია და მისი თანმხლებნი, მატარებელში, თავადის ასულ, ნაკაშიძისა და მისი ბიძაშვილების სახელით ავიდნენ. თავადის ასულს სიასამურის ბეწვის ქურქი ჰქონდა მოსხმული. თითებზე ალმასისა და ფირუზისთვლიანი ოქროს ბეჭდები ეკეთა. თავზე ატლასის ფრთიანი ქუდი ეხურა და პირსაბური ჰქონდა სახეზე ჩამოფარებული. თანმხლებნი, ამხანაგი კოშელევი და ამხანაგი ზურაბიშვილი ოფიცერთა მუნდირში იყვნენ გამოწყობილნი.

კრასნოდარამდე რამდენიმე პატარა სადგური იყო დარჩენილი, როდესაც მატარებელი შეიარაღებულმა ცხენოსნებმა გააჩერეს. დენიკინის მთავარი სამხედრო კომიტეტის ბრძანებით, მატარებლის შემოწმება ჰქონდათ დავალებული. კომიტეტში ცნობა მისულიყო,

თითქოს მატარებლით საიდუმლო ამანათი გადაჰქონდათ. სამხედროები მატარებელში ამოვიდნენ და ვაგონების შემოწმება დაიწყეს. მინადორას კუპეში ორი ოფიცერი შემოვიდა და პასპორტები მოითხოვა. ერთ-ერთმა მგზავრები აათვალიერ-ჩაათვალიერა და ყველაფერი წესრიგშიაო, განაცხადა. მეორე, კუპედან გასვლისას ლექსივით იმეორებდა, "Так, княжна Накашидзе! Звучит как! Княжна Накашидзе!"

მეზობელ ვაგონში გრიგოლი ამოწმებდა მგზავრებს. როდესაც ოფიცრები იმ ვაგონში გავიდნენ, სამხედრო სულელივით ისევ ნაკაშიძის გვარს იმეორებდა.

– ვინ ნაკაშიძე, სად არის ნაკაშიძე? – შესძახა გრიგოლმა და მამიას ვაგონისკენ გაექანა.

კუპეში შეიჭრა და მგზავრებს დააშტერდა.

– მინადორა ნუთუ ვერ მიცანი? გრიგოლი ვარ, – აუხირდა კაცი პირსაბურიან ქალს.

მამიას გიმნაზიის წლები გაახსენდა. ქუთაისის ქალთა გიმნაზიიდან გამოსული გოგოები საშაქარლამოში რომ შედიოდნენ, მსახური ბიჭი მინადორას გრიგოლის წერილს გადასცემდა ხოლმე ფარულად.

– მიცნო! – დაასკვნა მამიამ, პირსაბური ასწია და ძველ თაყვანისმცემელს ხელოვნური აღტაცებით მიესალმა.

ხელკავი გაუკეთა და ვაგონის მოსაცდელში გაიყვანა. ქალი შეუჩერებლად ლაპარაკობდა და ცდილობდა, კაცის ყურადღება მოგონებებზე გადაეტანა.

– დიდი ანცი ვინმე იყავი, – იგონებდა გრიგოლიც. – მახსოვს, შოკოლადის ყუთით პროკლამაციები რომ გადამატანინე ფოთში. როგორ მათამაშებდი ხოლმე.

ამ სიტყვებზე გრიგოლი ჩაფიქრდა და ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე. მოგონებისგან დარბილებული თვალებით სივრცეში იყურებოდა და რაღაცას ოცნებობდა.

უცებ, თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვა. დამფრთხალმა შეხედა ქალს და, შენი თანმხლებნი ვინ არიანო, ჰკითხა.

მინადორამ ცრუ ბიძაშვილები უშფოთველი სახით გააცნო და ლაპარაკი გააგრძელა.

– მოიცა! – თქვა გრიგოლმა, რომელსაც ეჭვის ჭია შეუჩნდა და

ხმაც დაეძაბა. – შენი ბიძაშვილებიანად უნდა გამოგვყვე. ცოტა ხნით შეგაკავებთ.

თან თავის ჯარისკაცებს ვაგონის გაჩხრეკა უბრძანა.

– გრიგოლ, გთხოვ, ნუ შეგვაყოვნებ. დასაფლავებაზე გვეჩქარება. ნათესავი გარდაგვეცვალა. თუ რაიმეს ეჭვობ, აქვე შეგვამოწმე. ჩვენს ძველ მეგობრობას გაუწიე ანგარიში, – სთხოვა მამიამ.

მგზავრები თავიდან ფეხებამდე გაჩხრიკეს. გრიგოლმა ჯარისკაცებს დაავალა, მინადორას თანმხლებნი შტაბში წაეყვანათ.

– არაფერია, – დაამშვიდა მან ქალი, – უბრალო ფორმალობაა. მალევე შემოგვიერთდებიან. დენიკინის ადიუტანტთან, თავად მიხეილ როდიონიჩთან გეპატიჟები წვეულებაზე. უარი არ გამაგონო. პირობას გაძლევ, იქიდან თავად გაგაცილებ კრასნოდარში. დასაფლავებასაც აუცილებლად მიუსწრებ.

მამია მიხვდა, უარის თქმას აზრი არ ჰქონდა. წვეულება მხოლოდ მიზეზი გახლდათ მის დასაკავებლად, სანამ კოშელევისა და ზურაბიშვილის ვინაობას გადაამოწმებდნენ.

– რაც მთავარია, ამანათი განადგურებულია, – გაიფიქრა ქალმა.

თავად მიხეილ როდიონიჩის მამულში დიდი სტუმრობა იყო. თავადის უმცროს ქალიშვილს, ეკატერინეს ნათლავდნენ. როდესაც გრიგოლი და მისი ტყვე სამსართულიან, მარმარილოთი მოპირკეთებულ სახლს მიადგნენ, სტუმრები ეკლესიიდან ახალი დაბრუნებულები იყვნენ.

მოჩუქურთმებულ, ფართო კიბეზე ასვლისას მამიამ შენიშნა, მეორე სართულზე, ხელმარჯვნივ მდებარე ოთახიდან ოფიცერი გამოვიდა და კარები გასაღებით გადაკეტა. გასაღები ჯიბეში ჩაიდო და კიბეებს აუყვა. წვეულებათა დარბაზი მესამე სართულზე მდებარეობდა. მოწვეული ორკესტრი შესანიშნავ მელოდიას უკრავდა. ლაქიებს სასმელი და ტკბილეულობა დაჰქონდათ სტუმრებისთვის. მუსიკის ჰანგებზე წყვილები ტრიალებდნენ. გრიგოლმა თავისი სტუმარი მასპინძელს წარუდგინა. მინადორამ წელან რომ შენიშნა, ის ოფიცერიც იქვე იდგა.

– საიდან მეცნობა ეს კაცი, გრიგოლ, მგონი ჩვენებურია, არა? – იკითხა მამიამ.

გრიგოლი იძულებული გახდა ოფიცერთან მისულიყო.

— თავადი ცოტნე აბაშიძე, — გაეცნო წარმოსადეგი მამაკაცი მინადორას.

— პირველად სწორედ თქვენთან ვიცეკვებ! — განაცხადა ქალმა და იგრძნო, ხელები უცივდებოდა.

ასე მაშინ ემართებოდა ხოლმე, როდესაც რაიმე სახიფათო გადაწყვეტილებას იღებდა.

ოფიცერი და მინადორა წრეში დატრიალდნენ. ქალი საერთო ნაცნობებზე ესაუბრებოდა და თავადის ქათინაურებზე მხიარულად კისკისებდა.

ცოტნე აბაშიძემ ვერ შენიშნა, რომ ჯიბიდან მოხერხებულად ამოაცალეს გასაღებების ასხმა.

— ცდა ბედის მონახევრეა, — ფიქრობდა მამია და შინაგანად უკიდურესად დაძაბული, დარბაზიდან გასასვლელ მიზეზს დაეძებდა. უეცრად, ფანჯარასთან, ქალების ჯგუფში ნაცნობი სახე შენიშნა. ქალის სახელი და გვარი ვერ გაიხსენა, თუმცა დარწმუნებული იყო, არაერთხელ შეხვედროდნენ ერთმანეთს.

მამიამ თავადს ბოდიში მოუხადა და კადნიერად გაემართა დარბაზის კუთხეში.

— ძვირფასო, საიდან სადაო! — შესძახა და ნაცნობ ქალბატონს მიეახლა.

— ოჰ, მინადორა! — შეიცხადა ქალმაც და გახარებული მიეგება ახალმოსულს.

მინადორა მთელი სხეულით გრძნობდა გრიგოლის დაჟინებულ მზერას. ძველ ნაცნობს ესაუბრებოდა და ფარულად ყოფილ თაყვანისმცემელს უჭვრეტდა. თვალის კუთხეებით შენიშნა მიხეილ როდიონიჩიც, რომელმაც გრიგოლს ხელკავი გამოსდო და აივანზე გაიყვანა.

— დროა! — გაუელვა ქალს გონებაში.

— რამდენიმე წუთით დაგტოვებთ! — განუცხადა საზოგადოებას და მარაოს ქნევით გაშრიალდა დარბაზიდან.

კიბის თავთან ლაქია იდგა და დარბაზის შესასვლელს გაშტერებული უყურებდა. მეორე სართულზე არავინ ჩანდა. მამია იმ კარებს მიუახლოვდა, წინათ რომ დაიმახსოვრა და სავარაუდო გასაღები მოარგო. კარები გაიღო. მინადორა საწერ მაგიდასთან მივიდა და უჯრების გაღება სცადა. რამდენიმე გასაღები მოსინჯა და ბოლოს გაუმართლა. უჯრაში რუკა და მნიშვნელოვანი ქაღალდები ეწყო. მინა-

დორამ ნაპოვნი უბეში შეინახა და სასწრაფოდ გამოვიდა ოთახიდან. კიბეებზე ჩაირბინა და ბაღში გავიდა.

კიბის დასაწყისშიც ლაქია იდგა და ბაღისკენ იყურებოდა. სახლთან, ერთსართულიანი პატარა შენობა იდგა. მინადორა იქით გაემართა და საკუჭნაოში შევიდა. ლოყაწითელი გლეხის გოგო კიტრის მწნილიან ქილებს აწყობდა თაროებზე. ქალბატონი რომ დაინახა, გაჭარხლდა და თვალები დაუმრგვალდა. მამიამ ტუჩებთან თითი მიიდო და ალმასისთვლიანი ბეჭედი მოიხსნა.

– მოგწონს? შენი იქნება, თუ ტანსაცმელს გამიცვლი! – უთხრა გოგოს და საჩქაროდ კაბის გახდა დაიწყო.

რამდენიმე წუთში, თავწაკრულმა და სარაფანში გამოწყობილმა გადაჭრა ბაღი და შეუმჩნევლად გავიდა ჭიშკრიდან. შუბლზე ოფლის წვეთები გამოსვლოდა და ხელები უკანკალებდა. აღარც ახსოვს, როგორ და რამდენ ხანს იარა. ბოლოს დროგიანი გლეხი შემოხვდა და მან მიიყვანა სადგურამდე. ორი გაჩერება მატარებლის ტამბურში იდგა. მერე ისევ ფეხით გაუყვა გზას. ტყე-ტყე მიდიოდა და გამვლელებს ერიდებოდა. გამთენიისას ვიღაცას გადააწყდა. ბოსტნეული მიჰქონდა კრასნოდარში გასაყიდად. გლეხმა კომბოსტოებთან დასვა ქალი და შოლტი გადაუჭირა ცხენს.

კრასნოდარში ჩასულ მინადორას იატაკქვეშა ორგანიზაციამ დაკითხვა მოუწყო. მის მიერ ჩატანილ მნიშვნელოვან ქაღალდებს ეჭვიანად უცქერდნენ და ამხანაგების, კოშელევისა და ზურაბიშვილის დაკარგვაზე ესაუბრებოდნენ. ლამის ღალატი დააბრალეს. კიდევ კარგი, ქაღალდებში მოცემული მონაცემები ზუსტი აღმოჩნდა.

სამოქალაქო ომიდან დიდი ხნის შემდეგ, როდესაც მამია დაიჭირეს და გააციმბირეს, ეს ამბავიც გაუხსენეს და ზურაბიშვილისა და კოშელევის გაცემა დააბრალეს.

ბუხართან მიმჯდარი მოხუცი ძველ დროს იხსენებდა და ფიქრობდა, გრიგოლს რომ ჩაეგდო ხელში ხელისუფლება, დაიჭერდა თუ არა მას და მისნაირებს?

აუცილებლად დაიჭერდა და მეტსაც იზამდა. მინადორამ გრიგოლის თვალებში ამოიკითხა ყველაფერი. ახსოვს, როგორ ჰკითხა, რაიმე საეჭვო რომ აღმოგეჩინა, ნუთუ გამიმეტებდი სასიკვდილოდ? ძველმა თაყვანისმცემელმა გაყინული მზერა შეაგება და უპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– აუცილებლად დაგაპატიმრებდიო!

ბოლშევიკებიც და მათი მოწინააღმდეგეებიც მტრებს ერთნაირად უსწორდებოდნენ, ეყრდნობოდნენ რა, თავის შეფარდებით, ამქვეყნიურ სიმართლეს. მთავარი ის კი არ იყო, ვინ და რა სიმართლით ჩაიგდებდა ხელში ხელისუფლებას, არამედ ის, რომ ადამიანის ბუნება შეუცვლელია და სულიც იგივე რჩება. ეს სული ერთსა და იმავეს აკეთებინებს ყველას, ვინც არ უნდა იყოს გამარჯვებული.

– რა მცირედ შეიცვალა ადამიანი დასაბამიდან, – გაიფიქრა მინადორამ და ფეხებთან გაწოლილ კატას ზურგზე გადაუსვა ხელი.

ეს კატა, ოდესღაც უმწეო კნუტი, ტყის პირას სასაფლაოზე იპოვა. საშინლად ყინავდა. კნუტი გორგალივით დახვეულიყო და დედის გვამს ეფარებოდა. ანგორის ულამაზესი კატა მკვდარი იწვა ახალგათხრილ საფლავზე.

– პატრონს დააკვდა! – მიხვდა მამია.

კნუტი ხელში აიყვანა და უბეში ჩაიხუტა. უცნაური თვისება ჰქონდა მამიას კატას. თვალებში ჩაშტერება იცოდა. თითქოს თვალებით უნდოდა შეეტყო, როგორ ადამიანთან ჰქონდა საქმე. მოხუცმა დანამდვილებით იცოდა, კატა ფიქრობდა. ისიც იგონებდა და სწონიდა ყველაფერს, რაც მას და მამიას ერთად გადახდენოდათ ცხოვრებაში. ბოლო დროს კატა აფორიაქებული იყო და რაღაცას ჯავრობდა. ალბათ პატრონის მოახლოებულ გამგზავრებას გრძნობდა. ისიც მამიასავით ერთთავად ბუხართან იჯდა და გარეთ გასვლა აღარ უნდოდა. მინადორას ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე. გაახსენდა, კატას მათი ამასწინანდელი სტუმარი მოეწონა. ჯერ თითქოს აიფხორა, მაგრამ შემდეგ თვალებში უცქერდა კოკას და ტკბილად კრუტუნებდა. მინადორასაც მოეწონა ბიჭი. თვალები დახუჭა და შეეცადა გამხდარი, მწვანეთვალება ახალგაზრდა წარმოედგინა. მინადორამ საბრძოლო ნაწილის უფროსის ოთახში დაინახა კოკა. მაგიდასთან იჯდა და ყურადღებით უსმენდა ხელმძღვანელს.

– მთავრობის მოწინააღმდეგეთა რაზმებში არეულობაა, – თქვა ნაწილის უფროსმა. – ბევრი მათგანი ტყეებსაა შეფარებული. უაზრო სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, ვისი შემორიგებაც შესაძლებელია, გვინდა შემოვირიგოთ. ახლომახლო, ტყეებში, ბეჟან ჩარგაზიას რაზმია ჩამჯდარი. მათი რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები არა

გვაქვს. ყველაზე დაუმორჩილებელი ხალხია ეგენი. ჩვენთვის ჯერაც ბევრი ზიანის მომტანნი არიან. მოლაპარაკებაზე წამოსვლაც არაფრით არ სურთ. შენზე მითხრეს, კარგად იცნობს ბეჟანსო. იქნებ შეძლო, შეხვდე და დაელაპარაკო.

— მოვსინჯავ, — უთხრა კოკამ. — ჩემი მეგობრის ბიძაშვილია ბეჟანი. ადრე ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა.

— ათ მაგარ ბიჭს გაგატან ყოველი შემთხვევისთვის, — გააგრძელა ნაწილის უფროსმა. — სახუმრო საქმე არ არის ტყეში ბოდიალი. კაცმა არ იცის, რას გადააწყდებით.

— როგორმე გავიკვლევთ გზას, — დაამშვიდა კოკამ.

ზერაგია და მისი რაზმი დილაადრიან გაუდგნენ გზას. რამდენიმე მეომარს კოკა კარგად იცნობდა. სხვები ახლები იყვნენ და მათთან შეხება ჯერ არ ჰქონია. ახალი მეომრები თითქმის ბავშვები იყვნენ. ოც წელზე მეტის არც ერთი არ იქნებოდა. თითოეული მათგანი იმედოვნებდა, შერიგება აუცილებლად მოხდებოდა. განწყობაც შესაბამისი ჰქონდათ. მხოლოდ კოკა და მისი ძველი თანამებრძოლები იყვნენ დაძაბულნი. მიღებული გამოცდილებიდან იცოდნენ, შეიარაღებულ ხალხს შორის შეიძლება მოულოდნელიც მომხდარიყო. რაც მოგვცეს, ის მონაცემები თუ სწორია, ბეჟანის რაზმი სადმე ახლოს უნდა იყოს, — ფიქრობდა ვაჟი.

ისიც დაუშვა, შესაძლოა მოწინააღმდეგემ იცოდა კიდეც მათი იქ ყოფნის შესახებ. უკიდურესად ფრთხილად უნდა ყოფილიყო.

— რაც არ უნდა მოხდეს, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. გახსოვდეთ, სამშვიდობოდ მივდივართ! — გააფრთხილა კოკამ ბიჭები.

ღამით აცივდა. მეომრებმა კოცონი დაანთეს და ირგვლივ შემოუსხდნენ. მოგვიანებით გუშაგები დააყენეს და დასასვენებლად განლაგდნენ. ჯერ კიდევ ძილბურანში იყო კოკა, როდესაც ყვირილი მოესმა და უცებვე გამოფხიზლდა.

— იარაღი დაყარეთ. ალყაშემორტყმულები ხართ! — ყვირილით იმეორებდა ვიღაც.

სულ ერთი წუთით დაიბნა კოკა და წუთიც საკმარისი აღმოჩნდა. ერთ-ერთ ახალგამოღვიძებულ მეომარს ნერვებმა უმტყუვნეს და ტყიდან მომავალი ხმის მიმართულებით უაზრო სროლა ატეხა.

— შეჩერდით! — ამაოდ ყვიროდა ზერაგია.

რაზმი აიშალა და ვინც რასაც შეძლო, - ამოეფარა. სროლა გაგრ-

ძელდა და ყოველივე აირია. კოკამ მართვის სადავეები დაკარგა. ორივე მხრიდან ისროდნენ უკვე. შიგადაშიგ დედის გინება და განწირული ყვირილი ისმოდა. შერიგების განწყობით მისული ბიჭები უმოწყალოდ იცელებოდნენ. შემდეგ სიჩუმემ დაისადგურა. კოკა თითქმის საათი ეგდო მიწაზე და უმწეობისგან ცრემლები მოსდიოდა. მკლავში დაჭრილი, ძლივს წამოდგა და შეტაკების ადგილზე დარეტიანებული გალასლასდა. ირგვლივ დახოცილები ეყარნენ. მერე კვნესა მოესმა და იქით გაემართა. უკიდურესად გამხდარი, წვერმოშვებული კაცი ივჯდა ხესთან. ზურგით ხეს ეყრდნობოდა და ხელები მუცელზე ჰქონდა დაწყობილი. მისი სახე კოკას ნაცნობი ეჩვენა. კარგად დააკვირდა და ერთ დროს მსხვილი და სახელაჟღაჟა პოლკოვნიკი ჩარგაზია იცნო. მუცელში დაჭრილი ყრუ ხმებს გამოსცემდა და ჩასისხლიანებული თვალებით შეჰყურებდა ბიჭს. კოკამ ქამარზე დაკიდებული არყიანი მათარა მოიხსნა. პერანგის კიდე ჩამოიხია და ჭრილობის გადახვევა სცადა.

— თქვენთან შებრძოლება არ გვიფიქრია ჩვენ. სულ შვიდი კაცი ვიყავი, დარჩენილი, — ამოიხრიალა ბეჟანმა.

— როგორმე გავაღწევთ აქედან. ცოტაც გაუძელი. საავადმყოფომდე მიგიყვან, — ჩურჩულებდა კოკა.

დაჭრილი ზურგზე მოიკიდა და მძიმე ნაბიჯით გაემართა აღმოსავლეთისკენ. ნახევარი საათი შეუჩერებლად იარა და ისევ ხესთან შეისვენა. პოლკოვნიკს გამშრალი ტუჩები დახეთქოდა და განუწყვეტლივ წყალს ითხოვდა. ხეზე მიყრდნობილმა ღრმად ამოიხვნეშა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

— ასეთი შემთხვევისთვის ტყვია ყოველთვის მზად მქონდა. ვფიქრობდი, შუბლზე მივიდებ–მეთქი იარაღს. ჩემი დროც მოვიდა და არ მოვიკალი თავი. სულმოკლე არ გეგონო. მინდა ბოლომდე შევებრძოლო სიკვდილს. ნებით არ ვბარდები. დაე, შემებრძოლოს ცელიანი და ძალით წამათრიოს. ასეც მოხდება!

ბეჟანს პირის კუთხეები გათეთრებოდა. ძლივს გამოთქვამდა სიტყვებს.

— სპირტი მომეცი! — სთხოვა კოკას.

კოკამ ტუჩებთან მიუტანა მათარა და ცოტა მოასმევინა. მერე თვითონაც დალია და პოლკოვნიკის გასაგონად ხმამაღლა დააყოლა:

— შესარიგებლად მოვდიოდით თქვენთან. ბიჭების დაღუპვა ჩემი ბრალია.

ბეჟანმა თვალებში შეხედა კოკას და ჩუმად ჰკითხა:

– ძმაო, ვინ დგანან გზებზე?

– ჩვენები! – უპასუხა ბიჭმა და გაღიმება სცადა.

– ცივა! – თქვა პოლკოვნიკმა, – საშინლად ცივა!

– არ გავიყინებით, რადგანაც ერთად ვართ, – უთხრა კოკამ.

– ერთად ვართ! – უპასუხა პოლკოვნიკმაც. – ერთი კარაპჭის ისრები ვართ, სათითაოდ გადატეხილი.

კოკა ზერაგიამ დაჭრილი ზურგზე მოიკიდა და აღმოსავლეთისკენ განაგრძო სვლა. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ მიხვდა, უსულო გვამს მიათრევდა. პოლკოვნიკი მიწაზე დააწვინა. დანა ამოიღო და საფლავის თხრა დაიწყო. მზე დიდი ხნის ამოსული იყო, როდესაც კოკამ თხრილში ჩააწვინა ბეჟანი. გვერდით ავტომატი დაუდო. მიწა მიაყარა და ქუდი დააფარა საფლავს. ქუდი კოკასი იყო. თუმცა რა მნიშვნელობა ჰქონდა, ორივე მხარეს ერთნაირი ქუდები ეხურათ. ზერაგიამ იარაღი აღმართა და რამდენჯერმე გაისროლა ჰაერში.

საფლავთან ჩამოჯდა და ბავშვობა გაიხსენა.

– ბიჭო, „უხა“ გიჭამია ოდესმე? – ეკითხებოდა ბეჟანი კოკას და ცეცხლზე ჩამოკიდებულ ქვაბში წვნიანს ხარშავდა.

მაშინ სხვანაირი იყო პოლკოვნიკი. წითური და მიამიტი სოფლელი ბიჭი.

– თუ გიყვარვარ, მაგ სუპს ნუ შემაჭმევ! – იცინოდა კოკა.

– ჩემი თიოს მეგობრებს ვენაცვალე, მაგრამ უხა აუცილებლად უნდა შეჭამო! – იცინოდა ბეჟანიც.

მაშინ ერთად იყვნენ. თუმცა ახლაც, სულ ბოლოს, ალბათ ერთად იყვნენ.

ნისლი ჩამოწვა. ყინავდა. კოკა ლასლასით მიდიოდა. გზა აებნა და ეჩვენებოდა, ერთსა და იმავე ადგილებში ტრიალებდა. გაბრუებული მიბარბაცებდა. ჭრილობაც აწუხებდა. დაღლილობისა და სისუსტისგან მუხლები ეკეცებოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი დაავიწყდა და აუცილებლად უნდა გაეხსენებინა. ამ გრძნობამ იმდენად შეაწუხა, ქვაზე ჩამოჯდა და აზრების მოკრებას შეეცადა. კოკამ თვალები დახუჭა და ბურანში წავიდა. სიბნელეში ჯიქურაძე დაინახა.

– გიგი! – დაიყვირა და მეგობრისკენ გაიწია, მაგრამ ვერც გაინძრა,

თითქოს უთვალავი ჯაჭვით იყო დაბმული.

ჯიქურაძეს ისევ ისეთი დამცინავი გამოხედვა ჰქონდა. ეტყობოდა, სიბნელე აწვალებდა, მაგრამ ეს მისთვის ჩვეული მდგომარეობა გახლ-დათ. აქაც ფეხებზე მეკიდა და იქაც ფეხებზე მკიდია, ეწერა სახეზე.

— თქვენ იკითხეთ, თორემ მე ბავშვობიდანვე მოკლული მყავდა მზე! — ხმამაღლა თქვა გიგიმ და გვერდზე გაიხედა.

კოკამ მის მზერას გააყოლა თვალი და თემური დაინახა.

— თიო, მაპატიე, სულ ერთი წუთით დავიბენი. ღმერთო ჩემო, გუშინ ის ბიჭები ცოცხლები იყვნენ. პოლკოვნიკი, ისიც ცოცხალი იყო. ცირა მაპატიე, — დაიჩურჩულა კოკამ და უეცრად მიხვდა, თემურს კი არა, ხეზე გაკრულ სინათლის სხივს ხედავდა.

ყოველი სხივის უკან მზეა, გაახსენდა მინადორას ნათქვამი. მთელი ძალა მოიკრიბა და შეეცადა ხეს შესწვდომოდა. დაძაბულობისგან ცრემლები გადმოსცვივდა, წვიმად იქცა და ტყე დაასველა. გალუმპული იჯდა ქვაზე და ძელზე მილურსმული სხივის სითბოთი თბებოდა. ნაწვიმარზე გამოეღვიძა. ღრუბლები გაფანტულიყვნენ და ცეცხლის ბურთი ამოდიოდა აღმოსავლეთიდან. აღმოსავლეთისკენ უნდა ვიარო! — გაახსენდა ზერაგიას.

წამოდგა და ფეხის თრევით განაგრძო გზა. შედედებული სისხლი მკლავზე შეხმობოდა. ხელი დამძიმებოდა და ჩალურჯებოდა, მაგრამ კოკა ვერაფერს გრძნობდა. სულში ჩამდგარი სიმძიმე ათასჯერ მეტი იყო, ვიდრე ყველა ხორციელი სატკივარი. შუადღეს რომ გადასცილდა, ტყის პირას გავიდა. ფერდობზე გაშლილი სოფელი დაინახა და მიხვდა, გადარჩა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მიწაზე დაეცა. ადგილობრივი მცხოვრების სახლში მოვიდა გონს. ჯანიანი გლეხი ადგა თავს და თანაგრძნობით უღიმოდა.

— კაი ჭამა-სმა გინდა ახლა შენ და დასვენებაც არ გაწყენდა! — დაასკვნა გლეხმა.

ერთი კვირის განმავლობაში იწვა კოკა გლეხის ოჯახში. ხშირად ფიქრობდა პოლკოვნიკის უსახელო სიკვდილზე და თხუთმეტი ახალ-გაზრდის უაზრო დაღუპვაზე. ყველაზე შემზარავი კოკასთვის ის იყო, რომ ამდენი მსხვერპლიც არაფერს ცვლიდა. ადამიანის სიცოცხლე გაუფასურდა, ხვალ შეიძლება აღარც მოიგონონ დაღუპულები. თავისი უცნაური სიზმარიც აფიქრებდა. სადაც გიგი დაინახა, იქ ყოფნა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდოდა. თიოსთან მისასვლელ გზას, ალბათ ვერ გაივლიდა.

— ღმერთო დიდებულო, ჩემი ადგილი მაპოვნინე სამყაროში. სადმე, მზესთან ახლოს. — ჩურჩულებდა კოკა საწოლში და ლოცვასავით იმეორებდა სათხოვარს.

— ნუ გეშინია, მტრის ჯინაზე კარგად იქნები, — ამშვიდებდა გლეხი მწოლიარეს.

მკლავიდან ტყვია ამოუღეს. ჭრილობას შინაური ბალახებით უწამლეს. ერთი კვირის თავზე საავადმყოფოში გადაიყვანეს და გამოჯანმრთელებული მალევე გამოწერეს.

როდესაც ოცმეთაური ზერაგია სამხედრო ნაწილის უფროსთან გამოცხადდა და მომხდარის შესახებ მოახსენა, იქ უკვე ყველაფერი იცოდნენ.

— დამსაჯეთ. ჩემი ბრალია ბიჭების დაღუპვა. ვერ გამოვდექი მეომრად! — განაცხადა ზერაგიამ.

— წადი, შვილო, სახლში და ღმერთს მადლობა შესწირე ცოცხალი რომ ხარ, — უთხრა უფროსმა.

კოკა გულდამძიმებული გამოვიდა სამხედრო ნაწილის უფროსის ოთახიდან. დანაშაულის შეგრძნება ვერაფრით მოიშორა. ნეტავ დაესაჯათ. გული შეუმსუბუქდებოდა. საჭირო ვითარებაში, დროის შესაბამის მოქმედებას ვერასოდეს ახერხებდა. ის სიტყვებიც ავიწყდებოდა, ყოველთვის რომ ახსოვდა. მაშინაც ასე დაემართა, როდესაც პოლკოვნიკის რაზმს გადაეწყდნენ. კოკა თავს ვერ პატიობდა ბიჭების დაღუპვას.

— მეგობრად ვერ ვივარგე და მეომრადაც არ გამოვდექი. არარაობა ვარ, შუშასავით დამსხვრეული, — გამწარებული ფიქრობდა ბიჭი.

სოფელში ასვლა და მინადორა ნაკაშიძის ნახვა მოუნდა. ქვეცნობიერად იქ ეძებდა საშველს, სადაც მოხუცი, ჩია ქალი ეგულებოდა განუყრელ კატასთან ერთად.

თავი 21

ლტოლვილების ნაკადს, ცირა რომ მიჰყვებოდა, ოცი წლის გოგო ახლდა თან, სახელად თეონა. მშობლიური ადგილებიდან მამასთან ერთად გამოქცეულიყო. მაღალს, შავგვრემანსა და შავთვალებას,

შეშუპებული ქუთუთოები, გაბერილი მუცელი და დასივებული ფეხებიც ვერ ამახინჯებდნენ. ქალი ორსულად იყო. მამა, დაბალი, გამხდარი კაცი, შვილს თვალებში შესციცინებდა და აღარ იცოდა, რით დახმარებოდა. თეონამ გასაოცარი მხნეობით გადაიარა თოვლიანი უღელტეხილები. იმდენი შინაგანი ენერგია ჰქონდა, დაღლილობასაც იტანდა და სიცივესაც. ზოგჯერ თვალები უშტერდებოდა, ტუჩებზე ღიმილი აუთამაშდებოდა და რაღაცაზე თუ ვიღაცაზე ოცნებობდა.

— ქმარი სად გყავს, თეონა? — ჰკითხა ერთხელ ცირამ.

— მოკლეს! — ცივად უპასუხა გოგომ.

არ სიამოვნებდა, როდესაც ქმრის შესახებ ეკითხებოდნენ. პირდაპირ პასუხს ყოველთვის თავს არიდებდა.

თეონას მამა მეგრულ დიალექტზე მეტყველებდა და გამართულ ქართულზე იშვიათად გადადიოდა. სიტყვებს ისე სწრაფად აყრიდა ერთმანეთს, შეუძლებელი იყო რაიმეს გარჩევა.

ზოგჯერ, დაბალი ხმით რაღაცას აყვედრიდა ქალიშვილს. ხმამაღლაც რომ ელაპარაკა, მარტო შვილი თუ გაუგებდა საყვედურებს. კაცი სწრაფად მოლბებოდა ხოლმე და გათოშილ ხელებს უთბობდა შვილს.

თეონა ხშირად ესაუბრებოდა ცირას მშობლიური ადგილების სილამაზეზე, ზღვაზე, ცხენოსნობაზე.

— ზღვა დიდია და ძნელად შესაცნობი, — ყვებოდა თეონა. — ტალღებს თავისი სასაუბრო ენა აქვთ. მთავარია ეს ენა შეისწავლო და წყალთა სიმრავლის საიდუმლო გეცოდინება. ცა უსასრულოა და ამიტომაც გაუგებარია ჩემთვის.

— უსასრულობა ჩემთვისაც გაუგებარია, — პასუხობდა ცირა, — თუმცა საწყენია, რომ ყოველივეს სასრული აქვს. გუშინდელი დღე მირაჟივით ქრება, მაგრამ კვალი რჩება. ჩვენი თაობა სათბურის ყვავილებივით ვიზრდებოდით. უდარდელად ვისხამდით კვირტებს. ყვავილობა ვერ მოვასწარით, გატყდა სათბური და გაცამტვერდა შუშის სამყარო. ძველი მრწამსი დაიმსხვრა და ახალი ძნელად საპოვნელი გახდა. ბევრი ჩვენთაგანი დაიბნა და მრუდე გზით წავიდა. იმიტომაც წავაგეთ ომი, რომ დაკარგული თაობის ახალგაზრდები ვიბრძოდით. დაბნეულნი, ერთმანეთს შეჯახებულნი, შუშის სამყარის ნამსხვრევებში მოყოლილნი. თუმცა, მსხვერპლის გარეშე თავისუფლება არასდროს, არავის და არსად მოუპოვებია. ძალიან რთულია რასაც გეუბნები? — ეკითხებოდა ცირა ამხანაგს.

თეონაც გულახდილობით პასუხობდა და თავისი ცხოვრების ამბავს მოუთხრობდა ახალ მეგობარს.

— ქმარი აფხაზი მყავდა. სოხუმთან ახლოს დაიღუპა. საწყალი, დამახინჯებული იპოვეს.

გვამის დამახინჯება ქრისტიანებს არ სჩვევიათ. ვერ დავიჯერე, რომ ქართველებს შეეძლოთ ამის ჩადენა. ამ ამბის მხილველი ჩემი მაზლი გაცოფდა. ქართულ სოფლებს დაერია. უამრავი ხალხი დახოცა და ამობუგა. მას შემდეგ იქ რაღა გამაჩერებდა. ვერც ქმრის ნათესავები ამიტანდნენ და ვერც მე შევეგუებოდი მათ. ორსული გამოვიქეცი ქმრის ოჯახიდან და მამაჩემს მივაკითხე. სახლ-კარი მივატოვეთ. მშობლიური ადგილებიდან წვალებით გამოვაღწიეთ. მამა ყოველ ხესა და ბუჩქს იცნობდა. სულ მივარდნილი ბილიკებით მოვდიოდით. ახლა მაყვედრის, რად მიმატოვებინე იქაურობაო. ვალერიკას შვილს ატარებდი მუცლით და არავინ გახლებდა ხელსო.

— რაო, რა ერქვა შენს ქმარს? — ჰკითხა ცირამ.

— ვალერი ფილია. — უპასუხა თეონამ.

— რა პატარაა ეს ქვეყანა, — გაიფიქრა ცირამ და ბიჭვინთის დაუვიწყარი საღამო გაახსენდა, როდესაც სწორედ ვალერი ფილია მასპინძლობდა მას და თემურს.

მესტიაში ახალი ჩასულები იყვნენ. თეონას სამშობიარიო ტკივილები დაეწყო. მშობიარე საავადმყოფოში მიიყვანეს. სახე ოფლით ჰქონდა დაცვარული, ლოყები სიცხისგან გასწითლებოდა და დროგამოშვებით კვნესოდა. ახალგაზრდა ექიმი დაიბნა.

— მდგომარეობა რთულია. ნაყოფი ჯდომით მოდის, თანაც მშობიარეს მაღალი სიცხე აქვს, — თქვა მან. — საკეისროს ვერ გავაკეთებთ. სჯობს დედა გადავარჩინოთ.

თეონას მამა საავადმყოფოს კართან იდგა და შემსვლელს და გამომსვლელს შვილის ამბავს ეკითხებოდა.

ამ დროს სამშობიარო ოთახში უცნაური გარეგნობის ქალი შემოვიდა. დაბალსა და მსუქანს, ნაქსოვი, ჭრელი წინდები ეცვა და ასეთივე ქუდი ეხურა. ცალი თვალით ელამს, მხარზე მძიმე ჩანთა ჰქონდა ჩამოკიდებული.

— სპეციალისტი მოვიყვანეთ! — ქოშინით თქვა ექთანმა და ქალს ჩანთის გახსნაში მოეხმარა.

სტუმარი საზოგადოებას სვანურ დიალექტზე მიესალმა. ჩანთიდან ჭიქა და არყიანი მათარა ამოიღო. არაყი გადაჰკრა და ხელებიც არყითვე გადაიბანა. მშობიარეს რომ მიუახლოვდა, ენა დაადო შუბლზე და სინანულით გააქნია თავი.

— მაღალი სიცხე აქვს! — დაზუსტებით თქვა მან.

ექიმი შეშფოთებული მიუბრუნდა ოთახში მყოფთ.

— ვინ არის ეს ქალი, საიდან მოიყვანეთ, ხომ არ შეშლილხართ? დედის გადარჩენაზე ვზრუნავ და თქვენ კი ვიღაც საეჭვო ხალხი მოგყავთ.

— სისულელეა! — ბრძანა ელამმა. — დედაც გადარჩება და ბავშვიც.

— თქვენ ახალი ჩამობრძანებული ხართ და მაგ ქალის ოსტატობა არ იცით. სახალხო მკურნალია, — ყურში ჩასჩურჩულა ექთანმა ექიმს.

ელამს ბევრი აღარ უფიქრია.

— მაკრატელი! — იყვირა და ექთანებს ჩანთიდან უზარმაზარი მაკრატელი ამოაღებინა.

— ცეცხლში გააჩერეთ, არაყში გაავლეთ და მომაწოდეთ! — გასცა ბრძანება.

თვითონ ბოთლში ჩასხმული ზაფრანის ნაყენი გადმოიღო, შეათბობინა და მშობიარეს შეასვა.

— ჰა, ეს ფოთოლი ღეჭე! — ჩაჰყვირა თეონას და კბილებში მოყვითალო ფოთოლი ჩაუდო.

თეონა ღრმად სუნთქავდა და გაუცნობიერებლად ღეჭავდა ფოთოლს. ელამმა მაკრატელს წამოავლო ხელი და სწრაფი მოძრაობით განივი მიმართულებით ჩაჭრა მშობიარე. შემდეგ ხელები მოახმარა და მოქნილი თითებით, საჯდომით წამოსული ბავშვი ქვეყნიერებაზე გამოიყვანა.

— ბიჭია! — გამარჯვებული სახით შესძახა ექიმბაშმა.

თეთრხალათიანები გახარებულნი შესცქეროდნენ წითელი, დაჭმუჭნული სახის არსებას, ვაჟკაცურად რომ გაჰკიოდა და სამყაროს ამცნობდა დედამიწაზე თავისი მოსვლის ამბავს.

— დანარჩენი თქვენი საქმეა! — ბრძანა ელამმა, ქუდი შეისწორა და მაკრატელი და არყის მათარა ჩანთაში ჩააცურა.

საავადმყოფოდან გამოსულს, თეონას მამა დაეტაკა და სქელი ხალათის კიდეზე კოცნა დაუწყო.

— გეყოფა, — იცინოდა ექიმბაში და სიხარულისგან აცეტებულ კაცს ხელით იცილებდა.

ბოლოს, ისევ ჩანთას გადასწვდა. არყის მათარა გამოაძრო და ბედ-ნიერ ბაბუასთან ერთად ახალდაბადებულის სადღეგრძელო შესვა.

ცირა დაღლილი გამოვიდა მოსაცდელიდან. თეონასი შურდა, რომ ამდენი უბედურების გადამტანს სიცოცხლე უხაროდა. უნდოდა და იბრძოდა სიცოცხლისთვის. თეონა შუშის არასდროს ყოფილა. ისეთი ბუნებრივი იყო, როგორიც მინდვრის ყვავილია და ქარიშხალმაც ვერ დაამსხვრია. შვილიც ეყოლა, სიცოცხლის მიზანი, დაღუპული მამის გვარის გამგრძელებელი. ცირასთვის, პატარა თემური სასოწარკვეთიდან გამოსავალი იყო მხოლოდ.

— ქალი, რომელსაც საყვარელი კაცისგან შვილი დარჩა, ბედნიერია, — ფიქრობდა ცირა. — თუმცა ვინ იცის, რა მოხდება ხვალ! მზეზე ნადირობის ნიჭი მემკვიდრეობით არ გადადის. მზეზე ნადირობის ნიჭი მაღლიდან არის მოცემული.

როგორც იქნა, შვეულმფრენები მოფრინდნენ. მფრინავს წითელი თმა და ჭორფლიანი სახე ჰქონდა. ცისფერი თვალებიდან სიყვარულს ანათებდა. წარბებს შორის მსუბუქი ღარი მაშინ უღრმავდებოდა, როდესაც უსახლკაროდ დარჩენილ, მშიერ და გაყინულ ხალხს შეჰყურებდა.

— ეს თქვენ! — თქვა მფრინავმა და გასაფრენად გამზადებულ ბავშვებს კანფეტები დაურიგა.

— არ მინდა! — უთხრა პატარა ბიჭმა, — უკვე დიდი ვარ.

— რატომ? — გაუკვირდა მფრინავს და ხელმეორედ მიაწოდა კანფეტი.

— გმადლობთ! — თქვა ბავშვმა და მაინც არ აიღო ტკბილი.

ჟღალთმიანს შუბლზე ღარი გამოეკვეთა და მოეჩვენა, ბავშვსაც ნაოჭებით ჰქონდა სახე დაფარული. მერე თითქოს თვალები გაეზარდა და დიდ სარკეებად ექცა. სარკეში დამწვარი ქალაქი გამოჩნდა. დანგრეულ ქუჩებში დახოცილები ეყარნენ. ხალხით სავსე უღელტეხილები გამოჩნდა. ქალს ფეხი აუსხლტა ყინულზე და გოგონასთან ერთად უფსკრულში გადაეშვა.

— ვინ არის ეს ქალი? — იკითხა მფრინავმა.

— დედაა, — უპასუხა ბიჭმა და სახე ისევ ბავშვური გაუხდა, ოღონდ გამხდარი და ლოყებჩაცვენილი.

— რა გქვია, ვისთან ერთად ხარ? — ჰკითხა ბავშვს ჟღალთმიანმა.

— თემური მქვია. ცირასთან ერთად ვარ. აი, ის არის ცირა, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუთითა თემურმა მათკენ მომავალ ახალგაზრდა ქალზე.

— გამარჯობა ფირუზის გოგონავ, — დაიჩურჩულა ჟღალთმიანმა.

— გამარჯობათ. შვეულმფრენის მძღოლი ხართ, არა? რამდენ ხანში გავფრინდებით?

— ერთ საათში გავფრინდებით. ისე, მფრინავი ვარ და არა მძღოლი. — იწყინა კაცმა.

ცირას შეცბუნდა.

— დიდი ხანია დაფრინავთ? — ჰკითხა თავისდაუნებურად.

— პირველად სიზმარში ვიფრინე, ბავშვობისას. მთელი ღამე ქალაქის თავზე დავფრინავდი.

— ლამაზი იყო ქალაქი სიზმარში?

— ულამაზესი. შუშის სახლები ვარსკვლავებს ირეკლავდნენ. ცაზე და მიწაზეც მათ ციმციმს ვუთვალთვალებდი.

— როგორ, თქვენ იცოდით, რომ ქალაქი შუშისგან იყო აშენებული?

— ვიცოდი, — თქვა ჟღალთმიანმა, — არ მინდოდა შუშის ქალაქის დაძსხვრევა მენახა და იმ კაცის მსგავსად ვცადე გაფრენა, უხსოვარ დროს რომ გაფრინდა მზისკენ. დაავიწყდა, რომ ჩვეულებრივი ადამიანი იყო და ცვილის ფრთები ჰქონდა. ცეცხლოვან მნათობთან მიახლოებულს ფრთები დაუდნა და დაიღუპა.

— თქვენ ხომ ცოცხალი ხართ?

— მე მზემდე არ მიმიღწევია, — აღნიშნა დამწუხრებულმა მფრინავმა.

— გასაგებია! — თქვა ქალმა. — მზეზე ნადირობა გიცდიათ. საინტერესოა ბევრი თქვენნაირი დადის დედამიწაზე?

— არც ისე ცოტა. თუმცა ბევრი მათგანი მზეს უახლოვდება თუ არა, იწვება.

— რისთვის გჭირდებათ მზე, თუკი იწვებით და იღუპებით?

— იმისთვის, რომ ფერფლიდან აღვდგეთ და მზის შვილები გვეწოდოს.

— უცნაური მოდგმა ხართ, — ჩაილაპარაკა ცირამ და ფიქრები შორს, მზისკენ გაექცა.

— შეიძლება, გაკოცო ფირუზის გოგონავ? — იკითხა ჟღალთმიანმა.

ნებართვის გარეშე დაიხარა და გაოცებულ ქალს შუბლზე ეამბორა. მერე პატარა თემური აიტაცა ხელში და კავკასიის ქედებისკენ გაახედა.

– შეხედე თოვლიან მწვერვალებს. იმ ქედებზე ამირანია მიჯაჭ-ვული, რომელმაც ზეციდან ცეცხლი მოიტაცა და ადამიანებს ჩამოუ-ტანა. იმიტომაც დასაჯეს და ურღვევი ჯაჭვებით მიაჯაჭვეს კავკა-სიონს.

გახსოვდეს, თემურ, ცეცხლს ნუ მოიპარავ. ეცადე, მთლიანად დაიჭირო მზე.

ბავშვი კისერზე მოეხვია მფრინავს და სთხოვა, მეც მასწავლე ფრენაო.

შვეულმფრენები გასაფრენად მოემზადნენ. უამრავი ხალხი შეგროვდა ირგვლივ.

– პირველ რიგში დაჭრილები, ბავშვები და ქალები! – ყვიროდნენ ჯარისკაცები.

– გაგვატარეთ! – იძახდნენ სანიტრები, რომელთაც ფეხში დაჭრილი ჯარისკაცი მოჰყავდათ.

ცირა და თემური სწორედ მის გვერდით აღმოჩნდნენ შვეულმფრენ-ში. ქალმა გაფართოებულ თვალის გუგებში ჩაჰხედა დაჭრილს და ნუგეშისცემას შეეცადა.

– ყველაფერი კარგად იქნება. ისეთი მფრინავი გვყავს, წამში ჩაგვიყვანს ქუთაისში. ნახავთ, როგორ გიმკურნალებენ. ცოტა ხანში ირბენთ კიდევაც.

– შენს პირს შაქარი, – დაიჩურჩულა დაჭრილმა.

ქუთაისში შვეულმფრენებს სასწრაფო დახმარების მანქანები ელოდებოდნენ. დაჭრილები მანქანებში გადაიყვანეს. ცირა და თემურიც მათ გაყვნენ.

– მშვიდობით! – დაუყვირა ცირამ ჟღალთმიანს და ხელი დაუქნია.

– მშვიდობით, ფირუზის გოგონავ, – მიაძახა მფრინავმაც.

თავი 22.

მუნჯი ნუნუს დაღუპვის შემდეგ მინადორა ნაკაშიძემ თავისიანები გააფრთხილა, ქურციკიძეების ბიჭი სახლში არ შემოუშვათო. ბავშვები წინ დაიყენა და ასე დაარიგა:

– ბაჩისთან აღარ ითამაშოთ. შუბლზე დაღი აქვს. თქვენც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოგედოთ რამე.

ერთ დილას ბაჩი ქურციკიძემ ნაკაშიძეებთან ამოირბინა. სახე კმაყოფილებით უბრწყინავდა. ისე იქცეოდა, თითქოს საამაყო რამე ჰქონოდა ჩადენილი. ბავშვებსაც, ცოტა არ იყოს, ზემოდან უყურებდა. პატარები უნდობლად შეხვდნენ. სახეზე დააკვირდნენ და უზარმაზარი წითელი ლაქა დაუნახეს შუბლზე.

— სისხლია! — დაასკვნა მაიამ.

ნინოს და ოთარს ხელი ჩაჰკიდა და ზურგი შეაქცია სტუმარს.

ბაჩი გაშმაგებული დაბრუნდა სახლში. გაღიზიანებული იყო და არვისთან უნდოდა ლაპარაკი. პატარა შენიშვნაზეც იღრინებოდა. ჩაწითლებულ თვალებს დაძაბული აცეცებდა, თითქოს ყველა კუთხიდან მტრის გამოვარდნას ელოდებოდა. სამი დღე ითმინა, ბოლოს ვეღარ მოითმინა, ნაკაშიძეებთან მივიდა და მინადორა ბებოს ნახვა ითხოვა.

მამია, როგორც ყოველთვის ბუხართან იჯდა და წიგნს კითხულობდა. ბაჩი თვალებდახრილი მიუახლოვდა და თავჩაქინდრულმა, სიტყვები სწრაფად მიაყარა ერთმანეთს.

— ნუნუ გვარდიელთან გაგორდა. ის კიდევ მამის გათავისუფლებას შეჰპირდა. იმიტომაც გადავუწვი სახლი. არ ვიცოდი, შიგ თუ იყო. დედასთან ერთად სატირალში მეგონა წასული.

— თუ ნანობ? — ჰკითხა მამიამ.

— არ მეგონა, შიგ თუ იყო. მხოლოდ სახლის დაწვას ვაპირებდი, — აიჩემა ბიჭმა.

— შენს გამო ადამიანი დაიღუპა! — თქვა მამიამ და თვალებში ჩააშტერდა ბიჭს.

ბაჩის აკანკალა.

— რა, მილიციას გადამცემთ? — იკითხა მან.

— რა შუაშია მილიცია, — გააწყვეტინა ქალმა. — მიდი სარკესთან და ჩაიხედე!

ბაჩი კედელზე ჩამოკიდებულ სარკეს მიუახლოვდა, დააშტერდა და უეცრად დიდი ბებიის თვალებით დაინახა საკუთარი თავი.

— ვაიმე! — იყვირა ბიჭმა და ხელები სახეზე აიფარა.

ხელებაფარებული გავარდა ეზოში და წყლის ჭავლთან შუბლის რეცხვა დაიწყო. უკან დაბრუნებული ისევ სარკესთან მიიჭრა. სისხლიანი ლაქა ძველებურად აჯდა შუბლზე.

ბაჩის ციებიანივით აკანკალებდა.

– რა არის ეს? – სასოწარკვეთილმა ჰკითხა მინადორას და თვალები მოხუცი ქალის თვალებს შეაგება.

– სასჯელი! – მოკლედ მოუჭრა მამიამ.

– როგორ ჩამოვირეცხო? – განწირული ხმით იკითხა ბიჭმა.

– სინანულით! – მიუგო მოხუცმა.

ბაჩი ცოცხალმკვდარი დაბრუნდა შინ და იმ საღამოსვე მილიციას მიაკითხა.

– გეწაძეების სახლი მე გადავწვი. მუნჯი ნუნუს დაღუპვაც ჩემი ბრალია! – გადაჭრით განაცხადა და ციხეში ჩასმა მოითხოვა.

მალე მამა და ბიძაც მილიციაში გამოცხადდნენ და ბიჭთან საუბარი ითხოვეს. ბაჩის არავის დანახვა არ უნდოდა. განუწყვეტლივ შფოთავდა და სარკეს მოითხოვდა. ვერავინ დაარწმუნა, რომ შუბლი სუფთა ჰქონდა. ბოლოს ექიმს მოუხმეს. ექიმმა დიდხანს სინჯა და დაასკვნა, განცდების ნიადაგზე ბავშვი ფსიქიურად შეირყაო. ბაჩი ფსიქიურად დაავადებულთა კლინიკაში წაიყვანეს, სადაც დღე და ღამე სარკე ეჭირა ხელში და შუბლს ითვალიერებდა გამუდმებით. გაიტანჯა, გახდა და მართლა შეშლილს დაემსგავსა. მხოლოდ რამდენიმე თვის ტანჯვა-წამების შემდეგ შენიშნა, თანდათანობით როგორ მცირდებოდა სისხლიანი ლაქა.

იმ დღეებში ნაკაშიძეების ჭიშკარს სამხედრო კაცი მოადგა, ახალგაზრდა ქალთან და ბავშვთან ერთად. კაცი ოდნავ კოჭლობდა. ჭიშკარი პასიკომ გააღო და სიხარულისგან ატირდა, როდესაც წვერ-მოშვებულ მამაკაცში ცოცხლად გადარჩენილი ქმარი ამოიცნო.

კაცმა ხელში აიტაცა შვილი და თვითონაც ცრემლი ჩამოუგორდა სახეზე.

– ეს ცირაა, ჩვენი ჰოსპიტლის მედდა. ეგ იყო ჩვენი პატრონი და მომვლელი, – უთხრა ცოლს.

ცირამ სახლისკენ გაიხედა და სირბილით მომავალი ბავშვები დაინახა.

– ცირა მასწავლებელი ჩამოვიდა, – ყვიროდნენ გახარებულნი.

პირველად ოთარი მიიჭრა ქალთან და წელზე მოეხვია. ცირა აიმღვრა. თვალები ცრემლით აევსო და აკანკალებული ხელებით მოეფერა ბავშვს. ოთარი ყველაფერს მიხვდა. თავჩაღუნული გატრიალდა და სახლში გაიქცა. მისი პირველი და ყველაზე დიდი მეგობარი ცოცხა-

ლი აღარ იყო. ბედისგან ისედაც დაჩაგრული ბავშვისთვის თემურის დაღუპვა თავზარდამცემი გამოდგა.

ნინომ და მაიამ ხელი ჩაჰკიდეს ცირას და დიდ ბებიასთან მიიყვანეს.

— აი, ჩვენი ცირა მასწავლებელი, — თქვეს მათ.

მამია სავარძლიდან წამოდგა. ახალგაზრდა ქალს დააკვირდა და დაასკვნა:

— იასამნისფერი თვალები გქონია. ოთახშიც იასამნის სურნელი შემოიტანე. კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენთან.

— ეს თემურია, ჩემი შვილობილი, — თქვა ცირამ და სავარძელთან ატუზული ბიჭი მოხუც ქალბატონს გააცნო.

— როგორ შეცვლილან ჩემი ყოფილი აღსაზრდელები. მე რომ ვიცნობდი, ის ბავშვები აღარ არიან. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს არასოდეს ყოფილან ბავშვთა სახლში.

— ბავშვები სწრაფად იცვლებიან, — აღნიშნა მამიამ. — დარჩი შენს პატარა მეგობრებთან. ამ სახლს სტუმრები უყვარს. შენც დაისვენებ და ბავშვებსაც გაახარებ.

— გმადლობთ, — მიუგო ცირამ და დროებით ნაკაშიძეებთან დარჩენა გადაწყვიტა.

მშობლები ენატრებოდა, მაგრამ ახლა, როდესაც სულიერად და ფიზიკურად გამოფიტულიყო, სახლში დაბრუნება ნამდვილად არ შეეძლო. დრო სჭირდებოდა, რომ საფიქრალი ეფიქრა და სატირალი გამოეტირა. მინადორა ნაკაშიძის სახლი ცირასთვის ისეთ თავშესაფრად იქცა, სადაც ცდილობენ დამსხვრეული სულის ნაწილები შეაგროვონ, შეაკოწიწონ და აღადგინონ.

მინადორა კარგად შეეთვისა სტუმარს. საათობით უყვებოდა განვლილი ცხოვრების ამბებს და თვითონაც საათობით უსმენდა.

— ჭეშმარიტი სიყვარულის მოგონება დიდი საუნჯეა. იმ აზრით უნდა იცოცხლო, თუმცა ბევრი ცუდი ნახე ქვეყანაზე, მაგრამ ნამდვილი სიყვარულიც გამოსცადე. ბევრი ვერ დაიკვეხნის ამას, — ეუბნებოდა მამია ცირას.

ქალი ყურს უგდებდა მოხუცს და პატარა თემურზე ფიქრობდა. თიოს დატოვებულ ხანჯალს იხსენებდა, ოდესმე თემურს რომ დაჰკიდებდა წელზე. გავა წლები და თემური ხანჯლის პატრონის შესახებ იკითხავს. ცირაც მოუყვება მზეზე მონადირის ამბავს. მანამდე ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი ჩაივლის. სოფლები და ქალაქები აშენდება. სიცოცხლე წავა და სიცოცხლე მოვა.

– რა სწრაფად გარბის დრო, – ფიქრობდა ცირა და მინადორას აკვირდებოდა.

მოხუცი დღითიდღე ჭკნებოდა და ილეოდა. ბოლო დროს კატაც აფორიაქდა. ოთახებში დაძრწოდა და უმიზეზოდ კნაოდა. საჭმელსაც თითქმის აღარ ეკარებოდა.

ერთხელ მამიამ სტუმარს მოუხმო. სასტუმრო ოთახში შეიყვანა და ბუხართან დასვა. მოხუცი მოტეხილი და ძალიან დაღლილი ჩანდა.

– მალე წავალ ამ სოფლიდან, – თქვა მან, – ხუმრობა ხომ არ არის, საუკუნეს მივუკაკუნე. დროც არის. იქით ჩემიანები მელოდებიან. სხეული გამიცვდა. ძლივს დავჩოჩავ აქეთ-იქით. სულიც დამეტანჯა, თავისუფლება სწყურია. სული თურმე არ ბერდება და ეს დაობებული ხორცი სიძველისაგან დაგლეჯილი ტანსაცმელივით მაწუხებს. შენს თემურს ჩვენს ბავშვებს ნუ დააშორებ. მათ მე ჯადოსნური თვალი ვაჩუქე სამყაროს საჭვრეტად. თვალი, რომელიც შუბლზე ეხსნება ადამიანს და სიბნელეშიც მზეს ხედავს. ბავშვები თემურს გადასცემენ მას.

ნინო და მაია პასიკოსთან დარჩებიან. ოთარის ამბავი მაფიქრებს. ძალიან განიცდის თქვენი მეგობრის დაღუპვას. ბოლო დროს განმარტოვდა. ჩემთანაც იშვიათად მოდის მოსაფერებლად. ეს ბავშვი ღმერთთან ახლოს არის. შენ ვერ წაიყვან მას და აქ რომ დარჩეს, არც ის იქნება სწორი. სულ სხვა ბუნების ადამიანი სჭირდება. მითხრეს, ბაბუა ჰყოლია ცოცხალი. ვნახოთ.

დრო გვიჩვენებს. მჯერა, ღმერთი არ მიატოვებს ოთარს.

ცირა გულისყურით უსმენდა მოხუცს. ყოველი მისი სიტყვა სჯეროდა. იცოდა, მამია სიმართლეს ეუბნებოდა. მუნჯი და მარტოსული ბიჭის აღზრდას დამსხვრეული ქალი ვერ შეძლებდა. ოთახიდან გასვლისას ცირამ ოთარს მოჰკრა თვალი. ეტყობოდა, ბიჭს მათი საუბარი მოესმინა. ისიც დაინახა, ბავშვი დიდ ბებიასთან შევიდა ოთახში, მიუახლოვდა და თავი მუხლებზე დაადო.

– ბავშვიც გრძნობს რაღაცას, – გაიფიქრა ქალმა.

იმ საღამოსვე მოხუცი ცუდად გახდა. მაინც წამოდგა, ტანი დაიბანა, ახალთახალი პერანგი ჩაიცვა და საწოლში ჩაწოლისას მთელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლეულს მოუხმო.

— როგორი მთვარეა გარეთ? — დაბალი ხმით იკითხა მამიამ.

— სავსე მთვარეა, — უპასუხა პასიკომ.

— გამთენიისას მომაკითხავენ ალბათ, — თქვა მინადორამ. — მივდივარ თქვენგან. ბევრს ნუ იტირებთ და ნამეტნავად მხიარულადაც ნუ იქნებით. მათხოჯის მონასტერში წადით მოლოზნებთან. ისინი გამაცილებენ ბოლო გზაზე.

ბავშვებს ცალკე დაუბარა.

— მალე ბაჩი გამოჩნდება და ხელს ნუ ჰკრავთ. აპატიეთ. სახლკარს და მონაგარს თქვენ გიტოვებთ! — უთხრა ლტოლვილებს, თვალები დახუჭა და ხელები გულზე დაიკრიფა.

მამიას კატა აიბურძგლა. ხალიჩიდან წამოვარდა და ოთახში სირბილი დაიწყო. გათენებულიც არ იყო, ეზოში გავარდა და გაბმული კნავილი ატეხა. გამთენიისას მღვდელს და მონაზვნებს მოუხმეს. მომაკვდავი ეზიარა და უღონოდ მიესვენა საწოლზე. თორმეტ საათზე წამოჯდა.

— ჭიშკარი გააღეთ, ეტლში შებმული ცხენებით მოდიან ჩემს წასაყვანად! — დაიყვირა, თავი ბალიშზე დადო და გარდაიცვალა.

მინადორა მონაზვნებმა დაკრძალეს. სანთლებით და გალობით გააცილეს უკანასკნელ გზაზე. დამკრძალავ პროცესიას დინჯი ნაბიჯით მიყვებოდა უზარმაზარი შავი კატა.

კატა სახლში აღარ დაბრუნებულა. ამბობენ, საფლავის ქვასთან უნახავთ მკვდარი და იქვე დაუმარხავთ.

თავი 23

საღამო იყო. სავსე მთვარემ ადრიანად გამოანათა ზეცაზე. ისეთი მთვარე იყო, მოხუც ზაქარიას რომ არ უყვარდა. მაინცდამაინც სიბნელეში მოუხდა სიარული. საავადმყოფოში მიდიოდა, სადაც დაჭრილისთვის მშობლების ამანათი უნდა გადაეცა. ციოდა. დაჭრილის მამამ თეთრი ნაბადი ათხოვა და თვითონვე მოახურა მხრებზე. ცოტა წითელი ღვინოც ჰქონდა გადაკრული და სიმსუბუქეს გრძნობდა სხეულში. მოეჩვენა, ასეთი შეგრძნება ოდესღაც უკვე ჰქონდა და წარსულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსენება სცადა.

მაშინაც თეთრი ნაბადი ჰქონდა მხრებზე მოსხმული და თეთრი ფაფახი ეხურა თავზე. დეკემბრის ბოლო იყო. საღამოს მოთოვა და შედარებით დათბა. იმ საღამოს, ზაქარიას ასეული პოლონეთის პატარა ქალაქ კობრინში შევიდა. მეომრები ჯგუფებად დაიშალნენ და სხვადასხვა ოჯახებში განაწილდნენ დასაძინებლად.

ზაქარია, ვიტია კორდია, მიკოლა პინჩუკი და „ჩეკისტი" კუპრიანოვი, ქალაქის ცენტრში მდებარე, კოხტა ორსართულიან სახლს მიადგნენ. კუპრიანოვი, მეტსახელად „სმერში" ჯარისკაცებს დაუპატიჟებლად აეკიდა, თუმცა არავის ეხატებოდა გულზე, განსაკუთრებით კი მიკოლას სძულდა. მორწმუნე მიკოლა „სმერშის" შიშით პირჯვარს ვერ იწერდა და ძალიან განიცდიდა ამ ამბავს.

ზაქარიამ მუშტები დაუბრახუნა კარებზე. პირველი სართულის ფანჯარაში სანთლის შუქმა გაიელვა და ვიღაცამ ფარდის კუთხიდან გამოიჭვრიტა. ზაქარია იძულებული გახდა რამდენჯერმე დაებრახუნებინა კარებზე. შენც არ [illegible]კვდე, კაციშვილს არ უფიქრია კარის გაღება. ვიტია გაბრაზდა და ავტომატი ააკაკანა ჰაერში. ფანჯარასთან მიიჭრა და ხმამაღლა იყვირა:

— „პანოვე", კაზაკები მოსულან! სტუმრებს თუ არ მიიღებთ, იერიშით ავიღებთ სახლს.

შენობაში ჩოჩქოლი ატყდა. სანთლები აანთეს და კარის გაღება იკადრეს.

ზღურბლზე, დაბალი ტანის კათოლიკე მღვდელი გამოჩნდა. დამფრთხალი კურდღელივით იყურებოდა და შეშინებული ატრიალებდა დამრგვალებულ თვალებს. ჯარისკაცებს სასტუმრო ოთახში შეუძღვა და მარმარილოთი მოპირკეთებულ ბუხარში ცეცხლი დაანთო. ოთხეული ხის, გრძელ მაგიდასთან განლაგდა. ცოტა რომ გათბნენ, ნაბდები მოიხსნეს და ჩანთებიდან ორცხობილები და კონსერვები ამოაწყვეს. მღვდელი თვალებს აელმებდა და კუპრიანოვს უცქერდა შიგადაშიგ. ტყავისქურთუკიან კუპრიანოვს, ყბაგამოვარდნილ, ნაყვავილარ სახეზე ეწერა, რომ დაუნდობელი და შეუვალი ვინმე ბრძანდებოდა. კუნძივით გაჭიმული იჯდა მაგიდასთან და ოთახის ბოლოში მდგარ, დიდ, შავ როიალს აშტერდებოდა.

ვიტია მიკოლასკენ დაიხარა და ჩუმად გადაულაპარაკა:

— დავიჯერო ახლა ამას სასმელი არ ექნება სახლში?

– ღვთისა გეშინოდეს, მღვდლის ოჯახში ვართ, – დაიჩურჩულა მიკოლამ და თხელი, გრძელი ცხვირის წვერი პომიდორივით გაუწითლდა.

– პირჯვარი არ გადაიწერო, ლოთო, „სმერში“ გიყურებს სახეში, – ჩუმად თქვა ვიტიამ და შეკრულ მუჭში ჩაიხვიხვინა.

კარებში თავწაკრული ქალის ლანდმა გაიელვა და უკანა ოთახებში აფუსფუსდა. კიდევ ვიღაცამ ჩაიარა, ერთი წუთით შემოიხედა ოთახში და გაუჩინარდა.

– მასპინძელო! – იყვირა ზაქარიამ, – ღვინო თუ არა გაქვს, წყალი მაინც გამოგვიტანე.

სახლის პატრონი დაფაცურდა. მეზობელ ოთახში გავიდა და ოჯახის წევრებს სუფრის გაშლა დაავალა. ცოტა ხანში მაღალი, თავწაკრული ქალი შემოვიდა და მაგიდაზე ღვინის ბოთლები დააწყო. ღვინოს ძეხვი მოაყოლა და ლამაზად დაჭრა ფაიფურის თეფშებზე. ზაქარიამ კონსერვები გახსნა და ღვინო ჭიქებში ჩამოასხა. მასპინძლის სადღეგრძელო დალიეს. ჰერე პოლონეთის გათავისუფლების სადღეგრძელო თქვეს. ამას დიასახლისის დღეგრძელობა მოჰყვა და დაძაბულობა უკანმოუხედავად გაიპარა სუფრიდან. ბიჭები მთელი გულით მხიარულობდნენ. დიასახლისიც ისე გამხიარულდა, რომ კარადიდან ლამაზი, ჭრელი ყუთი გამოიტანა, გახსნა და სუფრაზე დადო. ყუთში შოკოლადები ეწყო. კუპრიანოვს დივიზიის კომისრის ბრძანება ახსოვდა, ევროპის ქალაქებში წესიერად მოიქეცით და კულტურულად ჭამეთო. შოკოლადის მირთმევა ისე უნდოდა, სული მისდიოდა, მაგრამ არ ახსოვდა, შოკოლადი ჩანგლით უნდა ეჭამა თუ ხელით. ბოლოს გაბედა, ჩანგალი უხერხულად მოიგდო თითებში, მაგიდაზე დაიხარა და შოკოლადს ჩაარჭო. შოკოლადი გატყდა. კუპრიანოვმა დანა მოიშველია. შოკოლადი მაინც გატყდა. ისევ ჩანგალი მოიმარჯვა და მასპინძლის თვალებს გადააწყდა. მღვდელი ძალიან სერიოზული სახით იჯდა, თუმცა თვალებით აშკარად დასცინოდა. „ჩეკისტი“ გათეთრდა. შოკოლადს ჩანგალი ატაკა და ნაწილებად დაფშვნა. ნასვამმა ვიტია კორდიამ ველარ მოითმინა და ხმამაღლა უკარნახა კუპრიანოვს.

– ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, მთელს მსოფლიოში ხელით ჭამენ შოკოლადს.

„ჩეკისტი“ კიდევ უფრო გაფითრდა, შოკოლადს ხელი წაავლო და პირისკენ გააქანა.

ვიტიას სიცილი აუტყდა. ზაქარიას ვიტიას აჰყვა და გადაიხარხარა. მხოლოდ ცხენისსახიანი მიკოლა იჯდა ჩუმად და ამოჩემებულ სამარილეს შესცქეროდა. მაშინ ზაქარიამ არ იცოდა, რომ პოლონურმა შოკოლადმა მისი ბედი გადაწყვიტა და ზინაიდასთან შეხვედრა ნახევარი საუკუნით გადასწია. ზაქარია როიალთან მივიდა და სკამზე მოკალათდა. ომამდე მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობდა და შესანიშნავად უკრავდა.

— ჩვენს გამარჯვებას გაუმარჯოს! პოლონეთს გაუმარჯოს! — წამოიძახა ჯარისკაცმა და შოპენის დაკვრა დაიწყო.

მაღალი და ლამაზი ვიტია დიასახლისს ეცეკვებოდა. ცისფერი თვალები უბრწყინავდა. ვაჟკაცურ სახეზე სინათლის სხივი უთამაშებდა.

მუსიკის ხმაზე ნაწნავებიანმა გოგომ შემოიხედა ოთახში. ბუხართან მივიდა და მორცხვად დადგა კედელთან. თხუთმეტ-თექვსმეტი წლისა იქნებოდა. ლამაზი, გამხდარი სახე და ლაჟვარდი ცისფერი თვალები ჰქონდა. აღტაცებით შეჰყურებდა, როგორ ცეკვავდნენ ვიტია კორდია და დედამისი.

მღვდელმა გოგონა შენიშნა და წარბები შეჭმუხნა.

— მარიშკა, ახლავე დაბრუნდი შენს ოთახში! — უბრძანა შვილს.

— ნურას უკაცრავად, ამხანაგო მღვდელო! — სიცილით ჩაილაპარაკა ვიტიამ და მარიშკა საცეკვაოდ გაიწვია.

— ისევ თავისას იწყებს, — დაიჩურჩულა მიკოლამ და თავი გააქნია.

მიკოლა ტყუილად არ შეშფოთებულა. ვიტიას ერთი უბედური ჩვევა ჰქონდა. სადაც ასეული ჩერდებოდა, ყველგან ცოლს თხოულობდა. ისეთი კარგი შესახედი იყო, ქალები ფუტკრებივით ეხვეოდნენ. ენაწყლიანი და მომხიბლავი ვიტია, მორიგ მსხვერპლზე სრულიად სერიოზულად იწერდა ჯვარს. სუფრა იშლებოდა და ბიჭებსაც მეტი რა უნდოდათ. ილხენდნენ და ქეიფობდნენ ცოლის ნათესავების ხარჯზე. ასეთი ცოლი, კორდიას, სულ ცოტა ხუთი მაინც ჰყავდა. მორწმუნე მიკოლა ყველა ჯვრისწერის წინ ჩხუბობდა კორდიასთან.

— ამას რას აკეთებ, უგუნურო, ღმერთი არ გაპატიებს! — ეუბნებოდა მეგობარს, — რომ გაიგებს, რას იტყვის კატერინა, რას იტყვიან

მეზობლები?!

– ნეტავ შენ სულელი არ იყო, – პასუხობდა ხოლმე ვიტია.

კორდია და პინჩუკი ერთი სოფლიდან იყვნენ და კატერინას ამბავი ყველაზე უკეთ მიკოლამ იცოდა. ისეთი მაგარი დედაკაცი იყო, მექალთანე ვიტია თავის სოფელში თვალის გაპარებასაც ვერ ბედავდა. მიკოლამ გულში პირჯვარი გადაიწერა და სასმელს მიეძალა.

ყველაფრით კარგი ბიჭი იყო პინჩუკი, მაგრამ სისუსტე იმასაც ჰქონდა. თუ სადმე სასმელი ჩაუვარდებოდა ხელში, სანამ გონების დაკარგვამდე არ გამოტყვრებოდა, არაფრით არ გაჩერდებოდა. გრძელი და გამხდარი პინჩუკი იდაყვებით მაგიდას ეყრდნობოდა და ნახევრად გადაწოლილი, ჭიქას ჭიქაზე ცლიდა.

ვიტია და მარიშკა ცეკვავდნენ. მარიშკა თვალებში შესციცინებდა კორდიას და პოლონურად ეტიკეტიკებოდა რაღაცას. ვიტიას ზოგი ესმოდა და ზოგიც–არა. მაინც კმაყოფილი და ბედნიერი სახე ჰქონდა. მხიარულობამ გვიანობამდე გასტანა. მასპინძელმა შანდლები აიღო, ნასვამი ჯარისკაცები ზედა სართულზე აიყვანა და ფართო, ოთხსაწოლიან საძინებელში შეუძღვა. მასიური ხის საწოლები წყვილად იდგნენ საპირისპირო კედლებთან.

საწოლებს შორის, კედელთან მიდგმული კარადის თავზე, ჯვარცმული მაცხოვრის სურათი ეკიდა. მიკოლა საწოლზე მიეგდო და ხვრინვა ამოუშვა. ზაქარიამ და ვიტიამ ჩექმები და შარვალი გახადეს და საბანი დაახურეს.

კუპრიანოვმა ქამარი მოიხსნა და სკამზე გადაკიდა. ფარაჯაც და შარვალიც კოხტად გაკეცილი დააწყო სკამზე. საწოლში ჩაწვა და მყისვე დაიძინა. ზაქარიაც და ვიტიაც დასაძინებლად მოეწყვნენ.

დილის ექვსი საათი იქნებოდა. ზაქარიას გამოეღვიძა. თვალები ჯერაც დახუჭული ჰქონდა. საწოლიდანაც არ წამოწეულა. ის იყო ძილის გაგრძელებას აპირებდა, ჭრიალის ხმა მოესმა და ცალი თვალით კარს გახედა. კიკინებიანი გოგო ოთახში ფეხისწვერებით შემოვიდა და ვიტიას საწოლს მიუახლოვდა. საბანი გადასწია და გვერდით მიუწვა კორდიას.

ვიტიამ ქალის შეხება იგრძნო. გადმობრუნდა და მარიშკას ჩაეხვია, მაგრამ უცებვე გამოფხიზლდა და საწოლიდან წამოვარდა. ქალს ხელი ჩაჰკიდა და ლოგინიდან გადმოათრია.

– წადი აქედან! ხომ არ გადარეულხარ. მღვდლის ქალიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც არ იყო, – ბურდღუნებდა შეცბუნებული.

ვოგო კარებთან მიიყვანა და გარეთ გააგდო.

– წადი, პატარა გოგო, შენს ოთახში, აქ მოსული აღარ დაგინახო.– ბრაზიანად ჩაილაპარაკა ვიტიამ და კარი საკეტით გადაკეტა.

ზაქარიას აღარ დაეძინა. ნახევარი საათი ლოგინში წრიალებდა, მერე გაიზმორა, ხმამაღლა დაამთქნარა და საწოლზე წამოჯდა. ვიტიაც საწოლზე იჯდა და ფანჯარას უყურებდა.

– თენდება! – თქვა ვიტიამ, – ოჰ, როგორ მომენატრა სოფელი. რომ იცოდე, რა გოგოა ჩემი კატერინა. მაგისი ფრჩხილის ღირსიც არ ვარ! აი, იმ ლოთმა იცის, – მიუთითა კორდიამ მიკოლაზე და უცებ თვალები გაუბრწყინდა. თითქოს, რაღაც კვიმატმა აზრმა გაუელვა გონებაში.

– უნდა გამოვასწორო მიკოლა. თავის დღეში სასმელს აღარ გაეკარება! – წამოიძახა, სწრაფად ჩაიცვა და შურდულივით გავარდა ოთახიდან. მალევე მობრუნდა და თან ჩაიდანი მოიტანა. საბანი ასწია და ფერადი ჩაი მიკოლას ზეწარ[illegible]ე დაასხა. მერე ისევ საბანი გადაეფარა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს.

მიკოლას გამოეღვიძა, თავი მიატრიალ-მოატრიალა, კედელზე მაცხოვრის სურათი დაინახა და სწრაფად გადაიწერა პირჯვარი. სანამ პირჯვარს გადაიწერდა, ჩუმად კუპრიანოვისკენ გააპარა თვალი. კუპრიანოვს ეძინა. მიკოლა წამოჯდა. ხელი საბანში ჩაყო და ელდანაცემივით შეხტა. ცხვირი და ყვრიმალები გაუწითლდა და გრძელი სახე კიდევ უფრო ჩამოუგრძელდა. ვიტია კორდია და ზაქარია არაფერს იმჩნევდნენ. მიკოლა ისევ ლოგინში ჩაწვა და საბანი ნიკაპამდე წამოიხურა.

– მიკოლა აღარ დგები? ცუდად ხომ არ ხარ?– ჰკითხა მეზობელმა.

– ცუდად ვარ, მგონი სიცხეც მაქვს, – დაიჩურჩულა მიკოლამ და შეშფოთებულმა შეხედა ბიჭებს.

– გარეთ გავდივართ. წამალი ხომ არ მოგიტანოთ? – თბილად და რბილად შეეკითხა ვიტია.

პასუხს აღარ დაელოდნენ და პირველ სართულზე, სამზარეულოში ჩაბრძანდნენ. მასპინძლის ცოლს საუზმე უკვე გაწყობილი ჰქონდა. ბიჭებმა ისაუზმეს და ასეულის შესაკრები ადგილისკენ გაემართნენ. ასეული იმ დღესვე ტოვებდა კობრინს. რამდენიმე საათში მზად უნდა ყოფილიყვნენ. ვიტია და ზაქარია მღვდლის ოჯახში დაბრუნდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარები მარიშკამ გააღო. ვიტიას დანახვაზე ყურებამდე გაწითლდა. ცრემლები გადმოყარა და ჩქარ-ჩქარა ალაპარაკდა. ცოტა პოლონური ზაქარიასაც ესმოდა. მიხვდა, მარიშკა წეღანდელი საქციელის გამო იმართლებდა თავს.

— კაცები თითქმის სულ დაიხოცნენ, მეშინია გაუთხოვარი არ დავრჩე და მამაჩემმა მონასტერში არ გამაგზავნოსო, — ჩიოდა გოგო და მუშტებით იწმენდდა ჩამოგორებულ ცრემლებს. კიბეზე მიკოლა გამოჩნდა. ჩუმად მიიპარებოდა და დახვეული ზეწარი იღლიის ქვეშ ჰქონდა ამოჩრილი. მიკოლას დანახვაზე ბიჭებს სიცილი აუტყდათ. გაოცებული დიასახლისი ჯარისკაცთან მიიჭრა და ზეწრის გამოგლეჯა სცადა.

— როგორ გეკადრებათ. მე თვითონ გავრეცხავ. თქვენ როგორ შეგაწუხებთ, — ამბობდა მღვდლის ცოლი და გაოცებული ასავსავებდა ხელებს. თუმცა მიკოლას როგორ მოერეოდა. პინჩუკმა თავისი გაიტანა. ზეწრიანად გაიჭრა ეზოში. ონკანს მივარდა და ზეწარი წყლის ჭავლში გაავლო. დიასახლისი მხრებს იჩეჩავდა. ვიტია და ზაქარია ხარხარებდნენ.

— დამთავრებული ამბავია! — ამბობდა ვიტია, — მიკოლა სასმელს კარგა ხნით აღარ გაეკარება.

მაშინ არ იცოდნენ, რომ არც ხვალ და არც აღარასოდეს დასჭირდებოდა მიკოლას სასმელი. ჯარისკაცები მასპინძელს გამოემშვიდობნენ და წასასვლელად მოემზადნენ.

ტყავის ქურთუკში გამოწყობილი „სმერში“ კიბეზე დაეშვა და ბიჭებს აბარგება უბრძანა.

— ნახვამდის, მარიშკა, ცუდად რუ გამიხსენებ, — დამშვიდობებისას უთხრა ვიტიამ და შუბლზე აკოცა გოგოს.

ხუთი საათისთვის ასეულმა ქალაქი დატოვა. ზაქარია და ვიტია კორდია მანქანის საბარგულში იჯდნენ. მიკოლა მძღოლის გვერდზე მოკალათებულიყო. კუპრიანოვი კოლონის თავში მიმავალ მსუბუქ მანქანაში იმყოფებოდა.

შუაღამისას, ტყის გასწვრივ ნახევრად დანგრეულ გზაზე მოუწიათ გავლა. ზაქარია ზურგით საბარგულს ეყრდნობოდა და ზინაიდაზე ფიქრობდა. განშორებისას, ზინაიდას თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა.

— ნეტავ რა დარჩა სათქმელი? — დარდობდა ჯარისკაცი და ძილის გადაულახავ სურვილს ებრძოდა.

ვიტიას ზურგჩანთაზე ედო თავი და გემრიელად ეძინა. საერთოდ ცუდად იტანდა სასმელს. მეორე დღეს გათანგული და დაღლილი გამოიყურებოდა ხოლმე. ახლაც დაღლილობამ გადასძლია და კისერი მოწყვიტა.

ზაქარიას წინა მანქანიდან შეძახილი მოესმა და გზას გახედა. გზაზე წაქცეული ხე ეგდო და კოლონას გავლის საშუალებას არ აძლევდა. მანქანები შეჩერდნენ. ჯარისკაცები მანქანიდან გადმოვიდნენ და ხის გადაადგილება სცადეს. მოულოდნელად სროლის ხმა მოისმა და ტყიდან გერმანელები გამოცვივდნენ. ტყეში ჩარჩენილი ჯარისკაცები იყვნენ, რომელთაც, უკანდახევისას, ვერ მოასწრეს საბრძოლო ნაწილთან შეერთება. მიკოლა მანქანიდან გადმოვიდა და მყისვე ჩაება ბრძოლაში. ზაქარიამაც ავტომატი ააკაკანა.

უეცრად გამოღვიძებული ვიტია ვერ გაერკვა, რა ხდებოდა. ვერც იმას მიხვდა, საიდან უტევდნენ გერმანელები. გაუცნობიერებლად გადმოხტა საბარგულიდან და საპირისპირო მიმართულებით გაიქცა. ზაქარია უკან გაედევნა. დაეწია და მოაბრუნა. ვიტიას წუთები დასჭირდა გონზე მოსასვლელად და ბრძოლაში ჩაება. დამშეული და გაბოროტებული გერმანელები მხეცებივით იბრძოდნენ. ბოლოს, უკანდახევა დაიწყეს და ტყეს შეაფარეს თავი. ვიტია მიკოლას მიათრევდა მანქანისკენ. თვალები ამღვრეოდა. ტყვიისფერი ედო სახეზე. ჯარისკაცების დახმარებით საბარგულში დააწვინა მომაკვდავი. მიკოლამ მარჯვენა ხელი ოდნავ გაანძრია. მეგობარი გულის წადილს მიუხვდა და ფართოდ გადასწერა პირჯვარი. მიკოლას თვალები არ გაუხელია. ღრმად ამოისუნთქა და შეწყვიტა სუნთქვა.

კოლონა დაიძრა. განახევრებული ასეული დაჭრილებსა და დაღუპულებს გლოვობდა. დანიშნულების ადგილზე შუადღისას ძლივს ჩააღწიეს. იმ დღესვე ვიტია კორდია დივიზიის კომისართან დაიბარეს. იარაღი ჩამოართვეს და პატიმრობაში აიყვანეს. ბრძოლის დროს გამოჩენილი სიმხდალის გამო ვიტიას საჯარიმო ასეულში გამწესება გადაუწყვიტეს.

კუპრიანოვს მთელი არზა ჰქონდა შედგენილი კორდიას შესახებ. აბრალებდა მიდრეკილებას მღვდლების და სხვა სასულიერო პირებისადმი, რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობას და ბურჟუაზიული ქვეყნების ზნე-ჩვეულებების გავლენას.

საჯარიმო ასეულში გაგზავნამდე, ზაქარიამ ინახულა კორდია. ვიტია გამხდარიყო, უძინარი თვალები ჩასცვენოდა, დაღლილი და შეშფოთებული გამოიყურებოდა.

— პოლონურმა შოკოლადმა ბოლო მომიღო, — უთხრა ვიტიამ ზაქარიას, — გული იმაზე მწყდება, მხდალი არასდროს ვყოფილვარ. ეჰ, რა ეშველება კატერინას. ახლა ისეთი გაჭირვება იქნება სოფელში, არ ვიცი როგორ გაიტანს თავს.

ვიტიამ მაჯიდან საათი მოიხსნა და ზაქარიას გადასცა.

— კრაკოვში ყოფნისას დაბომბილი მაღაზიის ნანგრევებში ვიპოვე, კატერინას წაუღე. იქნებ გაყიდოს და ფული მოიხმაროს. ჩემს თეთრ ნაბადს შენ გჩუქნი, სახსოვრად გქონდეს! — თქვა და გამგზავრების წინ ფრონტელ მეგობარს გადაეხვია.

ზაქარია გაცეცხლებული დაბრუნდა ნაწილში. „სმერში" მონახა და საცემრად მივარდა.

— ბინამუსო! — ყვიროდა წონასწორობიდან გამოსული, — მხდალი შენ ხარ, თორემ ვიტია ყველაზე გაბედულია ჩვენს შორის. ვისა აქვს მიდრეკილება მღვდლებისადმი? რელიგიის ოდნავ რამე რომ სცოდნოდა, ოთხჯერ როგორ დაიწერდა ჯვარს?! კარგად იცი, ჯარისკაცებს ეჯავრები. ფრთხილად იყავი, შეტევისას ზურგში არავინ გესროლოს.

ზაქარია ძლივს გააკავეს. ნაცემი კუპრიანოვი ჯარისკაცებმა წაათრიეს. ახალი არზა დაიწერა და ზაქარიას და ზინაიდას შეხვედრას საბოლოოდ დაესვა წერტილი.

საბრძოლო წესრიგის დარღვევის და უფროსებისადმი დაუმორჩილებლობის გარდა, კუპრიანოვი ზაქარიას საეჭვო, თავადაზნაურულ წარმოშობას აბრალებდა და ბურჟუაზიის მიერ ჩანერგილ, გამხრწნელ ელემენტად თვლიდა. კვლევა-ძიება კარგა ხანს გაგრძელდა. გაჯანჯლებული საქმე ბოლოს შედარებით ტვინგახსნილი კომისრის ხელში გადავიდა, რომელმაც მოიფიქრა, კუპრიანოვი გამოეძახებინა და შეჰკითხვოდა, რა იგულისხმებოდა გამხრწნელ და ძირგამომთხრელ საქმიანობაში. რეგვენმა კუპრიანოვმა დამაჯერებლად უპასუხა, უცხოეთის ქალაქებში ყოფნისას, სადაც მოუხდებოდა ყველგან უკრავდა როიალსო. თანაც ჩვენებურ სიმღერებს კი არა, ბურჟუაზიულ, მტრულ მუსიკასო.

ზაქარია გაათავისუფლეს. პირველ რიგში მიკოლას და ვიტიას

სოფელში ჩავიდა. მათი ოჯახები ინახულა და კატერინას ამბავიც იკითხა. ვიტიას დაღუპვის ცნობა ერთი თვის წინ მიეღოთ. კატერინა ოდესაში გადასულიყო. ზაქარიამ ოდესაშიც არ დაიზარა წასვლა და ფრონტელი მეგობრის ცოლს მითითებულ მისამართზე მიაკითხა.

ძველი, ორსართულიანი სახლის დანჯღრეულ, ხის კიბეზე ავიდა და მწვანედ შეღებილ კარებზე დააკაკუნა. მეზღვაურის მაისურში ჩაცმულმა, მაღალმა, ჩაკუნთულმა კაცმა კარი გაუღო. მსხვილი მკლავები ტატუირებით ჰქონდა დაფარული. პირში გაჩრილ პაპიროსს კბილებში ათამაშებდა. წინ და გვერდზე, ორი ვერცხლის კბილი მოუჩანდა.

— კატია, ჯარისკაცმა მოგაკითხა, — იღრიალა მეზღვაურმა.

მაღალი და ლამაზი კატერინა აივანზე სარეცხს ფენდა. ხელებდაკაპიწებული გამოვიდა და ზაქარიას შეეგება. სტუმრის შეპატიჟება არც ერთს არ მოსვლია აზრად.

— ეს ვიტიამ გამომატანა თქვენთვის, — თქვა ზაქარიამ და ოქროს სამაჯურიანი მაჯის საათი გაუწოდა.

— ოჰ, ვიტია, ვიტია, — ჩაილაპარაკა კატერინამ და შუბლი სველი ხელით მოიწმინდა.

ზაქარიას საათი გამოართვა და მარჯვენა თვალი უცნაურად აუთამაშდა.

— კატკა, ტკბილო, აბა მაჩვენე! — უთხრა მეზღვაურმა.

საათი ხელიდან გამოჰგლიჯა და თვალებთან მიიტანა.

— ოქროა! — გამარჯვებული სახით წარმოთქვა და საათი შარვლის ჯიბეში ჩაიდო.

— ეს საათი დაღუპულმა მეგობარმა კატერინასთვის გამომატანა! — ხმას აუწია გაღიზიანებულმა ზაქარიამ.

— არაფერია, — სწრაფად თქვა კატერინამ და მეზღვაურს გადახედა.

— კოლია ჩემი ქმარია, გაიცანით.

ზაქარია უსიტყვოდ შეტრიალდა და კიბეზე დაეშვა. გზაში ფეხი გადაუტრიალდა და მოაჯირს რომ არ ჩასჭიდებოდა, კიბესაც ძირს ჩაიტანდა. შორიდან ქალის ყვირილი ჩაესმოდა. მხეცო, დაღუპული ქმრის სახსოვარი მაინც დამიტოვეო.

ზინაიდასთან დათქმული შეხვედრის დრო დიდი ხანია გასულიყო. თბილისში დაბრუნებულმა ჯარისკაცმა საყვარელი ქალი ვეღარ იპოვა.

მხოლოდ ის შეიტყო, ზინაიდას დედა გარდაცვლოდა და რუსეთში გადასულიყო საცხოვრებლად. მას შემდეგ ზაქარია ბევრს ფიქრობდა, შემთხვევითი იყო თუ არა, ის და ზინაიდა რომ ვერ შეხვდნენ ერთმანეთს. ახლაც ამას დარდობდა. ფილოსოფოსთა გამონათქვამი ახსოვდა, აგური შემთხვევით არავის მოხვდება თავშიო. აგური რომ სახურავის კიდესთან აღმოჩნდეს, მიზეზი უნდა ჰქონდეს, — ფიქრობდა ზაქარია, — ქარი რომ ამოვარდეს, ესეც არ არის შემთხვევითი, რადგან გარკვეული მიზეზი აქვს. ამ დროს სახლთან ვიღაც გაივლის და იმასაც თავის მიზეზი აქვს, სწორედ იმ დროს და იმ ადგილას გაიაროს. ამბობენ, ამ მოვლენების დროში დამთხვევაა შემთხვევითი. მათი დროის კოორდინატების დამთხვევასაც მიზეზი აქვს. ამ მოვლენათა მიზეზშედეგობრივი ჯაჭვების განლაგება დროში, სადაც ისინი აუცილებლად გადაკვეთენ ერთმანეთს. ზაქარიასთვის მათი თანხვედრა შემთხვევითი იყო, რადგან ის არ იცნობდა ამ მოვლენათა ცალკეულ ჯაჭვებს დროში, მაგრამ ვინც სამყაროს განაგებს და დროის და სივრცის ყველა მოვლენას ერთიანად ხედავს, ეს განსხვავებული ჯაჭვები ცნობილი იყო და მათი თანხვედრის გათვლაც უადვილესი. შეიძლებოდა თუ არა შედეგის თავიდან აცილება?

ამას მხოლოდ ის შესძლებდა, ვინც იცოდა რა მოხდებოდა და არ ჩაერია. არც მაშინ ჩაერია, როცა ზაქარია საყვარელ ქალს კარგავდა, არც მაშინ, — როცა საკონცენტრაციო ბანაკებში ხალხი კრემატორიუმებში შერეკეს და ცოცხლად ამობუგეს. არც მაშინ, — როდესაც პატარა თემურის დედას მოყინულ ბილიკზე ფეხი აუსხლტა და კლდეზე გადაიჩეხა. ამას ერთადერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს! — გადაწყვიტა ზაქარიამ, — არ შეუძლია ჩარევა, რადგან სამყაროს სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული. ამიტომაცაა ადამიანის არჩევანი გადამწყვეტი. რაც მეტი იქნება ღვთის ნების მძებნელი, მით მეტ ზეგავლენას მოახდენს ღმერთი სამყაროზე და ჩარევასაც მეტად შეძლებს.

ზაქარია ფიქრებიდან გამოერკვა, თითქოს რაღაცამ შეაშფოთა. უმიზეზო შიში იგრძნო და ზურგის მხრიდან დაჟინებულმა მზერამ მოატრიალებინა თავი.

ამ ადგილებში ბევრი ავაზაკი ტრიალებდა. ისეთი დრო იყო, თითქმის ყოველდღე ძარცვავდნენ ან კლავდნენ ვიღაცას. შავი ლანდი ნელნელა უახლოვდებოდა ბერიკაცს.

მწვანე თვალები ფარნებივით უელავდა სიბნელეში. ზაქარიას ტანში ჟრუანტელმა დაუარა. მიხვდა, ადამიანთან არ ჰქონდა საქმე. ყველაზე შემზარავი ის იყო, რომ ცხოველი აზროვნებდა. პირდაპირ თვალებში შესცქეროდა და რაღაცას წონიდა.

— თავდასხმას აპირებს! — გაუელვა ზაქარიას გონებაში და თავდაცვისთვის მოემზადა.

ჯიბეში იარაღი მოისინჯა. თუ რამე შემაშფოთებელს იგრძნობდა, ამოიღებდა და გაისვრიდა. ლანდი ისე გაწვა მიწაზე, თვალი არ მოუცილებია კაცისთვის. მუცლით მიწაზე გაკრული, წინ გახოხდა და ჩუმად დაიკნავლა. მერე გაშეშდა, თავი ასწია და მოხუცს რაღაც ანიშნა.

ზაქარია უცნაურად დაიბნა, ცნობისმოყვარეობის თუ სხვა გრძნობის გამო ლანდს მიუახლოვდა და დააკვირდა. გზაზე უზარმაზარი შავი კატა იწვა და საცოდავი თვალებით შესცქეროდა მოხუცს.

— როგორ გაძვალტყავებულა. ეტყობა, დიდი ხანია არაფერი უჭამია. ან რა ჯიშისაა, ამხელა რომ გაიზარდა, — გაიფიქრა და ცხოველის მიმართ მოულოდნელი სიბრალული იგრძნო.

კატა თითქოს მიუხვდა ფიქრებს. წამოიწია, გასწორდა და ისევ სახეზე დააშტერდა მოხუცს.

— ფეხზე ძლივს დგას. საჭმელიც არაფერი მაქვს. ნეტავ რა უნდა ჩემგან? — ფიქრობდა ზაქარია.

ცხოველმა ირგვლივ შემოუარა და ისევ პირისპირ დაუდგა.

— რაღაცას მთხოვს! — მიხვდა მოხუცი და თავისდაუნებურად გადადგა ნაბიჯი.

კატა შეტრიალდა და გზიდან გადაუხვია, თან ისევ კაცს შეჰყურებდა. ზაქარია მონუსხულივით გაჰყვა. სიბრალულმა შიშს სძლია, რადგან უზარმაზარი ტკივილი და ნაღველი მოჩანდა ცხოველის მზერაში. აღმართზე ავიდნენ და ვიწრო ბილიკით იარეს.

ბოლოს ვაკეზე გავიდნენ. აქა-იქ ძეგლები და მარმარილოს ქვები გამოჩნდა.

— სასაფლაოზე მომიყვანა! — ხმამაღლა თქვა ზაქარიამ და საკუთარი ხმა უცხო და უცნაური მოეჩვენა.

კატა საფლავის ქვას მიუახლოვდა და ზედ გაწვა. კაცს აღარ უყურებდა. თვალდახუჭული შესაბრალისად კნაოდა. კნავილი შეწყდა და სიჩუმემ დაისადგურა. ზაქარია დაიხარა და ცხოველს შეეხო. კატა

არ განძრეულა. სასაფლაოს ქვაზე ცხოველის ლეში ეგდო. ზაქარიამ დანა ამოიღო და მიწა გათხარა. მკვდარი კატა დაფლა და საფლავის ქვაზე ჩამოჯდა.

„თავადის ასული მინადორა ნაკაშიძე" — ამოიკითხა მარმარილოზე გაკეთებული წარწერა. ზაქარია კიდევ დიდხანს იჯდა საფლავის ქვაზე. არსად და არასოდეს უგრძვნია ისეთი სიმარტოვე, როგორც ახლა, ამ სასაფლაოზე.

მერე წამოდგა, საფლავებს შორის სიარული და მთვარის შუქზე წარწერების კითხვა დაიწყო.

— ყველაფერი ოდესმე თავდება. ზაფხული და ზამთარი, სიჭაბუკე და სიბერე, — გაიფიქრა გულდაწყვეტილმა.

მერე ბილიკს გაუყვა და სოფლისკენ აიღო გეზი.

— შემთხვევით არასდროს არაფერი ხდება, უნდა ვნახო და გავიგო, რატომ მოვხვდი ღამით ამ სასაფლაოზე! — თავისთვის ჩურჩულებდა მოხუცი.

დილით ზაქარიამ ნაკაშიძეების სახლ[illegible]კითხა და მაღალ აღმართზე ავიდა. ჭიშკართან ბავშვს მოჰკრა თვალი, ძროხა გამოჰყავდა გარეთ. ზაქარიას გული შეეკუმშა. ისეთივე ნაღველი დაინახა ბავშვის თვალებში, როგორიც წუხელის, სასაფლაოზე.

— ბაბუ, მოდი ჩემთან, — მოუხმო ბიჭს და ჯიბიდან ვაშლი ამოიღო.

ბავშვი გაშეშდა. მოხუცს დააშტერდა. ხელები გაშალა და კაცისკენ გაექანა.

ზაქარია დაიბნა. დაუფიქრებლად გაშალა ხელები, აიტაცა და გულში ჩაიკრა ბიჭი. თვალები ცრემლით ავსებოდა. გული სწრაფად უცემდა და ქვედა ტუჩი უკანკალებდა.

— ბაბუა ზაქარია! — მოესმა შეძახილი და ჭიშკართან ცირა დაინახა.

ზაქარიას ბავშვი არ ჩამოუსვამს, ისე შეჰყვა ქალს სახლში. გულმა უგრძნო, საოცარი რამ ხდებოდა. ოთახში ბავშვები შემოცვივდნენ და ჟივილ-ხივილით შემოეხვივნენ მოხუცს.

ის დღე და ღამეც ზაქარიამ მინადორა ნაკაშიძის სახლში დაჰყო. ოთარის ამბავი ცირასგან შეიტყო. დიდი ბებიის და ცირას საუბრიდან ბავშვს ახსოვდა, რომ ბაბუა ცოცხალი ჰყავდა.

ზაქარიას დანახვისას იფიქრა, ბაბუამ ჩამომაკითხაო.

— საოცარია ეს სამყარო, — უთხრა ცირას მოხუცმა ზაქარიამ, — სიბერეში ვიძენ ოჯახს. სიცოცხლის მიზანიც ღმერთმა სიბერეში

მაპოვნინა. ბავშვი მოამზადეთ. მალე დავბრუნდები და თან წავიყვან.

ზაქარია ამანათის გადასაცემად წავიდა. შემდეგ თბილისში ბრუნდებოდა. ახლა მარტო აღარ დაბრუნდებოდა. კაცი, რომელიც ყოველთვის სხვებისთვის ცხოვრობდა, საკუთარი ოჯახისთვის იწყებდა სიცოცხლეს.

თავი 24

კოკამ მინადორას გარდაცვალების ამბავი ქუთაისში შეიტყო. მინადორა სულ ორჯერ ჰყავდა ნანახი და მაინც საოცრად დასწყდა გული. გადაწყვიტა, სოფელში წასულიყო და დიდი ბებიის საფლავი მოენახულებინა. ალბათ, აღარავინ ეტყოდა ისეთ სიტყვებს, როგორიც მინადორამ უთხრა და არც არავინ ანუგეშებდა ისე, როგორც ეს მინადორას შეეძლო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ბავშვობიდან იცნობდა მას. საერთოდ, დროის მიმართ კოკას უცნაური დამოკიდებულება დასჩემდა. ჰქონდა დღეები, რომელნიც წამებივით გარბოდნენ და ისეთი დღეებიც ჰქონდა, წლობით რომ გრძელდებოდნენ. ზოგჯერ ეჩვენებოდა, თითქოს გუშინ დაიბადა და ზოგჯერაც, – რომ ათასი წლის წინ მოვიდა ამ ქვეყანაზე.

– ერთდროულად ძალიან ბებერიც ვარ და ძალიან ახალგაზრდაც,– ფიქრობდა და მამიას დანაოჭებულ, გრძელ თითებს იხსენებდა. ნატრობდა, ეს თითები შუბლზე შეხებოდნენ და თმაზე მოჰფერებოდნენ, რათა სიმშვიდე მოეტანათ თან.

მშვიდი არასდროს არაფერი ჰქონია კოკას. არც ცხოვრება, არც მეგობრობა და სიყვარული. საკუთარი თავით უკმაყოფილება ხომ მისი მუდმივი სატკივარი იყო. დაუკმაყოფილებლობა შობდა აფორიაქებას. აფორიაქებული სული ბორგავდა და თვითდამკვიდრების მცდელობისას შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. ბრიყვული თვითკმაყოფილება არ სურდა კოკას, არამედ სიმშვიდე საკუთარი მე-ს მიმართ და ეს სიმშვიდე იგრძნობოდა მამიაში. მინადორა გარდაიცვალა, თემური დაიღუპა, გიგი მოკლეს. კოკა ამ სამ ადამიანთან ყველაზე უკეთ გრძნობდა თავს. სამივეს ის ღერძი ჰქონდა სულში, რომელიც კოკას დაემსხვრა და ჯიქურაძეს გაუმრუდდა, თუმცა არ დამსხვრევია.

– რას ჩავეჭიდო, ჩასაჭიდი აღარ მაქვს! – ფიქრობდა ბიჭი და ქვიან, ვიწრო ქუჩას მიუყვებოდა. ვერც შეამჩნია, როგორ ჩავიდა მოედანზე

და თეატრის შენობას მიუახლოვდა. შენობასთან ხალხი შეგროვილიყო ეტყობოდა, რაღაც საინტერესო ხდებოდა. ჟურნალისტები ფოტოაპარატებს აჩხაკუნებდნენ და მიკროფონებით დარბოდნენ შეგროვილებში. კოკა ხალხს შეერია და თეატრის წინ ჩამომჯდარი მოშიმშილეები დაინახა. შავ მაისურებში გამოწყობილებს წვერი მოეშვათ და ასკეტური სახეებით უცქერდნენ მაყურებლებს. ორს ხელში უზარმაზარი ტრანსპარანტი ეჭირა წარწერით:

„მოვითხოვთ ადამიანის უფლებების დაცვას!"

მოშიმშილეებს შორის ჩოჩქოლი ატყდა.

– მახათს, ძაფს და ნიორს თხოულობს! – იყვირა მოშიმშილეებთან ახლოს მყოფმა მამაკაცმა და მიკროფონიან ჟურნალისტს ყურში გადაუჩურჩულა.

– ნიორი მაინც რაღად უნდა? – სმამაღლა უპასუხა ჟურნალისტმა და მხრები აიჩეჩა.

– ძაღლის თავი სწორედ ნიორშია დამარხული, ვერ ხვდები? სადეზინფექციო საშუალებაა, – თქვა მაღალძა მამაკაცმა.

კოკა თვალს არ უჯერებდა. შემაღლებულზე მჯდარმა წვერმოშვებულმა მოშიმშილემ მახათს ნიორი წაუსვა, ძაფსაც კარგად გადაუსვა და ხალხის თვალწინ ამაყად ამოიკერა პირი.

ზერაგია თვალებგადმოკარკლული მისჩერებოდა პირამოკერილ ადამიანის უფლებათა დამცველს და დაძაბული ცდილობდა გაეხსენებინა, საიდან იცნობდა მას.

– „სკამეიკა"! – წამოიძახა კოკამ და ციხის ყოფილ ამხანაგს მიუახლოვდა.

ღირსების შეგრძნებით სავსე „ სკამეიკა " ძალიან სერიოზულად იმზირებოდა თავისი ადგილიდან.

– ჭორფლიანი სად არის, ისევ ციხეშია? – შეეკითხა ჯარისკაცი და მოშიმშილეს მხარზე ხელი დაარტყა.

სკამეიკას თვალები გაუბრწყინდა და რაღაც ამოიზმუვლა.

– ადამიანის უფლებების დაცვა როდის დაიწყე? – ჩააცივდა კოკა.

– მუუუ, – უპასუხა სკამეიკამ და წვერზე ხელი ჩამოისვა.

– რაო, რას გეუბნება? – შეეკითხა ერთი განსაკუთრებულად აქტიური ჟურნალისტი კოკას და მიკროფონი მიუშვირა.

– ასე მეუბნება, მეც ნახირ-ნახირაო, – უპასუხა ზერაგიამ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცილი აუტყდა.

— ძმაო, რა გაცინებს, ხალხი ციხეშია! ჩვენ იმათ უფლებებს ვიცავთ! — აღშფოთდა ერთი წვერმოშვებული.

— ვიცი, ძმაო, ვიცი, — უთხრა კოკამაც და სიცილ-სიცილით გაუცილდა შეჯგუფებულ ხალხს.

შუადღე იყო. ჯარისკაცმა მზეს ახედა და როგორც ყოველთვის თვალები დახუჭა. მზეს ვერასოდეს უსწორებდა თვალს.

— მატარებელს გავყვები და საღამოს დავბრუნდები ქალაქში, — გაიფიქრა და სადგურისკენ გაემართა.

მატარებელში ავიდა. კუპეში არ შესულა, გასასვლელში დადგა, სიგარეტი ამოიღო და წელანდელ შეხვედრაზე ჩაფიქრდა.

— უკიდურესი დაძაბულობის დროსაც გამოჩნდება ხოლმე რაიმე კომიკური, — გაიფიქრა კოკამ, — ეს რომ ასე არ იყოს, ადამიანის სული ვერ გაუძლებდა დატვირთვას. ადამიანად ყოფნის გმირობა სწორედ იმაშია, რომ სიკვდილის ჩრდილქვეშ მყოფს გააჩნია სიცილის უნარი. საოცრებათა საოცრებაა სიცილი. ეს არის სწორედ ის, რასაც უნდა ჩავეჭიდო!

კოკა დამშვიდდა. ფანჯარაში გაიხედა და მშობლიური ველ-მინდვრების სილამაზემ თვალი მოსწყვიტა. სადგურამდე არც მოშორებია ფანჯარას. მატარებლიდან ჩამოსვლისას, გადაწყვიტა ფეხით ასულიყო სოფელში.

კოკა ზერაგია ნელ-ნელა მიჰყვებოდა აღმართს. ხეებს ფოთლები დასცვენოდათ და გაშიშვლებულნი ეგებებოდნენ ზამთარს. მაღლა ცაზე, ჩიტების გუნდი მიფრინავდა სამხრეთისკენ.

— აცივდა! — ჩაილაპარაკა კოკამ და ცაზე გაჭიმულ ქარავანს თვალი გააყოლა.

ისეთი შეგრძნება ჰქონდა, წარსული მოკვდა და ყური უნდა მიეგდო მომავლისთვის.

რკინის ჭიშკართან მიახლოებულს, გული აუფანცქალდა და ფეხებში სისუსტე იგრძნო.

— ნეტავ რატომ? — გაუკვირდა თვითონაც.

კოკამ ეზოში შეაბიჯა და სახლის ზღურბლთან პატარა ბიჭი შენიშნა.

— ეს ბავშვი ადრე არ მინახავს, — აღნიშნა თავისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თემურ, შინ შემოდი, — მოესმა ქალის ძახილი.

კოკა აფორიაქდა და მოუთმენლად მიაწყდა კარებს.

ცირა ისევ ისეთი ლამაზი იყო. ოღონდ გამხდარიყო და თვალები ჩასცვენოდა.

ქალი ახალმოსულს მიუახლოვდა და კისერზე მოეხვია. სათქმელიც არაფერი ჰქონდათ, იმდენი ნახეს და გამოსცადეს ორივემ.

— ეს ბავშვი ვისია? — იკითხა კოკამ.

— ჩემი თემურია. თიოს მაგივრად ეს მომცა ბედმა, — უპასუხა ცირამ.

კოკა ცოტა ხანს მდუმარედ შესცქეროდა ქალს. შემდეგ ჩურჩულით უთხრა:

— იქნებ გვეცადა ახალი ქალაქის აშენება, ცირა. ოღონდ შუშის კი არა, მზის ქალაქის აშენება. მიწისძვრაც რომ ვერ დაანგრევს, ისეთის.

— იქნებ გვეცადა, — გაიმეორა ქალმაც.

მზე იმ დღეს შინდისფერი იყო. ზამთრის დამდეგს არავის არასოდეს უნახავს ასეთი მზე.

ქალმა ბარგი ჩაალაგა. მამაკაცთან და ბავშვთან ერთად გაემართა ავტობუსის გაჩერებისკენ. ავტობუსი მალე მოვა და წაიყვანს მათ დიდ ქალაქში, სადაც შიმშილია, სიცივეა და უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები სამათხოვროდ დამსხდარან.

ცირამ არ იცის რა იქნება და როგორ იქნება ხვალ. მოვა ნამდვილი საყვარული, ისეთი როგორიც თემურთან ჰქონდა, თუ არ მოვა. ის კი ნამდვილად იცის, ადამიანები, რომელთაც მინადორა ნაკაშიძის სახლი დაიმკვიდრეს, მისი დები და ძმები არიან და არასოდეს დაჰკარგავს მათ. ეცდება, თემურსაც შეაყვაროს ისინი, როგორც დიდმა ბებიამ, მამიამ დაუბარა.

ქალი და მამაკაცი შინდისფერი მზის სითბოს ჩაუტანენ ქალაქს და თავიდან დაიწყებენ მის აშენებას, რადგან ის მათი მშობლიური ქალაქია და მათთვის სხვა ასეთი ქალაქი არ არსებობს დედამიწაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაია ბერიძე

მზეზე მონადირე

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „ლომისი“, რუსთაველის 42,
თბილისი 1999წ.

F-117.022
3

მაია ბერიძემ პროფესიონალ ლიტერატორთა ყურადღება 1993 წელს მიიპყრო მოთხრობით „გზაჯვარედინი". ამ მოთხრობამ გაზეთ მამულის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა 1994 წ. მაია ბერიძის მოთხრობამ. „დედობილი" გაიმარჯვა ჟურნალ „საქართველოს" მიერ გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში. ახალგაზრდა ავტორის ლექსები და მოთხრობები დაბეჭდილია ჟურნალებსა და გაზეთებში: „დროშა", „ნობათი", „მამული", „საქართველოს ქალი", „სიტყვა ქართული".

ამჟამად მკითხველის სამსჯავროზე ახალგაზრდა მწერლის რომანია, რომლის დიდი ნაწილიც 1998 წ. დაიბეჭდა "რუსთაველის საზოგადოების" მიერ გამოცემულ ჟურნალ „მამულში" და რომელიც საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდების ასახვის საინტერესო მცდელობას წარმოადგენს.